

გრაფიკული დიზაინი

გრაფიკული დიზაინი

# ჩემჩემა ამერიკელი



გრაფიკული დიზაინი



ბრეზი ბრინი

# ჩემჩემა ამერიკელი

თარგმნა  
ლევან ინესარიძემ



პალიტრა L  
გამომცემლობა

## ომებსა და ადამიანებზე

კაცობრიობის ისტორია ომების ისტორიაა. ომი არაერთი მწერლის ფიქრის მიზეზად და უამრავი ლიტერატურული შედეგის თემად იქცა. დაინერა წიგნები ომებსა და ადამიანებზე — ოცნებებზე, რომლებსაც ომი ანადგურებს; ბედზე, რომელსაც ომი ძირეულად ცვლის; ცხოვრებაზე, რომელიც ომმა ჯოჯოხეთად აქცია... და, ამ ყველაფერთან ერთად, ადამიანის სულის სიმტკიცეზე, მის უნარზე — უყვარდეს და სწამდეს უკიდურესი სასონარკვეთის ჟამსაც კი. სერია „ომებსა და ადამიანებზე“ სწორედ ასეთ შედეგებს, კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს გააცნობს მკითხველს.

რედაქტორი ლია შარვაშიძე

კორექტორები: ნანა ბარბაქაძე, მარინე ინანიშვილი, სვეტა კვარაცხელია  
დიზაინერი რატი თორდია

ტექნიკური რედაქტორი ნატალია ახვლედიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა ლევან ლაცაბიძე

პროექტის მენეჯერი მარიამ ფხალაძე

© Verdant Sárl, 1955

Originally published as THE QUIET AMERICAN by Graham Greene

© გამომცემლობა პალიტრა L, 2024

ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. 49



238-38-71



book@palitra.ge



www.palitra.ge

ISBN 978-9941-38-318-2

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“

ძვირფასო რენე და ფიონგ,

ნებართვა ვითხოვე, რომ ეს წიგნი თქვენთვის მომეძღვნა არა მხოლოდ ბედნიერი საღამოების სახსოვრად, თქვენთან ერთად საიგონში რომ გამიტარებია ბოლო ხუთ წელიწადში, არამედ იმიტომაც, რომ უსირცხვილოდ დაგესესხეთ ბინის მისამართს, რათა მასში ჩემი ერთ-ერთი გმირი დამესახლებინა, და გამოვიყენე თქვენი სახელი, ფიონგი, მკითხველისათვის წარმოთქმის გასაადვილებლად – ის ხომ მარტივი, ლამაზი და იოლად გამოსათქმელია, რასაც თქვენი თანამემამულე ქალების სახელთა უმრავლესობაზე ვერ ვიტყვი. ორივენი მიხვდებით, რომ სხვას არაფერს დაგესხებივართ, ყოველ შემთხვევაში, ჩემი ვიეტნამელი გმირების – პაილის, გრეინჯერის, ფოულერის, ვიგოსი და ჯოს – ხასიათები ორიგინალურია და არც საიგონში და არც ჰანოიში პროტოტიპი არ მოეძებნებათ, ხოლო გენერალი თჰე უკვე მკვდარია, – ზურგში ესროლეს, როგორც ამბობენ. ისტორიული მოვლენებიც გადაწყობილია. მაგალითად, დიდი ბომბი „კონტინენტალის“ ახლოს აფეთქდა ველოსიპედის ბომბებზე ადრე და არა გვიან. ეგ ზომ მცირე ცვლილებებისთვის სინდისი სულაც არ მქენჯნის. ეს მოთხრობაა და არა ისტორიული ნარკვევი, ჰოდა, მეც იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი ნაწარმოები რამდენიმე გამოგონილ პერსონაჟზე საიგონის ერთ ცხელ საღამოს მაინც შეგაქცევინებთ თავს.

სიყვარულით, თქვენი  
გრაამ გრინი

„ღელვა არ მომწონს: ნება როცა აღელდება, მოქმედება ყველაზე სახიფათო ხდება; ვთრთი, რომ ხელოვნური არ გამოვჩნდე, რაღა გულისტკენა და რაღა დანაშაულის ჩადენა; მიდრეკილნი კი ვართ, მოვალეობის შესახებ ჩვენი წარმოდგენები სწორედ ამისკენ გვიბიძგებს“.

ა. ქლაფი<sup>1</sup>

„ეს ახალ გამოგონებათა ცხადი ეპოქაა, სხეულთა მოკვდინებისა და სულთა გადარჩენისა, და, თან, სულ საუკეთესო განზრახვით“.

ბაირონი

---

<sup>1</sup> ბრიტანელი პოეტი ართურ ჰიუ ქლაფი (1819-1861).

**პირველი ნაწილი**

## თავი I

ნავახშმევს ჩემს ოთახში, კატინას ქუჩაზე ვიჯექი და პაილს ველოდი. ნათქვამი ჰქონდა, ათ საათამდე შემოვივლიო, ამიტომ როდესაც შუალამე დადგა, მოუსვენრობამ შემიპყრო და ქუჩაში გავედი. კიბის ბაქანზე შავშარვლიანი დედაბრები ჩაცუცქულიყვნენ: თებერვალი იყო და, ალბათ, ლოგინში ძალიან სცხელოდათ. ველორიქშის მძლოლი პედლებს ზანტად ატრიალებდა და მდინარისკენ მიდიოდა; იქ ამერიკული თვითმფრინავები გადმოჰქონდათ გემებიდან, რასაც ლამპიონების შუქზე კარგად ვხედავდი. გრძელ ქუჩაზე პაილის ნიშანწყალი არ ჩანდა.

ცხადია, პაილი შეიძლება ამერიკულ მისიაში დააყოვნებდეთ, გავიფიქრე, მაგრამ აუცილებლად დარეკავდა რესტორანში, რადგან თავაზიანობის წესების საგულდაგულოდ დაცვა სჩვეოდა. უკან შებრუნება რომ დავაპირე, გვერდითა სადარბაზოში მომლოდინე გოგონა დავინახე. სახე ვერ გავარჩიე, მაგრამ თეთრი აბრეშუმის შარვალი და გრძელი, ყვავილებით მოჩითული ზედატანი კარგად ჩანდა, ამიტომ იოლად ვიცანი. ხშირად იცდიდა ხოლმე ამ დროსა და ამ ადგილას.

— ფიონგ, — გავძახე უცებ. მისი სახელი ფენიქსს ნიშნავს, მაგრამ ჩვენს დროში ზღაპრული არაფერია და ფერფლიდან არაფერი აღდგება. სანამ რამეს მეტყოდა, მივხვდი, რომ პაილს უცდიდა.

— არ მოსულა.

— Je-sais. Je t'ai vu seul a la fenetre<sup>1</sup>.

<sup>1</sup>ვიცი. დავინახე, მარტო რომ იდექი ფანჯარაში (ფრ.).

– შეგიძლია ზევით დაუცადო, – შევთავაზე, – სადაცაა, მოვა.

– აქ დავეუცდი.

– არ გირჩევ. შეიძლება პოლიციამ აგიყვანოს.

ზევით ამომყვა. რამდენიმე ირონიული და მწარე ხუმრობა მომივიდა აზრად, მაგრამ არც ფრანგული იცოდა საკმარისად, არც ინგლისური, რომ ირონია გაეგო, ამიტომ არაფერი მითქვამს. და, უცნაური კია, მაგრამ სულაც არ მსურდა ან მისთვის მეტკინა გული, ან საკუთარი თავისთვის. როდესაც კიბის ბაქანზე ავალწიეთ, მოხუცმა ქალებმა გამოგვხედეს, ხოლო როდესაც ჩავიარეთ, ხმას ხან აუწიეს, ხან დაუწიეს, თითქოს ერთად მღერიანო.

– რას ამბობენ?

– ჰგონიათ, შინ დავბრუნდი.

ჩემს ოთახში რამდენიმე კვირის წინ, ჩინურ ახალ წელს ხე რომ დავდგი, ყვითელი ფოთლები თითქმის სულ დასცვენოდა. საბეჭდი მანქანის კლავიატურაში ეყარა ზოგი. ამოვკრიფე.

– Tu es trouble<sup>1</sup>, – მითხრა ფიონგმა.

– დაგვიანება არ სჩვევია, პუნქტუალური კაცია.

ჰალსტუხი მოვიხსენი, ფეხზე გავიხადე და სანოლზე წამოვწეკი. ფიონგმა გაზეურა აანთო და ჩაისთვის წყლის ადუღება დაიწყო. როგორც ექვსი თვის წინ.

– ამბობს, რომ მალე გაემგზავრები, – მითხრა მან.

– შეიძლება.

– ძალიან უყვარხარ.

– სულ არაფერს ეგ მაინც სჯობს, – ვთქვი მე.

ფიონგს სხვანაირი ვარცხნილობა ჰქონდა, სწორი: შავი თმა ახლა მხრებზე გადმოეყარა. მახსოვს, ერთხელ პაილმა შენიშვნა მისცა, ძალზე რთული ვარცხნილობა გაქვსო, რაც, ფიონგის აზრით, მანდარინის ასულს შეეფერებოდა. თვალი დავხუჭე და ყველაფერი ისეთივე იყო, როგორიც უნინ: ორთქლის შიშინი, ფინჯნის წკარუნი, ღამის განსაკუთრებული საათი, რომელიც სიმშვიდეს მიქადდა.

<sup>1</sup> შეშფოთებული ხარ (ფრ.).

— სადაცაა, მოვა, — ისე თქვა, თითქოს ამ სიტყვებით მე მამშვიდებდა. მაინტერესებდა, ერთმანეთში რას ლაპარაკობდნენ. პაილს სერიოზული ლაპარაკი უყვარდა და შორეული აღმოსავლეთის შესახებ ლამის სული ამომართვა, სადაც თვითონ თვეები ჰქონდა გატარებული, მე კი — წლები. დემოკრატია მისი მეორე ამოჩემებული საკითხი იყო; ისეთ მოსაზრებებს გამოთქვამდა ამერიკის შეერთებული შტატების დამსახურებებზე კაცობრიობის წინაშე, რომ ჭკუიდან გადავყავდი. აი, ფიონგს კი უმეცარი ეთქმოდა. სიტყვა პიტლერზე რომ ჩამოვარდნილიყო, გაგანყვეტინებდა და გკითხავდა, ეგ ვილააო. მისთვის ახსნაც ძალიან გაჭირდებოდა, რადგან ევროპის გეოგრაფიაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, თვალთ არასდროს ენახა გერმანელი ან პოლონელი, თუმცა ინგლისელ პრინცესა მარგარეტზე, შეიძლება ითქვას, ჩემზე მეტი იცოდა. გავიგონე, როგორ დადგასინი სანოლის ბოლოს.

— ჯერ კიდევ უყვარხარ, ფიონგ? — ანამიტის ლოგინში ჩანვენა იგივეა, რაც ჩიტთან არშიყი: ბალიშზე იგალობებს და იჟღერტულებს. არადა, იყო დრო, როდესაც მეჩვენებოდა, რომ ფიონგისებრ დედამინაზე ვერცერთი ჩიტი ვერ გალობდა. ხელი გავნიე და მაჯაზე შევეხე — ძვლებიც რომ ჩიტივით თხელი აქვთ, — უყვარხარ, ფიონგ?

მან გაიცინა და ასანთის გაჩხაკუნების ხმა გაისმა.

— ვუყვარვარ? — შეიძლება ეს სიტყვა ნესიერად არც ესმოდა, — ყალიონი გაგინყო? — მკითხა მან.

როდესაც თვალი გავახილე, ლამპა უკვე აენტო. ლამპის შუქზე კანი მუქი ქარვისფერი ჰქონდა. ალზე დაიხარა წარბშეკრული, რათა ოპიუმის ბურთულა გაეღებო, ხელში კი ნემსს ატრიალებდა.

— პაილი ისევ არ ენევა? — ვკითხე.

— არა.

— აიძულე, თორემ არ დაგიბრუნდება.

მათში ერთი ცრურწმენა იყო გავრცელებული, თითქოს საყვარელი, რომელიც ენეოდა, ყოველთვის დაბრუნდებოდა, თუნდაც საფრანგეთიდან. მოსანევი მამაკაცის სექ-

სუალურ პოტენციას აქვეითებდა, მაგრამ აქაურ ქალებს ერთგული საყვარელი ერჩივნათ ტემპერამენტიანს. ახლა ფიონგი გაცხელებულ პატარა ბურთულას ზელდა ჯამის ამოზნექილ კიდეზე, ამიტომ ოპიუმის სუნი მეცა. ამის-თანა სუნი მეორე არ არსებობს. სანოლის გვერდით ჩემს მალვიძარას რომ შევხედე, პირველის ოც წუთს აჩვენებდა, მაგრამ შფოთვამ გადამიარა. პაილი თითქოს ჩემს წარმოსახვაში პატარავდებოდა. ლამპა ფიონგს სახეს უნათებდა, როდესაც ყალიონს მიწყობდა, თან, ისე გულმოდგინედ ირჯებოდა, თითქოს ბავშვისთვის ამზადებდესო. ჩემი ყალიონი მიყვარდა: 60 სანტიმეტრზე გრძელი სწორი ბამბუკის ღერო, სპილოს ძვლის დაბოლოებებით ორივე მხარეს. ყალიონი ორ მესამედზე, ამობრუნებული ხვართქლას ფორმის ჯამისგან შედგებოდა, ამოზნექილი ნაპირი გაპრიალებული და ჩამუქებული იყო ოპიუმის ხშირი ზელისგან. მაჯის სწრაფი მოძრაობით ფიონგმა ნემსი პანანინა ქრილში ჩაუშვა, ოპიუმი ჩატოვა და ჯამი ცეცხლთან მიიტანა, ყალიონიანი ხელი კი აღარც გაუნძრევია. ოპიუმის ბურთულა ნაზად უშვებდა ბუშტებს, როდესაც კვამლს ვეჭაჩებოდი.

გამოცდილ მწვევლს მთელი ყალიონის მონევა შეუძლია ერთი მოქაჩვით, მაგრამ ყოველთვის რამდენჯერმე მიწევდა მოქაჩვა. უკან გადავინიე, ტყავის ბალიშს მივადე თავი, ფიონგი კი მეორე ყალიონის განყოფას შეუდგა.

– ყველაფერი დღესავით ნათელია. პაილმა იცის, რომ დანოლამდე ყალიონს ვენევი და ჩემი შენუხება არ უნდა. დილისკენ მოვა.

ნემსი ქრილში ისევ ჩაეშვა და მეორე ყალიონიც გამოვართვი ფიონგს. როდესაც დავდე, ვუთხარი:

– სადარდებელი არაფერია. არაფერზე იდარდო, – ჩაი მოვწრუპე და მოხრილ ხელზე შევეხე, – როდესაც მიმატოვე, კიდეე კარგი, ეს მაინც დამრჩა. დ'ორმეს ქუჩაზე კარგი მოსაწევი სახლია. რამდენს ვქოთქოთებთ ევროპელები წვრილმანებზე. ისეთ მამაკაცთან უნდა იცხოვრო, ვინც არ ეწევა, ფიონგ.

– კი მაგრამ, ჩემი ცოლად შერთვა უნდა, – მითხრა მან, – უკვე მალე.

- ცხადია, ეგ სხვა საქმეა.
- კიდევ გაგინყო ყალიონი?
- კი.

მაინტერესებდა, რომ მეთხოვა, დარჩებოდა იმ ღამით ჩემთან, იმ შემთხვევაში, თუ პაილი არ დაბრუნდებოდა? მაგრამ ოთხი ყალიონის გაბოლების შემდეგ ფიონგი აღარც მომინდებოდა. რა თქმა უნდა, სასიამოვნო იქნებოდა მისი თედოს შეხება – ყოველთვის გულაღმა სძინავს – და დილით, ახალგაღვიძებულზე კაი ყალიონის გაბოლება, ნაცვლად საკუთარ თავთან მარტო ყოფნისა.

- პაილი ამაღამ აღარ მოვა, – ვუთხარი, – შენ აქ დარჩი, ფიონგ.

მან ყალიონი გამომინოდა და თავი გააქნია, მაგრამ როდესაც ოპიუმი ჩავისუნთქე, უკვე სულერთი იყო, დარჩებოდა თუ წავიდოდა.

- რატომ არ არის პაილი? – მკითხა მან.

- აბა, რა ვიცი? – მივუგე.

- გენერალ თქესთან წავიდა?

- წარმოდგენა არა მაქვს.

- მითხრა, რომ შენთან ერთად თუ ვერ ივახშმებდა, აქ მოვიდოდა.

- არ იდარდო. მოვა. ერთი კიდევ გამინყვე.

როდესაც აღზე დაიხარა, ბოდლერის ლექსი გამახსენდა: *Mon enfant, ma soeur...*<sup>1</sup>

მერე როგორ არის?

Aimer a loisir,

Aimer et mourir

Au pays qui te ressemble<sup>2</sup>.

წყალზე ხომალდებს ჩასძინებოდათ, dont l'humeur est vagabonde<sup>3</sup>. გავიფიქრე, კანზე რომ დავეყნოსო, ოპიუმის ნა-

<sup>1</sup> დაო და შვილო... (ფრ.).

<sup>2</sup> გულით ეტრფოდე და ასე მოკვდე, ქვეყნად, რომელიც შენ გგავს მჩქეფარეს!

<sup>3</sup> რომელთაც ზნე აქვთ ყველგან ხეტების (ფრ.), – თარგმანი დავით აკრიანისა.

ზი სურნელი ექნება-მეთქი, ფერი კი პანანინა აღისა დაპკრავდა. ზედატანზე ჩრდილოეთის არხებთან გაფურჩქნილი ყვავილები ეხატა და თვითონაც ადგილობრივ ყვავილს ჰგავდა, ამიტომ შინ დაბრუნებაზე არასდროს მიფიქრია.

– ნეტავ პაილი ვიყო, – ვთქვი, მაგრამ ტკივილი დამცხრომოდა და ატანა აღარ მიჭირდა ოპიუმის დამსახურებით. ვილაცამ კარზე დააკაკუნა.

– პაილია, – თქვა მან.

– არა, იმან სხვანაირად იცის დაკაკუნება.

ხმაურიანი კაკუნი გამეორდა. ფიონგი ადგა და ყვითელი ხე გაარხია, რომელმაც ყვავილების ფურცლები ისევ ჩამოპენტა ჩემს საბეჭდ მანქანაზე. კარი გაიღო.

– მესიე ფულერ! – გაისმა ვილაცის მბრძანებლური ტონი.

– მე ფაულერი ვარ, – ვუპასუხე, ოღონდ არ ავმდგარვარ, თავიც კი არ ამინევია ვილაც პოლიციელის გამო, რომელსაც ხაკისფერი შარვალი ეცვა.

მან თითქმის გაუგებარი ვიეტნამური ფრანგულით ამიხსნა, რომ სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ, მყისიერად უნდა გამოვცხადებულიყავი უშიშროებაში.

– ფრანგულ უშიშროებაში თუ ვიეტნამურში?

– ფრანგულში, – ეს სიტყვა ისე გამოთქვა, როგორც „ფრანკული“.

– რასთან დაკავშირებით?

არ იცოდა, უბრალოდ, ბრძანება გადმომცა.

– Toi aussi<sup>1</sup>, – უთხრა ფიონგს.

– თქვენობით მიმართეთ, როდესაც ქალბატონს ელაპარაკებით, – ვუთხარი მას, – რა იცოდით, რომ აქ იყო? – მან გაიმეორა, ბრძანებას ვასრულებო, – ხვალ მოვალ:

– Sur le chung<sup>2</sup>, – თქვა ჩია, კაფანდარა, ჯიუტმა ფიგურამ. კამათს აზრი არ ჰქონდა, ამიტომ ავდექი, ჰალსტუხი გავიკეთე და ფეხზე ჩავიცვი. აქ ბოლო სიტყვას პოლიცია ამბობდა: მას შეეძლო ადამიანისთვის საშვის გაუქმება,

<sup>1</sup> შენც (ფრ.).

<sup>2</sup> დაუყოვნებლივ (დამტვრეული ფრანგული).

პრესკონფერენციაზე არდაშვება და, თუ მოეპრიანებოდა, გასვლის ნებართვის ჩამორთმევაც. ეს ყველაფერი კანონიერი იყო, მაგრამ ომში ჩართულ ქვეყანაში კანონების დაცვას ვინ დაგიდევდა. ერთ კაცს ვიცნობდი, რომელსაც მზარეული სრულიად აუხსნელი მიზეზით დაეკარგა — მისი კვალი ვიეტნამის უშიშროებაში მიდიოდა, სადაც ჩემს ნაცნობს აუხსნეს, რომ მზარეული მხოლოდ დაჰკითხეს და მერე გაუშვეს. მას შემდეგ ის კაცი თავის ოჯახსაც აღარასდროს უნახავს: შესაძლოა კომუნისტებს შეუერთდა ან ერთ-ერთ კერძო საჯარისო შენაერთში, ჰაო-ჰაოში განევრდა, საიგონის ახლოს რომ იყო დაბანაკებული, ან კაოდაისტებთან მივიდა ანდა გენერალ თჰესთან. არც ის არის გამორიცხული, ფრანგულ ციხეში მოხვდა ან ეგებ ჩინურ გარეუბან შოლონში ვაჭრობდა გოგონებით და უდარდელად ცხოვრობდა. ვერც იმას გამოვრიცხავდით, რომ დაკითხვისას გულმა უმტყუნა.

— ფეხით სიარულს არ ვაპირებ, — ვუთხარი პოლიციელს, — ველორიქმის საფასური თქვენ უნდა გადაიხადოთ, — ადამიანმა ღირსება უნდა შეინარჩუნოს.

სწორედ ამის გამო ვუთხარი სიგარეტზე უარი ოფიცერს ფრანგულ უშიშროებაში. სამი ყალიონის შემდეგ გონება მკაფიოდ და სწრაფად მიმუშავებდა: ასეთი ტიპის გადანყვეტილებების მიღება ისე შემეძლო, რომ მხედველობიდან მთავარი საკითხი არ გამომჩენოდა: ჩემგან რა უნდათ? ვიგო რამდენჯერმე მყავდა ნანახი მიღებებზე, თვალში კი იმიტომ მომხვდა, რომ თავდავიწყებით უყვარდა თავისი ცოლი, რომელიც არაფრად აგდებდა, ვულგარული ქალი იყო, ღია ქერად შეღებილი თმით. ახლა კი, დილის ორზე, ხვატში იჯდა, სიგარეტით გაბულულ ოთახში, დაღლილი და მოქუფრული სახით და მაგიდაზე პასკალის გადაშლილი ტომი ედო, ალბათ, დროის მოსაკლავად. როდესაც ფიონგის უჩემოდ დაკითხვაზე ცივი უარი მიიღო, აღარ დაუძალებია, ერთხელ ამოიოხრა, რაც შეიძლება გამონვეული იყო იმით, რომ საიგონმა დალაღა ან სიცხემ გააცალა ქანცი, ანდაც სიცოცხლემ მოაბეზრა თავი.

ინგლისურად მკითხა:

– ბოდიში მომითხოვია, მოსვლა რომ გთხოვეთ. მომიწია.

– ჩემთვის თხოვნა არ გადმოუციათ, მიბრძანეს.

– ოჰ... აქაურ პოლიციას არაფერი ესმის, – თვალთ პასკალის „ფიქრების“ გადაშლილ ტომს ისე უყურებდა, თითქოს თვითონაც ჩართული იყო სევდიან სჯა-ბაასში, – პაილის შესახებ რამდენიმე კითხვის დასმა მინდოდა.

– ჯობდა, მისთვის გეკითხათ.

ის ფიონგისკენ შეტრიალდა და მკვეთრად დაუსვა ფრანგულად შეკითხვა:

– რამდენი ხანია მესიე პაილთან ერთად ცხოვრობთ?

– ერთი თვე... არ ვიცი, – მიუგო ფიონგმა.

– რამდენს გიხდიდათ?

– ამ კითხვის დასმის უფლება არა გაქვთ, – ჩავერიე მე, – არ იყიდება.

– თქვენთანაც ხომ ცხოვრობდა, ასე არ იყო? – უეცრად მე მომიბრუნდა, – ორი წელი.

– მე კორესპონდენტი ვარ, რომელიც თქვენს ომს აშუქებს, როცა საშუალებას იძლევი. ნუ მომთხოვთ, რომ თქვენს სკანდალურ ქრონიკას მივუძღვნა მასალა.

– პაილზე რა იცით? გთხოვთ, კითხვებზე მიპასუხეთ, მესიე ფაულერ. ამ კითხვების დასმა სულ არ მინდა, მაგრამ საქმე სერიოზულად არის. მერწმუნეთ, ძალიან სერიოზულად.

– მე ინფორმატორი არა ვარ. ხომ იცით, რისი თქმაც შემიძლია პაილზე. ოცდათორმეტი წლისაა, ეკონომიკური დახმარების მისიაში მუშაობს, ეროვნებით ამერიკელია.

– მისი მეგობარი უნდა იყოთ, ხომ? – მკითხა ვიგომ და ფიონგს გახედა. ვიეტნამელმა პოლიციელმა სამი ფინჯანი შავი ყავა შემოიტანა.

– ჩაი ხომ არ გერჩივანათ? – იკითხა ვიგომ.

– მეგობარი ვარ, – ვუთხარი, – რატომაც არა. ოდესმე ხომ შინ დაბრუნება მომიწევს. ფიონგს თან მაინც ვერ ნავიყვან. პაილთან კარგად იქნება. გონივრული შეთანხმებაა, თან, პაილი ამბობს, მის შერთვას ვაპირებო. იზამს, რომ

იცოდეთ. კაი ბიჭია თავისებურად. სერიოზული. „კონტინენტალის“ ხმაურიან ნაბიჭვრებს არა ჰგავს. ჩუმი ამერიკელია, — ისე აღვწერე, თითქოს მეთქვას, ლურჯი ხვლიკია ან თეთრი სპილოა-მეთქი.

— ჰო, — თქვა ვიგომ. თითქოს მაგიდაზე ეძებდა იმ ზუსტ სიტყვას, რომლითაც მას აღწერდა, — ძალიან ჩუმჩუმა ამერიკელია, — იჯდა გახურებულ კაბინეტში და ელოდა, როდის ამოვიღებდით ხმას. სადღაც კოლო ბზუოდა. ფიონგს გავხედე. ოპიუმი მიხვედრილობას უზრდის ადამიანს, ალბათ, ნერვების დამშვიდებისა და გრძნობების მოდუნების ხარჯზე. ასეთ დროს ყველაფერი უმნიშვნელო გეჩვენება, სიკვდილიც კი. ფიონგმა, ალბათ, მისი მელანქოლიური ტონი ვერ შეამჩნია-მეთქი, გავიფიქრე, რადგან ინგლისური კარგად არ იცოდა. მაშინაც კი, როდესაც კაბინეტში მაგარ სკამზე იჯდა, პაილს ელოდა. იმ დროს მე უკვე აღარავის ველოდი, ვიგო კი აშკარად ხვდებოდა, ჩვენ რას ვფიქრობდით.

— როდის გაიცანით? — ვიგომ მე მკითხა.

რატომ უნდა ავუხსნა, რომ მე კი არ გამიცნია, პაილმა თვითონ გამიცნო? შარშან სექტემბერში ვნახე, როდესაც „კონტინენტალის“ ახლოს სკვერი გადაკვეთა: ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ცხოვრებისგან კვალდაუმჩნეველი სახე შუბივით გამოფრინდა ჩვენკენ. გრძელფეხება იყო, მოკლედ შეჭრილი თმა და სტუდენტურად გულუბრყვილო მზერა ჰქონდა, კაცი იფიქრებდა, ამან ვის რა უნდა დაუშავოსო. ქუჩაში ყველა მაგიდა დაკავებული იყო.

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? — ხაზგასმულად თავაზიანად მომმართა, — გვარად პაილი ვარ. აქ ახალი ვარ, — მერე სკამზე დაჯდა, უფრო სწორად, ზედ დაიკეცა, რადგან ძალიან მაღალი იყო, და ლუდი შეუკვება. შუადღის კაშკაშა ცას ახედა.

— ეს ყუმბარაა? — იმედიანად იკითხა აღელვებულმა.

— უმაყუჩო მანქანამ ბოლი გამოუშვა, — ვუპასუხე და უცებ გული დამწყდა, იმედი რომ გაუცრუვდა. კაცს სიყმანვილე სწრაფად ავიწყდებო, ნათქვამია; ოდესღაც მეც მაინტერესებდა ის, რასაც უკეთესი სიტყვა რომ ვერ მოუ-

ფიქრეს, „ახალი ამბები“ დაარქვეს. თუმცა ყუმბარები უკვე ყელში ამომივიდა; მათ შესახებ ადგილობრივ გაზეთში უკვე უკანა გვერდზე წერდნენ: *წუხელ ამდენი აფეთქდა საიგონში, იმდენი აფეთქდა შოლონში*. ევროპულ პრესაში კი ეს ამბები ველარც ხვდებოდა. ქუჩას ლამაზი, თხელი ფიგურები კვეთდნენ, რომელთაც აბრეშუმის თეთრი შარვლები და ვარდისფრითა და ლილისფრით განყობილი, თეძოებთან შეჭრილი ზედატანები ეცვათ. მათ ვუყურებდი და ვიცოდი, რომ აქაურობა მომენატრებოდა, როგორც კი გავემგზავრებოდი, – რა საყვარლები არიან, არა? – ვუთხარი პაილს და ლუდი მოვწრუპე, მან კი კატინას ქუჩის მოსეირნეებს ზერელედ გახედა.

– კი, კი, რასაკვირველია, – გულგრილად თქვა. სერიოზული ტიპი ჩანდა, – მინისტრი ძალიან შემოფოთებულია ამ ყუმბარების გამო. ძალიან უხერხული იქნებაო, ამბობს, რომელიმე ჩვენთანაც რომ მოჰყვეს მაგ აფეთქებებში.

– რომელიმე თქვენგანი? ჰო, სერიოზული ამბავი იქნება. კონგრესსაც არ მოეწონება.

რატომ უნდება მავანს წესიერი ადამიანის წვალემა? ალბათ, სულ რაღაც ათიოდე დღის წინ ბოსტონის პარკში მისეირნობდა ჩინეთის პრობლემებსა და შორეულ აღმოსავლეთზე დაწერილი წიგნებით ხელში, რათა გამომგზავრებამდე წაეკითხა. ჩემი ნათქვამი ვერც გაიგონა, ისე ჰქონდა გონება მოცული დემოკრატიის ყოველდღიური პრობლემებითა და დასავლეთის პასუხისმგებლობით. მტკიცედ ჰქონდა გადამწყვეტილი, რაც მალე გავარკვიე, რათა სიკეთე გაეკეთებინა არა ცალკე აღებული რომელიმე ადამიანისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის, კონტინენტისთვის, მსოფლიოსთვის. მოკლედ, თავის სტიქიაში იყო, მთელი სამყაროს გაუმჯობესება ენადა.

– საცხედრეშია? – ვკითხე ვიგოს.

– რა იცით, რომ მკვდარია? – ეს პოლიციელის სულელური კითხვა იყო, პასკალის მკითხველ კაცს რომ არ ეკადრებოდა, ასევე ცოლზე ასე უცნაურად შეყვარებულ მამაკაცსაც. ინტუიციის გარეშე სიყვარული ხომ წარმოუდგენელია.

— დამნაშავე არა ვარ, — ვთქვი და თავიც დავირწმუნე, რომ ეს სიმართლე იყო. განა პაილი მუდამ თავის ჭკუაზე არ დადიოდა? მინდოდა გამეგო, რამეს ვიგრძნობდი თუ არა, თუნდაც წყენას, პოლიციელის ეჭვებზე, მაგრამ ვერაფერიც ვერ ვიგრძენი. პასუხისმგებელი პაილის მეტი არავინ ყოფილა. „არ ჯობია, ყველანი მკვდრები ვიყოთ?“ — ბჭობდა ჩემს გონებაში ოპიუმი. ფიონგს ყურადღებით შევხედე, რადგან ვიცოდი, რომ მას გაუჭირდებოდა. როგორც ჩანს, თავისებურად უყვარდა: განა ჯერ ჩემ მიმართ არ ჰქონდა გრძნობა და განა პაილის გამო არ მიმატოვა?

ფიონგმა თავისი თავი ახალგაზრდობას, იმედსა და მომავალს გამოაბა, მათ კი იმაზე მეტად უმტყუნეს, ვიდრე ასაკმა და იმედგაცრუებამ. იჯდა პოლიციის კაბინეტში და ორივეს გვიყურებდა, მე კი ვფიქრობდი, ჯერ ვერაფერი გაიგო-მეთქი. ალბათ, ჯობდა, სანამ რამეს მიხვდებოდა, შინ წამეყვანა. მზად ვიყავი, ყველანაირ კითხვაზე გამეცა პასუხი, ოღონდ კი ეს შეხვედრა მალე დამესრულებინა, ოღონდ ბუნდოვნად, რათა მისთვის პირადად ამეხსნა მომხდარი, პოლიციელის მოშტერებული მზერისგან, მაგარი სკამები-სა და ნათურის ირგვლივ მობორიალე ჩრჩილებისგან შორს. ვიგოს ვკითხე:

— რომელი საათები გაინტერესებთ?

— ექვსიდან ათამდე.

— ექვსზე „კონტინენტალში“ ვიჯექი და ლუდს ვსვამდი. მიმტანები გაიხსენებენ. შვიდს რომ ოცი აკლდა, სანაპიროზე გავედი, რომ მეყურებინა, როგორ გადმოჰქონდათ ამერიკული თვითმფრინავები გემებიდან. „მაჟესტიკის“ კართან „ესოშიეთიდ ნიუზის“ უილკინსი ვნახე. მერე მეზობლად მდებარე კინოში შევედი. წესით, დამიმახსოვრებდნენ, რადგან ფული დამიხურდავეს. იქიდან ველორიქშით „ვიე მულენში“ გავემურე, სადღაც, ცხრის ნახევრისთვის მივედი; იქ მარტომ ვისადილე. იქ გრეინჯერი იყო და შეგიძლიათ ჰკითხოთ. მერე ისევ ველორიქშა ავიყვანე და შინ წავედი. ალბათ, ათს თხუთმეტი აკლდა, რომ მივედი. მძლოლის

პოვნაც არ გაგიჭირდებათ. პაილს ათზე ველოდი, მაგრამ არ გამოჩენილა.

— რატომ ელოდით?

— დამირეკა და მითხრა, მნიშვნელოვან საკითხზე უნდა განახო.

— რაზე უნდა ენახეთ, რამე ვარიანტი გაქვთ?

— არა, თანაც, პაილისთვის ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო.

— ეს მისი გოგო? სად იყო, იცით?

— გარეთ უცდიდა შუალამისას. არაფერი იცის. როგორ ვერ ხედავთ, ახლაც მას ელოდება.

— ჰო, — თქვა ვიგომ.

— ხომ არ გგონიათ, რომ ეჭვიანობის ნიადაგზე მოვკლავდი? ან ეს მოკლავდა? და რისთვის? დაქორწინებას აპირებდნენ.

— ჰო.

— სად იპოვეთ?

— დაკოუს ხიდის ქვეშ, წყალში იყო.

„ვიე მულენი“ ხიდის გვერდით იდგა. იქ შეიარაღებული პოლიცია ტრიალებდა, ხოლო რესტორანი ყუმბარებისგან რკინის მესრით იყო დაცული. ხიდის გადაკვეთა ღამით უსაფრთხო არ იყო, რადგან დაბნელებისთანავე მდინარის მეორე მხარე ვიეტმინელების<sup>1</sup> ხელში გადადიოდა. გამოდის, პაილის ცხედრიდან ორმოცდაათიოდე მეტრში მივახშმია.

— უბედურება ისაა, — ვთქვი მე, — რომ სხვის საქმეში ერეოდა.

— გულახდილად რომ ვთქვა, — დაიწყო ვიგომ, — სულაც არ მენანება. ბევრ რამეს აშავებდა.

— ღმერთმა გვაშოროს მიამიტები და კარგები.

— მიამიტები?

— კი, — დავუდასტურე, — თავისებურად. თქვენ ხომ კათოლიკე ხართ. მისი გზა თქვენთვის მიუწვდომელია. ამას გარდა, ერთი ოხერი იანკი იყო.

<sup>1</sup> ვიეტ-მინი — ვიეტნამის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დემოკრატიული ფრონტი. შეიქმნა 1941 წელს.

– უარს ხომ არ იტყვით, რომ ამოიცნოთ? ბოდში კი მომითხოვია. სასიამოვნო არ იქნება, უბრალოდ, წესია ასეთი.

თავი აღარ შევიწუხებ, რომ მეთქვა, ამერიკული მისიიდან გეთხოვია ვინმესთვის-მეთქი, რადგან მიზეზს ისედაც ვხვდებოდი. ჩვენს ცივ საუკუნეში ფრანგული მეთოდები ცოტა მოძველებულია: სჯერათ, რომ სინდისი და დანაშაულის განცდა არსებობს; დამნაშავე მსხვერპლთან უნდა მიიყვანო, რათა შეკრთეს და თავი გასცეს. ჩემს თავს ისევ ვუთხარო, უდანაშაულო ხარ-მეთქი, როცა კიბით სარდაფში ჩავდიოდი, სადაც საცივარი მოწყობილობა ზუზუნებდა. იქიდან ისე გამოაცურეს, როგორც სინზე დანყობილი ყინულის კუბები. დავხედე. ჭრილობებიც მიჰყინვოდა. ვიგოს მივმართე:

– ხედავთ, ჩემი თანდასწრებით ჭრილობები პირის გახსნას არ აპირებენ.

– Comment<sup>1</sup>?

– განა თქვენი მიზანიც ეს არ იყო? ჩემი გამოცდა, მაგრამ მეტისმეტად გაგიყინავთ. შუა საუკუნეებში ასეთი საყინულეები არ ჰქონიათ.

– იცანით?

– ოჰ, კი.

ისე, როგორც არასდროს, აქ ძალიან უადგილოდ გამოიყურებოდა: შინ უნდა დარჩენილიყო. მისი საოჯახო ალბომის სურათები მქონდა ნანახი: რანჩოში ცხენზე რომ იჯდა, ლონგ-აილენდზე რომ ირუჯებოდა, თანამშრომლის ბინაში რომ იყო ოცდამესამე სართულზე. ცათამბჯენებსა და ჩქაროსნულ ლიფტებს ეკუთვნოდა, ნაყინსა და მშრალ მარტინის, სადილზე რძესა და ქათმის სენდვიჩებს.

– მაგრამ ამით არ მომკვდარა, – ამიხსნა ვიგომ და მკერდზე ჭრილობაზე მიმითითა, – ტალახში ჩაფლეს. ფილტვებში ტალახი აღმოაჩნდა.

– რა ოპერატიულად გიმუშავიათ.

– ასეთ კლიმატში სხვაგვარად არც შეიძლება.

---

<sup>1</sup> როგორ? (ფრ.).

საკაცე უკან შეაცურეს და კარიც მიხურეს. რეზინის შუასადებმა კარის დარტყმა შეამსუბუქა.

– ველარაფრით დაგვეხმარებით? – მკითხა ვიგომ.

– ვერანაირად.

მე და ფიონგი ჩემს ბინაში ფეხით წავედით: ღირსება უკვე აღარ მადარდებდა. სიკვდილი ამპარტავნობას ართმევს რქიანსაც კი, რომელიც საკუთარ ტკივილს მალავს. ფიონგს ჯერ კიდევ არ ესმოდა, რა ხდებოდა, მე კი ნელა და რბილად ახსნის უნარი არ მქონდა. მე კორესპონდენტი ვიყავი: სათაურებით ვაზროვნებდი – „ამერიკელი აგენტის მკვლელობა საიგონში“. გაზეთის ჟურნალისტებს ცუდი ამბების შერბილებას არავინ ასწავლის, ახლაც კი გაზეთზე ვფიქრობდი, ამიტომ ფიონგს ვკითხე:

– წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ტელეგრაფში რომ შევი-  
არო?

ქუჩაში დავტოვე, ტელეგრამა გავგზავნე და გამოვბრუნდი, ოღონდ, ეს მხოლოდ ცარიელი ყესტი იყო: ვიცოდი, რომ ფრანგი კორესპონდენტები უკვე ინფორმირებულნი იქნებოდნენ და თუნდაც ვიგოს პატიოსნად ეთამაშა (რაც შესაძლებელი იყო), ცენზორები ჩემს გზავნილს მანამდე შეაჩერებდნენ, სანამ ფრანგები თავისას არ გაგზავნიდნენ. ჩემი გაზეთი ამას პარიზული პრესიდან შეიტყობდა. თუმცა არც პაილი ყოფილა მნიშვნელოვანი ფიგურა. მისი აქ ყოფნის დეტალებზე ვერ გავგზავნიდი ინფორმაციას და ვერც იმას ვიტყვოდი, რომ სანამ თვითონ მოკვდებოდა, მანამდე, სულ ცოტა, ორმოცდაათი კაცის სიკვდილზე იყო პასუხისმგებელი, რამეთუ ეს ინგლისურ-ამერიკულ ურთიერთობას ავნებდა, დესპანი კი გადაირეოდა.

დესპანი პაილს ძალიან დიდ პატივს სცემდა; ტყუილად ხომ არ ჰქონდა ამ უკანასკნელს ხარისხი მიღებული იმ ერთ-ერთ საგანში, რატომღაც ამერიკელები რომ სწავლობენ: საზოგადოებრივ ურთიერთობებში ან თეატრმცოდნეობაში, ანდაც შორეული აღმოსავლეთის საკითხებში (უამრავი წიგნი ჰქონდა წაკითხული).

– პაილი სად არის? – მკითხა ფიონგმა, – რა უნდოდათ?

– შინ წავიდეთ, – ვუთხარი.

– პაილიც მოვა?

– მანამდე არაფერი გეტკინოს.

დედაბრები გრილ კიბის ბაქანზე ისევ ჭორაობდნენ. როდესაც კარი გავალე, მივხვდი, რომ ჩემი ოთახი გაეჩხრიკათ: ყველაფერი იმაზე დალაგებული დამხვდა, ვიდრე ოდესმე მე დამიტოვებია.

– ყალიონი გაგინყო? – მკითხა ფიონგმა.

– კი.

ჰალსტუხი მოვიხსენი და ფეხსაცმელი გავიხადე; ხანმოკლე წარმოდგენა დასრულდა, ღამე თითქმის ისეთივე იყო, როგორც გასვლამდე. ფიონგი სანოლის ბოლოს ჩაცუცქდა და ლამპა აანთო. „ჩემი და და შვილი“, ქარვისფერი კანით. *Sa douce langue natale*<sup>1</sup>.

– ფიონგ, – მივმართე მას. ის კი ოპიუმს ჯამზე ზელდა, – *Il est mort*, ფიონგ.

ნემსით ხელში იმ ბავშვივით გამომხედა, გონების მოკრებას რომ ლამობს. წარბი შეკრა.

– *Tu dis*<sup>2</sup>?

– *Pyle est mort. Assassine*<sup>3</sup>.

ნემსი დადო და მუხლებზე უკან გადაინია. გამომხედა. სცენა არ გაუმართავს, ცრემლები არ უფრქვევია, უბრალოდ, დაფიქრდა. ეს იმ ადამიანის ღრმა და ძალზე პირადული ფიქრები იყო, რომელსაც მთელი ცხოვრების შეცვლა მოუწევდა.

– უმჯობესია, ამაღამ აქ დარჩე, – ვუთხარი მე.

მან თავი დამიქნია, ნემსი აიღო და ოპიუმის შეთბობა განაგრძო. იმ ღამით ღრმად ჩაძინებულმა გავიღვიძე, ასეთ ძილს ოპიუმი ჰგვრის ადამიანს, ათ წუთს წაუძინებ და გგონია, მთელი ღამე გეძინა. ხელი იქ მედო, სადაც ყოველთვის – მის თეძოებს შორის. მას ეძინა, მე კი მისი სუნთქვა მესმოდა. მრავალი თვის შემდეგ ისევ მარტო აღარ ვიყავი. უეც-

<sup>1</sup> მისი ტკბილი მშობლიური ენა (ფრ.).

<sup>2</sup> რა თქვი? (ფრ.).

<sup>3</sup> პაილი მკედარია. მოკლული. (ფრ.).

რად ვიგო და მისი ქუდის წინაფრა გამახსენდა, პოლიციის განყოფილებაში რომ ეხურა... მისიის წყნარი, უკაცრიელი დერეფნები, რბილი, უთმო კანი ჩემს ხელქვეშ. მხოლოდ მე მადარდებს პაილის ამბავი?

## თავი II

### 1

იმ დილით, როდესაც პაილი პირველად გამოჩნდა „კონტინენტალთან“, ჩემი ამერიკელი კოლეგებით უკვე თავმო-ბეზრებული ვიყავი – ზორბა, ხმაურიანი, ბიჭურად აცეცე-ბული, თუმცა შუახნის ხალხი ფრანგებზე გესლიანად ხუმ-რობდა, რომლებიც, რაც არ უნდა იყოს, ამ ომში სისხლს ღვრიდნენ. დროდადრო, როდესაც რომელიმე შეტაკების კვალი გაინმინდებოდა, ცხედრებს კი ბრძოლის ველიდან გაიტანდნენ, კორესპონდენტებს ჰანოიში გამოიძახებდნენ, რომელიც ოთხიოდე საათის საფრენ მანძილზე იყო დაშო-რებული; იქ მთავარსარდალი მიმართავდა მათ, ღამით კი პრესის სახლში დაბინავდებოდნენ, სადაც ბარმენი ისე მოს-წონდათ, რომ ამბობდნენ, ამისთანა ბარმენი მთელ ინდოჩი-ნეთში არ მოიძებნებაო. იქიდან გადაიფრენდნენ ბრძოლის ველზე, 900 მეტრის სიმაღლეზე ადიოდნენ (თვითმფრინა-ვამდე ვერცერთი ტყვიამფრქვევი ვერ აწვდენდა ტყვიას), და ისევე უსაფრთხოდ, თუმცა ხმაურიანად, ბრუნდებოდ-ნენ საიგონის სასტუმრო „კონტინენტალში“, როგორც სას-კოლო ექსკურსიის შემდეგ.

პაილი მშვიდი და მოკრძალებული ჩანდა; ჩვენი გაცნო-ბის პირველ დღეს რამდენჯერმე მისკენ მივიწიე კიდეც, რომ გამერჩია, რას ლაპარაკობდა. ამასთან, ფრიად, ფრიად სერიოზულიც იყო. რამდენჯერმე უხერხულობაც კი დაე-უფლა, როდესაც ამერიკული პრესის ხმაური მოესმა ჩვენ ზემოთ მდებარე ტერასიდან, რაზეც ამბობდნენ, ხელით ნასროლი ყუმბარებისგან დაცულიაო. თუმცა არავინ გაუ-კიცხავს.

– იორკ ჰარდინგი ნაკითხული გაქვთ? – მკითხა მან.

– არა. არა მგონია. რა დანერა?

მან მოპირდაპირედ მდებარე რძის კოქტიელის ბარს გახედა და ოცნებაში წასულივით თქვა:

– მგონი, იქ ჩამოსასხმელი წყლები ექნებათ.

გავიფიქრე, ალბათ, როგორ ენატრება სამშობლო, რომ ასეთ უცხო გარემოშიც კი ნაცნობ ადგილებს ეძებს-მეთქი. მაგრამ სხვისი რა გამიკვირდა, განა მე არ ვიყავი, როდესაც პირველად კატინას ქუჩაზე მივდიოდი, პირველივე რაც თვალში მომხვდა, „გერლენის“ სუნამოს მაღაზია იყო, და თავი დავიმშვიდე, აქედან ვეროპამდე სულ რაღაც ოცდაათი საათის გზაა-მეთქი? მან უხალისოდ აარიდა თვალი ბარს და თქვა:

– იორკმა დანერა წიგნი „წითელი ჩინეთის წინსვლა“. ძალიან ცნობილი წიგნია.

– არ წამიკითხავს. პირადად იცნობთ?

მან სერიოზულად დამიქნია თავი და სიჩუმეში ჩაიძირა, მაგრამ მალე თვითონვე დაარღვია სიჩუმე, რათა ნათქვამის შთაბეჭდილება შეეცვალა:

– ძალიან ახლოს არ ვიცნობ, – განმარტა მან, – მხოლოდ ორჯერ შევხვდით ერთმანეთს.

მომენონა, რომ ცნობილ მწერალთან, – რა ერქვაო? – იორკ ჰარდინგთან ნაცნობობით ტრაბახს არ აპირებდა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ უზარმაზარი მონინებით იყო განმსჭვალული იმ მწერლების მიმართ, რომელთაც სერიოზულს უწოდებდა. მათ სიაში კი რომანისტები, პოეტები და დრამატურგები არ შედიოდნენ, თუკი ისინი თანამედროვე საკითხზე არ შექმნიდნენ რამეს, ოღონდ ასეთ დროსაც ფაქტს უნდა შეხებოდნენ, როგორც იორკი.

ვუთხარი:

– იცით, როდესაც ადამიანი სადმე დიდხანს ცხოვრობს, ამ ადგილის შესახებ კითხვის სურვილი ეკარგება.

– ცხადია, თვითმხილველის აზრის მოსმენა საინტერესოა, – თქვა თავშეკავებულად.

– და მერე იორკთან გადამონმება?

– დიახ, – შესაძლოა ირონია შემამჩნია, რადგან დამახასიათებელი ზრდილობიანობით დაამატა, – დიდად დავალებული დაგრჩებით, თუ დროს გამონახავთ და მთავარ საკითხებზე ცნობებს მომანვდით. იცით, იორკი აქ ორ წელიწადზე მეტი ხნის წინ იმყოფებოდა.

მომწონდა მისი ერთგულება ჰარდინგისადმი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის. განსაკუთრებით, კორესპონდენტების ცილისნამებისა და უმნიშვარი ცინიზმის შემდეგ.

– კიდევ ერთი ბოთლი ლუდი დალიეთ, მე კი ვეცდები აგისხნათ საქმის ვითარება, – ვუთხარი და მოყოლა დავიწყე, ის კი ისე მიყურებდა, როგორც ფრიადოსანი მოსწავლე. ავუხსენი, რა ხდებოდა ჩრდილოეთში, ტონკინში, სადაც ფრანგები ბოლო დროს წითელი მდინარის დელტას ეჭიდებოდნენ, იქვე იყო ჰანოი და ჩრდილოეთის ერთადერთი პორტი ჰაიფონი. სწორედ ეს ადგილები იძლეოდა ბრინჯის დიდ მოსავალს, ხოლო როდესაც მოსავლის აღების დრო დგებოდა, ბრინჯის ხელში ჩასაგდებად ყოველწლიური ბრძოლაც გაჩაღდებოდა ხოლმე.

– ასეა ჩრდილოეთის საქმე, – ვუთხარი პაილს, – ეს უბედური ფრანგები კიდევ დიდხანს გაქაჩავენ იქ, თუ ვიეტმინელებს ჩინელები არ წამოეშველებიან. ომი ხომ ჯუნგლშია, მთებსა და ჭაობებში, ბრინჯის დატბორილ მინდვრებში, სადაც მხრებამდე წყალში გინევს გატოპვა, მტერი კი თვალის დახამხამებაში უჩინარდება, იარაღს მალავს და გლეხის კაბას გადაიცვამს... მაგრამ ჰანოიში კომფორტულად ყოფნისგან შეიძლება ობი მოგეკიდოს. იქ ბომბებს არ ისვრიან. ღმერთმა იცის, რატომ. თავისებური ომია.

– აქ, სამხრეთში?

– ფრანგები მთავარ გზებს აკონტროლებენ საღამოს შვიდ საათამდე; შვიდის მერე მათ ხელში მხოლოდ საგუშაგო კოშკები და რამდენიმე ქალაქი რჩება, ოღონდ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აქ უსაფრთხოდ ხარ ადამიანი, თორემ რესტორნებს რკინის მესერი ხომ არ ექნებოდა შემოვლებული.

რამდენჯერ მქონდა ეს მანამდე ახსნილი. იმ ფირფიტას ვგავდი, ახალბედებს – სტუმარ პარლამენტარს ან ბრიტანეთის დესპანს – რომ ჩაურთავენ ხოლმე. ზოგჯერ შუალამისას შემდეგი სიტყვებით გამლვიძებია: „კაოდაისტების საქმე ავიღოთ თუნდაც, ან ჰაო-ჰაოს ჯარისკაცების, ანდაც ბინ-ქსიუენის“. ეს ჯარები დაქირავებული იყო, თავიანთ მომსახურებას ფულზე ყიდდნენ ან შურისძიების სურვილი ამოძრავებდათ. უცხოელებს ისინი თვალს სტაცებენ, მაგრამ მე ორპირობასა და ლალატში თვალწარმტაცს ვერაფერს ვხედავ.

– ახლა კი, – ვთქვი მე, – ვინმე გენერალი თჶე გამოჩნდა. კაოდაისტების შტაბის უფროსი იყო, მაგრამ მთებში გაიხიზნა, რათა ორივე მტერს შეჶბმოდა – ფრანგებსაც და კომუნისტებსაც...

– იორკი, – თქვა პაილმა, – წერდა, რომ აღმოსავლეთს მესამე ძალა ესაჭიროება.

შესაძლოა მაშინვე უნდა შემენიშნა მის თვალეში ფანტიკური ნათება, ფრაზისა და რიცხვის მაგიის თაყვანისცემა: „მეხუთე კოლონა“, „მესამე ძალა“, „მეშვიდე დღე“. მაშინვე რომ გამეგო, რისკენ მიისწრაფოდა მისი ახალგაზრდა, დაულალავი გონება, ბევრ ჩვენგანს, მათ შორის, პაილსაც, ბევრ შარსა და ხათაბალას ავარიდებდი. მან აქაურობის რეალური ვითარება არ იცოდა, მე კი ავდექი და კატიანას ქუჩას დავადექი, როგორც ყოველთვის. ვფიქრობდი, ის თვითონაც ისწავლის, სინამდვილეში რა როგორ არის-მეთქი; აქაურობა ხომ სუნივით გცემს და ვერ იშორებ: ბრინჯის მინდვრები, სალამოს მზის დამრეცი ოქროსფერი სხივების ქვეშ; არხებზე მეთევზეთა ანკესების სილუეტები, მოფარფატე მოსკიტებს რომ მოგაგონებენ ადამიანს; ფინჯანი ჩაი მოხუცი აბატის ტერასაზე, მისი სანოლით, სარეკლამო კაღენდრებით, სათლებითა და დამტვრეული ფინჯნებით – სკამთან მოქუჩებული მთელი ცხოვრების ნაგავი; ნაღმისგან დაზიანებული გზის შემკეთებელი გოგონები, თავზე ნიჶარისებური ქუდეები რომ ეხურათ; ოქროსფერი, მოლის-

ფერი და სამხრეთის კამკაშა კაბები, ჩრდილოეთში კი ღრმა ყავისფერი და შავი ტანისამოსი, მტრული მთების წრე და თვითმფრინავების გუგუნე. როდესაც პირველად ჩამოვედი, მივლინების დღეებს ისე ვითვლიდი, მოსწავლე რომ ითვლის ხოლმე სწავლის დღეებს არდადეგების მოლოდინში; მეგონა, მიჯაჭვული ვიქნებოდი იმაზე, რაც ბლუმზბერის მოედნიდან დარჩა, 73-ე ავტობუსზე, იუსტონის თალში რომ გადის, და თორინგთონ-ფლეისზე. ახლა სკვერში უკვე ტიტები გაიშლებოდა, მაგრამ მაგრად მეკიდა. ისეთი დღე მინდოდა, აფეთქებების ხმებით რომ იქნებოდა გაჯერებული – ან უმაყურო მანქანების, ან ყუმბარების დამსახურებით; ნესტიან შუადღეს აბრეშუმისშარვლიანი ნატიფი ფიგურების ყურება მინდოდა; ფიონგი მინდოდა, და ჩემი სახლიც, ოცდაათი ათასი მილით რომ გადაადგილებულიყო.

უმალლესი კომისრის რეზიდენციასთან გადავუხვიე, სადაც უცხოური ლეგიონი იდგა გუშაგად თეთრ კეპებსა და მენამულ ეპოლეტებში, კათედრალთან მოედანი გადავჭერი და უკან ნავედი ვიეტნამის უშიშროების პირქუში გალავნის გასწვრივ, შარდისა და უსამართლობის სუნად რომ ყარდა. თუმცა ეს გალავანიც ჩემი სახლის ნაწილი იყო, როგორც ის დერეფნები და სხვენები, ბავშვობაში რომ გეშინია გავლის. სანაპიროს კიოსკებში პორნოჟურნალების „ტაბუს“ და „ილუზიის“ ახალ ნომრებს ყიდდნენ, მეზღვაურები იქვე, ტროტუარზე სვამდნენ ლუდს – ხელნაკეთი ბომბისთვის აქაურობა მშვენიერი სამიზნე იყო. ფიონგზე ვფიქრობდი, რომელიც ახლა, ალბათ, აქედან სამი ქუჩის მოშორებით თევზის გამყიდველს ევაჭრებოდა, სანამ რძიანი სასმელეების ბარში წავიდოდა დილის თერთმეტ საათზე (ყოველთვის ვიცოდი, იმ დღეებში სად იყო ხოლმე), და პაილი მარტივად და ბუნებრივად ამომიფრინდა გონებიდან. მის შესახებ ფიონგთან არც მილაპარაკია, როდესაც კატინას ქუჩაზე, ჩემს ბინაში ვსადილობდით, რა დროსაც მას აბრეშუმის საუკეთესო კაბა ეცვა, ყვავილებით მოჩითული, რადგან იმ დღეს შოლონის „გრან მონდში“ ჩვენი პირველი შეხვედრიდან ზუსტად ორი წელი გასულიყო.

არცერთ ჩვენგანს პაილი არ გვიხსენებია, როდესაც გარდაცვალების მეორე დილას გაგვეღვიძა. ფიონგი მანამდე ადგა, სანამ წესიერად მოეფხიზლდებოდი, და ჩაი მოამზადა. მკვდრებზე აღარ ეჭვიანობენ, ამიტომ იმ დილით მეჩვენებოდა, რომ ძველი ცხოვრების განახლება იოლად შეიძლებოდა.

– ამაღამ დარჩები? – შეძლებისდაგვარად სასხვათაშორისოდ ვკითხე ფიონგს და კრუასანი ჩავკბიჩე.

– ჩემი ნივთები მექნება წამოსაღები.

– იქ, ალბათ, პოლიცია იქნება, – ვუთხარი, – აჯობებს, მე თუ გამოგყვები.

იმ დღეს პაილის საკითხს ამაზე მეტად არ მივახლოებივართ.

პაილს ბინა ახალ ვილაში ჰქონდა ნაქირავეები, დიურანტონზე. ეს ქუჩა ქალაქის ერთ-ერთი მაგისტრალი იყო, რომელსაც ფრანგები უსასრულოდ ანაწევრებდნენ თავიანთი გენერლების პატივსაცემად; ამრიგად დე გოლის ქუჩა მესამე კვეთის შემდეგ ლეკლერკის ქუჩა გახდა, რომელიც, ადრე თუ გვიან, დიდი ალბათობით, უეცრად ლატრის ქუჩა გახდებოდა. როგორც ჩანს, ევროპიდან მნიშვნელოვან სტუმარს ელოდნენ, რადგან პოლიციელები ყველა ოც მეტრში გვხვდებოდნენ უმაღლესი კომისრის რეზიდენციისკენ მიმავალ ქუჩაზე.

პაილის ბინისკენ მიმავალ ლორლიან გზაზე რამდენიმე მოტოციკლი იდგა. ვიეტნამელმა პოლიციელმა პრესბარათი შემომოწმა. ფიონგს სახლში არ შეუშვებდა, ამიტომ ფრანგი ოფიცრის მოსაძებნად წავედი. პაილის სააბაზანოში ვიგომ ხელი პაილის საპნით დაიბანა და პაილის პირსახოცით შეიმშრალა. თხელი პიჯაკის სახელოზე ლაქა ჰქონდა, როგორც ჩანს, პაილის მანქანის ზეთმა დააჩნია.

– რამე სიახლე ხომ არა გაქვთ? – ვკითხე მე.

– მისი მანქანა გარაჟში იდგა. სანვაი არ ესხა. სავარაუდოდ, ველორიქშით წავიდა ან ვისიმე მანქანით. შესაძლებელია ბენზინი ამოიღეს.

– შეიძლება ფეხითაც წავიდა, – სიტყვა ჩავურთე მე, – ხომ იცით, რა ტიპები არიან ამერიკელები.

– თქვენ ხომ მანქანა დაგენვათ? – ჩაფიქრებულმა განაგრძო, – ახალი ხომ არ გიყიდიათ?

– არა.

– მნიშვნელობაც არა აქვს.

– არანაირი.

– რამეს ხომ არ ვარაუდობთ? – მკითხა მან.

– ათას რამეს, – ვუპასუხე.

– გამაცანით.

– არ გამოვრიცხავ, ვიეტმინელებს მოეკლათ. მაგათზე უამრავი კაცის სისხლია საიგონში. მისი ცხედარი ხომ ხიდის ქვეშ ნახეთ, დაკოუში, ჰოდა, როდესაც თქვენი პოლიცია ღამით მანდაურობას ტოვებს, ეგ ტერიტორია ვიეტმინელების ხელში გადადის. ანდა შეიძლება ვიეტნამის უშიშროებამ მოკლა – ასეთი შემთხვევაც ბევრი ვიცი. შესაძლებელია მისი მეგობრები არ მოსდიოდათ თვალში. ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ კაოდაისტებსაც შეეძლოთ მისი მოკვლა, ვინაიდან გენერალ თჰეს იცნობდა.

– იცნობდა?

– ასე ამბობენ. შეიძლება გენერალმა თჰემაც გაისტუმრა იმ ქვეყნად, რადგან კაოდაისტებს იცნობდა. ვერ გამოვრიცხავ, რომ ჰაო-ჰაოს ხალხს გაესვარა მის სისხლში ხელი, რადგან გენერლის ხარჭებში დაძვრებოდა. ისიც დასაშვებია, რომ ვიღაცამ, უბრალოდ, ფულის გამო მოკლა.

– ან ეჭვიანობის გამო, – დაამატა ვარიანტი ვიგომ.

– ან საფრანგეთის უშიშროებამ, – განვაგრძე მე, – რადგან მისი კავშირები არ ეხატებოდათ გულზე. მართლა ეძებთ მის მკვლელებს?

– არა, – მიპასუხა ვიგომ, – უბრალოდ, მოხსენებას ვწერ. სანამ ომი მიდის, ყოველწლიურად ათასობით ადამიანს კლავენ.

– შეგიძლიათ სიიდან ამომიღოთ, – ვუთხარი, – რადგან გარეული არა ვარ. გარეული არა ვარ, – გაუუმეორე.

რაკი ადამიანის ცხოვრება ასეა მოწყობილი, დაე იბრძოდნენ, დაე უყვარდეთ, დაე ერთიმეორე ხოცონ, მე ეგ არ მეხება. ჩემი ამხანაგი ჟურნალისტები თავს კორესპონდენტებს უწოდებენ; მე რეპორტიორის ტიტული მერჩივნა. მე იმას ვწერდი, რასაც ვხედავდი და არავითარ მონაწილეობას არ ვიღებდი. საკუთარი აზრის გამოხატვაც კი მონაწილეობა იყო.

— აქ რას აკეთებთ?

— ფიონგის ნივთების წასაღებად მოვედი. თქვენმა ბიჭებმა არ შემოუშვეს.

— კეთილი. მაშ, წავიდეთ და ერთად ვნახოთ.

— სასიამოვნოა, ვიგო.

პაილს ორი ოთახი ეკავა, სამზარეულო და სააბაზანო. ჩვენ საძინებელში შევედით, ვიცოდი, ფიონგს თავისი კალათი სად ექნებოდა: სანოლის ქვეშ. ერთად გამოვიღეთ; მასში ფიონგის დასურათებული ნიგნები ეწყო. მისი ტანსაცმელი გარდერობიდან გამოვიღე: ორი კარგი კაბა და შარვლები. კაცი იფიქრებდა, რომ ეს ტანსაცმელი აქ სულ რამდენიმე საათის დაკიდებულს ჰგავდა და აქაურობას არ ეკუთვნოდა, თითქოს ოთახში შემთხვევით შემოფრენილი პეპელააო. უჯრაში მისი სამკუთხა საცვლები და შარფების კოლექცია ვნახე. კალათში ძალიან ცოტა რამ იყო ჩასაწყობი — ამაზე მეტი ბარგი უქმეებზე მოსულ სტუმარს ექნებოდა.

მისაღებ ოთახში ფიონგისა და პაილის ფოტოსურათი იდო. ბოტანიკურ ბაღში, დიდი ქვის დრაკონის გვერდით გადაედოთ. ფიონგს პაილის ძალღი — შავენიანი შავი ჩაუ — საბლით ეჭირა. მეტისმეტად შავი ძალღი. ეს სურათიც მის კალათში ჩავდე.

— ძალღს რა მოუვიდა? — ვიკითხე.

— აქ არ არის. ალბათ, თან ჰყავდა წაყვანილი.

— შესაძლებელია დაბრუნდეს და მისი თათებიდან აღებული მინის ნიმუშები გამოიკვლიეთ.

— მე არათუ ლეკოკი, მეგრეც კი არა ვარ, აქ კი ომი მძვინვარებს.

ნიგნის თაროსთან მივედი და ორ რიგად დანყობილ ნიგნებს დავუწყე თვალღებება – პაილის ბიბლიოთეკას. „წითელი ჩინეთის წინსვლა“, „დემოკრატიის საფრთხე“, „დასავლეთის როლი“, – აქ, როგორც მივხვდი, იორკ ჰარდინგის ნაწარმოებების სრული კრებული იყო. იქვე ენყო კონგრესის ანგარიშები, ვიეტნამური სასაუბრო, ფილიპინების ომის ისტორია და შექსპირის ტომი. განსატვირთად რაღას კითხულობდა? მსუბუქ საკითხავს მეორე თაროზე მივაგენი: თომას ვოლფის ჯიბის გამოცემა და მისტერიული ანთოლოგია სახელწოდებით „სიცოცხლის გამარჯვება“, ასევე ამერიკული პოეზიის რჩეული. საჭადრაკო ამოცანების წიგნსაც მოვკარი თვალი. სამუშაო დღის ბოლოს ეს წიგნები დიდი შვება არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ფიონგი ჰყავდა. ანთოლოგიის უკან თხელყდიანი „ქორწინების ფიზიოლოგია“ ჩაეკვებებინა. შესაძლოა სქესობრივ ცხოვრებასაც ისე შეისწავლიდა, როგორც აღმოსავლეთს: წიგნებით. მისთვის ამ ცხოვრების პაროლი სიტყვა „ქორწინება“ იქნება-მეთქი, გავიფიქრე. პაილს მიაჩნდა, რომ ადამიანი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ვინმეთი დაინტერესებული.

სამუშაო მაგიდა სრულიად ცარიელი დამხვდა.

– მაგრად გაგინმენდიათ აქაურობა, – ვუთხარი ვიგოს.

– ოჰ... ამის გაკეთებამ ამერიკული მისიის მაგიერ ჩვენ მოგვინია. ხომ იცით, ჭორები რა მალე ვრცელდება. შეიძლებოდა ვინმეს ბინა გაეძარცვა. მისი საბუთები დავლუქე, – სრული სერიოზულობით ამბობდა, ყოველგვარი ღიმილის გარეშე.

– რამე კომპრომატი ხომ არ გიპოვიათ?

– ჩვენი მოკავშირის წინააღმდეგ კომპრომატების პოვნა არ შეგვიძლია, – თქვა ვიგომ.

– წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ამ წიგნებიდან რომელიმე რომ გავაყოლო ხელს სამახსოვროდ?

– მე შევბრუნდები.

იორკ ჰარდინგის „დასავლეთის როლი“ ავირჩიე და ფიონგის კალათში ჩავდე ტანსაცმელთან ერთად.

– როგორც მეგობარს, – მომმართა ვიგომ, – ნუთუ არაფრის გამხელა არ შეგიძლიათ? მოხსენება მზად მაქვს. სავარაუდოდ, კომუნისტებმა მოკლეს, რაც ამერიკული დახმარების სანინააღმდეგო კამპანიად შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ გულლიად თუ ვილაპარაკებთ... ოჰ, ამ მშრალმა საუბარმა ყელი გამიშრო. აქვე, კუთხეში, ვერმუთი ხომ არ დაგველია?

– ჯერ ადრეა.

– ბოლოს როცა ნახეთ, რამე ხომ არ გაგიმხილათ?

– არა.

– როდის ნახეთ?

– გუშინ დილით. დიდი აფეთქების მერე.

ვიგო ცოტა ხანს დუმდა, პასუხზე ფიქრობდა. პატიოსნად მიჰყავდა დაკითხვა.

– ნუხელ სალამოს შინ არ იყავით, როდესაც შემოგირათ?

– ნუხელ? შინ უნდა ვყოფილიყავი. არ მიფიქრია...

– შესაძლებელია გასასვლელი ვიზა დაგჭირდეთ. ხომ იცით, რომ უსასრულოდ შეგვიძლია ვიზის გაცემის გადადება?

– მართლა გჯერათ, – ვკითხე, – რომ შინ დაბრუნება მინდა?

ვიგომ ფანჯრიდან ახედა კაშკაშა უღრუბლო ზეცას.

– უმეტესობას უნდა, – სევდიანად თქვა.

– აქაურობა მომწონს, შინ კი ათასი პრობლემაა.

– Merde<sup>1</sup>, – თქვა ვიგომ, – ამერიკის ეკონომიკური ატაშე მოსულა, – და სარკასტულად გაიმეორა, – ეკონომიკური ატაშე.

– ჯობია, წავიდე, თორემ ჩემი დალუქვაც მოუნდება.

ვიგომ დაღლილი ხმით მითხრა:

– იღბალს გისურვებთ, ჩემთან კი საშინლად ბევრი ექნება სათქმელი.

ეკონომიკური ატაშე თავის „პაკარდთან“ იდგა, როდესაც გარეთ გამოვედი, და მძლოლისთვის რალაცის ახსნას

<sup>1</sup> (აქ) ჯანდაბა (ფრ.).

ცდილობდა. შუახნის ჩასკვნილი კაცი იყო, უშველებელი უკანალითა და ისეთი სახით, რომ მნახველი იფიქრებდა, საპარსი არ სჭირდებაო. გამომძახა:

– ფაულერ, ამ ოხერ მძლოლს ვერ აუხსნი...  
აგუხსენი. მან მითხრა:

– მაგრამ მეც იგივე ვუთხარი, ეს კი თავს ისე იჭერს, ვითომ ფრანგული არ ესმის.

– შეიძლება აქცენტის გამო ვერ ხვდებოდეს.

– სამი წელი პარიზში გავატარე. აქცენტიც საკმაოდ კარგი მაქვს ამ წყეული ვიეტნამელებისთვის.

– დემოკრატიის ხმა, – შევესიტყვე ატაშეს.

– ეგ რაღაა?

– მგონი, იორკ ჰარდინგის წიგნი უნდა იყოს.

– ვერ გაგიგეთ, – ეჭვიანად შეხედა კალათს, რომელიც ხელში მეჭირა, – მანდ რა გინყვიათ?

– ორი წყვილი აბრეშუმის თეთრი შარვალი, ორი წყვილი აბრეშუმის კაბა, ქალის საცვლები... სამი წყვილია, მგონი. ყველაფერი ადგილობრივია. ამერიკული დახმარებისა არაფერია.

– ზევით იყავით? – მკითხა მან.

– დიახ.

– ახალი ამბავი გაიგეთ?

– ცხადია.

– საშინელებაა, – თქვა მან, – საშინელება.

– დესპანი ძალიან გაბრაზებული იქნება.

– დანა პირს არ უხსნის. უმაღლეს კომისართან ერთად არის და პრეზიდენტთან აუდიენცია მოითხოვა, – მკლავზე ხელი დამადო და მანქანიდან მოშორებით გამიყვანა, – ახალგაზრდა პაილს ხომ იცნობდით? ვერაფრით დამიჯერებია, რომ ასეთი რამ დაემართა. მამამისს ვიცნობდი. პროფესორ ჰაროლდ სი პაილს. გსმენიათ მის შესახებ?

– არა.

– წყალქვეშა ეროზიის მსოფლიო ექსპერტია. გასული თვის „თაიმის“ გარეკანზე მისი ფოტოსთვის ყურადღება არ მიგიქცევიათ?

– უი, მგონი, მახსოვს. უკანა ხედში ნახევრად ჩამოქცეული ქარაფი, წინხედში კი ოქროსჩარჩოიანი სათვალე.

– სწორედაც. ოჯახისთვის გასაგზავნი ტელეგრამა მე დავწერე. საშინელება იყო. ეგ ბიჭი ჩემი ვაჟივით მიყვარდა.

– ასე მამამისს უფრო დაუახლოვდებით.

მან სველი, ყავისფერი თვალებით შემომხედა.

– რა გჭირთ? ასეთი ლაპარაკი სად გაგონილა, როდესაც ახალგაზრდა, მშვენიერ მამაკაცზე...

– ბოდიში, სიკვდილი ადამიანზე სხვადასხვანაირად მოქმედებს, – ეგებ პაილი მართლა უყვარდა, – რა უდებუშეთ? – ვკითხე ატაშეს.

მან სერიოზულად და სიტყვასიტყვით წარმოთქვა:

– „თანაგიგრძნობთ, რამეთუ თქვენი ვაჟი ჯარისკაცის სიკვდილით აღესრულა დემოკრატიის გულისათვის“, ხელი კი დესპანმა მოაწერა.

– ჯარისკაცის სიკვდილით, – გავიმეორე, – ცოტა დამაბნეველი ხომ არ იქნება? ნათესავეებისთვის. ეკონომიკური დახმარების მისია ჯარს არ ჰგავს. მენამულ გულის ორდენს იღებთ?

ხმადაბლა, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად თქვა:

– განსაკუთრებულ მოვალეობებს ასრულებდა.

– ჰო, მაგას ყველანი ვხვდებოდით.

– რამე ხომ არ უთქვამს?

– უი, არა, – ვუპასუხე და ვიგოს სიტყვები გამახსენდა, „ძალიან ჩუმჩუმა ამერიკელი იყო“.

– რამე ეჭვი ხომ არა გაქვთ, – მკითხა მან, – რატომ უნდა მოეკლათ? ან ვის?

უეცრად გავბრაზდი; როგორ ამომივიდა ეს ხროვა ყელში თავიანთი „კოკა-კოლის“ მარაგებით, პორტატიული ჰოსპიტლებით, ჯიპებითა და არცთუ თანამედროვე ქვემეხებით. ვუთხარი:

– დიახ, იმიტომ მოკლეს, რომ მეტისმეტად გულუბრყვილო გახლდათ სასიცოცხლოდ. ახალგაზრდა, უმეცარი და სულელი იყო, ამიტომაც ჩრიდა სხვის საქმეში ცხვირს. მასაც ისევე არ ჰქონია წარმოდგენა აქაურობაზე, როგორც

თქვენ, მაგრამ თქვენ პაილს ფულს აძლევდით და აღმოსავლეთთან დაკავშირებული იორკ ჰარდინგის წიგნებით ამარაგებდით, მერე კი ეუბნებოდით, წინ! დაიპყარი აღმოსავლეთი დემოკრატიისთვისო. რასაც ლექციებზე ისმენდა, ის თვალითაც არ ენახა – ადმინისტრაციამ, მწერლებმა და ლექციებმა კი გაასულელა. როდესაც ცხედარს ხედავდა, ჭრილობებსაც კი ვერ ამჩნევდა, და იმეორებდა: „წითელი საფრთხე“, „დემოკრატიის ჯარისკაცი“.

– მისი მეგობარი მეგონეთ, – საყვედურით მითხრა.

– ვიყავი კიდევ. გამიხარდებოდა, რომ მენახა გაზეთის საკვირაო დამატებებს როგორ კითხულობდა და ბეისბოლს გულშემატკივრობდა. ძალიან გამიხარდებოდა, სტანდარტულ ამერიკელ, წიგნის კლუბში განწევრებულ გოგონასთან ერთად თუ ვიხილავდი.

უხერხულად ჩაახველა, რომ ყელი ჩაენმინდა.

– ცხადია, – თქვა მან, – სულ დამავინწყდა. სავსებით გეთანხმებით, ფაულერ. ძალიან ცუდად იქცეოდა. რა დასამალია და, ამ გოგონაზე დიდხანს ვესაუბრე. იცით, მქონდა პატივი, რომ პროფესორი და მისის პაილი მცნობოდა...

ვუთხარი:

– ვიგო გიცდით, – და გზა განვაგრძე. პირველად შენიშნა ფიონგი და როდესაც უკან გავიხედე, მტანჯველი შეცბუნებით გვიყურებდა – ოდინდელი უფროსი ძმა, რომელსაც უმცროსისა არაფერი ესმის.

## თავი III

### 1

პაილი ფიონგს პირველად იმავე „კონტინენტალში“ შეხვდა თავისი ჩამოსვლიდან, ალბათ, ორი თვის შემდეგ. მოსალამოებული იყო, აგრილებული, როდესაც მზე უკვე ჩასულიყო და უკანა ქუჩებში ლამპიონები აენთოთ. მაგიდებზე, სადაც ფრანგები „ოთხმოცდაერთს“ თამაშობდნენ, კამათ-

ლები გორავდა, კატინას ქუჩაზე კი თეთრ შარვლებში გამონყობილი გოგოები ველოსიპედებით ბრუნდებოდნენ შინ. ფიონგი ფორთოხლის წვენს სვამდა, მე კი — ლუდს, გატრუნულები ვისხედით, ერთად ყოფნით კმაყოფილნი. მერე პაილი გაუბედავად მოუახლოვდა ჩვენს მაგიდას და მეც ისინი ერთმანეთს გავაცანი. ჩვევად ჰქონდა, გოგოს თვალებში მიშტერებოდა, თითქოს მანამდე ქალი არ ენახა, მერე კი უხერხულობის გამო განითლებულიყო.

— მაინტერესებდა, თქვენ და თქვენი ქალბატონი ჩემს მაგიდასთან ხომ არ გადმოსხდებით, — მკითხა პაილმა, — ჩვენი ერთ-ერთი ატაშე...

ეკონომიკურ ატაშეზე ამბობდა. ეს უკანასკნელი ტერასიდან ღიმილით დაგვნათოდა, თავდაჯერებულთა ისეთ ტიპაჟს ეკუთვნოდა, რომელსაც მეგობრები იმიტომ არ ერიდებიან, რომ შესაფერის დეოდორანტს იყენებს. არაერთხელ მომიკრავს ყური, ჯოს რომ ეძახდნენ, მაგრამ მისი გვარი კი არ ვიცოდი. ხმაურით იცოდა სკამის გამონევა და მიმტანის მოხმობა, თუმცა „კონტინენტალში“ მხოლოდ და მხოლოდ ლუდის, კონიაკისა და ვერმუთ-კასის შეთავაზება შეეძლოთ.

— აქ არ გელოდით, ფაულერ, — მითხრა მან, — ჰანოიდან ბიჭების დაბრუნებას ველოდებით. როგორც ჩანს, სერიოზული ბრძოლა გამართულა. მათთან ერთად არ იყავით?

— პრესკონფერენციაზე დასასწრებად ოთხსაათიანი ფრენა მდლის, — ვუპასუხე.

უკმაყოფილოდ შემომხედა.

— ბიჭები თავს არ ზოგავენ. არადა, ორჯერ მეტის შოვნა შეეძლოთ ყოველგვარი რისკის გარეშე, რამე საქმისთვის რომ მოეკიდათ ხელი ან რადიოსთვის ეწერათ.

— სამაგიეროდ, მუშაობა მოუწევდათ, — მოურიდებლად ვუთხარი.

— საბრძოლო ცხენებივით არიან, ბრძოლას სუნით გრძნობენ, — აღტაცებულმა განაგრძო და რისი მოსმენაც არ სურდა, აინუნშიც არ ჩააგდო, — ბილ გრეინჯერს ადგილზე რა დააკავენ, როცა სადმე ბრძოლაა.

– ამაში კი მართალი ხართ. ამასწინათ ვნახე, როგორ ჩხუბობდა ბარ „სპორტინგში“.

– მშვენივრად ხვდებით, რომ ეგ არ მიგულისხმია.

ორმა ველორიქშამ პედლების გაცხარებული ტრიალით ჩამოიქროლა კატინას ქურა და „კონტინენტალთან“ მოხდენილად გაჩერდა. პირველში გრეინჯერი იჯდა. მეორეში პატარა, რუხი, უხმო გროვა იდო, რომლის გადმოტანასაც გრეინჯერი შეუდგა.

– ჰე, გადმოდი, მიკ, – უთხრა მან, – გადმო, – მერე მძლოლს საფასურზე დაუნყო კამათი, – აი, – უთხრა მას, – აილე ან მოუსვი აქედან, – და ქურაში იმაზე ხუთჯერ მეტი დაყარა, ვიდრე ევალეობდა.

ეკონომიკურმა ატაშემ ნერვიულად თქვა:

– მგონი, ამ ბიჭებმა ცოტაოდენი დასვენება დაიმსახურეს.

გრეინჯერმა თავისი ტვირთი სკამზე დადო. მერე ფიონგი შენიშნა.

– უყურე შენ! – თქვა მან, – ჯო, შე ბებერო, სად დაითრიე? რა ვიცოდი, ასეთი რამეების თავი თუ გქონდა კიდეც. ბოდიში, საპირფარეშოში გავალ. მიკს მიმიხედეთ.

– უხეში სამხედრო მანერები, – ვთქვი მე.

პაილმა კი სერიოზულად თქვა და ისევ განითლდა:

– ეს რომ მცოდნოდა, ორივეს არ გადმოგიპატიჟებდით.

რუხი გროვა სკამზე შეირხა და თავი მაგიდაზე დაუვარდა, თითქოს დამაგრებული ჰქონდა. მან ამოიოხრა და ხანგრძლივი სტვენა ამოუშვა, უსასრულო მოწყენით სავსე, და ისევ გაჩუმდა.

– იცნობთ? – ვკითხე პაილს.

– არა. პრესაში მუშაობს?

– მგონი, ბილმა მიკით მიმართა, – თქვა ეკონომიკურმა ატაშემ.

– „იუნაითედ პრესს“ ხომ ახალი კორესპონდენტი ჰყავს?

– ის არ არის. იმას ვიცნობ. თქვენი ეკონომიკური მისიიდან ხომ არ არის? პრინციპში, ყველა მუშაკი ვერც გეცნობათ, ასობით ადამიანი მუშაობს თქვენთან.

– არა მგონია, ჩვენთან იყოს, – თქვა ეკონომიკურმა ატაშემ, – ვერ ვიხსენებ.

– პირადობის მოწმობა შევუმონმოთ, – წინადადება შემოიტანა პაილმა.

– ღვთის გულისათვის, ნუ გააღვიძებთ. ერთი მთვრალიც გვეყოფა. ასეა თუ ისე, გრეინჯერი იცნობს.

მაგრამ არც მას სცნობია. საპირფარეშოდან მოღუშული დაბრუნდა.

– ეს ქალბატონი ვინ არის? – პირქუშად იკითხა.

– მის ფიონგი ფაულერის მეგობარია, – ცივად მიუგო პაილმა, – გვინდა ვიცოდეთ...

– სად იპოვა? ამ ქალაქში სიფრთხილე არ განყენთ, – დაღვრემილად დაამატა, – მადლობა ღმერთს პენიცილინისთვის.

– ბილ, – მიმართა ეკონომიკურმა ატაშემ, – ჩვენ ის გვაინტერესებს, ეს მიკი ვინ არის.

– გაჩხრიკეთ.

– განა აქ თქვენ არ მოიყვანეთ?

– ბაყაყები ვისკის ვერ ქაჩავენ. გაითიშა.

– ფრანგია? მგონი, მიკს ეძახდით.

– რამე ხომ უნდა დამეძახა, – თქვა გრეინჯერმა. მერე ფიონგისკენ გადაიხარა და უთხრა, – აქეთ მოიხედე. ფორთოხლის წვენს კიდევ დალევ? ამ საღამოს რას აკეთებ, დაკავებული ხარ?

მე ვუთხარი:

– ყოველდამე დაკავებულია.

ეკონომიკური ატაშე უცებ ჩაერთო:

– ომი როგორ მიდის, ბილ?

– ჰანოის ჩრდილო-დასავლეთით დიდი გამარჯვება. ფრანგებმა ორი სოფელი ისევ დაიკავეს, თუმცა კი არ უთქვამთ, დავკარგეთო. ვიეტმინელებს დიდი დანაკარგი აქვთ, ფრანგებმა კი თავიანთი დანაკარგის ზუსტი ოდენობა არ იციან, ორიოდ კვირაში შეგვატყობინებენ.

ეკონომიკურმა ატაშემ უთხრა:

– ხმები დადის, ვიეტმინელები ფატ-დიემში შეიჭრნენ, საყდარი დანვეს და ეპისკოპოსი გააგდესო.

– მაგას ჰანოიში არავინ გვეტყოდა. ეგ გამარჯვება არ არის.

– ჩვენი სანიტრების ერთ-ერთმა შენაერთმა ნამ-დინს იქით ვერ გააღწია, – ჩაერთო პაილი.

– ამსიშირეზე იყავით, ბილ? – ჰკითხა ეკონომიკურმა ატაშემ.

– ვინ გგონივართ? მე საშვიანი კორესპონდენტი ვარ, ეს საშვი კი გარკვეულ საზღვარს იქით არ მიშვებს. ჰანოის აეროდრომზე მივფრინავ. პრესბანაკამდე მანქანას მივყავართ. ფრანგები ორ დაბაზე გადაფრენას უზრუნველყოფენ და გვიჩვენებენ, რომ აქ სამფერა დროშები ფრიალებს. მერე პრესკონფერენცია გვაქვს და კოლონელი გვიხსნის, რაც დავინახეთ, რადგან ამ სიმაღლიდან იმის გარჩევა ჭირს, ვისი ალაში ფრიალებს. მერე ცენზურაში ვგზავნით ტელეგრამებს. მერე ვსვამთ. იქ საუკეთესო ბარმენია მთელ ინდოჩინეთში. მერე უკან მოვფრინავთ.

პაილი წარბშეკრული დააჩერდა თავის ლუდს.

– თავმდაბლობთ, ბილ, – უთხრა ეკონომიკურმა ატაშემ, – გახსოვთ თქვენი მოხსენება გზატკეცილ ნნ-ზე? თუ როგორ ეძახდით? „ჯოჯოხეთის გზა“. ასეთ მასალაში ალალი იყო პულიცერის პრემია. ის ამბავი თუ გახსოვთ თავმონყვეტილ კაცზე, თხრილში მუხლებზე რომ იდგა? ან იმ მეორეზე, მთვარეულივით რომ დადიოდა...

– გგონიათ, მართლა სადმე ახლოს ვიყავი მაგათ აქოთებულ გზატკეცილთან? სტივენ ქრეინს ომის აღწერა შეეძლო ომის უნახავად. მე რატომ არ უნდა მომესინჯა კალამი? თან, ეს ომი მაინც კოლონიურია... მოდი, რამე დამალევი-ნეთ, მერე კი ქალი უნდა დავითრიო. თქვენ რა გიჭირთ, ერთი უკვე აგიგდიათ. ჰოდა, მეც მინდა.

პაილს ვკითხე:

– როგორ ფიქრობთ, ფატ-დიემზე გავრცელებულ ჭორებში სიმართლის მარცვალა ურევია?

– არ ვიცი. მნიშვნელოვანია? წავიდოდი და ჩემი თვალით ვნახავდი, თუ ღირს, – მიპასუხა მან.

– მნიშვნელოვანია ეკონომიკური მისიისთვის?

– როგორ გითხრათ, – დაინჟო მან, – საზღვრის მკვეთრად გავლება ძნელია. მედიცინაც ხომ იარაღის ნაწილია, არა? ეს კათოლიკეები კომუნისტებს მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ, ხომ?

– ისინი კომუნისტებს ევაჭრებიან. ეპისკოპოსი თავის ძროხებსა და ბამბუკს კომუნისტებისგან იღებს ნაგებობებისთვის. ვერ ვიტყვოდი, რომ ეს ის მესამე ძალაა, იორკ ჰარდინგი რომ ლაპარაკობს, – გავაჯავრე პაილი.

– გეყოთ! – გრეინჯერი უკვე ყვიროდა, – მთელ ღამეს აქ ხომ არ ვიყურყუტებ. „ხუთასი გოგონას სახლში“ მივდივარ.

– თუკი თქვენ და მის ფიონგზ ჩემთან ივახშმებთ... – გვითხრა პაილი.

– „შალეში“ შეგიძლიათ ჭამა, – გრეინჯერმა გაანწყვეტინა, – სანამ მე მეზობლად გოგოებთან გავერთობი. წამოდი, ჯო, შენ ხომ მაინც კაცი ხარ.

მგონი, სწორედ იმ დროს, როდესაც ვფიქრობდი, კაცი რა არის-მეთქი, პაილის მიმართ თბილი გრძნობა დამეუფლა. ის გრეინჯერისგან შებრუნებული იჯდა ლუდის კათხით ხელში, გამომეტყველებაზე კი ემჩნეოდა, რომ მის ნათქვამებს არაფრად აგდებდა. ფიონგს უთხრა:

– მგონი, ყელში ამოგივიდათ ჩვენი საუბარი... ანუ საუბარი თქვენს სამშობლოზე.

– Comment?

– მიკს რას უპირებთ? – ჰკითხა გრეინჯერს ატაშემ.

– აქ დატოვებას, – მიუგო გრეინჯერმა.

– ამას ვერ იზამთ. მისი სახელიც კი არ იცით.

– შეგიძლია თან წავიყვანოთ და გოგოები მიხედავენ.

ეკონომიკურმა ატაშემ გულიანად გაიცინა. სახე ისეთი გადღაბნილი ჰქონდა, როგორც ტელეეკრანზე ემართება ხოლმე ზოგჯერ გამოსახულებას. მან უთხრა:

– ახალგაზრდებს რაც მოგეპრიანებათ, იმის გაკეთება შეგიძლიათ, მე კი სამაგისოდ უკვე დავბერდი. შინ წავიყვან, ჩემთან. ფრანგიაო, ამბობთ, ხომ?

– ფრანგულად ლაპარაკობდა.

– მანქანაში თუ ჩამასმევენბთ...

როდესაც ის წავიდა, პაილი გრეინჯერთან ერთად ჩაჯდა ველორიქაში, მე და ფიონგი კი მათ გაყვევით შოლონისკენ. გრეინჯერმა ფიონგთან ერთად ჩაჯდომა სცადა, მაგრამ პაილმა ზრახვა შეაცვლევინა. როდესაც ჩინური უბნისკენ გრძელ საგარეუბნო გზას მიუყვებოდით, ბნელ ცაზე აკი-აფებული ვარსკვლავების ქვეშ, ფრანგული ჯავშნოსნების მწკრივმა ჩაგვიარა წინ გაშვერილი ქვემეხის ლულითა და ქანდაკებასავით გაშეშებული ოფიცრით; ალბათ, ბინ-ქსიუ-ენის დაქირავებულ ჯარში შეიქმნა ისევ პრობლემები, რომელიც „გრან მონდსა“ და შოლონის სამორინეებს ფლობდა. ესეც ხომ დაუმორჩილებელი ბარონების მხარეს წარმოადგენდა და შუა საუკუნეების ევროპას ჰგავდა, მაგრამ ამერიკელები რაღას აკეთებდნენ აქ? კოლუმბს მათი ქვეყანა ჯერ აღმოჩენილიც არ ჰქონდა. ფიონგს ვუთხარი:

– მომწონს ეგ პაილი, კაი ბიჭი ჩანს.

– ჩუმჩუმაა, – თქვა მან და ეს ზედსართავი, რომელიც მან პირველმა მიუსადაგა, სკოლაში შერქმეული მეტსახელივით დააკვდა პაილს. ვიგომაც კი, მწვანე კეპიანი ქუდი რომ ეხურა და პაილის სიკვდილის გარემოებებზე მელაპარაკებოდა, გამოიყენა ეს ეპითეტი.

ჩვენი ველორიქა „შალესთან“ გავაჩერებინე და ფიონგს ვუთხარი:

– შედი და მაგიდა მონახე. პაილს მე მივხედავ.

ინსტინქტურად მისი დაცვა მომინდა. აზრადაც არასდროს მომსვლია, რომ თავის დაცვა უფრო მესაჭიროებოდა. მიამიტობა ჩვენგან დაცვას უსიტყვოდ მოითხოვს ხოლმე, როდესაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, თუ მისგან დავიცავთ თავს: მიამიტობა მუნჯი კეთროვანივით არის, რომელსაც ზარი დაუკარგავს და ქვეყანაზე ისე დაეხეტება, თითქოს ზიანი არავისთვის მოჰქონდეს. როდესაც „ხუთასი

გოგონას სახლს“ მივალნიე, პაილი და გრეინჯერი უკვე შიგ-  
ნით იყვნენ. შესასვლელთან მოდარაჯე სამხედრო პოლიცი-  
ას ვკითხე,

– Deux Americains<sup>1</sup>?

უცხოური ლეგიონის კაპრალი ახალგაზრდა იყო. რე-  
ვოლუერის წმენდას თავი მიანება და შესასვლელი კარისკენ  
გაიშვირა ცერი, თან, გერმანულად გაიხუმრა, მე კი ვერ გა-  
ვიგე.

უზარმაზარ ეზოში დასვენების საათი იყო. ასობით გო-  
გონა ბალახზე ჩამუხლული იჯდა ან იწვა და კომპანიონებს  
ეჭუქუჭუქებოდა. ეზოს გარშემო კაბინებში ფარდები გადა-  
ენიათ; ერთ-ერთში დაღლილი გოგონა იწვა სანოლზე და  
ფეხები გადაეჯვარედინებინა. შოლონში არეულობა იყო,  
ჯარისკაცები ყაზარმებში გამოკეტეს, ამიტომ საქმეც არა-  
ფერი ჰქონდათ: *სხეულის კვირა დღე*. მხოლოდ მოჩხუბა-  
რი გოგონების წიოკმა მიმანიშნა, რომ დარგი ჯერ კიდევ  
ცოცხალი იყო, ისინი ერთმანეთს უმოწყალოდ კანრავდნენ.  
ერთი ძველი საიგონური ამბავი გამახსენდა ერთ მაღალი  
თანამდებობის ვიზიტორზე, რომელსაც შარვალი დაეკარ-  
გა სამხედროების ტერიტორიიდან გაღწევისას. აქ სამოქა-  
ლაქოებს არავინ იცავდა. თუკი ვინმე სამხედროების ტერი-  
ტორიაზე გადაწყვეტდა ნადირობას, თავიც თვითონ უნდა  
დაეცვა და გასვლაც დამოუკიდებლად მოეხერხებინა.

მე „დაყავი და იბატონეს“ ტექნიკა მქონდა შესწავლილი.  
გოგონებიდან ერთ-ერთი შევარჩიე და ნელა იქით ვუბიძგე,  
სადაც პაილი და გრეინჯერი გამაგრებულნიყვნენ.

– Je suis un vieux, – ვუთხარი მას, – Trop fatigué, – გოგო-  
ნა ახითხითდა და მომეკრა, – Mon ami, – ვუთხარი, – il est  
tres riche, tres vigoureux<sup>2</sup>.

– შე ბინძურო, – მითხრა მან.

გრეინჯერი შევნიშნე, სახე გასწითლებოდა და გამარჯვე-  
ბულის იერი ჰქონდა; ალბათ, ეგონა, გოგონები ასე მისი მა-

<sup>1</sup> ორი ამერიკელი? (ფრ.).

<sup>2</sup> მოხუცი ვარ, თან, ძალიან დაღლილი, ჩემი მეგობარი კი მდიდარი  
და ძალიან ენერგიულია (ფრ.).

მაკაცურობის გამო იქცეოდნენ. ერთ გოგონას პაილისთვის გაეყარა ხელკავი და წრიდან მის გაყვანას ლამობდა. მე ჩემს გოგონას ვუბიძგე სხვა გოგონებისკენ და მას გავძახე:

– პაილ, აქეთ!

მან გოგონებს თავზემოდან გამომხედა და მითხრა,

– საშინელებაა. საშინელება.

შეიძლება ლამპიონის განათება მატყუებდა, მაგრამ სახე დადაბუნებული ჰქონდა. ისიც კი ვიფიქრე, ალბათ, ქალთან ნამყოფი არ არის-მეთქი.

– აქეთ მოდი, პაილ, – ვუთხარი, – ეგენი გრეინჯერს და-უტოვეთ, – დავინახე, რომ ხელი შარვლის ჯიბისკენ წაიღო. აშკარად პიასტრებისა და დოლარებისგან დაცლა უნდოდა, – ნუ ისულელებთ, პაილ, – მკვახედ გავძახე, – ასე ერთმანეთში აჩხუბებთ, – ჩემი გოგონა ისევე ჩემკენ მობრუნდა, მე კი ისევე გოგონების ბრბოში შევაგდე, რომელსაც გრეინჯერი მოექცია შიდა წრეში, – Non, non, – ვუთხარი, – je suis un Anglais, pauvre, tres pauvre<sup>1</sup>.

მერე პაილს სახელოზე ვტაცე ხელი და გამოვართიე გოგონასთან ერთად, რომელიც მეორე მკლავზე ისე ჩამოჰკიდებოდა, როგორც თევზი ნემსკავს. ორი-სამი გოგონა ცდილობდა ხელში მანამდე ჩავეგდეთ, სანამ გასასვლელთან მივიდოდით, სადაც კაპრალი იდგა დარაჯად, მაგრამ არც ძალიან გამოუდვიათ თავი.

– ამას რა ვუყო? – მკითხა პაილმა.

– ეგ პრობლემას არ შეგიქმნით, – ვუთხარი და სწორედ იმ მომენტში გოგონამ პაილს ხელი გაუშვა და გაიქცა ბრბოსკენ, რომელსაც გრეინჯერის გარშემო დაენყო შეხლა-შემოხლა.

– გრეინჯერს ხომ არაფერი დაუშავდება? – შეშფოთებით იკითხა პაილმა.

– ის მიიღო, რაც უნდოდა: დაითრია.

მშვიდი ღამე იყო, მხოლოდ ჯავშნოსნების ერთმა შენაერთმა ჩაიარა, თითქოს ამ ადამიანებს მართლა რაღაც მიზანი ამოძრავებდათ.

<sup>1</sup> არა, არა, მე ღარიბი ინგლისელი ვარ, ძალიან ღარიბი (ფრ.).

– საშინელებაა, – თქვა პაილმა, – ვერ დავიჯერებდი...  
– ხმაში სევდიანი მოწინება შეერია, – ისეთი ლამაზები იყვნენ. გრეინჯერის არ შურდა, უბრალოდ, იმას ჩიოდა, რომ სიკეთე – სილამაზე და სინატიფეც ხომ ერთგვარი სიკეთეა – ტალახში ამოისვრებოდა და დამცირდებოდა. პაილი ტკივილს ხედავდა, როდესაც ის მის თვალწინ იყო (ამას დამცინავად როდი ვწერ; ამქვეყნად უამრავი ადამიანია, რომელიც სხვის ტკივილს ვერ ამჩნევს.).

ვუთხარი:

– „შალეში“ დავბრუნდეთ, ფიონგი გვიცდის.

– ბოდიში, – მითხრა მან, – სულ გადამავინწყდა. არ უნდა მიგეტოვებინათ.

– საფრთხეში კი არ იყო.

– უბრალოდ, გრეინჯერის დახმარება მინდოდა, – ისევ ფიქრებში წავიდა, მაგრამ როდესაც „შალეში“ შევედით, გაუგებარი გულისტკივილით თქვა, – დამავინწყდა, რომ უამრავი მამაკაცია, ვინც...

## 2

ფიონგს მაგიდა საცეკვაო მოედნის ნაპირთან დაეკავებინა ჩვენთვის; ორკესტრი იმ მელოდიას უკრავდა, რომელიც პარიზში ხუთი წლის წინ იყო მოდური. ცეკვავდა ორი ვიეტნამელი წყვილი, ტანმორჩილი, ნატიფი, განკერძოებული, თან, ისეთი ცივილიზაციის იერი დაჰკრავდათ, ჩვენ რომ ვერ გავუტოლდებოდით (ერთი წყვილი ვიცანი: ინდოჩინეთის ბანკის ბულალტერი და მისი ცოლი), იგრძნობოდა, რომ დაუდევრად არასდროს იცვამდნენ, არასდროს ენაბილწობდნენ და არც ბინძურ ვნებათა ტყვეობაში იყვნენ. თუკი ომი აქ შუა საუკუნეებს ჰგავდა, ისინი მეთვრამეტე საუკუნის ფიგურებს ჰგავდნენ. კაცი იფიქრებდა, რომ ბატონი ფამ-ვან ტუ თავისუფალ დროს კლასიკურ ლექსებს თხზავდა, მაგრამ შემთხვევით შევიტყვე, რომ უორდსუორთის თაყვანისმცემელი იყო და ბუნებაზე წერდა მოთხრობებს. შვებულებას დალატში ატარებდა, რადგან ინგლისურ ტბებზე მოხვედრა არ შეეძლო, მაგრამ ყველაზე მეტად იქ

შეიგრძნობდა მათ ატმოსფეროს. როდესაც წინ ჩაგვიარა, ოდნავ დაგვიკრა თავი. გავიფიქრე, ნეტავ ახლა ორმოცდაათ მეტრში მყოფი გრეინჯერი რა დღეშია-მეთქი. პაილმა დამტკრეული ფრანგულით მოუბოდიშა ფიონგს, რომ ვალოდინეთ.

– C'est impardonnable<sup>1</sup>, – უთხრა მან.

– სად იყავით? – ჰკითხა ფიონგმა.

– გრეინჯერი სახლში გავაცილე, – მიუგო მან.

– სახლში? – ვთქვი და გავიციინე, პაილმა კიდეც ისე შემომხედა, თითქოს მეც მორიგი გრეინჯერი ვიყავი. ანაზღადად საკუთარი თავი მისი თვალით დავინახე: შუახნის მამაკაცი, ჩასისხლიანებული თვალებით, წონაშეპარული, სიყვარულში უნიათო, გრეინჯერზე ნაკლებხმაურიანი, მაგრამ უფრო ცინიკური, მე კი ფიონგს შევხედე ისე, როგორც პირველი დანახვისას, ცეკვით რომ ჩაუარა ჩემს მაგიდას „გრან მონდში“, თეთრი სამეჯლისო კაბა ეცვა, თვრამეტიც იყო, უფროსი და უწევდა მეთვალყურეობას და გადანყვებილი ჰქონდა, რომ ევროპელისთვის მიეთხოვებინა. ვილაც ამერიკელს ტალონი ჰქონდა შეძენილი, რომ მასთან ეცეკვა; მამაკაცი ნასვამი იყო, მთვრალი არა, და, მგონი, ამ ქვეყანაში ახალი ჩამოსული უნდა ყოფილიყო, რაკი „გრან მონდში“ ყველა ქალი მეძავი ეგონა. როდესაც იატაკზე დასრიალებდნენ, ფიონგს ლამის ენებებოდა, მაგრამ უეცრად ფიონგი დასთან დაბრუნდა, ის კაცი კი მარტო დარჩა, დაბნეული და მოცეკვავე წყვილებს შორის დაკარგული; ვერ ხვდებოდა, რა მოხდა ან რატომ. გოგონა კი, ვისი სახელიც არ ვიცოდი, მშვიდად იჯდა იქვე და დროდადრო ფორთოხლის წვენს სვამდა თავდაჯერებული სახით.

– Peut-on avoir l'honneur<sup>2</sup>? – იკითხა პაილმა საშინელი აქცენტით და ერთი წამის შემდეგ ისინი სიჩუმეში ცეკვავენდნენ დარბაზის სხვა მხარეს, თან, პაილს იმდენად შორს ეჭირა თავი, თითქოს ნებისმიერ წამს განყვეტდა მასთან კავშირს. პაილი ძალიან ცუდად ცეკვადა, ფიონგს

<sup>1</sup> ეს მიუტყევებელია (ფრ.).

<sup>2</sup> შემიძლია პატივი მქონდეს? (ფრ.).

კი ცეკვაში ბადალი არ ჰყავდა იმ პერიოდის მთელ „გრან მონდში“.

ხანგრძლივი და უიმედო არშიყობა გამოგვივიდა. მე ხელი რომ მეთხოვა და საქორწინო ხელშეკრულებაც შემეთავაზებინა, ყველაფერი გაადვილდებოდა, უფროსი და შეუმჩნეველად გაუჩინარდებოდა და ტაქტიანად დაგვაცდიდა ერთად ყოფნას, როცა მოგვინდებოდა, მაგრამ სამი თვე გავიდა, სანამ „მაჟესტიკის“ აივანზე დავიმართოხვლებდი, თუმცა მისი და შიგნიდან გვეკითხებოდა, დარბაზში როდის შემოხვალთო. საფრანგეთიდან ჩამოსული სატვირთო გემიდან მდინარე საიგონზე ტვირთი გადმოჰქონდათ ჩირაღდნების შუქზე, ველორიქუმების ზარები ტელეფონივით რეკავდა, მე კი თავს გამოუცდელ და ახალგაზრდა სულელად ვგრძნობდი, რომელსაც სათქმელისთვის თავი ვერ მოუყრია. იმ ღამით კატინას ქუჩაზე რომ დავბრუნდი და დაეწევი, ვერც ვიოცნებებდი, რომ ოთხი თვის შემდეგ ფიონგი გვერდით მენვებოდა, გულამოვარდნილი იცინებდა გაციებისგან, რადგან ყველაფერი სხვაგვარად მოხდა, ვიდრე ელოდა.

– მესიე ფულერ.

ვუყურებდი, როგორ ცეკვავდნენ და ვერ დავინახე, მისი და თუ მეზობელი მაგიდიდან მეძახდა. ახლა ჩემს მაგიდასთან მოვიდა და მეც უხალისოდ შევთავაზე დაჯდომა. ერთმანეთი თვალში იმ ღამიდან არ მოგვდიოდა, როდესაც სასტუმრო „გრან მონდში“ თავი შეუძლოდ იგრძნო და მე ის და ფიონგი სახლში მივაცილეთ.

– მთელი წელია არ მინახავხართ, – მითხრა მან.

– ჰანოიში მიწვეს ხშირად სიარული.

– ვინ არის თქვენი მეგობარი? – დაინტერესდა ის.

– მამაკაცი, სახელად პაილი.

– რას საქმიანობს?

– ამერიკის ეკონომიკური დახმარების მისიაშია. იცით, ელექტრონული საკერავი მანქანები ჩამოაქვს შიმშილის პირას მისული მკერავებისთვის.

– ასეთი რამეც არსებობს?

– არ ვიცი.

– მაგრამ საკერავ მანქანებს არ იყენებენ, თანაც, სადაც ისინი ცხოვრობენ, იქ დენი არ არის, – ყველაფერი ყოველთვის სიტყვასიტყვით ესმოდა.

– პაილს უნდა ჰკითხოთ, – ვუთხარი მე.

– ცოლიანია?

მე საცეკვაო მოედანს გავხედე, სადაც ისინი ცეკვავდნენ.

– მგონი, ქალთან ამაზე ახლოს არასდროს ყოფილა, როგორც ახლაა.

– ძალიან ცუდად ცეკვავს, – შენიშნა მან.

– ნამდვილად.

– მაგრამ სასიამოვნო და სანდო კაცი ჩანს.

– დიახ.

– შეიძლება თქვენთან ერთად მცირე ხანს ვიჯდე? ჩემი მეგობრები ძალიან მოსაწყენი ხალხია.

მუსიკა გაჩერდა და პაილმა ხისტად დაუკრა თავი ფიონგს, მერე უკან მოიყვანა და მაგიდასთან სკამი გამოუწია. ეს ფორმალობა ქალს მოეწონა. გავიფიქრე, როგორ აკლდა ასეთი შესტები ჩვენს ურთიერთობას.

– ეს ფიონგის დაა, – წარვეუდგინე პაილს, – მის ჰეი.

– ძალიან მიხარია თქვენი გაცნობა, – უთხრა პაილმა და ლოყები შეეფაკლა.

– ნიუიორკელი ხართ? – ჰკითხა ჰეიმ.

– არა, ბოსტონელი.

– ეგეც შტატებშია?

– ოჰ, დიახ. ცხადია.

– მამათქვენი საქმოსანია?

– არა, პროფესორია.

– მასწავლებელი? – ჰკითხა ჰეიმ და ხმაში ოდნავ იმედგაცრუება დაეტყო.

– იცით, ცნობილი სპეციალისტია და რჩევებისთვის მიმართავენ ხოლმე.

– ჯანმრთელობის შესახებ? მედიცინის დოქტორია?

– მედიცინის არა, დოქტორის ხარისხი საინჟინრო საქმეში აქვს. წყალქვეშა ეროზიისა ყველაფერი ესმის. იცით, ეგრას ნიშნავს?

– არა.

პაილმა იუმორის გარევა სცადა:

– მაშინ მამიკოს მოუწევს თქვენთვის ამის ახსნა.

– აქ არის?

– უი, არა.

– მაგრამ ჩამოდის?

– არა, უბრალოდ, გავიხუმრე, – მობოდიშებასავით გამოუვიდა პაილს.

– სხვა დაც გყავთ? – ვკითხე მის ჰეის.

– არა. რატომ მკითხეთ?

– ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ამონმებთ, რამდენად გამოდგება მისტერ პაილი სასიძოდ.

– მხოლოდ ერთი და მყავს, – თქვა მის ჰეიმ და ფიონგს მუხლზე მძიმედ დაადო ხელი, თითქოს თავმჯდომარე იყო და ხელის დაკვრით გასცემდა ბრძანებას.

– ძალიან ლამაზი და გყავთ, – უთხრა ჰეის პაილმა.

– საიგონში ყველაზე ლამაზი გოგონაა, – ისე მიუგო მის ჰეიმ, თითქოს ნათქვამს უსწორებსო.

– მჯერა.

მე ვთქვი:

– სადილის შეკვეთის დროა, საიგონის ულამაზესმა გოგონამაც კი უნდა ჭამოს.

– არ მშია, – თქვა ფიონგმა.

– ძალიან სუსტია, – მის ჰეიმ მტკიცედ განაგრძო. მის ხმაში მუქარა ისმოდა, – მოვლა სჭირდება. მოვლას იმსახურებს. ძალიან, ძალიან ერთგულია.

– ჩემს მეგობარს გაუმართლა! – გაბედულად წამოიძახა პაილმა.

– ბავშვები უყვარს, – შენიშნა მის ჰეიმ.

მე გამეცინა, მერე კი პაილის მზერა დავიჭირე: გაოგნებული მიყურებდა; უეცრად მიეხვედი, რომ გულწრფელად აინტერესებდა მის ჰეის ლაპარაკი. როდესაც სადილს ვუკ-

ვეთდი (მიუხედავად იმისა, რომ ფიონგმა მითხრა, არ მში-  
აო, ვიცოდი, რომ თათრულად მომზადებულ სტიეკს, ორ  
თოხლო კვერცხსა და მისაყოლებელს მოერეოდა), პაილის  
ლაპარაკს ვუგდებდი ყურს, ბავშვებზე რომ მსჯელობდა სე-  
რიოზულად.

– ყოველთვის ბევრი შვილი მინდოდა, – თქვა მან, – დიდი  
ოჯახი დიდებულია. ქორწინებაშიც სტაბილურობა შემო-  
აქვს. ბავშვებისთვისაც კარგია. მე დედისერთა ვარ. დედი-  
სერთობა ძალიან არასახარბიელოა.

ასეთი ენამჭევრობა მისგან არასდროს მსმენოდა.

– მამათქვენი რამდენი წლისაა? – ხარბად ჰკითხა მის ჰე-  
იმ.

– სამოცდაცხრის.

– მოხუცებს შვილიშვილები უყვართ. ძალიან სამწუხა-  
როა, რომ ჩემს დას მშობლები არა ჰყავს, ვისაც მისი შვი-  
ლები გულს გაუხარებდა, თუკი ასეთი დღე დაუდგება, – და-  
ამატა და ღვარძლიანად გამომხედა.

– მგონი, არც თქვენ გყავთ, – პაილს უადგილოდ მოუვი-  
და.

– მამაჩვენს ძალიან კარგი ოჯახი ჰყავდა. ჰუელი მანდა-  
რინი იყო.

– სადილი ყველასათვის შევუკვეთე, – ვთქვი მე.

– ჩემთვის არა, – მითხრა მის ჰეიმ, – ჩემს მეგობრებს უნ-  
და დავუბრუნდე. მისტერ პაილ, სიამოვნებით შეგხვდებო-  
დით კიდევ. ეგებ ამას თქვენ მოაბათ თავი.

– ჩრდილოეთიდან რომ დავბრუნდები, – ვუთხარი.

– ჩრდილოეთში აპირებთ?

– მგონი, დროა, ომს შევავლო თვალი.

– მაგრამ ყურნალისტები ხომ უკვე დაბრუნდნენ, – თქვა  
პაილმა.

– ჰოდა, ხელსაყრელი დროა ჩემთვის. გრეინჯერთან  
შეხვედრა არ მომიწევს.

– მაშინ, სანამ მესიე ფულერი აქ არ იქნება, მე და ჩემს  
დას სადილზე უნდა გვეწვიოთ, – პირქუში თავაზიანობით  
დაამატა, – ცოტა რომ გაახალისოთ.

როდესაც ნავიდა, პაილმა თქვა:

– რა მომხიბლავი, კულტურული ქალბატონია, თან, ინგლისურადაც რა კარგად ლაპარაკობდა.

– უთხარი, რომ ჩემი და სინგაპურში ოფისში მუშაობდა, – ამაყად მითხრა ფიონგმა.

– მართლა? რა სახის ოფისში?

– იმპორტი, ექსპორტი, – გადავთარგმნე ფიონგის სიტყვები, – სტენოგრაფირებაც შესძლებია.

– ნეტავ ეკონომიკურ მისიაში გვყავდეს ბევრი მისნაირი.

– დაველაპარაკები, – თქვა ფიონგმა, – ამერიკელებთან სიამოვნებით იმუშავებს.

ნასადილევს ისევ იცეკვეს. მეც ცუდი მოცეკვავე ვარ, მაგრამ პაილს დიდ მორიდებას ვერ ვამჩნევდი, თუმცა შეიძლება არც მე მერიდებოდა, ფიონგზე ახალი შეყვარებული რომ ვიყავი. იმ ღირსსახსოვარ სალამომდეც, მის ჰეიმ თავი შეუძლოდ რომ იგრძნო „გრან მონდში“, ფიონგთან არაერთხელ მიცეკვია, რომ დალაპარაკების საშუალება მომცემოდა. პაილი ამ შანსს არ იყენებდა, როდესაც ცეკვავდნენ; უბრალოდ, ყოველი ახალი წრის დარტყმისას უფრო მოდუნებული ჩანდა და ფიონგთანაც უფრო ახლოს იყო ფიზიკურად, ხელის განვდენაზე ნაკლებ მანძილზე, მაგრამ ორივენი დუმდნენ. უეცრად ფიონგის ფეხებს რომ შეეხედე, ზუსტსა და მსუბუქს, პაილის მოძრაობებსაც რომ მართავდა, ვიგრძენი, რომ ისევ შემიყვარდა. ვერ ვიჯერებდი, რომ ორიოდვე საათში ჩემს უსახურ ბინაში დაბრუნდებოდა, სადაც საერთო საპირფარეშო იყო და კიბის ბაქანზე დედაბრები ისხდნენ.

ნეტავ ფატ-დიემზე არასდროს არაფერი გამეგონა ან თუ რამეს გავიგებდი, ჩრდილოეთში ამ დაბასთან არ ყოფილიყო დაკავშირებული, რადგან ფრანგ საზღვაო ოფიცერთან მეგობრობის წყალობით ნებისმიერ ადგილზე შემეძლო დაუსჯელად და უკონტროლოდ შეღწევა. თავს რაზე ვიკლავდი, საგაზეთო სენსაციის გამო? ცოტა უდროოდ მომდიოდა, რადგან იმხანად ყველას კორეაში მიმდინარე ომი აინტერესებდა. მართლა დალუპვა მინდოდა? კი მაგრამ,

რატომ, როცა ყოველდამე გვერდით ფიონგი მენვა? გულის სიღრმეში ამ კითხვის პასუხი ვიცოდი. ბავშვობიდან არასდროს მჯეროდა სამყაროს ურყეობისა, თუმცა კი ძლიერ მენადა. სულ ბედნიერების დაკარგვისა მეშინოდა. ამ თვეში თუ ერთი წლის შემდეგ ფიონგი მიმატოვებდა. გაისად თუ არა, სამი წლის მერე მაინც. სიცოცხლის დაკარგვით კი სხვას აღარაფერს დავკარგავდი. იმათი მშურდა, ვისაც ღმერთის სწამდა, მაგრამ მათ არ ვენდობოდი. ვგრძნობდი, რომ უცვლელობისა და მარადიულობის შესახებ ზღაპრით ინარჩუნებდნენ სიმამაცეს. სიკვდილი ღმერთზე აშკარა იყო და მისი მოსვლით სიყვარულის ჩაკვდომის ყოველდღიური შესაძლებლობაც ქრებოდა. მომავალი მონყენილობისა და გულგრილობის კომმარი დავინწყებას მიეცემოდა. პაციფისტობა არასდროს შემძლება. ზოგჯერ კაცის მოკვლა მისთვის განუზომელი სარგებლის მომტანი იყო. თუმცა ხალხს ხომ ყველგან და ყოველთვის უნდა ჰყვარებოდა მტერი თვისი. ესე იგი, მხოლოდ მეგობრებს იმეტებდნენ ტკივილისა და მარტოსულობისთვის.

– მომიტევეთ, მის ფიონგი რომ გაგტაცეთ, – მომიბოდიშა პაილმა.

– ეგ არაფერი, დიდი მოცეკვავე მე მაინც არა ვარ, მაგრამ მისი ცეკვის ყურება მიყვარს.

მის შესახებ ყოველთვის მესამე პირში საუბრობდნენ, თითქოს იქ არ იმყოფებოდა. ზოგჯერ ფიონგი სიმშვიდესავით უხილავი ხდებოდა. საღამოს პირველი კაბარე დაინყო: მომღერალი, ჟონგლიორი და კომიკოსი გამოვიდნენ. ამ უკანასკნელმა საზოგადოების გასახალისებლად ენა წაიბიღნა, მაგრამ როდესაც პაილს შევხედე, მივხვდი, რომ ჟარგონი არ ესმოდა. მაშინ იღიმებოდა, როდესაც ფიონგი იღიმოდა, და მაშინ იცინოდა, როდესაც მე გამეცინებოდა.

– ნეტავ ახლა გრეინჯერი სად არის? – ვთქვი და პაილმა საყვედურნარევი მზერით შემომხედა.

მერე საღამოს კულმინაციის დროც დადგა: ქალად გადაცმული კომედიანტი მამაკაცების დასი გამოვიდა. ბევრი მათგანი დღისით კატინას ქუჩაზეც მყავდა ნანახი, ძველ

შარვლებსა და სვიტერებში, წვერგაუპარსავები, თეძოების რხევით რომ მიდი-მოდოდნენ. ახლა დეკოლტიანი საღამოს კაბები ეცვათ, ბიჟუტერია და ყალბი მკერდი გაეკეთებინათ, თან, ხრინწიანი ხმით კიოდნენ – ისინი ისეთივე სასურველნი ჩანდნენ, როგორც ევროპელი ქალების უმეტესობა საიგონში. საჰაერო ძალების ოფიცრებმა დაუსტვინეს და მათგან მომაჯადოებელი ღიმღილი მიიღეს პასუხად. პირკატა მეცა, როდესაც პაილმა მოულოდნელად სიფიცხე გამოავლინა.

– ფაულერ, – მომმართა მან, – გვეყოს. ეს ფიონგისთვის საკადრისი წარმოდგენა არ არის.

## თავი IV

### 1

საკათედრო ტაძრის სამრეკლოდან ბრძოლა ხატონადაც კი გამოიყურებოდა; ბურების ომის პანორამასავით გაშეშებულიყო, თითქოს „ლონდონის დასურათებული ახალი ამბების“ ძველ ნომერს ვათვალისწინებდი. აეროპლანიდან პარაშუტებით ყრიდნენ მარაგებს ნაქარალ-გამოფიტულ კირის მთებში ანამის საზღვარზე, მინქაფის გროვებს რომ ჰგავდა; და რაკი აეროპლანი მუდამ ერთსა და იმავე ადგილზე ბრუნდებოდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჰაერში ლივლივებდა, და პარაშუტიც ერთ ადგილზე იყო გაჩერებული, მიწამდე ნახევარ გზაზე. ველზე შიგადაშიგ ნალმსატყორცნიებიდან ავარდნილი შავი, მქისე კვამლი მოჩანდა, ხოლო მზით გადანათებულ ბაზრის მოედანზე ალს ფერი სულ დაჰკარგოდა. პარაშუტისტების პანანინა ფიგურები არხებს წალიკ-წალიკ მიუყვებოდნენ, მაგრამ ასეთი სიმაღლიდან ისე ჩანდნენ, თითქოს უძრავად დგანანო. კოშკის კუთხეში მჯდომი მღვდელიც კი არ იცვლიდა თავის პოზიციას, სანამ კურთხევანს კითხულობდა. ასეთი

მანძილიდან ომი ერთობ სუფთად და მოწესრიგებულად გამოიყურებოდა.

აქეთ ნამ-დინიდან სადესანტო ხომალდით წამოვედი და ალიონს მოვასწარი. პორტში ვერ შევედით, რადგან მტრების ხელში იყო, დაბა მოექციათ ალყაში; ამიტომ ხომალდს აღმოდებული ბაზრის გვერდით მოუწია შესვლამ. ალის სინათლეზე იოლ სამიზნეს წარმოვადგენდით, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით არავის უსვრია. ყველგან სიჩუმე იდგა, თუ აგიზგიზებული დახლების ტკრციალს არ ჩავთვლით. მესმოდა, სენეგალელი გუშაგი მდინარის ნაპირზე ფეხს როგორ იცვლიდა.

ფატ-დიემს შეტევის დაწყებამდე კარგად ვიცნობდი — მის ერთადერთ გრძელ ქუჩაზე, აქეთ-იქით ხის დახლები რომ იყო ჩამწკრივებული, ყოველ ას მეტრში ან ეკლესია იდგა, ან არხი გადიოდა, რომელზეც ხიდი იყო გადებული. ღამით აქაურობა მხოლოდ სანთლებით ან ნავთის ღამპებით ნათდებოდა (ფატ-დიემში დენი არ ჰქონდათ შეყვანილი, გარდა ფრანგი ოფიცრების ყაზარმებისა), ხოლო დღისით თუ ღამით ქუჩაში ზღვა ხალხი ტრიალებდა და ხმაური იყო. უცნაური, შუა საუკუნეების დროინდელი მეთოდით დაბა ფეოდალი ეპისკოპოსის მფარველობის ჩრდილში იყო მოქცეული და ქვეყანაში ყველაზე ცოცხალიც ეთქმოდა, მაგრამ ახლა, როდესაც გემიდან გადმოვედი და ოფიცრების ყაზარმებისკენ დავადექი გზას, ყველაზე ჩამკვდარი დაბის შთაბეჭდილება დამიტოვა. ნანგრევები და მინის ნამსხვრევები, დამწვარი საღებავისა და ბათქაშის სუნი, სიცარიელე ამსიგრძე ქუჩაზე, ყოველ შემთხვევაში, სადამდეც თვალი გასწვდებოდა, ლონდონს მახსენებდა უთენია დაწყებული საჰაერო სიგნალის შეწყვეტის შემდეგ; უკვე მეგონა, სადმე პლაკატი დამხვდებოდა, გამაფრთხილებელი წარწერით: „აუფეთქებელი ბომბი“.

ოფიცერთა სახლის წინა კედელი აფეთქებას შეეწირა, გადაღმა მდგარი სახლებისგან კი მხოლოდ ნანგრევები იყო დარჩენილი. ნამ-დინიდან მდინარისკენ რომ ჩავუყვები, ლეიტენანტ პეროსგან გავიგე, რაც მომხდარიყო. ეს ახალგაზ-

რდა კაცი საკმაოდ სერიოზული იყო, თანაც, ფრანკმასონი, და მიაჩნდა, რომ უფალმა ეს სასჯელი მის თანამოძმეთა ცრუმორწმუნეობის გამო დაატეხა აქაურობას თავს. ფატი-დიემის ეპისკოპოსი ერთხელ ევროპაში ჩასულა და ფატი-მიდან ღვთისმშობლის კულტი ჩამოუტანია — ფატიმაში, როგორც კათოლიკეებს სწამდათ, ქალწული მარიამი პორტუგალიელ ბავშვებს გამოსცხადებია. უკან დაბრუნებულ ეპისკოპოსს ტაძართან მღვიმე გაუკეთებია მის სახელზე და ყოველწლიურად ღვთისმშობლობას დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავდა. კოლონელთან ურთიერთობა, რომელიც ვიეტნამურ და ფრანგულ ჯარს ხელმძღვანელობდა, მას შემდეგ დაეძაბა, რაც ხელისუფლებამ ეპისკოპოსს კერძო ჯარი გაუუქმა და დაშალა. კოლონელმა, რომელიც გულის სიღრმეში ეპისკოპოსს თანაუგრძნობდა, რადგან ორივე მათგანისთვის სამშობლო კათოლიციზმზე მნიშვნელოვანი იყო, მეგობრული ურთიერთობა გადანყვიტა და უფროს ოფიცრებთან ერთად ღვთისმშობლობის მსვლელობას უწინამძღვრა. ფატი-დიემს ფატიმის ღვთისმშობლის სადიდებლად შეკრებილი ამდენი ადამიანი არ ახსოვდა. ბუდისტები, რომლებიც მოსახლეობის ნახევარს შეადგენდნენ, ასეთ ზეიმს ვერ გამოტოვებდნენ, ხოლო ისინი, ვისაც არცერთი ღმერთის არ სწამდა, მთელი ამ ბაირაღების, საცეცხლურებისა და ოქროს ლუსკუმების შემყურენი იმედს იტოვებდნენ, რომ ომი მათ სახლს არ შეეხებოდა. ეპისკოპოსის ჯარისგან მხოლოდ სასულე ორკესტრი იყო დარჩენილი, რომელიც პროცესიას მიუძღოდა, მათთან ერთად ფრანგი ოფიცრები მიაბიჯებდნენ, კოლონელის ბრძანებით ღვთისმოსავნი რომ გამხდარიყვნენ, ხოლო გუნდის მომღერალი ბიჭუნები მათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ — ყველანი საკათედრო ტაძრის შემოღობილ ტერიტორიაზე ჭიმკრით შევიდნენ, მაცხოვრის თეთრ ქანდაკს ჩაუარეს, რომელიც ტაძრის წინ პატარა ტბორში მდებარე კუნძულზე იდგა, სამრეკლოს ძირში გაიარეს, რომელსაც აღმოსავლური სტილის ფლიგელები ჰქონდა მიშენებული, ხისგან გამოკვეთილ ტაძარში შევიდნენ, რომელშიც მთლიანი ხის ზროსგან გამოთლილი

გიგანტური სვეტები აღმართულიყო, საკურთხეველი კი მენამული სანდალოზით დაეფარათ, რაც უფრო ბუდისტურ ტაძრებს ახასიათებს, ვიდრე ქრისტიანულს. არხებს შორის არსებული ყველა სოფლიდან, ყველა იმ ადგილიდან, ლანდშაფტით ჰოლანდიას რომ ჰგავს, მაგრამ ტიტების მაგიერ ბრინჯის მწვანე ყლორტები ან ოქროსფერი ღეროები რომ მოჩანს, ხოლო ქარის წისქვილების მაგივრად – საყდრები, ხალხს მოეყარა თავი. ვერავინ ამჩნევდა ვიეტ-მინის აგენტებს, რომლებიც მსვლელობას შეერთებოდნენ; იმავე დამეს, როდესაც კომუნისტების ბატალიონმა კირის მთები გადაიარა და ტონკინის ველზე გავიდა, რასაც მალალ მთებში განლაგებული ფრანგული საგუშაგო კოშკებიდან უიმედოდ ადევნებდნენ თვალს, მონინავეთა შენაერთი ფატ-დიემს დაესხა თავს.

ახლა, ოთხი დღის შემდეგ, პარაშუტისტთა დახმარებით მტერი დაბიდან კილომეტრზე უკუაგდეს, მაგრამ ეს მაინც მარცხი იყო, ამიტომ ჟურნალისტებს აქ არ უშვებდნენ, არც ტელეგრამა იგზავნებოდა, რადგან გაზეთებში მხოლოდ გამარჯვებებზე უნდა ეწერათ. ხელისუფლება ჯერ კიდევ ჰანოიში შემაჩერებდა, ჩემი მიზანი რომ სცოდნოდა, მაგრამ რაც უფრო ვშორდებოდი შტაბბინებს, მით უფრო სუსტდებოდა მათი გავლენაც, ხოლო როდესაც მტრის ცეცხლის ზოლში ექცევი, მერე სასურველი სტუმარი ხდები; ეს კი ჰანოიში მთავარი შტაბისთვის საფრთხეს, ხოლო ნამ-დინში კოლონელისთვის – უსიამოვნებას მოასწავებდა, მაგრამ ბრძოლის ველზე მყოფი ლეიტენანტისთვის მასხარაობაა, ყურადღების სხვა რამეზე გადატანის საშუალება, გარე სამყაროდან გამოჩენილი ინტერესი, რა დროსაც რამდენიმე დალოცვილი საათი საკუთარი თავის დრამატიზებასაც შეძლებდა და თავის დახოცილ-დაჭრილებსაც გმირებად წარმოაჩენდა.

მღვდელმა კურთხევანი დახურა და თქვა:

– ესეც ასე, დასრულდა, – ის ევროპელი იყო, ოღონდ ფრანგი არ ჩანდა, რადგან ეპისკოპოსი თავის ეპარქიაში ფრანგ მღვდელს არ მოითმენდა. მობოდიშებით თქვა,

– იცით, აქ მჭირდება ხოლმე ამოსვლა, რათა დავისვენო ამდენი ღარიბი ადამიანისგან, – ნაღმსაფრთხილად ხმა ახლოვდებოდა ან მტერმა, ბოლოს და ბოლოს, მოგერიება დაიწყო. უცნაური ის იყო, რომ მტრის აღმოჩენა ჭირდა, რადგან ათობით ადგილას მიმდინარეობდა შეტაკება და არხებს, ნაგებობებსა და დატბორილ მინდვრებს შორის აურაცხელი შესაძლებლობა იყო უეცარი შეტევისა. უშუალოდ ჩვენ ქვეშ იდგა, იჯდა და იწვა ფატ-დიემის მოსახლეობა. კათოლიკეებს, ბუდისტებსა და წარმართებს ყველაფერი თან წამოეღოთ, რაც ეძვირფასებოდათ – საცხოვრებელი, ლამაზები, სარკე, გარდერობი, ლეიბები, ხატები... – და ტაძრის ტერიტორიაზე შემოსულიყვნენ. აქ, ჩრდილოეთში, დაბნელებისთანავე სუსხი იცოდა, ტაძარი კი უკვე სავსე იყო: თავის შესაფარებელი ადგილი აღარ დარჩენილიყო; სამრეკლოს კოშკის კიბის საფეხურებზეც აღარ მოიძებნებოდა ადგილი, თან, კარიბჭეს უფრო და უფრო მეტი ადამიანი აწყდებოდა, ხელში პატარა ბავშვებითა და ბარგი-ბარხანით. აღმსარებლობის მიუხედავად, სწამდათ, რომ აქ უსაფრთხოდ იქნებოდნენ. დავინახეთ, რომ სამხედრო ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა ვიეტნამელი, შაშხანით ხელში, ბრბოში მოიკვლევდა გზას ტაძრისკენ; ის მღვდელმა გააჩერა და შაშხანი ჩამოართვა. სამრეკლოზე ჩემ გვერდით მყოფმა მოძღვარმა განუმარტა:

– ჩვენ აქ ნეიტრალური ვართ. ეს უფლის ტერიტორიაა.

გავიფიქრე, რა ღატაკი და უცნაური, გულგახეთქილი, გათოშილი და მშვიერი ხალხით ყოფილა უფლის სამეფო დასახლებული-მეთქი (არ ვიცი, ეს ხალხი როგორ უნდა გამოვკვებოთო, მითხრა მღვდელმა), ნებისმიერი მეფე, ალბათ, უკეთეს ქვეშევრდომთ აირჩევდა. მაგრამ მერე აზრი მომივიდა, განა ყველგან ასე არ არის, სადაც უნდა გაიხედო – ყველაზე ძლევა მოსილ მეფეებსაც კი არ ჰყავთ სხვებზე ბედნიერი ხალხი.

ქვემოთ უკვე პატარ-პატარა დახლები გამოჩნდა.

– უზარმაზარ ბაზრობასა ჰგავს, არა, ოღონდ კაციშვილს ვერ დაინახავ გაღიმებულს, – ვთქვი მე.

– ნუხელ ძალიან შესცივდათ, – მომიგო მღვდელმა, – მონასტრის კარი უნდა დავკეტოთ, თორემ წაგვლეკავენ.

– თქვენთან ყველა თბილადაა? – ვკითხე მე.

– არც ძალიან თბილად. ამას გარდა, ამდენი ადამიანის დასათევი ადგილი არა გვაქვს, – განაგრძო, – ვიცი, რასაც ფიქრობთ. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენგან ვინმე მაინც არ გახდეს ავად. ფატ-დიემში ერთადერთი საავადმყოფო გვაქვს, ექთანები კი ჩვენი მონაზვნები არიან.

– ქირურგი თუ გყავთ?

– რაც შემოძლია, ვაკეთებ, – შევნიშნე, რომ სუტანაზე სისხლის შხეფები ჰქონდა, – აქ ჩემს სანახავად ამოხვედით?

– არა, ორიენტირება მინდოდა.

– იმიტომ გკითხეთ, რომ ნუხელ ერთი კაცი იყო ამოსული აღსარების სათქმელად. ცოტა შეშინებული ეთქმოდა იმით, რაც არხის გასწვრივ ენახა. ვერც გავამტყუნებდი.

– მართლა ეგეთი საშინელება ტრიალებს?

– პარაშუტისტებმა ჯვარედინი ცეცხლით დაფარეს. საცოდავები. გავიფიქრე, ეგებ ამასაც სულიერად უმძიმსმეთქი.

– კათოლიკე არ გახლავართ, ქრისტიანსაც ვერ მიწოდებს კაცი.

– უცნაურია, შიში რას უშვრება ადამიანს.

– ვერაფერსაც ვერ მიშვრება. ღმერთის რომ მწამდეს, აღსარებაზე გაფიქრება მაშინაც კი გულს ამირევდა. მუხლზე დგომა თქვენს ერთ-ერთ ჯიხურში! გულისნადების სხვისთვის გამხელა. უნდა მომიტევოთ. მამაო, მე ამაში უფრო არაჯანსაღს ვხედავ... კაცისთვის შეუფერებელს.

– უი, – მსუბუქად შეიცხადა, – როგორც ჩანს, კეთილი კაცი ხართ. ალბათ, სანანებელიც არაფერი გქონიათ.

ეკლესიებს გავხედე, არხებს შორის რომ აეგოთ ზღვის მიმართულებით. მეორე კოშკიდან საქვემეხო ცეცხლი ავარდა.

მღვდელს ვუთხარი:

– ყველა ეკლესია მთლად ნეიტრალური არ გქონიათ.

– ეს შეუძლებელია, – მომიგო მან, – ფრანგები ტაძრის ტერიტორიიდან გასვლაზე დათანხმდნენ. მეტს არც მოველით. თქვენ რომ ახლა უყურებთ, ეს უცხოური ლეგიონის პოსტია.

– ახლა ნავალ, მშვიდობით, მამაო.

– მშვიდობით გველოთ და იღბალს გისურვებთ. სნაიპერებს უფრთხილდით.

ბრბოში გზა გავიკვლიე გარეთ გასასვლელად, ტბასა და ხელგაშლილ ქანდაკებას გვერდი ავუქციე და გრძელ ქუჩაზე აღმოვჩნდი. აქედან კილომეტრ-ნახევარზე თავისუფლად ჩანდა ქუჩის ორივე მხარე, სადაც ჩემ გარდა ორი ცოცხალი არსება ილანდებოდა: შესანიღბჩაფხუტიან ორ ჯარისკაცს ავტომატები შეეყენებინა და ქუჩის პირს ნელა მიუყვებოდა. ცოცხალი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ერთი სახლის კართან ცხედარი ეგდო, თავით გარეთ. მხოლოდ ბუზების ბზუილი და ჯარისკაცების ჩექმების ჭრახუნის ისმოდა შორიდან. ცხედარს მალე ჩავუარე და თვალი ავარიდე. რამდენიმე წუთში უკან რომ მივიხედე, საკუთარი ჩრდილის მეტი არაფერი დამინახავს და საკუთარი ნაბიჯების ხმის გარდა არაფერი მომხვედრია ყურში. ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს სასროლეთის სამიზნედ ვიქეცი. გავიფიქრე, აქ რომ რამე შემემთხვეს, რამდენიმე საათი ისე გავა, კაციშვილი ვერ გაიგებს-მეთქი; ამასობაში ბუზები კი მოასწრებდნენ მოქუჩებას. როდესაც ორი არხი გადავიარე, ეკლესიისკენ გავუხვიე. თორმეტი პარაშუტისტი შენიღბული ფორმით იჯდა მიწაზე, ორი ოფიცერი კი რუკას ჩასცქეროდა. როდესაც მივუახლოვდი, ზედაც არავინ შემომხედა. ერთმა კაცმა, რომელსაც რაციის გრძელი ანტენა ჰქონდა დამაგრებული, თქვა:

– შეგვიძლია დავიძრათ, – და ყველანი ადგნენ.

დამტკრეული ფრანგულით ვკითხე, თუ შეიძლება გამოგყვით-მეთქი. ამ ომის ერთ-ერთი უპირატესობა ის იყო, რომ ევროპული სახე მონინავე ადგილებზე მოსახვედრად კი საშვის როლს ასრულებდა. ევროპელს მტრის აგენტად არავინ განიხილავდა.

– ვინ ხარ? – მკითხა ლეიტენანტმა.

– ომზე ვნერ, – ვუპასუხე.

– ამერიკელი?

– არა, ინგლისელი.

– უმნიშვნელო ოპერაციაა, მაგრამ თუ გამოყოლა გინდათ, გამოგყვევით... – მითხრა მან და ფოლადის ჩაფხუტის მოხსნა დაიწყო.

– არა, არა, – ვუთხარი მე, – ეგ მებრძოლებს უნდა გქონდეთ.

– როგორც გენებოთ.

ეკლესიიდან ნაწილ-ნაწილ გამოვედით, ლეიტენანტი მიგვიძლოდა წინ და მცირე ხნით არხთან შევჩერდით, სანამ რადისტმა ორივე ფლანგზე მყოფ პატრულებთან შეძლო კავშირის დამყარება. ნაღმებმა გადაგვიფრინა და მოშორებით აფეთქდა. ეკლესიის უკნიდან კიდევ რამდენიმე ჯარისკაცი შემოგვიერთდა და ახლა ოცდაათამდე ვიყავით. ლეიტენანტმა დაბალი ხმით ამიხსნა და თითი რუკას დაადო:

– გადმოგვცეს, რომ ამ სოფელში სამასი კაცი უნდა იყოს. შეიძლება ძალებს იკრებენ, რომ ღამით დაიწყონ შეტევა. არ ვიცით. ჯერ ვერავინ მიაკვლია მათ.

– შორსაა?

– სამას მეტრში.

რაციაში ბრძანების ხმა გაისმა და გზა ჩუმად განვაგრძეთ, მარჯვნივ არხი იყო სწორად გაჭრილი, მარცხნივ კი დაბალი ბუჩქნარი და მინდორი, იმის იქით ისევ ბუჩქნარი.

– გზა სუფთაა, – დაიწურჩულა ლეიტენანტმა დასამშვიდებლად, როგორც კი ნაბიჯი გადავდგით. ორმოციოდე მეტრში მორიგ არხს მივადექით, რომელზეც ხიდისგან ერთი გადებული ფიცარილა შემორჩენილიყო, მოაჯირის გარეშე. ლეიტენანტმა დაშლა გვიბრძანა და ჩვენც ჩავიცუცქეთ, რათა ფიცრის იქითა მხარეს ტერიტორიაზე დაგვეწყო დაკვირვება. ჯარისკაცებმა წყალს გადახედეს, მერე კი, თითქოს ბრძანებას ასრულებენო, შებრუნდნენ. ნამიერად ვერ მივხვდი, რა დაინახეს, მაგრამ როდესაც მეც დავინახე, არ ვიცი, რატომ, მაგრამ „შალე“ გამახსენდა, თავის ქა-

ლად გადაცემულ კომენდიანტებიანად და პაილის სიტყვები: „საკადრისი წარმოდგენა არ არის“. არხი ცხედრებით იყო სავსე: ამან ირლანდიური რაგუ გამახსენა, რომელშიც მეტიხმეტად ბევრი ხორცია. ვილაციის სელაპივით რუხი თავი, გვერდით კი კატორღელივით სკალპგადაპარსული, უსახური თავი ამოჩრილიყო წყლიდან, თითქოს ტივტივააო. სისხლი არ ჩანდა: ალბათ, კარგა ხნის წინ წაელო წყალს. წარმოდგენა არა მაქვს, რამდენი ხნის ჩაყრილები იყვნენ წყალში, სავარაუდოდ, ჯვარედინ ცეცხლში მოჰყვნენ უკან დახვეისას. მგონი, ყველა ჩვენგანმა გაიფიქრა, იგივე შეიძლება მეც შემემთხვესო. თვალი ავარიდე; იმის შეხსენება არ მჭირდებოდა, რაოდენ მცირე ფასი გექონდა და რაოდენ სწრაფად, მარტივად და განურჩევლად შეიძლებოდა სიკვდილი გვნევოდა. მართალია, გონება მასთან მაგუებდა, მაგრამ მისი ისე მეშინოდა, როგორც ქალწულს პირველი აქტისა. ვამჯობინებდი, სიკვდილი გაფრთხილებით მოსულიყო, რათა თავი შემემზადებინა. რისთვის ან როგორ? არ ვიცოდი, ალბათ, მხოლოდ წამიერად მოვავლებდი იმ ყველაფერს თვალს, რასაც ვტოვებდი.

ლეიტენანტი რადისტს მიუჯდა და მიწას დააჩერდა საკუთარი ფეხების წინ. აპარატმა შიშინით დაიწყო მითითებების გადმოცემა და ლეიტენანტი ერთ ამოოხვრაზე ისე წამოდგა, თითქოს გააღვიძეს და წამოახტუნესო. პარაშუტისტების საქციელში ერთგვარი ამხანაგობა იგრძნობოდა, თითქოს თანაბრად იყვნენ ამოცანის შესრულებაში ჩართულნი და თან ამ საქმეს მეთასევერ აკეთებდნენ. არავის სჭირდებოდა მითითება, რა უნდა ექნა. ორი კაცი ხიდად გადაებული ფიცრისკენ წავიდა და გადასვლა სცადა, მაგრამ იარაღის სიმძიმის გამო წონასწორობა დაკარგა, ამიტომ ფიცარს გადააჯდა და ჩოჩვით განაგრძო ორივემ სვლა. მესამე ჯარისკაცმა ბუჩქებში ნავს მიაგნო და იქ მიაცურა, სადაც ლეიტენანტი იდგა. ექვსნი ჩავსხედით და მან მეორე ნაპირისკენ ჭოკის დახმარებით დაიწყო ჩვენი გადაყვანა, მაგრამ გვამების გროვას შევეჯახეთ და გავიჭედეთ. მან ჭოკი ადამიანების ჭონჭყიდან ამოიღო, რათა ნავი უკან გაე-

წია, რა დროსაც ერთ-ერთი გვამი გათავისუფლდა და ნავის გვერდზე ისე გამოცურდა, თითქოს მობანავე მზეს ეფიცებოდა. ჩვენი ნავი გათავისუფლდა და მეორე ნაპირს მიაღწია; ისე გადავედით, რომ უკან არც მიგვიხედავს. ტყვია არავის უსვრია: ცოცხლები ვიყავით; სიკვდილმა, როგორც ჩანს, მომდევნო არხამდე დაიხია უკან. გავიგონე, ჩემ უკან ვილაცამ სრული სერიოზულობით რომ თქვა:

– Gott sei dank!<sup>1</sup>

ლეიტენანტის გარდა, თითქმის ყველა გერმანელი იყო. წინ სოფლის ნაგებობები მოჩანდა; ლეიტენანტი დანიინაურდა, კედელს ამოფარებული, ჩვენ კი ექვსნაბიჯიანი ჩამორჩენით გავყევით სათითაოდ. მერე ჯარისკაცები, ყოველგვარი ბრძანების გარეშე, ფერმას მოედვნენ. სიცოცხლეს იქაურობა მიეტოვებინა, ქათამიც კი არ კაკანებდა მთელ მამულში, თუმცა მისაღები ოთახის გადარჩენილ კედელზე მაცხოვრისა და ყრმით ხელში ღვთისმშობლის უსახური ოლეოგრაფიები ეკიდა და ამ ნანგრევს ევროპულ იერს სძენდა. იოლი მისახვედრი იყო, რა სწამდა ამ ხალხს, თუნდაც მათი რწმენა არ გაგეზიარებინა; ისინი ადამიანები იყვნენ და არა სისხლისგან დაცლილი ნაცრისფერი გვამები.

ომის დროს ადამიანი ძალიან ხშირად უქმად ზის და რაღაცას ელის. ასეთ დროს არ იცი, რამდენი დრო დაგრჩენია და ფიქრიც კი გეზარება. გუშაგებმა პოსტზე ადგილი დაიკავეს. ყველაფერი, რაც აწი ჩვენ თვალწინ გაფაჩუნდება, მტერი იქნება. ლეიტენანტმა ადგილმდებარეობა მონიშნა და რადიოთი გადასცა. შუადღე ჩამოწვა და სიჩუმემ დაისადგურა, ნაღმსატყორცნებიც დადუმდა და ცამაც დაისვენა თვითმფრინავებისგან. ერთმა ჯარისკაცმა ტოტით ტალახის ჩიჩქნით შეიქცია თავი. ცოტა ხანში ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ ომს სულ დავავიწყდით. იმედი მქონდა, რომ ფიონგმა ჩემი კოსტიუმები ქიმნმენდაში გაგზავნა. ცივი ქარი ეზოში ჩალას აბიბინებდა და ერთი ჯარისკაცი ფარდულში შევიდა თავის შესამსუბუქებლად. მე იმის გახსენე-

<sup>1</sup> მადლობა ღმერთს! (გერმ.).

ბა ვცადე, ბრიტანეთის კონსულს თუ გადავუხადე ჰანოიში ვისკის ფასი, რომელიც მან დამითმო.

უცებ ორი გასროლა გაისმა და გავიფიქრე, აჰა, დაინყო-  
მეთქი. სხვა გაფრთხილება არც მჭირდებოდა. ხალისით  
ვიცდიდი, რომ მარადისობაში გადავინაცვლებდი, მაგრამ  
არაფერი მომხდარა. კიდევ ერთხელ დავასწარი მოვლე-  
ნებს. მხოლოდ საუკუნედ ქცეული ნუთების შემდეგ შემო-  
ვიდა ერთ-ერთი გუშაგი და ლეიტენანტს აცნობა რალაც. მე  
მხოლოდ ორი სიტყვა, *Deux civils*<sup>1</sup> დავიჭირე.

– ნავიდეთ და ვნახოთ, – მითხრა ლეიტენანტმა და გუ-  
შაგს გავყევით ორ მინდორს შორის ბალახგადავლილ ტა-  
ლახიან ბილიკზე. ოციოდე მეტრით რომ გავშორდით ფერ-  
მის ნანგრევებს, ვინრო თხრილში იმას მივაგენით, რასაც  
ვეძებდით: ქალსა და პატარა ბიჭუნას. აშკარად მკვდრები  
იყვნენ; ქალს შუბლზე სისხლის კოლტი შეხმობოდა, ბავშვს  
კი თითქოს ეძინა. ექვსიოდე წლის იქნებოდა და ემბრიონი-  
ვით მოეკეცა კნაჭა ფეხები.

– *Malchance!*<sup>2</sup> – შესძახა ლეიტენანტმა. დაიხარა და ბავ-  
ში გადაატრიალა. კისერზე მედალიონი ეკიდა, რაზეც ჩა-  
ვილაპარაკე:

– ავგაროზმა არ უშველა, – ბავშვს პურის ნატეხი ჰქონდა  
თან. ოჰ, როგორ მძულს ომი-მეთქი, გავიფიქრე.

ლეიტენანტმა მკითხა:

– აბა, საკმარისად იხილეთ?

ხმაში ისეთი ტონი გაერია, თითქოს მე ვიყავი დამნაშავე  
ამათ სიკვდილში; შესაძლებელია ჯარისკაცის თვალში სა-  
მოქალაქო პირი ისაა, ვინც მას მკვლელობის ჩასადენად ქი-  
რაობს, ამაში ფულს უხდის და თვითონ პასუხისმგებლობას  
ირიდებს. უკან, ფერმაში უბრად დავბრუნდით და ჩალაზე  
დავსხედით ქარისგან თავის დასაცავად, რომელიც ცხოვე-  
ლივით გრძნობდა ბინდის მოახლოებას. ის ჯარისკაცი, რო-  
მელიც ტოტით ტალახს ჩიჩქნიდა, შესამსუბუქებლად წავი-  
და, ხოლო მან, ვინც უკვე შემსუბუქდა, ტოტით ჩიჩქნა და-

<sup>1</sup> ორი სამოქალაქო პირი (ფრ.).

<sup>2</sup> უიღბლობა! (ფრ.).

ინყო. გავიფიქრე, როდესაც გუშაგებმა პოსტები დაიკავეს და მოჩვენებითმა სიმშვიდემ დაისადგურა, იმ დედა-შვილს, ალბათ, ეგონა, უსაფრთხოდ ვართო, და თხრილიდან ამოსვლა გადანწყვიტა-მეთქი. ან შეიძლება დიდი ხნის დახოცილებიც იყვნენ, რადგან პური მთლად გამხმარიყო. როგორც ჩანს, ამ ფერმაში ცხოვრობდნენ. რაცია ისევ ამუშავდა. ლეიტენანტის დაღლილი ხმა გაისმა:

– სოფლის დაბომბვას აპირებენ. ღამით პატრულებს უკან გაიძახებენ.

ყველანი ავდექით და უკანა გზას დავადექით, ჭოკით ისევ გვამებით სავსე მდინარე გადავცურეთ და ეკლესიას სათითაოდ ჩავუარეთ. შორი მანძილი არ გვექნებოდა გავლილი, რომ ჰაერში თვითმფრინავები აიჭრნენ და დაბომბვაც დაიწყო.

როდესაც ოფიცერთა ბინამდე მივალწიე, სადაც ღამე უნდა გამეთია, უკვე ბნელოდა. ტემპერატურა ნულს ზემოთ ერთი გრადუსი იყო და სითბო მხოლოდ ნაკვერჩხლებად ქცეულ ბაზარში იყო შენარჩუნებული. რაკი ერთი კედელი ბაზუკას<sup>1</sup> დაენგრია და კარები ანჯამებიდან ამოცვენილიყო, მხოლოდ ბრეზენტის ორპირი ქარის შეკავებას ვერ ახერხებდა. გენერატორი არ მუშაობდა, ამიტომ ყუთებითა და წიგნებით მთელი ბარიკადები ავაგეთ, რათა სანთლები არ ჩაგვექრობოდა. თავის შესაქცევად ვინმე კაპიტან სორელს „ოთხმოცდაერთი“ ვითამაშე კომუნისტურ ვალუტაზე: სასმელზე ვერ ვითამაშებდით, რადგან ოფიცრების სტუმრად ვითვლებოდით. იღბალი ხან მოდიოდა, ხან მიდიოდა. ვისკის ბოთლი გავხსენი, რომ ცოტათი გავმთბარიყავი და ყველანი წრეზე დასხდნენ.

კოლონელმა თქვა:

– ეს ვისკის პირველი ჭიქაა, რომელსაც პარიზიდან ნამოსვლის მერე ვსვამ.

ლეიტენანტი გუშაგების შემოვლიდან დაბრუნდა.

– ალბათ, მშვიდი ღამე გვექნება, – თქვა მან.

– ოთხამდე შეტევას არ დაინყებენ, – თქვა კოლონელმა, – იარაღი გაქვთ? – მკითხა მე.

<sup>1</sup> რეაქტიული ტანკსანინალმდეგო იარაღი.

— არა.

— რამეს გიშოვით. ბალიშთან იქონიეთ, — თავაზიანად დაამატა, — ვშიშობ, მატრასი ქვასავით მოგეჩვენებათ. ოთხის ნახევარზე ნაღმსატყორცნებს ავამუშავებთ. მტრის ყოველგვარი თავშეყრის დაშლა მოგვინევს.

— როგორ გგონიათ, რამდენ ხანს გასტანს?

— ვინ იცის? ნამ-დინის გარნიზონიდან ჯარისკაცებს ვეღარ გამოვიყენებთ. ეს აქ, უბრალოდ, ყურადღების გადამტანი მოქმედებაა. თუკი ზურგის გამაგრების გარეშე გავქაჩავთ, იმათ თუ არ ჩავთვლით, ვინც ორი დღის წინ მივიღეთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს გამარჯვებაა.

ქარი ისევ ამოვარდა და სახლში შემოსვლას ცდილობდა. ბრეზენტი გაიბერა (გობელენს იქით დაჩეხილი პოლონიუსი გამახსენდა) და სანთელი ალიცლიცდა. ჩრდილებმა თეატრალური წარმოდგენა გამართეს. უცხო თვალს მოხეტიალე მსახიობები ვეგონებოდით.

— თქვენი პოსტები გადარჩა?

— როგორც ვიცით, — დაქანცულივით თქვა, — მაგრამ ეს ხომ სისულელეა იმასთან შედარებით, რაც აქედან ასიოდე კილომეტრზე, ჰოა-ბინში ხდება. აი, ბრძოლა ის არის თუ არის.

— კიდევ შეგივსოთ ჭიქა, კოლონელო?

— გმადლობთ, არა. მშვენიერია თქვენი ინგლისური ვისკი, მაგრამ უმჯობესია, დაიტოვოთ, ღამით ვინმეს რომ დასჭირდეს. თუ არ მინყენთ, ცოტა ხანს თვალს მოვატყუებ. თორემ ნაღმსატყორცნებს რომ აამოქმედებენ, მერე ძილი ვეღარ მომეკარება. კაპიტანო სორელ, ყურადღება მიაქციე, რომ მესიე ფულერს ყველაფერი ჰქონდეს, რაც სჭირდება: სანთელი, ასანთი, რევოლვერი.

კოლონელი თავის ოთახში გავიდა. ეს ყველა ჩვენგანისთვის სიგნალი იყო. პატარა საკუჭნაოში ჩემთვის მატრასი დაეგდოთ იატაკზე, კედლები კი ხის თაროებით იყო დაფარული. მატრასი ძალიან მაგარი იყო, მაგრამ დასვენება შეიძლებოდა. მალე ჩამეძინა. მაინტერესებდა, ყოველგვარი ეჭვიანობის გარეშე, ნეტავ ახლა ფიონგი ჩემს ბინაში თუამეთქი. სხეულის ფლობა ამაღამ ძალიან უმნიშვნელო მეჩვე-

ნებოდა – შეიძლება იმიტომ, რომ დღისით საკმაოდ ბევრი სხეული ვნახე, რომლებსაც აღარავინ ფლობდა. ისინი საკუთარ თავსაც კი აღარ ეკუთვნოდნენ. ცას მაინც ვერავინ გამოვეკერებოდით. როდესაც ჩამეძინა, პაილი მესიზმრა. სცენაზე მარტო ცეკვავედა, მანერულად, ხელები უხილავი პარტნიორისკენ გაეშვირა, მე კი საბრუნებელ სკამზე ვიჯექი და ვუყურებდი იარაღასხმული, რომ ცეკვაში ხელი არავის შეეშალა. სცენასთან დაფა იდგა, რომელზეც დაახლოებით ისე, ინგლისის მიუზიკ-ჰოლებში ნომრების თანამიმდევრობა რომ არის ხოლმე ჩამონიკნიკებული, ენერა „სიყვარულის ცეკვა – წყალი არ გაუვა“. თეატრის სიღრმეში ვილაც გამოძრავდა. მე იარაღი მოვიმარჯვე. გამომეღვიძა.

ხელი იმ რევოლვერზე მედო, რომელიც მათხოვეს, კარში კი კაცი იდგა სანთლით ხელში. ფოლადის ჩაფხუტი თვალებს უჩრდილავდა, ამიტომ მხოლოდ მაშინლა ვიცანი, როდესაც ხმა ამოიღო:

– ძალიან ვწუხვარ, თქვენი გაღვიძება რომ მიწევს. მითხრეს, მანდ შეგიძლია დაძინებაო.

ბოლომდე მოფხიზლებული არ ვიყავი.

– ეგ ჩაფხუტი სად იშოვეთ? – ვკითხე მე.

– ვილაცამ მათხოვა, – დაბნეულად თქვა. სალაშქრო ზურგჩანთა შემოიტანა და იქიდან შალისსარჩულიანი საძილე ტომარა ამოიღო.

– რა კარგად აღჭურვილხართ, – ვუთხარი მე და იმის გააზრება ვცაადე, აქ როგორ აღმოვჩნდით.

– ჩვენი მედპერსონალის ერთი ჩვეულებრივი სამოგზაურო აღჭურვილობაა, – თქვა მან, – ჰანოიში მათხოვეს.

მან თერმოსი და პატარა სპირტქურა, თმის ჯაგრისი, საპარსი კომპლექტი და კონსერვები ამოალაგა. საათზე დავიხედე. დილის სამი ხდებოდა.

## 2

პაილმა ამოლაგება განაგრძო. ყუთებით პატარა სადგამი გააკეთა, რომელზეც სარკე და საპარსი მოწყობილობა დაანყო.

- მეექვსეა, წყალი იშოვოთ, – ვუთხარი მე.
- ოჰ, თერმოსში იმდენი მაქვს, დილისთვის მეყოფა, – საძილე ტომარაზე დაჯდა და ყელიანი ფეხსაცმლის გახდა დაიწყო.
- აქ როგორ აღმოჩნდით? – ვკითხე.
- ნამ-დინამდე გამომიშვეს, რათა ტრაქტომასთან მებრძოლი ჩვენი შენაერთი მენახა, იქიდან კი ნავი დავიქირავე.
- ნავი?
- ჰო, რალაც ჭოკიანი ნავი იყო... ზუსტად არ ვიცი, რა ჰქვია. უფრო სწორად, მისმა ყიდვამ მომიწია. ძვირიც არ დამჯდომია.
- როგორ, მდინარეზე მარტო მოცურავდით?
- იცით, მაინცდამაინც რთული არ ყოფილა. დინებაც ხელს მინცობდა.
- გადარეულხართ!
- არა, მეჩეჩზე შეჯდომას თუ არ ჩავთვლი, სხვა საფრთხე არც მემუქრებოდა.
- შეიძლებოდა ფრანგულ სამდინარო პატრულს ჩაეცხრილეთ ან თვითმფრინავს ესროლა, ან რომელიმე ვიეტმინელს გამოეჭრა ყელი.
- მორცხვად გაიცინა.
- მოკლედ, აქ კი ვარ და...
- და რატომ?
- ორი მიზეზია, მაგრამ არ მინდა ძილი გაგიკრთოთ.
- არც მძინავს, თან, ბრძოლაც მალე დაიწყება.
- სანთელი რომ გავნო, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? აქ მეტისმეტი სიკაშკაშეა, – ჩანდა, რომ ნერვიულობდა.
- პირველი მიზეზი რა იყო?
- ამასწინათ აქაურობაზე ამბობდით, შეიძლება საინტერესო იყოსო. იმ დროს ვგულისხმობ, გრეინჯერთან და... ფიონგთან ერთად რომ ვიყავით.
- მერე?
- ჰოდა, ვიფიქრე, მეც უნდა ვნახო-მეთქი. სიმართლე გითხრათ, გრეინჯერისა ცოტა მეხათრებოდა.
- გასაგებია... და მეტი არაფერი?

– გაჭირვებით არაფერი გამჭირვებია და... – ფეხსაცმლის თასმებით დაინყო თამაში და ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, – მთლად გულწრფელი არა ვარ, – თქვა ბოლოს.

– არა?

– სინამდვილეში, თქვენს სანახავად ჩამოვედი.

– ჩემს სანახავად აქ ჩამოხვედით?

– დიახ.

– რატომ?

თასმებს დაბნეულმა და გულგახეთქილმა მოაშორა თვალი.

– თქვენთვის უნდა მეთქვა... ფიონგი შემეყვარდა.

გამეცინა. თავი ვერ შევიკავე. ძალიან მოულოდნელ ამბავს ძალიან სერიოზულად მეუბნებოდა.

ვუთხარი:

– ჩემს დაბრუნებას ვერ დაუცადეთ? იქითა კვირაში საინგონში ვიქნებოდი.

– შეიძლებოდა დალუპულიყავით, – მიპასუხა მან, – და უსინდისობა გამომივიდოდა, თანაც, არ ვიცი, ფიონგის ნახვისგან ამდენ ხანს თავის შეკავებას თუ შევძლებდი.

– ანუ ამდენი ხანი თავს იკავებდით?

– რასაკვირველია. ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს გაუფრთხილებლად გამოვუტყდებოდი სიყვარულში?

– ზოგი მასე იქცევა, – ვუთხარი პაილს, – როდის მოხდა?

– მგონი, იმ საღამოს, „შალეში“ რომ ვეცეკვებოდი.

– არც მიახლოებიხართ.

დაბნეულმა შემომხედა. მისი საქციელი თუ გიჟური იყო ჩემთვის, ჩემი მისთვის ნამდვილად აუხსნელი უნდა ყოფილიყო.

– იცით, ალბათ, იმ სახლში ბევრი გოგონას ნახვამ გამოიწვია. ძალიან კობტები იყვნენ. ხომ შეიძლებოდა ფიონგიც ერთ-ერთი იმათგანი ყოფილიყო. მისი დაცვა მომინდა, – თქვა პაილმა.

– არა მგონია, დაცვას საჭიროებდეს. მის ჰეიმ დაგპატიუათ?

– დიახ, მაგრამ არ წავსულვარ. თავი შორს მეჭირა, – პირქუშად დაამატა, – საშინელებაა. ნაძირალა ვარ-მეთ-

ქი, ვფიქრობდი. არ დამიჯერებთ, მაგრამ დაქორწინებული რომ ყოფილიყავით... მოკლედ, ცოლ-ქმარს შუაში არ ჩავუდგებოდი.

– დარწმუნებული კი ჩანხართ, რომ ჩვენ შუაში ჩადგომას შეძლებთ, – ვუთხარი მე, რადგან პირველად გამაღიზიანა.

– ფაულერ, თქვენი სახელი არ ვიცი...

– თომასი. რა იყო?

– თომი რომ დაგიძახოთ, შეიძლება? ვგრძნობ, ერთმანეთთან ამ გარემოებამ დაგვაახლოვა... ანუ ერთი და იმავე ქალის სიყვარულმა.

– ან რას აპირებთ?

ყუთებს მიანვა.

– ახლა ყველაფერი განსხვავებულად ჩანს, – თქვა მან, – ვთხოვ, რომ ცოლად გამომყვეს, თომ.

– მირჩევნია, თომასი დამიძახოთ.

– მას ჩვენ შორის მოუწევს არჩევა, თომას. ასე სამართლიანიც იქნება.

მაგრამ სამართლიანი რას ნიშნავდა? პირველად დამეუფლა სიცივე მარტოობის წარმოდგენაზე. რა სისულელე იყო... პაილი შეიძლება უნდელი საყვარელი კი იყო, მაგრამ მე ღარიბი გახლდით... მაგრამ მას ერთი უპირატესობა ჰქონდა: საზოგადოებაში კარგი ადგილის შეთავაზება შეეძლო.

გახდა დაინყო და გავიფიქრე, ახალგაზრდობაც აქვს-მეთქი. ძალიან სამწუხარო იყო პაილზე ეჭვიანობა.

– ცოლად ვერ შევირთავ. შინ ცოლი მყავს. არასოდეს გამშორდება. ძალიან ღვთისნიერია, თუ გაქვთ ამაზე წარმოდგენა, – ვთქვი მე.

– ბოდიში, თომას. ჰო, მართლა, მე ოლდენი მქვია, თუ გაინტერესებთ...

– პაილის დაძახება მირჩევნია. ჩემთვის პაილი ხართ.

საძილე ტომარაში შეწვა და სანთლის ჩასაქრობად გამოყო ხელი.

– ფუ! – შეუბერა სანთელს სული, – გულზე მომეშვა, რომ დასრულდა, თომას. თავს ამის გამო საშინლად ვგრძნობდი, – ჩანდა, რომ აღარ დარდობდა.

ოთახის სიბნელეში გარედან შემომავალი ხანძრის სინათლეზე მისი მოკლედ შეჭრილი თმის მოხაზულობა გავარჩიე.

– ღამე ნებისა, თომას. ტკბილი ძილი.

და უცებ, როგორც ცუდ კომედიაში საპასუხო რეპლიკა, გარეთ ნალმსატყორცნების სროლა ატყდა – შიშინი, წუილი, აფეთქება.

– ღმერთო მაღალო! – შეიცხადა პაილმა, – ეს შეტევაა?

– შეტევის შეჩერებას ცდილობენ.

– ანუ ამაღამ ძილი არ გვინერია?

– არანაირი.

– თომას, მინდა იცოდეთ, რას ვფიქრობ იმაზე, როგორც მიუდევით ამ ყველაფერს... მგონი, დიდებულად, საუცხოოდ, სხვა სიტყვა, უბრალოდ, არ შეეფერება.

– გმადლობთ.

– ამ ცხოვრებაში ჩემზე მეტი გაქვთ ნანახი. იცით, გარკვეულწილად ბოსტონი აზროვნებას უზღუდავს ადამიანს, თუ ლოუელი ან ქებოთი არა ხართ გვარად. თქვენგან ერთი რჩევა მჭირდება, თომას.

– რაზე?

– ფიონგზე.

– თქვენს ადგილას ჩემს რჩევას არ ვენდობოდი. მიკერძობული ვიქნები. მისი შენარჩუნება მინდა.

– კი, მაგრამ ხომ ვიცი, რომ წესიერი კაცი ხართ, თანაც, ორივე ჩვენგანი მის ინტერესებს ითვალისწინებს.

უეცრად მისი ბავშვური საქციელი ველარ ავიტანე და მივახალე:

– სულ ფეხებზე მკიდია მისი ინტერესები. მე მხოლოდ მისი სხეული მინდა. ლოგინში მჭირდება. თუნდაც განადგურდეს, მთავარია, ჩემთან იწვეს, ასე რომ, მისი ინტერესები არ მანაღვლებს.

– უი, – სუსტი ხმით თქვა სიბნელეში.

– თუ მხოლოდ მისი ინტერესები გადარდებთ, – განვაგრძე მე, – მაშინ, ღვთის გულისათვის, თავი დაანებეთ. როგორც ყველა ქალს, მასაც ურჩევნია... – გრუხუნმა ბოს-

ტონელის ყურები ანგლოსაქსური უხეში გამოთქმისგან დაიცვა.

მაგრამ პაილი აულებელი ციხესიმაგრე აღმოჩნდა. დაიჟინა, ჩინებულად იქცევით. ჰოდა, მეც ჩინებულად უნდა მოვექცეულიყავი.

– ვხვდები, რასაც განიცდით, თომას, – მითხრა მან.

– არაფერს განვიცდი.

– ოჰ, რას ბრძანებთ?! ხომ ვიცი, მე რა დამემართებოდა, ფიონგის დათმობა რომ დამჭირვებოდა.

– მაგრამ მე არ დამითმია.

– მეც კაცი ვარ, თომას, მაგრამ ყველაფერს დავთმობდი, ოღონდ კი ფიონგი ბედნიერი ყოფილიყო.

– ისედაც ბედნიერია.

– მის მდგომარეობაში ბედნიერი როგორ უნდა იყოს ქალი? მას შვილები სჭირდება.

– მისი დის სისულელების მართლა გჯერათ?

– დამ ზოგჯერ უკეთ იცის...

– თქვენს გამოჭერას მხოლოდ იმიტომ ცდილობს, რომ ჰგონია, მეტი ფული აქვსო, პაილ, და, ღმერთმანი, ვხედავ, რომ გამოუჭერიხართ კიდეც.

– მე მხოლოდ ჩემი ხელფასის ამარა ვარ.

– ჰო, მაგრამ ხელფასად აღებული დოლარის გადახურდავებაც შეგიძლიათ.

– ნუ იღარდებთ, თომას. ყველაფერი ხდება. ნეტავ თქვენ არ მოგსვლოდათ ეს და სხვა ნებისმიერი ყოფილიყო თქვენს ადგილას... ეს ჩვენი ნალმსატყორცნებია?

– კი, „ჩვენი“ ნალმსატყორცნებია. ისე მელაპარაკებით, თითქოს ფიონგი ჩემგან წასვლას აპირებდეს.

– ცხადია, – თავდაჯერებულად თქვა, – თუმცა მას შეუძლია თქვენ აგირჩიოთ.

– მერე რას იზამდით?

– სხვაგან გადაყვანას მოვითხოვდი.

– ჰოდა, ეგებ მშვიდობიანად გადასულიყავით, პაილ, პრობლემების გარეშე?

– მასთან უსამართლოდ მომივიდოდა, თომას, – სახსე-  
ბით სერიოზულად მითხრა. სხვებისთვის პრობლემების  
შექმნაში მასზე დასაბუთებულად მოტივირებული ადამი-  
ანი ცხოვრებაში არ მენახა. მერე დაამატა, – მგონი, ფიონგის  
სრულფასოვნად არ გესმით.

და ამ საუბრიდან თვეების შემდეგ ერთ დილით ფიონგის  
გვერდით რომ გამეღვიძა, გავიფიქრე, და შენ კი გესმის? ამ  
მდგომარეობას წინასწარ გათვლიდი? წარმოიდგენდი, რომ  
ფიონგს ბედნიერად ეძინებოდა ჩემ გვერდით, შენ კი მკვდა-  
რი იქნებოდი-მეთქი? დრო ზოგჯერ შურს იძიებს ხოლ-  
მე, მაგრამ ეს შურისძიება დაგვიანებულია. და რატომღა  
ვცდილობთ ერთმანეთს გაუფგოთ? არ ჯობია, ვალიაოთ,  
რომ არ შეუძლია ერთ ადამიანს მეორის ბოლომდე გაგება  
– ცოლს ქმრისა, საყვარელს საყვარლისა, მშობელს შვილი-  
სა? შესაძლებელია სწორედ ამიტომაც გამოიგონეს ადამი-  
ანებმა ღმერთი – არსება, რომელსაც ქვეყნად ყველაფრის  
გაგება შეუძლია. შეიძლება ვინმეს გაგება რომ მნდომოდა,  
ან მომესურვებინა, რომ ვინმეს გაეგო ჩემთვის, თავი რომე-  
ლიმე სარწმუნოებით მომეტყუებინა, მაგრამ რეპორტიორი  
ვარ; ღმერთი კი მხოლოდ მოწინავე სტატიების ავტორების-  
თვის არსებობს.

– დარწმუნებული ხართ, რომ ფიონგს რაიმე გასაგები  
აქვს? – ვკითხე პაილს, – ოჰ, ღვთის გულისათვის, მოდი,  
ვისკი დავლიოთ. საკამათოდ მეტისმეტი ხმაურია.

– ცოტა ადრეა, – თქვა პაილმა.

– მეტისმეტად გვიანაა, – ვთქვი და ორი ჭიქა შევავეს;  
პაილმა თავისი ჭიქა ასწია და მასში სანთლის ალს გახედა.  
ყოველი ჭურვის გასკდომაზე ხელი უკანკალებდა, რა ტყუ-  
ილად აიტკივა თავი ნამ-დინში გამომგზავრებით.

– უცნაურია, რომ არცერთ ჩვენგანს არ შეუძლია, გაგი-  
მარჯოსო, ერთმანეთს უთხრას, – თქვა პაილმა.

ამიტომ სადღეგრძელოს უთქმელად გადავკარით.

# თავი V

1

ვფიქრობდი, საიგონში ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ სამი კვირა გამეწელა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ფატ-დიემში უფრო იოლად მოხვდებოდა კაცი, ვიდრე გამოალწევდა. ნამ-დინსა და ჰანოის შორის გზა გადაჭრილი იყო, ავიაციას კი იმ რეპორტიორისთვის არ ეცალა, რომელიც ფატ-დიემში ისედაც არ უნდა გამოჩენილიყო. როდესაც ჰანოიში ჩავალწიე, კორესპონდენტები უახლესი გამარჯვების სანახავად წაეყვანათ თვითმფრინავით, ხოლო როდესაც უკან ჩამოიყვანეს, აღმოჩნდა, რომ იქ ჩემი ადგილი მაინც არ დარჩენილიყო. პაილი ფატ-დიემიდან ჩამოსვლის დილასვე გაქრა: მისია შეასრულა – მე ფიონგზე დამელაპარაკა და იქ აღარაფერი აკავებდა. დილის ექვსის ნახევარზე ნალმსატყორცნების ცეცხლი რომ მიწყდა, ეძინა, ამიტომ სასადილოში მარტო გავედი ყავის დასალევად და ორცხობილას საჭმელად, ხოლო როდესაც დავბრუნდი, ოთახში აღარ დამხვდა. გავიფიქრე, სასეირნოდ წავიდოდა-მეთქი – მას შემდეგ, რაც ნამ-დინიდან მდინარეს ჩამოჰყვა ჭოკიანი ნავით, ორიოდე სნაიპერი ველარ შეაშინებდა; ვერც იმას ხვდებოდა, რომ საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდება შეეძლო, და ვერც იმას, რომ სხვებს აყენებდა ტკივილს – ამის წარმოდგენის უნარი აკლდა. ერთხელ, – რამდენიმე თვის მერე – ისე გამოვედი წყობიდან, რომ ხელი ვუბიძგე და პირდაპირ იმ სისხლში ჩავაყოფინე ფეხი, მისი მიზეზით რომ იყო დაღვრილი; კარგად მახსოვს, როგორ შეცბუნებულმა დაიხედა დასვრილ ფეხსაცმელზე და თქვა, მანამდე უნდა მოვასწრო განმენდა, სანამ დესპანს ვნახავდეთ. ვიცოდი, რომ გონებაში უკვე იორკ ჰარდინგისგან ნასწავლ ფრაზებს აყალიბებდა. არადა, თავისებურად, გულწრფელი ტიპი იყო, რისი წყალობითაც მსხვერპლი ყოველთვის სხვას უნდა გაელო, გარდა იმ საღამოსი, როდესაც თვითონ გახდა მსხვერპლი ხიდის ქვეშ.

მხოლოდ საიგონში დაბრუნების შემდეგ შევიტყვე, რომ როდესაც ყავის დასალევად ვიყავი გასული, პაილს ფლოტის ოფიცერი დაეყოლიებინა, რომ სადესანტო კატარღაზე აეყვანა, კატარღიდან კი, რუტინული პატრულირების შემდეგ, ნამ-დინში გადასულიყო. ბედმა გაუღიმა და პაილი ტრაქომასთან მებრძოლ შენაერთთან ერთად ჰანოიში ერთი დღით ადრე დაბრუნდა, სანამ გზა ოფიციალურად გადაჭრილად გამოცხადდებოდა. როდესაც ჰანოიში ჩავალწიე, მას უკვე სამხრეთში გამგზავრება მოესწრო, თუმცა ჩემთვის პრესის სახლში ბარმენტთან დაეტოვებინა ბარათი.

„ძვირფასო თომას, – მწერდა პაილი, – ვერც გადმოგცემთ, როგორ დიდებულად მოიქეცით იმ ღამეს. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ გული ყელში მქონდა მობჯენილი, როდესაც იმ ღამით თქვენს სანახავად შემოვედი ოთახში (მდინარეს რომ დაუყვა, მაშინ სად ჰქონდა გული?). ბევრი მამაკაცი არ მეგულება, ვინც ასეთ რამეს მშვიდად მიიღებდა. შესაშურად გეჭირათ თავი და მეც, მას შემდეგ, რაც ყველაფერი გითხარით, ისე საძაგლად აღარ ვგრძნობ თავს. (მხოლოდ საკუთარი გოგრა ადარდებდა? ამის გაფიქრებაზე გავბრაზდი, თუმცა კი ვხვდებოდი, ცუდის გაკეთება არ უნდოდა. მისთვის მთავარი იყო, რომ თავი არ ეგრძნო ნაძირალად – თუკი ამას მოახერხებდა, მისი გაგებით, მეც უფრო ბედნიერად ვიგრძნობდი თავს, ფიონგიც, მთელი მსოფლიოც და ეკონომიკური ატაშეც კი. ინდოჩინეთში გაზაფხულდა, რაც პაილი თავს ნაძირალად აღარ მიიჩნევდა.). აქ მთელი ოცდაოთხი საათი გელოდით, მაგრამ ახლა თუ არ გავემგზავრები, საიგონში ერთი კვირა ველარ მოვხვდები, ნამდვილი საქმე კი სამხრეთში მელოდება. ტრაქომასთან ბრძოლის შენაერთის ბიჭებს ვუთხარი, რომ მოგინახულონ, მჯერა, მათზე კარგი შთაბეჭდილება დაგრჩებათ. საუკეთესო ბიჭები არიან, თან, მუხლჩაუხრელი მშრომელები. ნუ იჯავრებთ იმაზე, საიგონში თქვენზე ადრე რომ ვბრუნდები. გპირდებით, თქვენს ჩამოსვლამდე ფიონგს არ ვნახავ.

არ მინდა მოგვიანებით იფიქროთ, რომ უსინდისოდ მოვი-  
ქეცი.

გულწრფელად თქვენი,  
ოლდენი“.

ისევ ეს თავდაჯერებული ვარაუდი, რომ „მოგვიანებით“  
ფიონგს მაინცდამაინც მე დავეკარგავდი. ნუთუ ეს დაიმე-  
დებულობა დოლარის გაცვლით კურსს ემყარებოდა? არა-  
და, ინგლისში სიმყარესა და საიმედოობას სტერლინგს ვა-  
დარებდით ხოლმე. ახლა დოლარივით მყარ სიყვარულზეც  
ხომ არ დაგვეწყო ლაპარაკი? დოლარივით მყარი სიყვარუ-  
ლი, რასაკვირველია, ქორწინებასა და ძესაც მოიაზრებდა,  
ასევე დედის დღესაც, თუმცა შესაძლოა მაინც განქორ-  
წინებით დასრულებულიყო, რისთვისაც დღეს რენოსა და  
ვირჯინიის კუნძულებზე უწევდათ გამგზავრება პროცესის  
დასაჩქარებლად. დოლარის სიყვარულს კეთილი ზრახვები  
და სუფთა სინდისი ჰქონდა, დანარჩენი კი თუნდაც ჯანდა-  
ბის გზას დასდგომოდა, მაგრამ ჩემს სიყვარულს ზრახვები  
სულაც არ ჰქონია: იცოდა, რა მომავალიც ელოდა. ერთა-  
დერთი, რისი გაკეთებაც შემეძლო, ის იყო, რომ მომავლის-  
თვის თავი შემემზადებინა, რათა მისი დარტყმა ნაკლებად  
მტკივნეული მომჩვენებოდა, საამისოდ კი ოპიუმსაც არა  
უშავდა. მაგრამ არასდროს მივარაუდია, რომ მომავალი,  
რომლისთვისაც ფიონგის შემზადება მომიწევდა, პაილის  
დალუპვა იქნებოდა.

უქმად ჯდომას უქმად შრომა სჯობს-მეთქი, გავიფიქრე  
და პრესკონფერენციაზე წავედი. გრეინჯერი, ცხადია, იქ  
დამხვდა. სხდომას ახალგაზრდა და ძალიან ლამაზი ფრანგი  
კოლონელი თავმჯდომარეობდა. ის ფრანგულად ლაპარა-  
კობდა და უმცროსი ოფიცერი თარგმნიდა. ფრანგი კორეს-  
პონდენტები მეტოქე გუნდის ფეხბურთელებივით ისხდნენ.  
კოლონელის ლაპარაკისთვის ყურის მიგდება გამიჭირდა:  
სულ ფიონგზე ვფიქრობდი და გულში გამივლებდა ხოლმე  
აზრი, რომ შესაძლოა პაილი მართალიც იყო და მე ფიონგს  
მაინც დავეკარგავდი. და მერე როგორ მეცხოვრა?

თარჯიმანმა თქვა:

– კოლონელი მოგახსენებთ, რომ მტერმა მწვავე მარცხი და მძიმე დანაკარგი განიცადა – მთელი ერთი ბატალიონის ტოლი. მტრის უკანასკნელი შენაერთები ახლა წითელი მდინარის გადაკვეთას ცდილობენ თვითნაკეთი ტივებით, ჩვენი ავიაძალები კი მათ ბომბავენ.

კოლონელმა ელეგანტურად დავარცხნილ ქერა თმაზე გადაისვა ხელი და საჩვენებელი ჯოხით კედელზე დაკიდებულ დიდ რუკასთან მივიდა. გრეინჯერმა იკითხა:

– საფრანგეთის დანაკარგი როგორია?

კოლონელმა მშვენივრად გაიგო კითხვის არსი, რადგან, ჩვეულებრივ, პრესკონფერენციის ამ ნაწილში დაისმოდა ხოლმე, მაგრამ მან საჩვენებელი ჯოხი ასწია და სკოლის მასწავლებელივით ღიმილიანი სახით დაიცადა, სანამ უთარგმნიდნენ, მერე კი მოთმინებითა და ბუნდოვნად უპასუხა.

– კოლონელი ამბობს, რომ ჩვენი დანაკარგი მძიმე არ არის. ზუსტი რიცხვი ამ ეტაპზე უცნობია.

ეს ყოველთვის გასაჭირზე მიანიშნებდა. ადრე თუ გვიან, კოლონელს ფორმულირების პოვნა მოუწევდა, რათა ურჩი კლასის მართვა მოეხერხებინა, თორემ სკოლის დირექტორი სხვა, უფრო მარჯვე მასწავლებელს დანიშნავდა, რომელიც კლასში წესრიგის უზრუნველყოფას შეძლებდა.

– კოლონელი სერიოზულად გვეუბნება, – დაინყო კითხვის დასმა გრეინჯერმა, – რომ მტერს დახოცილი ჯარისკაცები დაუთვალა, როდესაც საკუთრის დასათვლელად დრო ვერ გამონახა?

კოლონელი კი მოთმინებით ცდილობდა თავის ასარიდებელი პასუხის მიკიბ-მოკიბვას, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად მოეხსენებოდა, მომდევნო კითხვა სიცრუეს რომ ამხელდა. ფრანგი კორესპონდენტები პირში წყალჩაგუბებულნი ისხდნენ. თუკი ამერიკელები კოლონელის აღიარებას მოიპოვებდნენ, ამ ფაქტს თვითონაც გამოიყენებდნენ, მაგრამ თანამემამულის გამოჭენება მაინცდამაინც არ უნდოდათ.

– კოლონელი ამბობს, რომ მტრის ძალები შემუსვრილია. შესაძლებელია ცეცხლის ხაზის მიღმა დახოცილების დათ-

ვლა, მაგრამ როდესაც ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება, წინ გაჭრილი ფრანგული შენაერთებისგან ციფრებს არ უნდა ელოდოთ.

– მაგას არც ველოდებით, – შეეპასუხა გრეინჯერი, – უბრალოდ, გვანტიერესებს, რა იცის შტაბმა და რა არა. სერიოზულად გვარწმუნებთ, რომ ოცეულები თავ-თავიანთ დანაკარგზე არაფერს იტყობინებიან რაციით?

კოლონელს მოთმინება ელეოდა. ხომ შეიძლებოდა ამ დალოცვილს თავიდანვე სიცრუით არ დაეწყო და პირდაპირ ეთქვა, რაოდენობა ვიცი, მაგრამ ვერ დავასახელებო. რაც არ უნდა იყოს, ეს იმათი ომი იყო, ჩვენი ხომ არა. ღმერთსაც კი არ მოეცა ჩვენთვის ინფორმაციის მოთხოვნის უფლება. ჩვენ არც პარიზელ მემარცხენე დეპუტატებთან გვინევდა შეხლა-შემოხლა და არც ჰო ში მინის ჯარების მოგერიება შავ და წითელ მდინარეებს შორის. ჩვენ არ ვიხოცებოდით.

კოლონელმა უეცრად წამოისროლა, რომ ფრანგების დანაკარგი ერთი სამთან არის, მერე ზურგი მოგვაქცია და მძვინვარედ შეხედა რუკას. ეს დანაკარგი მისი ჯარისკაცები იყვნენ, მისი ოფიცრები, რომლებიც მასთან ერთად სენ-სირში<sup>1</sup> სწავლობდნენ; ეს დანაკარგი მისთვის ცარიელი ციფრები არ იყო, როგორც გრეინჯერისთვის.

– რალაც ხელჩასაჭიდი მაინც გვაქვს! – წამოიძახა გრეინჯერმა და გამარჯვების გამომხატველი მზერა ყეყეჩივით მოავლო კოლეგებს; თავჩაქინდრულმა ფრანგებმა სევდიანად ამოიოხრეს.

– კორეაში თქვენი ჯარები ამდენსაც არ ამბობენ, – თავი ისე დავიჭირე, ვითომ მისი ბოლომდე არ მესმოდა, გრეინჯერმა კი თემა სხარტად შეცვალა.

– ჰკითხე კოლონელს, – მიმართა მან თარჯიმანს, – ფრანგები ანი რის გაკეთებას აპირებენ? ის ამბობს, მტერი შავი მდინარის გადაკვეთას ცდილობს...

– წითლის, – შეუსწორა თარჯიმანმა.

– სულერთია, რა ფერია მდინარე. ჩვენ მხოლოდ იმის გაგება გვინდა, რის გაკეთებას აპირებენ ფრანგები.

<sup>1</sup> საფრანგეთის სამხედრო აკადემია.

– მტერი გარბის.

– რა მოხდება, როდესაც მეორე ნაპირზე გადახვალთ? მტერს რას უპირებთ? ნაპირზე დასხდებით და იტყვით, ყველაფერი დამთავრდაო? – ფრანგი ოფიცრები გრეინჯერის შუურაცხმყოფელ ტონს პირქუში მდუმარებით უსმენდნენ. დღეს მორჩილება კი ევალემა ჯარისკაცს, – საშობაო ბარათებს ჩაუყრით?

მისი სიტყვები კაპიტანმა ზედმინევნით გადათარგმნა, მათ შორის, „საშობაო ბარათებიც“. კოლონელმა სუსხიანი ღიმილით შემოგვხედა.

– საშობაო ბარათებს ნამდვილად არა, – მიუგო მან. მგონი, კოლონელის სიჭაბუკე და სილამაზე ალიზიანებდა ასე გრეინჯერს, რადგან ასეთ სილამაზეს მამაკაცურობასთან ვერ აკავშირებდა.

– სხვას მაინც არაფერს უყრით და... – კბილებში გამოცრა მან.

კოლონელი კი უეცრად თავანკარა ინგლისურით ალაპარაკდა:

– ამერიკელების დაპირებული დახმარება რომ მიგველო, ჩამოსაყრელს გამოვნახავდით, – მიუხედავად თავისი ელეგანტურობისა, უბრალო ადამიანი ჩანდა. სჯეროდა, რომ გაზეთის კორესპონდენტს თავისი ქვეყნის ღირსება უფრო ძვირად უღირდა, ვიდრე სენსაციური ახალი ამბავი.

გრეინჯერმა ჯიქურ დაუსვა კითხვა (საკმაოდ ენამოსწრებული იყო და ანალიზის გაკეთების უნარიც არ აკლდა).

– იმას გულისხმობთ, რომ სექტემბრის დამდეგს გაცემული დაპირებებიდან არაფერი მიგიღიათ?

– არა.

გრეინჯერმა სენსაციურ ამბავს მოჰკრა ყური და ჩანერას შეუდგა.

– უკაცრავად, – უთხრა კოლონელმა, – ეს პრესისთვის არ მითქვამს; უბრალოდ, ვითარებისთვის შუქის მოსაფენად მოგახსენეთ.

– კი მაგრამ, კოლონელო, – გააპროტესტა გრეინჯერმა, – ეს სენსაციური ამბავია. სიტყვას მაინც შეგანევთ.

– არა, ეს დიპლომატიების საქმეა.

– და რა ზიანს მოიტანს?

ფრანგი კორესპონდენტები დაიბნენ: ინგლისური ძალიან ცუდად ესმოდათ, კოლონელმა კი წესები დაარღვია. გაბრაზებულებმა ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს.

– მსაჯულად მე ვერ გამოვდგები, – თქვა კოლონელმა, – ამერიკულმა პრესამ კი შეიძლება თქვას, ოჰ, ეს ფრანგები სულ წუნუნებენ და სულ მათხოვრობენო. პარიზში კომუნისტები ამოიდგამენ ენას: ფრანგები ამერიკისათვის სისხლს ღვრიან, ამერიკა კი მათთვის ნახმარ შვეულმფრენსაც ვერ იმეტებსო. ეს სიკეთეს არ მოიტანს. შედეგად რას მივიღებთ? – არც შვეულმფრენებს მოგვაშველებს ვინმე და არც მტერი მოიცვლის ფეხს: ჰანოიდან ორმოცდაათ კილომეტრში დარჩება ჩასაფრებული.

– ის მაინც ხომ შემიძლია დავბეჭდო, როგორ გჭირდებათ შვეულმფრენები?

– შეგიძლიათ დაბეჭდოთ, – მიუგო კოლონელმა, – რომ ექვსი თვის წინ სამი შვეულმფრენი გვყავდა, ახლა – მხოლოდ ერთი. ერთი, – გაიმეორა შემცბარმა, – შეგიძლიათ თქვათ, რომ თუ ადამიანი დაიჭრა ბრძოლაში, თუნდაც მსუბუქად, უკვე იცის, რომ მისი საქმე წასულია. თორმეტი, ზოგჯერ ოცდაოთხი საათიც საკაცეზე ჰოსპიტლამდე, ცუდი გზები, ავარია, შესაძლოა ჩასაფრება, განგრენა... უმჯობესია, მაშინვე მოკვდეს, – ფრანგი კორესპონდენტები წინ გადაიხარნენ, უკეთ რომ გაეგონათ, – შეგიძლიათ დანეროთ, – თქვა კოლონელმა და ფიზიკური სილამაზის მიუხედავად, გესლიანი მზერით შეხედა, – *Interpretez!*, – ბრძანა და დარბაზიდან გავიდა, კაპიტანს კი უჩვეულო ამოცანის შესრულება დაეკისრა – ინგლისურიდან ფრანგულად უნდა ეთარგმნა.

– დავაჭირე თუ არა მტკივნეულ ადგილას?! – დაიტრახა გრეინჯერმა და ბარის კუთხეში გადაინაცვლა ტელეგრამის დასაწერად. მე კი მალევე დავწერე, რადგან ფატ-დიემზე ბევრი არაფერი მქონდა სათქმელი, რასაც ცენზორები გაუშვებდნენ. ამბავს რომ განსაკუთრებული ფასი ჰქონო-

<sup>1</sup> თარგმნეთ (ფრ.).

და, ჰონკონგში გადავფრინდებოდი და იქიდან გავგზავნიდი, მაგრამ გაძევების რისკად მილირდა? მეექვსება. გაძევება ჩემი ცხოვრებისთვის წერტილის დასმას ნიშნავდა. ამას გარდა, ეს პაილის გამარჯვება იქნებოდა, მაგრამ როდესაც სასტუმროში დავბრუნდი, კარადაზე სწორედ მისი გამარჯვების ფაქტი მელოდა – დანიანურების მაუნყებელი ტელეგრამა. დანტესთანაც ვერ შეხვდები კაცი დანყველილი საყვარლებისთვის ამისთანა სასჯელს, პაოლოც კი არ გადაუყვანიათ ჯოჯოხეთიდან სალხინებელში.

ჩემს ოთახში ავედი, სადაც ონკანიდან ცივი წყალი წვეთავდა (რადგან ჰანოიში ცხელი წყალი არ მოდიოდა) და ჩამოვჯექი სანოლზე, რომელსაც კოლოებისგან დამცავი ბადის ღრუბელი ჰქონდა გადაფარებული. გაზეთის საგარეო განყოფილების რედაქტორი უნდა გავმხდარიყავი და ბლექფრაიერსის სადგურთან ყოველდღე ოთხის ნახევარზე პირქუშ ვიქტორიანულ შენობაში უნდა მევლო, რომელშიც ლიფტის გვერდით კედელს ლორდ სოლსბერის ბარელიეფი ამშვენებდა. ეს სასიხარულო ამბავი საიგონიდან მაუნყევს, ამიტომ მაინტერესებდა, ფიონგის ყურამდეც თუ მიაღწია უკვე-მეთქი. რეპორტიორი აღარ ვიქნებოდი, უკვე საკუთარი აზრი მექნებოდა და ასეთი ცარიელი პრივილეგიის ფასად პაილთან მეტოქეობაში ბოლო იმედიც მერთმეოდა. მე ჩემი გამოცდილების დაპირისპირება შემეძლო მისი უბინოებისთვის, გამოცდილება კი სექსუალურ თამაშში ისეთივე კარგი კარტი იყო, როგორიც ახალგაზრდობა, მაგრამ ფიონგს ახლა მომავალს ველარ შევთავაზებდი, თორმეტ თვესაც კი, არადა, კოზირის როლს სწორედ მომავალი ასრულებდა. ყველაზე უკანასკნელი ოფიცრისაც კი მშურდა, რომელსაც მშობლიური სახლი ენატრებოდა, სიკვდილი კი ყურის ძირში ჰყავდა ჩასაფრებული. ტირილი მინდოდა, მაგრამ თვალი ისეთივე მშრალი მქონდა, როგორიც ცხელი წყლის მომწოდებელი მილი. ოჰ, შინ სხვები დაბრუნდნენ-მეთქი, ენატრობდი, მე კი ჩემი ოთახიც მეყოფოდა კატინას ქუჩაზე.

დალამებულზე აცივება იცის ჰანოიში, ლამპიონები კი საიგონისგან განსხვავებით აქ სუსტად ანათებს, რაც ქალების მუქ ტანსაცმელსა და ომიანობას ძალიან შეშვენიის. გამბეტას ქუჩით ბარ „პაქსში“ წავედი; „მეტროპოლში“ უფროს ფრანგ ოფიცრებთან, მათ ცოლებსა და ქალიშვილთან ერთად დალევა არ მსურდა. როდესაც ბარს მივუახლოვდი, ჰაო-ბინიდან ქვემეხების ხმა გაისმა. დღისით ქუჩის ხმაური იყო, მაგრამ ახლა სიჩუმე იდგა, რომელსაც მხოლოდ ველორიქმების ზარის წკრიალი არღვევდა რიქშასადგომებიდან. პიეტრი თავის ჩვეულ ადგილზე იყო. უცნაური, ჩამოგრძელებული თავის ქალა თეფშზე დადებულ მსხალს მიუგავდა. უშიშროებაში მუშაობდა და მშვენიერი ტონკინელი ქალი ჰყავდა ცოლად, ბარი „პაქსის“ პატრონი. მასაც, ჩემი არ იყოს, შინ დაბრუნების არავითარი სურვილი არ ჰქონია. კორსიკელი იყო, მაგრამ მარსელი ერჩივნა, მარსელს კი გამბეტას ქუჩის ტროტუარზე, ბარის შესასვლელთან ჯდომას ამჯობინებდა. მაინტერესებდა, უკვე თუ იცის ჩემი ტელეგრამის შინაარსი-მეთქი.

– „ოთხმოცდაერთი“ ვითამაშოთ? – მკითხა მან.

– რატომაც არა.

კამათლების გაგორება დავიწყეთ და წარმოუდგენლად მომეჩვენა, რომ ოდესმე გამბეტას და კატინას ქუჩების გარეშე შევძლებდი ცხოვრებას, სადაც ვერც ვერმუთ-კასის დავლევდი, ვერც კამათელს გავაგორებდი და ველარც ქვემეხების ხმას გავიგონებდი, რომლებიც ჰორიზონტზე საათის ისარივით გადაადგილდებოდა.

– მივემგზავრები, – ვუთხარი პიეტრის.

– შინ? – მკითხა და დორი-ჩარი და დუ-იაქე დასვა.

– არა. ინგლისში.

**მეორე ნახილი**

## თავი I

პაილმა ძალად დამაპატიჟებინა თავი, სასმელზე შემოგვივლიო, თუმცა ვიცოდი, რომ არ სვამდა. რამდენიმე კვირის გასვლის შემდეგ ფატ-დიემში ჩვენი ფანტასტიკური შეხვედრა დაუფერებლად მეჩვენებოდა: საუბრის დეტალებიც კი ბუნდოვანდებოდა. ის საუბარი უკვე რომაულ აკლდამაზე გამოტოვებულ ასოებს ჰგავდა, მე კი არქეოლოგს, რომელიც ამ ასოების პოვნით იჭყლეტდა ტვინს. ისიც კი მეჩვენებოდა, რომ მაშინ ჩემი გასულელება მოინდომა და გამთენიისას დაწყებული საუბრით ნამდვილი განზრახვის დაფარვა სცადა – ტყუილად ხომ არ დადიოდა ჭორი, საიგონში იმ სამსახურის აგენტი, რომელსაც რატომღაც „საიდუმლო“ ეწოდებო. შესაძლებელია ამერიკული იარაღის მესამე ძალისთვის – ეპისკოპოსის მესაყვირეთა რაზმისთვის მიწოდებას აგვარებდა; ეს რაზმი ხომ უხელფასოდ დარჩენილი ახალგაზრდებისგან შედგებოდა. ტელეგრამა, რომელიც ჰანოიში დიდხანს მელიოდა, ჯიბეში მედო. ფიონგისთვის კი, ალბათ, ამის გამხელას აზრიც არ ჰქონდა, რათა ერთად გასატარებელი ის რამდენიმე თვე ტირილითა და უსიამოვნებებით არ მომენამლა. ბოლო წუთამდე არც გასვლის ნებართვის თხოვნას ვაპირებდი – ეგებ საიმიგრაციო ოფისში ფიონგს რაიმენაირი კავშირი ჰქონოდა? უბრალოდ, ვუთხარი:

– პაილი ექვსისთვის აპირებს შემოვლას.

– მე ჩემს დასთან წავალ, – თქვა მან.

– მგონი, პაილს შენი ნახვა სურს.

– მას არც მე მოვწონვარ, არც ჩემი ოჯახი. წასული რომ იყავი, ერთხელაც არ მოსულა ჩვენთან, მიუხედავად იმისა, რომ ჩემმა დამ მოიპატიჟა. ძალიან გულნატკენი დარჩა.

- შენი წასვლა არ არის საჭირო.
- ჩემი ნახვა რომ ნდომოდა, „მაჟესტიკში“ დავგიტყვამ-  
და შეხვედრას. შენთან უნდა საქმეზე პირისპირ ლაპარაკი.
- რას საქმიანობს?
- ხალხი ამბობს, მნიშვნელოვანი რამეები ჩამოაქვსო.
- რა რამეებიო?
- ნარკოტიკები, წამლები.
- ტრაქომასთან ბრძოლის შენაერთისთვის უნდა.
- შესაძლებელია. საბაჟო ამ გზავნილებს ვერ ხსნის.  
დიპლომატიური ამანათებია, მაგრამ ერთხელ შეცდომა  
მომხდარა და გზავნილი გაუხსნიათ, რის გამოც მოხელე  
მოხსნეს. პირველმა მდივანმა კი დაიმუქრა, ყველანაირ იმ-  
პორტს შევაჩერებო.
- ამისთანა რა იდო?
- პლასტიკი.
- პლასტიკი რალად უნდოდათ? – ვიკითხე უხალისოდ.

როდესაც ფიონგი წავიდა, მე ინგლისში გასაგზავნი ნე-  
რილი დავწერე. „როიტერის“ ერთ-ერთი თანამშრომელი  
რამდენიმე დღეში ჰონკონგში აპირებდა გამგზავრებას და  
იქიდან გამიგზავნიდა. ვიცოდი, რომ ტყუილად ვფაფხუ-  
რობდი, მაგრამ ყველაფერი უნდა მეღონა, რომ მერე არ  
მენანა. მთავარ რედაქტორს მივწერე, არასწორ დროს მო-  
გისურვებით კორესპონდენტის შეცვლა-მეთქი. პარიზში  
გენერალი ლატრი კვდება; ფრანგები ჰაო-ბინიდან ჯარის  
გამოყვანას აპირებენ; ჩრდილოეთი ასეთ საფრთხეში არას-  
დროს ყოფილა მანამდე; საგარეო საქმეთა რედაქტორად  
არ გამოვდგები, ერთი უბრალო კორესპონდენტი ვარ, რო-  
მელსაც საკუთარი აზრი არაფერზე გააჩნია-მეთქი; ბოლო  
გვერდზე პირადი მოტივებიც კი ვახსენე, მაგრამ მეექვსე-  
ბოდა, რომ ფლუორესცენციული ნათურების შუქზე, მწვა-  
ნე ტენტებსა და სტანდარტულ ფრაზებს – „გაზეთის საკე-  
თილდლეოდ“, „ვითარებიდან გამომდინარე“ – შორის ადა-  
მიანური თანაგრძნობა გაჭაჭანებულიყო.

ასეთი რამ მივწერე: „პირადი მოტივების გამო ძალიან ვწუხვარ, რომ ვიეტნამიდან მიწევს გამგზავრება. არა მგონია, ინგლისში უკეთ ვიმუშაო, სადაც არა მხოლოდ ფინანსური, არამედ ოჯახური პრობლემებიც მელოდება. მერწმუნეთ, რომ შემეძლოს, სამსახურიდან სულ წავიდოდი, ვიდრე გაერთიანებულ სამეფოში დაბრუნებაზე ვიფიქრებდი. ამას იმიტომ გწერთ, რომ მიხვდეთ, რაოდენ არ მსურს მანდ დაბრუნება. არა მგონია, ცუდ კორესპონდენტად მიმიჩნევდეთ, მე კი თხოვნით პირველად მოგმართავთ“.

შემდეგ გადავიკითხე ფატ-დიემში გამართული ბრძოლის შესახებ დაწერილი სტატია, რომელიც ასევე ჰონკონგიდან უნდა გამეგზავნა თარიღისა და ადგილის მიუთითებლად. ფრანგები აღარ იწყენდნენ – ალყა მოხსნილი იყო, ხოლო მარცხის გამარჯვებად გასაღება შეიძლებოდა. მერე რედაქტორისთვის მიწერილი წერილის ბოლო გვერდი დავხიე: პირადი მიზეზების განვრცობა არ ღირდა, რადგან მასხრად ამიგდებდნენ. ისედაც ყველამ იცოდა, რომ ყოველ კორესპონდენტს აქ თითო აქაური გოგო ეწვა ლოგინში. მერე მთავარი რედაქტორი ღამის გამოშვების რედაქტორთან ამიგდებდა მასხრად, ის შურით გასკდებოდა გულზე, როდესაც სთრეითემში მომიჯნავე სახლთან საერთო კედლის მქონე სახლში დაბრუნდებოდა და ერთგულ ცოლს მიუწევებოდა გვერდით, რომელიც მრავალი წლის წინ გლაზგოდან მოეყვანა. წარმოსახვის თვალთ მკაფიოდ ვხედავდი მის სახლს, რომელშიც თანაგრძნობა არ უნდა მეძებნა – დამტვრეული სამთვალა ველოსიპედი ჰოლში; ოჯახის რომელიმე წევრის მიერ გატეხილი რედაქტორის საყვარელი ყალიონი; მისაღებ ოთახში ბავშვის პერანგი, რომელზეც ღილი იყო დასაკერებელი. „პირადი მოტივები“... პრესკლუბში სასმლის წრუპვისას და ფიონგზე ფიქრში გართულს მათი ლადაობების მოსმენა ნამდვილად არ მინდოდა.

კაკუნე გაისმა. პაილს კარი გავუღე და მისი შავი ძაღლი პირველი შემოვიდა. პაილმა ოთახი მოათვალიერა და ნახა, რომ ოთახში ჩემ გარდა არავინ იყო.

– მარტო ვარ, – ვუთხარი მე, – ფიონგი დასთან წავიდა.

განითლდა. ჰავაური პერანგი ეცვა, თუმცა კი ფერებითა და განყოფილებით სადა. მისმა ასეთმა ჩაცმულობამ გამაკვირვა: ნუთუ ანტიამერიკულ საქმიანობაში ედებოდა ბრალი?

– იმედია, ხელი არ შეგიშალეთ.

– ცხადია, არა. დავლიოთ რამე?

– გმადლობთ. ლუდი იყოს.

– უკაცრავად. მაცივარი არა გვაქვს და ყინულს ვყიდულობთ ხოლმე. ვისკი?

– სულ ცოტა, თუ არ შენუხდებით. მაგარი სასმელების მოყვარული არ გახლავართ.

– გაუზავებლად?

– სოდიანი ჩაურით ბლომად, თუ საკმარისად გაქვთ.

– ფატ-დიემის მერე არც მინახავხართ, – ვუთხარი მე.

– ჩემი ბარათი მიიღეთ, თომას?

როდესაც ნათლობის სახელით მომმართა, ამით თითქოს პირში მომახალა, მაშინ არ ვხუმრობდი და ახლა ფიონგს მოვაკითხეო. შევნიშნე, რომ თმა კოხტად შეეკრიჭა; და ეს ჰავაური პერანგი მამლის შებუმბვლილობას გამოხატავდა?

– მივიღე, – ვუპასუხე, – ცხვირში კაი მუშტი არ განწყენდათ.

– ცხადია, მართალი ბრძანდებით, თომას, – დამეთანხმა, – მაგრამ კოლეჯში კრივზე დავდიოდი, თან, თქვენზე ბევრად ახალგაზრდა ვარ.

– არა, ცხადია, ეს სვლა არ ივარგებს.

– იცით, თომას (დარწმუნებული ვარ, თქვენც ამას ფიქრობთ), არ მომწონს ფიონგზე მის ზურგს უკან ლაპარაკი. მეგონა, აქ დამიხვდებოდა.

– მაშ, პლასტიკზე ვილაპარაკოთ? – არ მინდოდა შემეცბუნებინა.

– თქვენც იცით?

– ფიონგმა მითხრა.

– მან საიდანლა...

– მთელმა ქალაქმა იცის. ასეთი მნიშვნელოვანია? სათამაშოების ბიზნესში ხართ?

– არ მოგვწონს, როდესაც დეტალები ვრცელდება. ხომ იცით, კონგრესი რაც არის, ასევე მოგზაური სენატორებიც. ტრაქომასთან ბრძოლის შენაერთს ისედაც პრობლემები ჰქონდა, რადგან ერთი ნამლის მაგივრად, მეორეს იყენებდა.

– პლასტიკის დანიშნულებას მაინც ვერ ვხვდები.

მისი შავი ძალის იატაკზე იჯდა და საკმაოდ დიდ ადგილს იკავებდა. დამწვარი ორცხობილას მსგავსი ენა გადმოეგდო და ქოშინებდა.

პაილმა გაუგებრად მიპასუხა:

– იცით, გვინდა ადგილობრივი მრეწველობის ზოგიერთი დარგი ფეხზე დავაყენოთ, ამიტომ ფრანგებს უნდა ვუფრთხილდეთ. მათ მხოლოდ ფრანგული ნანარმის გასაღება სურთ.

– არც ვამტყუნებ. ომს ფული სჭირდება.

– ძაღლები გიყვართ?

– არა.

– მეგონა, ბრიტანელები ძაღლების მოყვარულები იყვნენ.

– ჩვენ კიდევ ვფიქრობთ, რომ ამერიკელები დოლარის მოყვარულები არიან, თუმცა გამონაკლისი, ალბათ, იქაც იქნება.

– არ ვიცი, „ჰერცოგის“ გარეშე როგორ უნდა მეცხოვრა. იცით, ზოგჯერ წყეული მარტოობა შემომანწვება ხოლმე.

– განყოფილებაში ხმის გამცემი არ გაკლიათ.

– ჩემს პირველ ძაღლს „პრინცი“ ერქვა. „შავი პრინცის“ გამო დავარქვი ასე. იცით, იმ უფლისწულს ვგულისხმობ...  
– ლიმოუში ყველა ქალსა და ბავშვს რომ გამოუყვანა წირვა.

– ეგ არ მახსოვს.

– ისტორიის წიგნებში ამის ხსენებას ვერ ვხედავ.

კიდევ არაერთხელ მომიწია ტკივილისა და იმედგაცრუების დანახვამ მის თვალებსა და ბაგეზე, როდესაც რეალობა მის რომანტიკულ იდეალს არ დაემთხვა, ან როდესაც ის, ვისაც ან რასაც აღმერთებდა, იმ სტანდარტებს ვერ აკმა-

ყოფილებდა, რომელთაც თვითონ მიაწერდა. ერთხელ, მახსოვს, იორკ ჰარდინგი მამალ შეცდომაში დავიჭირე, რის გამოც პაილის დამშვიდება მომიხდა, ადამიანს შეცდომა სჩვევია-მეთქი, ვანუგეშე. ნერვიულად გაიცინა და თქვა:

– ალბათ, იფიქრებთ, სულელიაო, მაგრამ ლამის შეუმცდარი მეგონა. მამაჩემი მის მიმართ კარგად განენწყო, როცა გაიცნო, არადა, მისი გულის მოგება ძნელია.

„ჰერცოგად“ წოდებულმა დიდრონმა შავმა ძაღლმა თავი შინაურად დაიგულა და ოთახის კუთხეების დაყნოსვა დაიწყო.

– შეგიძლიათ ძაღლი მშვიდად დასვით? – ვკითხე მე.

– უი, უკაცრავად, ჰერცოგ, ჰერცოგ, დაჯექი, – „ჰერცოგი“ დაჯდა და ხმაურიანად დაიწყო გენიტალიების ლოკვა. ვისკის დასასხმელად ავდექი, ამიტომ ტუალეტი მცირე ხნით შევანყვეტინე. სინყნარემ სულ ცოტა ხანს გასტანა; ძაღლმა ახლა ქექვა დაიწყო.

– „ჰერცოგი“ საშინლად ჭკვიანია, – ამიხსნა პაილმა.

– „პრინცს“ რა დაემართა?

– კონექტიკუტში ფერმაში ვიყავით და მანქანას ჩაუვარდა ბორბლებში.

– ამან ძალიან გაგაბრაზათ?

– ოჰ, ძალიან ვიდარდე. ძალიან მიყვარდა, მაგრამ გონიერებას მოვუხმე. უკან მაინც ველარაფრით დავაბრუნებდი.

– ფიონგი რომ დაკარგოთ, გონიერებას მაშინაც მოუხმობთ?

– იმედია. თქვენ?

– მეეჭვება. შეიძლება გავცოფდე კიდეც. ამაზე გიფიქრიათ, პაილ?

– ნეტავ ოლდენს დამიძახებდეთ, თომას.

– ასე მირჩევნია. პაილს უკვე მივეჩვიე. აბა, დაფიქრებულხართ?

– ცხადია, არა. თქვენ ყველაზე პირდაპირი კაცი ხართ, ვინც კი ოდესმე მინახავს. როცა მახსენდება, როგორ მოიქცევით, როდესაც თავზე დაგადექით...

– მახსოვს, დაძინებამდე იმაზე ვფიქრობდი, როგორი ხელსაყრელი იქნებოდა, შეტევა რომ დაწყებულიყო და დაღუპულიყავით, გმირის სიკვდილით. დემოკრატიისათვის.

– ნუ დამცინით, თომას, – შეიშმუშნა და გრძელი ფეხები უხერხულად მოინაცვლა, – ვიცი, შტერი გგონივართ, მაგრამ ვხვდები, როცა მეხუმრებით.

– არ გეხუმრებით.

– გულწრფელად თუ ვილაპარაკებთ, თქვენც გინდათ ის კარგად იყოს.

სწორედ ამ დროს შემომესმა ფიონგის ნაბიჯების ხმა. არადა, როგორი იმედი მქონდა, რომ პაილი მის დაბრუნებამდე წავიდოდა. მაგრამ მისი ფეხის ხმა პაილის ყურსაც მისწვდა და ეცნო.

– აი, მოვიდა, – თქვა მან. არადა, მისი ფეხის ხმა მხოლოდ მაშინ მოისმინა პირველად. ძალღიჯ კი ადგა და კართან დადგა, რომელიც სიგრილისთვის ღია მქონდა. სავარაუდოდ, ძალღს ფიონგიც პაილის ოჯახის წევრი ეგონა. ერთადერთი უცხო მე ვიყავი.

ფიონგმა თქვა:

– დაიკო სახლში არ დამხვდა, – და პაილისკენ გააპარა თვალი.

დამაინტერესა, სიმართლეს ამბობდა თუ დამ უბიძგა, სასწრაფოდ უკან დაბრუნდიო.

– მისტერ პაილი გახსოვს? – ვკითხე მე.

– Enchantee<sup>1</sup>.

ამაზე ნატიფად ველარ მოიქცეოდა.

– ძალიან მიხარია თქვენი კვლავ ხილვა, – მიმართა პაილიმა და განითლდა.

– Comment?

– ინგლისური კარგად არ ესმის, – ჩავეერიე მე.

– ვშიშობ, ფრანგულს საშინლად ვამტკრევე. თუმცა ვმეცადინებო... და ცოტ-ცოტა მესმის კიდევ, როდესაც მის ფიონგი ნელა ლაპარაკობს.

<sup>1</sup> მოხიბლული ვარ (ფრ.).

– თარჯიმნობა ჩემზე იყოს, – ვუთხარი მე, – აქაურ კილოს იოლად ვერ ეჩვევა ყური. აბა, რისი თქმა გასურთ? დაჯექი, ფიონგ. მესიე პაილი შენთან საქმეზე მოვიდა. დარწმუნებული ხართ, – მივმართე პაილს, – რომ ერთი-ერთზე დარჩენა არ გასურთ?

– მინდა ყველაფერი მოისმინოთ, რაც სათქმელი მაქვს. სხვაგვარად უნესურად გამომივა.

– კარგი, თქვით.

იმდენად საზეიმოდ წარმოთქვა, რომ ფიონგის მიმართ უზარმაზარ სიყვარულსა და პატივისცემას გრძნობდა, თითქოს ამ სიტყვებს დიდხანს იზეპირებდა. უთხრა, იმ ღამით დამეუფლა ეს გრძნობა, პირველად რომ გეცეკვეთო. პაილმა ის კარისკაცი გამახსენა, ტურისტები საგვარეულო სახლში რომ დაჰყავს. სახლის ფოიე კი მისი გული იყო, ხოლო საცხოვრებელ ოთახებში წამიერად გვახედებდა. ზედმინევნით გულმოდგინედ გადავუთარგმნე – მართალია, ასე საშინლად უღერდა, მაგრამ ფიონგი მშვიდად იჯდა კალთაში ხელებდანყობილი, თითქოს ფილმს უყურებსო.

– გაიგო? – მკითხა პაილმა.

– როგორც ვხვდები. ხომ არ გნებავთ ცოტათი გავამძაფრო?

– უი, არა, უბრალოდ, თარგმნეთ. არ მინდა ნერვები მოეშალოს.

– გასაგებია.

– უთხარით, რომ მისი ცოლად შერთვა მინდა, – გადავეცი, – რაო, რა თქვა?

– მკითხა, სერიოზულად მეუბნებაო? ვუთხარი, სერიოზული ტიპია-მეთქი.

– ძალიან უცნაური სიტუაციაა, – თქვა პაილმა.

– კი, მე რომ მთხოვთ თარგმნას, მეტისმეტად უცნაურია.

– იმავდროულად, ძალიან ბუნებრივიც. ბოლოს და ბოლოს, ჩემი საუკეთესო მეგობარი ხართ.

– კეთილი სიტყვაც ამას ჰქვია.

– რამე რომ გამიჭირდეს, თქვენ გარდა ვერავის მივაკითხავ დახმარების სათხოვნელად, – მითხრა პაილმა.

– და ჩემი საყვარლის შეყვარება, როგორც ვატყობ, საქმეს არ გიჭირვებთ.

– ცხადია, მიჭირვებს! ნეტავ თქვენს ადგილას სხვა კაცი ყოფილიყო, თომას.

– კარგი, აბა, სხვას რას ეტყვი? რომ მის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლიათ?

– არა, ეგ მეტისმეტად ემოციურია და ბოლომდე მართალიც არ არის. ცხადია, აქედან გამგზავრება მომიწევდა, მაგრამ კაცი ყველაფერს უძლებსო, ნათქვამია.

– სანამ ფიქრობთ, შემდეგი რა უთხრათ, ნებას მომცემთ ჩემი სიტყვაც ჩავაკვებო?

– რასაკვირველია, თომას, სხვაგვარად უსამართლო გამოვიდოდი.

– მოკლედ, ფიონგ, – ვუთხარი მე, – მის გამო მიმატოვებ? შენი შერთვა უნდა, მე კი ვერ შევირთავ. მიზეზი იცი.

– მიემგზავრები? – მკითხა ქალმა, მე კი რედაქტორის წერილი გამახსენდა, ჯიბეში რომ მედო.

– არა.

– არასოდეს?

– არასოდეს-მეთქი, როგორ დაგპირდე? მაგას ვერც ეს დაგპირდება. ბოლოს და ბოლოს, ოჯახები ინგრევა. ზოგჯერ იმაზე სწრაფად შორდება ცოლ-ქმარი, ვიდრე ჩვენ შეიძლება დავშორდეთ.

– მე წასვლა არ მინდა, – თქვა ფიონგმა, მაგრამ მისი პასუხი უფრო დამამშვიდებელი იყო და გამოუთქმელ „მაგრამს“ შეიცავდა.

პაილმა თქვა:

– მგონი, დროა, ყველა კარტი მაგიდაზე დაყვარო. მდიდარი არა ვარ, მაგრამ როდესაც მამაჩემი გარდაიცვლება, დაახლოებით ორმოცდაათი ათასი დოლარი მექნება. ამას გარდა, კარგი ჯანმრთელობა მაქვს... სამედიცინო ცნობის წარმოდგენაც შემიძლია. ორი თვის წინ ავიდე. თუ აინტერესებს, სისხლის ჯგუფსაც ვეტყვი.

– არ ვიცი, ეგ როგორ გადავთარგმნო. ან ეგ რაში სჭირდება?

- იმაში დასარწმუნებლად, რომ შვილები გვეყოლება.
- ამერიკაში სიყვარულის საქმეს შემოსავლის ოდენობითა და სისხლის ჯგუფით აგვარებთ?
- არ ვიცი, მე აქამდე არაფერი მომიგვარებია. შეიძლება დედაჩემი დედამისის დაელაპარაკოს.
- თქვენი სისხლის ჯგუფზე?
- ნუ დამცინით, თომას. ვიცი, ძველმოდურად მომდის. თავადაც ხედავთ, რომ ამ სიტუაციამ მთლად დამაბნია.
- მე არანაკლებად. ხომ არ ჯობია, ეს საუბარი დავასრულოთ და ფიონგმა კენჭი ყაროს?
- თავი ისე გიჭირავთ, ვითომ ფეხებზე გკიდიათ, თომას. არადა, ვიცი, რომ თქვენ თქვენებურად გიყვართ, როგორც მე ჩემებურად.
- კარგი, განაგრძეთ, პაილ.
- უთხარით, რომ მისგან მყისიერ სიყვარულს არ ველი. გრძნობას დრო მოიტანს, მაგრამ გადაეცით, რომ უსაფრთხოებასა და პატივისცემას ვთავაზობ. ძალიან რომანტიკულად არ მოეჩვენება, მაგრამ ცარიელ ვნებაზე საიმედოა.
- ვნება არ მოაკლდება, – ჩავერიე მე, – მაგ ამბავს თქვენი მძლოლიც მოაგვარებს, როდესაც თქვენ სადმე იქნებით ნასული.
- პაილი განითლდა. უხერხულად წამოდგა და თქვა:
- ეს ბინძური ხუმრობაა. შეურაცხყოფას არ მიგაყენებინებთ. უფლება არა გაქვთ...
- ჯერ თქვენი ცოლი არ არის.
- თქვენ რისი შეთავაზება შეგიძლიათ? – გულმოსულმა მკითხა, – ორასიოდე დოლარის, როდესაც ინგლისში გამგზავრებას გადაწყვეტთ? თუ ავეჯთან ერთად თქვენს შემცვლელს გადაულოცავთ?
- ავეჯი ჩემი არ არის.
- არც ფიონგი. ფიონგ, ცოლად გამომყვებით?
- სისხლის ჯგუფზე რას ამბობდით? – ვკითხე მე, – და ჯანმრთელობის ცნობა მისგანაც ხომ დაგჭირდებათ? ჩემიც ხომ არ მოგართვათ? ასევე მისი ჰოროსკოპი... არა, ეს ინდური ადათია.

– ცოლად გამომყევებით?

– ფრანგულად ჰკითხეთ, – შეევულრინე მე, – წყეული ვიყო, თუ კიდევ ერთი სიტყვაც კი გადაგითარგმნოთ. ზეზე წამოვიჭერი და ძაღლმა დაიღრინა. ამან მთლად გამახელა, – მაგ წყეულ „ჰერცოგს“ ხმა ჩაანყვეტინეთ. ეს ჩემი სახლია, მისი კი არა!

– ცოლად გამომყევებით? – გაიმეორა.

მე ფიონგისკენ წავედი და ძაღლმა ისევ დამიღრინა. ფიონგს ვუთხარი:

– გადაეცი, რომ აქედან წავიდეს და ეს ქოფაკიც თან გაიყოლოს.

– გამომყევით, – უთხრა პაილმა, – Avec moi.

– არა, – უთხრა ფიონგმა, – არა.

უეცრად ორივე ჩვენგანს რისხვა ჩაგვიცხრა. იმდენად იოლი საკითხი აღმოჩნდა, რომ სამასოიანი სიტყვით შეიძლებოდა მისი გადაჭრა. უზარმაზარი შვება დამეუფლა, პაილი კი პირკატანაცემი იდგა.

– არაო, ასე თქვა? – იკითხა მან.

– რამდენადაც ინგლისურად გამოსდის აზრის გადმოცემა... – გაცინება მომინდა: ორივე როგორ ვსულელობდით, – დაჯექით, პაილ, და ცოტა ვისკი დალიეთ კიდევ.

– მგონი, უნდა წავიდე.

– გზა მაინც დაილოცეთ.

– მთელი ვისკი კი არ უნდა დაგილიოთ, – ჩაიდუდლუნა.

– მისიაში იმდენს ვიშოვი, რამდენიც მომინდება, – მაგიდასთან მივედი და ძაღლმა კბილები დაკრიჭა.

პაილმა მრისხანედ შეუძახა:

– დაჯექი, ჰერცოგ! წესიერად! – შუბლიდან ოფლი მოინმინდა, – ძალიან დიდი ბოდიში, თომას, თუ ისეთი რამ ვთქვი, რაც არ უნდა მეთქვა. არ ვიცი, რამ წამომიარა, – ჭიქა აიღო და ნაღვლიანად თქვა, – საუკეთესო იმარჯვებს! მხოლოდ იმას გთხოვთ, თომას, არ მიაგდოთ.

– რასაკვირველია, არ მივაგდებ, – ვუპასუხე პაილს, ფიონგმა კი მკითხა:

– ყალიონი ხომ არ გავუნყო?

– ყალიონს გააბოლებთ?

– არა, გმადლობთ, ოპიუმს არ ვეკარები, თან, სამსახურში მკაცრი წესები გვაქვს. ამ ჭიქას დავცლი და გაგეცლებით. „ჰერცოგის“ გამო ბოდიში მომითხოვია. ჩვეულებრივ, ძალიან მშვიდია.

– ვახშმად დარჩით.

– თუ არ მიწყენთ, მარტოს მიჩვენია ყოფნა, – გაურკვეველად გაიკრიჭა, – ვინმეს რომ ჩვენი საუბარი მოესმინა, იტყოდა, გიუბივით იქცევიანო. ოჰ, თომას, როგორ მინდა თქვენ შეგეძლოთ მასზე დაქორწინება.

– მართლა გინდათ?

– დიახ. მას მერე, „შალეს“ გვერდით მდებარე იმ სახლში რომ ვიყავი, გული გასკდომაზე მაქვს.

ვისკის მიუჩვეველმა ჭიქა ერთი მოსმით გამოცალა, ფიონგისთვის არც შეუხედავს, ხოლო როდესაც გამოემშვიდობა, ხელზეც კი არ შეხებია, მხოლოდ თავი დაუკრა როგორღაც უცნაურად. შევნიშნე, მზერით როგორ გააცილა ფიონგმა, ხოლო სარკესთან ჩავლისას საკუთარი თავი დავინახე: შარვლის ზედა ლილი გამხსნოდა ანუ ლიპი მედებოდა.

გარეთ პაილმა მითხრა:

– გაბრდებით, რომ არ ვნახავ. თომას, ეს ჩვენ შორის განხეთქილებას ხომ არ ჩამოაგდებს? მოვახერხებ და აქედან თავს სხვაგან გადავაყვანიებ, როგორც კი საქმეებს მოვიღვე.

– ეგ როდის იქნება?

– ორიოდე წლის მერე.

ოთახში დავბრუნდი და გავიფიქრე, ამით რას მივალნიე, ხომ შემეძლო მეთქვა, მივემგზავრები-მეთქი? დიდი-დიდი, ორი კვირა ევლო სისხლმდინარე გულით თავის მოსაწონებლად, ჩემი სიცრუე კი სინდისს დაუმშვიდებდა.

– ყალიონი ხომ არ გაგინყო? – მკითხა ფიონგმა.

– ერთ წუთს მაცადე, წერილი მაქვს დასაწერი.

იმ დღეს უკვე მეორე წერილს ვწერდი, ოღონდ აღარ დამიხვევია, მიუხედავად იმისა, რომ სასურველი პასუხის მოლოდინი არ მქონდა. ტექსტი ასეთი იყო:

„ძვირფასო ჰელენ, აპრილში ინგლისში ვბრუნდები, რათა საგარეო განყოფილების რედაქტორის ადგილი დავიკავო. თავადაც წარმოიდგენ, რომ ეს გულს დიდად არ მიხარებს. ინგლისის ის ადგილია, რომელიც მარცხს მახსენებს. შენსავით მეც იმედი მქონდა, ჩვენი ქორწინება დიდხანს გასტანს-მეთქი, თუმცა კი შენს ქრისტიანულ რწმენას არ ვიზიარებდი. აქამდე ვერ ვხვდები, რა დაგვემართა (ვიცი, რომ ორივე ვცდილობდით), მაგრამ მე მაინც ჩემს ხასიათს ვაბრალებ. ვიცი, როგორი სასტიკი და ცუდი ხასიათი მაქვს. თუმცა, მგონი, ახლა ცოტა გამომიკეთდა – თუ არ დამტკობოხა, დამიმშვიდდა მაინც: ეს აღმოსავლეთის დამსახურებაა. შესაძლოა, უბრალოდ, ხუთი წლით გავიზარდე – ამ ასაკში ხუთი წელი არცთუ მცირე დროა იმასთან შედარებით, რამდენიც დაგვრჩენია. ძალიან დიდსულოვნად მომექეცი და ჩვენი განშორების მერე ერთი საყვედურიც არ დაგცდენია. შეგიძლია უფრო მეტი დიდსულოვნების გამოჩენა? ვიცი, რომ დაქორწინებამდე გამაფრთხილე, განქორწინებაზე არც იფიქროო. ამ რისკზე წავედი და სასაყვედუროც არაფერი მაქვს, მაგრამ განქორწინებას ახლა გთხოვ“.

ფიონგმა საწოლიდან გამომძახა, ლანგარი მზად მაქვსო.  
– ერთ წამს, – გავეპასუხე მეც.

„შემეძლო ჩემი თხოვნა შემელამაზებინა, – ვწერდი მე, – და ისე გამომეყვანა, თითქოს საკუთარი თავისთვის კი არა, სხვისთვის მინდოდა, რათა უფრო ღირსეულად მომეჩვენებინა თავი, მაგრამ ასე არ არის, ჩვენ კი ერთმანეთისთვის სიმართლის თქმა გვჩვევია. ერთი ქალი მიყვარს ძალიან, ერთად ორ წელზე მეტი ვიცხოვრეთ, უკიდურესად ერთგულია, მაგრამ ვიცი, რომ უჩემოდაც არ გაუჭირდება. მე თუ მივატოვებ, ვიცი, იდარდებას, მაგრამ არავითარი ტრაგედია არ მოხდება. სხვას გაჰყვება და ოჯახსაც შექმნის. ამას რომ გეუბნები, ვხვდები, სისულელე მომდის. პასუხს მე თვითონვე გკარნახობ, მაგრამ რაკი არასდროს მომიტყუებინარ, ალბათ, ახლაც დამიჯერებ, რომ მისი დაკარგვა ჩემთვის სიკვდილის ტოლფასია. „გონივრულად მიდგომას“ არ გთხოვ (გონივრულად უდგები ისედაც ყველაფერს), არც

გულმონყალებას ვითხოვ. ეს სიტყვა მეტისმეტად ხმაურია-  
ნია ჩემი მდგომარეობისათვის, თან, ვიცი, რომ მოწყალებას  
არ ვიმსახურებ. პირიქით, ახლა მხოლოდ იმას ვთხოვ, რომ  
მოულოდნელად არაგონივრულად მოიქცე, რაც არ გახასი-  
ათებს. მინდა ჩემს თხოვნას (სწორი სიტყვის პოვნის იმე-  
დი არ მქონდა და ვერც ვიპოვე) – კეთილად მოეკიდო და  
ამ განცდითვე იმოქმედო. ვიცი, რომ წინდაუხედავი პასუ-  
ხის გაცემა სატელეფონო საუბარში უფრო იოლი იქნებოდა  
შენთვის, ვიდრე ცამეტი ათას კილომეტრზე გამოგზავნა.  
ნეტავ ერთ სიტყვას მომწერდე: „თანახმა ვარ“.

როდესაც წერილი დავასრულე, თავს ისე ვგრძნობდი,  
თითქოს დიდხანს ვირბინე და მიუჩვეველს კუნთები ამ-  
ტკივდა. სანამ ფიონგი ყალიონს მიწყობდა, სანოლზე მივ-  
წექი. ვუთხარი:

– ის ახალგაზრდაა.

– ვინ?

– პაილი.

– ეგ მნიშვნელოვანი არ არის.

– რომ შემეძლოს, ცოლად შევირთავდი, ფიონგ.

– მეც ეგრე ვფიქრობ, მაგრამ ჩემს დას არ სჯერა.

– ახლა ცოლს ვწერდი, განქორწინება ვთხოვე. აქამდე  
არასდროს მიცდია, შანსი კი ყოველთვის არის.

– დიდი შანსი?

– არა, მაგრამ პატარა ხომ მაინც არის.

– არ იდარდო. მოსწიე.

მე მოწევა დავინყე, მან კი – მეორე ყალიონის განყოფილება.

ვკითხე:

– შენი და სახლში მართლა არ იყო, ფიონგ?

– ხომ გითხარი, გასული დამიხვდა-მეთქი.

სისულელე იყო, სიმართლის ძიებაში ფიონგისთვის გუ-  
ლი მეტკინა, სიმართლის ძიებას ხომ დასავლეთის ხალხი  
ეძალება, ისევე როგორც ალკოჰოლს. პაილთან ერთად და-  
ლეული ვისკის გამო ოპიუმის ეფექტი შეერბილდა.

– მოგატყუე, ფიონგ. სამშობლოში გამომიძახეს.

ყალიონი დადო.

- მაგრამ ხომ არ წახვალ?
- უარი რომ ვთქვა, რით ვიცხოვროთ?
- მეც გამოგყვები. ლონდონის წახვა მინდა.
- ქორწინების გარეშე გაგიჭირდება.
- ეგებ ცოლი დაგთანხმდეს განქორწინებაზე?
- შესაძლებელია.

– ნებისმიერ შემთხვევაში გამოგყვები, – მითხრა მან. ვიცოდი, რომ სერიოზულად ამბობდა, მაგრამ მძიმე ფიქრები რომ შემოაწვა, თვალეში დაეტყო, როდესაც ყალიონი აიღო და ოპიუმის ბურთულის შეთბობა დაიწყო.

– ლონდონში ცათამბჯენები არის? – სწორედ ამ უბინობის გამო მიყვარდა. შექმლო ზრდილობის, შიშის ან გამორჩენის გამო ეცრუა, მაგრამ სიცრუის დასამალად მზაკვრობა არასოდეს ეყოფოდა.

– არა, – ვუპასუხე, – სამაგისოდ ამერიკაში უნდა გაემგზავრო.

ნემსმომარჯვებულმა უცებ შემომხედა და შეცდომას მიხვდა. მერე ოპიუმის ზელა დაიწყო და ხალისიანად ალაპარაკდა, რა უნდა ჩაეცვა ლონდონში, სად უნდა გვეცხოვრა, მეტროს მატარებლები ახსენა, რომელთა შესახებაც რომანში ამოეკითხა, და ორსართულიანი ავტობუსებიც. აინტერესებდა, თვითმფრინავით გავფრინდებოდით თუ გემით გავცურავდით.

- და თავისუფლების ქანდაკება... – თქვა მან.
- ეგეც ამერიკულია.

## თავი II

### 1

სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც აწყობდნენ კაოდაისტები ზეიმს წმინდა ტბასთან ტაინინში, საიგონიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ ოთხმოცი კილომეტრით რომ არის დაშორებული, რათა გათავისუფლების ან გამარჯვე-

ბის ესა თუ ის წელი აღენიშნათ, ან თუნდაც ბუდისტური, კონფიციური, ან ქრისტიანული დღესასწაული ეზეიმათ. კაოდაიზმი ადგილობრივი მოხელის გამონაგონი სამი რელიგიის სინთეზი და ახალბედებისთვის მოსაყოლი ჩემი საყვარელი თემა იყო. ტაინინში იყო წმინდა ტბა, პაპი, კარდინალი ქალები და წმინდა ვიქტორ ჰიუგო. ქრისტიე და ბუდა უოლტ დისნეის აღმოსავლური ფანტასმაგორიის მსგავსი კათედრალის სახურავიდან გადმოჰყურებდნენ დრაკონებისა და გველების ხასხასა გამოსახულებებს. ახალმოსულებს ჩემი აღწერით ყოველთვის აღვაფრთოვანებდი ხოლმე. აბა, მთელ იმ მნუხარებაზე ხომ არ დავეუნყებდი ლაპარაკს, რასაც ოცდახუთი ათასი კაცისგან შემდგარი ჯარი წარმოადგენდა, გადაყრილი მანქანების საკვამური მიღებისგან შეკონინებული ნალმსატყორცნებით რომ შეიარაღებულიყო და საფრანგეთის მოკავშირედ ითვლებოდა, თუმცა უმცირესი საფრთხის გაჩენისთანავე ნეიტრალიტეტს აცხადებდა? ასეთ დღესასწაულებზე, რომლებიც გლებობის სიმშვიდეს უზრუნველყოფდა, პაპი პატიჟებდა ხოლმე მთავრობის წევრებს (ისინიც მოდიოდნენ, თუკი იმ დროს ხელისუფლებაში კაოდაისტები იყვნენ), დიპლომატიურ კორპუსს (რომელიც რამდენიმე მეორე მდივანს გზავნიდა ცოლებით ან საყვარლებითურთ) და ფრანგ მთავარსარდალს, რომელსაც რომელიმე კანცელარიიდან მოსული ორვარსკვლავიანი გენერალი წარმოადგენდა.

ტაინინის გზაზე სწრაფად მიედინებოდა შტაბისა და დიპმისიების მანქანების წყება, ხოლო გზის ყველაზე სახიფათო მონაკვეთებზე უცხოური ლეგიონი დაცვას აყენებდა ბრინჯის მინდვრებში. ფრანგული მთავარსარდალობისთვის ეს დღე ყოველთვის ამაღელვებელი იყო, კაოდაისტებისთვის კი – ერთგვარად იმედისმომცემი: აბა, მათ ერთგულებას ისე უმტკივნეულოდ რა წარმოაჩენდა, თუ არა რამდენიმე მნიშვნელოვანი სტუმრის ჩაცხრილვა მათი ტერიტორიების მიღმა?

ყოველ კილომეტრში თიხის საგუშაგო კოშკი აღმართულიყო ძახილის ნიშანივით, ხოლო ყოველ ათ კილომეტრში

გზას მაროკოელ-სენეგალელ ლეგიონერთა გაცილებით ძლიერი ოცეული იცავდა. როგორც ნიუ-იორკის შესასვლელში, აქაც მანქანები ნალიკ-ნალიკ მიდიოდა და როგორც ნიუ-იორკის შესასვლელში, აქაც თავშეკავებული გალიზიანებით უყურებდნენ წინმავალ მანქანას ქარსარიდი მინიდან, ხოლო სარკეში – უკნიდან მოახლოებულს. ყველას შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდოდა ტაინინში ჩასვლა, წარმოდგენაზე დასწრება და უკან დაბრუნება: კომენდანტის საათი შვიდზე იწყებოდა. ბრინჯის მინდვრებში ფრანგების კონტროლის ზონიდან ჰაო-ჰაოს კონტროლის ზონაში გადადიოდით, იქიდან კაოდაისტების ზონაში, რომლებიც ჰაო-ჰაოს სექტასთან გამუდმებულ ომში იყვნენ ჩართულნი, თუმცა მხოლოდ დროშების ცვლილება გვაუწყებდა ამას საგუშაგო კოშკებზე. პატარა, შიშველი ბიჭები შემოსხდომოდნენ კამეჩებს, რომლებიც დატბორილ მინდვრებში მუცლამდე წყალში დააბოტებდნენ; სადაც ოქროსფერი მოსავალი უკვე მოენიათ, გლეხები, ამოყირავებული ჯამების მსგავსი ქუდები რომ ეხურათ, მარცვალს ანიავებდნენ დაწნული ბამბუკების ქოხების ახლოს. თითოეული მანქანა თითქოს სხვა სამყაროდან გამოგზავნილიაო, ისე სწრაფად მიდიოდა.

ახლა ყველა სოფელში წამომართული კაოდაისტების ეკლესიები იქცევდა უცხოთა ყურადღებას; ცისფრად და ვარდისფრად შეღებილ ნაგებობებს კარებზე უფლის თვალი ჰქონდა გამოსახული. დროშები მატულობდა; გლეხების ჯგუფები გზას მიუყვებოდნენ; წმინდა ტბას ვუახლოვდებოდით. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ტაინინს მწვანე ქვაბქუდა ეხურა – სადაც გამაგრებული იყო დისიდენტი გენერალი თჰე, რომელმაც ახლახან ფრანგებისა და ვიეტნამის წინააღმდეგ ბრძოლის განზრახვა გამოაცხადა. კაოდაისტები მის აყვანას არ ცდილობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მას კარდინალი ქალი მოეტაცებინა, თუმცა ხმა დადიოდა, პაპმა ამ ამბავს წაუყრუაო.

ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ტაინინში უფრო ცხელია, ვიდრე მთელ სამხრეთ დელტაში; შესაძლოა ეს წყლის

უქონლობის ბრალი იყო ან ცერემონიისა, ან იმ ჯარისკაცებისა, რომლებიც დელეგატთა გრძელ-გრძელ გამოსვლებს უსმენდნენ, ოღონდ სიტყვაც არ ესმოდათ, ანდაც პაპისა, რომელიც სქელი ჩინური სამოსით შემოსილიყო და მხოლოდ თეთრ აბრეშუმის შარვლებში ჩაცმული კარდინალი ქალების დამსახურებით, კორპისჩაფხუტიან მღვდლებს რომ ეჭუკჭუკებოდნენ, ამ პაპანაქებაში მცირედ სიგრილეს ვგრძნობდით; ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ოდესმე შვიდი საათი ჩამოჰკრავდა და „მაჟესტიკის“ სახურავზე კოქტეილის დრო დადგებოდა, მდინარიდან კი ნიაფი დაუბერავდა.

აღლუმის შემდეგ პაპის წარმომადგენელს ჩამოვართვი ინტერვიუ. მისგან ბევრს არც არაფერს მოველოდი და მართალიც აღმოვჩნდი: ორივე მხარე შეთანხმებისამებრ მოქმედებდა. მერე გენერალ თჰეზეც დავეუსვი კითხვა:

– იმპულსური კაცია, – მიპასუხა მან და თემა შეცვალა. დაზეპირებული ტექსტით დაიწყო ლაპარაკი. როგორც ჩანს, დავინწყებოდა, რომ მისი სიტყვები ორი წლის წინ უკვე მქონდა მოსმენილი; ამან ჩემი თავი გამახსენა, ახალჩამოსულებს ერთსა და იმავეს რომ ვუმეორებდი ხოლმე: კაოდაიზმი რელიგიური სინთეზი იყო... საუკეთესო რელიგიათა შორის... მისიონერები ლოს-ანჯელესში გაგზავნეს... დიდი პირამიდის საიდუმლო. გრძელი, თეთრი სუტანა ეცვა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. მზაკვრობა და გარყვნილება კოჭებში ემჩნეოდა: სიტყვა „სიყვარულს“ ხშირად ახსენებდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ კარგად მოეხსენებოდა, მისი მოძრაობის დასაცინად რომ ვიყავით ჩასული; ჩვენი მოწინებელი იერი ისეთივე ცრუ იყო, როგორიც მისი ყალბი წოდება, მაგრამ ჩვენ მასზე ნაკლებად მზაკვარნი ვიყავით. ჩვენი პირმოთნეობა ჩვენ არაფერს გვაძლევდა – საიმედო მოკავშირესაც, მათ კი თავიანთი ფარისევლობის წყალობით არც იარაღი აკლდათ, არც მომარაგება და ფულიც ჩეჩქივით ჰქონდათ.

– გმადლობთ, თქვენო უწმინდესობავ, – ავდექი და წასასვლელად მოვემზადე. ის კარამდე მომყვა, თან, სიგარეტიდან ფერფლს ფანტავდა.

– ღმერთმა შრომა დაგილოცოს, – მაამებლურად მითხრა, – გახსოვდეს, უფალს ჭეშმარიტება უყვარს.

– რომელი ჭეშმარიტება? – ვკითხე მე.

– კაოდაისტურ სარწმუნოებაში ყველა ჭეშმარიტება გაერთიანებულია და ეს სიყვარულია.

თითზე დიდი ბეჭედი ეკეთა და როდესაც ხელი გამომიწოდა, – ალბათ, იფიქრა, მემთხვევაო, – მე თავი შორს დავიჭირე, დიპლომატი კი არ ვიყავი.

მზის უღიმღამო, შვეული სხივების ქვეშ პაილი დავინახე. ამოდ ცდილობდა თავისი „ბიუიკის“ დაქოქვას. ბოლო ორ კვირაში – „კონტინენტალის“ ბარში, წიგნის ერთადერთ ნესიერ მალაზიაში თუ კატინას ქუჩაზე – რატომღაც სულ პაილს ვეჩხებოდი. ახლა უფრო მეტად უსვამდა ხაზს მეგობრობას, რომელიც გაცნობის დღიდან მომახვია თავზე. სევდიანი მზერით, ყოველგვარი სიტყვის გარეშე, მეკითხებოდა ფიონგის ამბავს, ბაგით კი უფრო მგზნებარედ და ძლიერად გამოხატავდა ჩემდამი დამოკიდებულებასა და აღტაცებას.

კაოდაისტი კომენდანტი მანქანასთან იდგა და სწრაფად ელაპარაკებოდა რაღაცას. მიუუახლოვდი თუ არა, ხმა გაკმინდა. ვიცანი: თქეს ერთ-ერთი დამხმარე იყო, სანამ ის მთებში გაიხიზნებოდა.

– გამარჯობა, კომენდანტო, – მივმართე მე, – გენერალი როგორ ბრძანდება?

– რომელი გენერალი? – კითხვა შემომიბრუნა და მორცხვად გაიკრიჭა.

– განა კაოდაისტური რწმენა არ გვასწავლის, რომ ყველა გენერალი ერთია?

– მანქანას ვერ ვქოქავ, თომას, – მითხრა პაილმა.

– მექანიკოსს მოვიყვან, – უთხრა კომენდანტმა და გაგვეცალა.

– შეგანყვეტინეთ.

– როგორ გეკადრებათ, – მსუბუქად თქვა პაილმა, – უბრალოდ, „ბიუიკის“ ფასი აინტერესებდა. ძალიან მეგობრუ-

ლი ხალხია, როდესაც ჩვენ სწორად ვექცევით, ფრანგებმა კი მათთან მოქცევა არ იციან.

– ფრანგები მათ არ ენდობიან.

პაილმა სერიოზულად თქვა:

– ადამიანი სანდო მაშინ ხდება, როდესაც შენც ენდობი.

კაოდაისტურ მაქსიმალსავით გამოუვიდა. ვიგრძენი, რომ ტაინინის ჰაერიც კი მეტისმეტად ეთიკური იყო ჩემთვის, რათა მესუნთქა.

– პირი გავისველოთ, – შემომთავაზა პაილმა.

– უკეთესს ახლა ვერაფერს ვიზამთ.

– ლაიმის წვენი მაქვს თერმოსით წამოღებული, – უკანა სავარძელზე დაიხარა, სადაც კალათი ედო.

– ჯინიც ხომ არ მოგეძეებათ?

– არა, ძალიან დიდი ბოდიში. იცით, – გამამხნეველად მითხრა, – ლაიმის წვენი ასეთ ჰავაში თქვენთვის ძალიან სასარგებლოა. ვიტამინებს შეიცავს, ოღონდ ვერ ვიხსენებ, რომლებს.

მან ფინჯანი გამომიწოდა და მეც გამოვცალე.

– სულერთია, მთავარია, სითხე, – ვთქვი მე.

– სენდვიჩი გნებავთ? საშინლად გემრიელია. ახალია და „ვიტ-ჯანმრთელობა“ ჰქვია. დედამ გამომიგზავნა შტატებიდან.

– არა, გმადლობთ. არ მშია.

– ვინეგრეტის გემო აქვს, უბრალოდ, უფრო მშრალია.

– არა მგონია, მომეწონოს.

– წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, მე რომ შევჭამო?

– არა, ცხადია, არა.

მან დიდი ლუკმა მოკბიჩა და ხრამუნი დაიწყო. მოშორებით ვარდისფერი და თეთრი ქვის ბუდა მამის სახლიდან გამოვიდა, ხოლო მისი მსახური – მეორე ქანდაკება – სირბილით გამოედევნა. კარდინალი ქალები უკან, სახლისკენ მიდიოდნენ, უფლის თვალი კი ტაძრის კარიდან დაგვცქეროდა.

– იცით, რომ აქ სადილსაც სთავაზობენ? – ვკითხე.

– გადავწყვიტე, რომ გარისკვად არ მიღირს. ხორცი... ხორციდან ასეთ სიცხეში სიფრთხილეა გამოსაჩენი.

– ნურაფრის გეშინიათ. ვეგეტარიანელები არიან.

– ალბათ, ასეც არის, მაგრამ მირჩევნია, ვიცოდე, რას ვჭამ, – მორიგი ლუკმა მოკბიჩა, – როგორ გგონიათ, საიმედოდ მექანიკოსები ეყოლებათ?

– იმდენად საიმედონი, რომ მაგ თქვენს გამოსაბოლქვ მილს ნაღმსატყორცნად იოლად გადააკეთებენ. „ბიუიკის-გან“ საუკეთესო ნაღმსატყორცნი გამოვა.

კომენდანტი დაბრუნდა, სამხედრო სალამი სხარტად მოგვცა და თქვა, ბარაკებში მექანიკოსის მოსაყვანად ბიჭები გავგზავნეო. პაილმა „ვიტ-ჯანმრთელობა“ შესთავაზა, რაზეც თავაზიანი უარი მიიღო. კომენდანტმა თავაზიანად აგვიხსნა:

– აქ საკვებთან დაკავშირებული უამრავი წესი გვაქვს (ინგლისურად ბრწყინვალედ საუბრობდა). სისულელეა, მაგრამ თავადაც მოგეხსენებათ, რელიგიური ცენტრი რას წარმოადგენს. ალბათ, ასეთივე ვითარება იქნება რომში... ან კენტერბერიში, – დაასრულა და ნატიფად დამიკრა თავი. მერე დადუმდა. ორივენი დადუმდნენ. ვგრძნობდი, რომ ჩემი თანდასწრებით არ სურდათ ლაპარაკი. პაილის განვალღების სურვილს ვერ გავუმკლავდი – ასეთი სურვილი ხომ სისუსტის იარაღია, მე კი სუსტი ვიყავი. მე ხომ, მისგან განსხვავებით, აღარც ახალგაზრდობა მქონდა, არც სერიოზული განზრახვა და არც მომავალი. ვუთხარი:

– მგონი, სენდვიჩს გაგისინჯავთ.

– ცხადია, – თქვა პაილმა, – ცხადია, – მაგრამ შედგა, სანამ კალათთან მივიდოდა.

– არა, არა, – ვუთხარი, – გავიხუმრე. ერთი-ერთზე დალაპარაკება გჭირდებათ.

– რას ბრძანებთ?! – შეიცხადა პაილმა. მასზე უნიჭო მატყუარა ცხოვრებაში არ მენახა, სიცრუის ხელოვნებაში ძალიან მოიკოჭლებდა, როგორც ჩანს, პრაქტიკა არ ჰქონია. კომენდანტს მიუბრუნდა და აუხსნა, – თომასი ჩემი საუკეთესო მეგობარია.

– ვიცნობ მისტერ ფაულერს, – თქვა კომენდანტიმა.

– გამგზავრებამდე გნახავთ, პაილ.

ამ სიტყვებით საკათედრო ტაძარში წავედი. იქ სიგრილე მეგულებოდა.

საფრანგეთის აკადემიის უნიფორმასა და სამკუთხა ქუდში გამოწყობილი წმინდა ვიქტორ ჰიუგოს ქანდაკება, თავზე შარავანდედი რომ ედგა, რომელიღაც ნატიფ სენტენციაზე მიგვითითებდა, რომელსაც დაფაზე სუნ იატ სენის ქანდაკება ინერდა. ეკლესიაში დასაჯდომი არსად ჩანდა, გარდა პაპის სავარძლისა, თაბაშირის კობრა რომ შემოხვეოდა; მარმარილოს იატაკი წყლის ზედაპირივით ბრწყინავდა, სარკმლებში კი მინა არ იჯდა – გავიფიქრე, როგორი სისულელე იყო გალიების აგება ჰაერსატარი ღიობებით, როცა თითქმის ასეთსავე გალიებს აგებდა ადამიანი რელიგიური დატვირთვითაც – ღიობები ეჭვებისთვის, რწმენისთვის, უთვალავი განმარტებისთვის... ჩემს ცოლს ასეთი ღიობიანი გალია უკვე ეპოვა და ზოგჯერ მისი მშურდა კიდევ, მაგრამ მზესა და ჰაერს შორის მუდამ უთანხმოებაა, ამიტომ მე მზის მხარეს ვამჯობინებდი ცხოვრებას.

გრძელი, ცარიელი ნავი გავიარე – ეს ის ინდოჩინეთი არ იყო, მე რომ მიყვარდა. ლომისთავა დრაკონები კათედრაზე მიცოცავდნენ, ჭერიდან კი ქრისტე სისხლმდინარე გულს გვიჩვენებდა. ბუდა იჯდა, რადგან ყოველთვის ზის, ცარიელი კალთით; კონფუციუსული მწირი წვერი ისე მოუჩანდა, როგორც ჩანჩქერი გვალვისას. ეს ყველაფერი ბუტაფორია იყო, საკურთხეველის თავზე უზარმაზარი გლობუსი პატივმოყვარეობაზე გვაუნებდა, ხოლო მოძრავთავსახურიანი კალათი, რომლითაც პაპი თავის წინასწარმეტყველებებს აღასრულებდა, ეშმაკობაზე მეტყველებდა.

ნეტავ ამ საკათედრო ტაძარს რომ ხუთი საუკუნე ეარსება ნაცვლად „ორი ათწლეულისა“, ნაბიჯებით გაცვეთილი ფილები და ავდრისგან ამოჭმული ფასადის ქვები დამაჯერებლობას მოიპოვებდა? მოიპოვებდა კი აქ რწმენას ჩემი ცოლივით მალემრწმენი ადამიანი, რომელსაც სხვა ადამიანებში რწმენა ვერ ეპოვა? ან მე რომ მნდომოდა, ვიპოვი-

დი კი რწმენას მის ნორმანულ ეკლესიაში? მაგრამ რწმენის სურვილი არასდროს მქონია. რეპორტიორის საქმიანობა მხილება და უწყებაა. კარიერის განმავლობაში აუხსნელი არადროს არაფერი აღმომიჩენია. პაპი თავის წინასწარმეტყველებებს მოძრავთავსახურიანი კალათით აყალბებდა და ხალხსაც მისი სჯეროდა. ნებისმიერ მისნობაში შეიძლება თაღლითობის პოვნა. ჩემი მეხსიერების რეპერტუარში მისნობა და ჯადოსნობა არ მოიპოვებოდა. მოგონებებს ისე გადავხედე, როგორც ალბომში ჩაკრულ სურათებს: მელია, რომელიც ორპინგტონზე გადაფრენილი მტრის რაკეტის სინათლეზე შევნიშნე, ნელა მიიპარებოდა საფრინველისკენ, თავისი ჟანგისფერი ბუნაგიდან სასაზღვრო მიწებზე მოხვედრილი; გახიშტული მალაიელის ცხედარი, რომელიც პაპანგში, მალაროელთა ბანაკში ტვირთმზიდის ძარით გურქების პატრულმა ჩაიყვანა; ჩინელი კულები, იქვე რომ იდგნენ, ნერვიულად ახითხითდნენ, როდესაც დაღუპულ მალაიელს ძმამ თავქვეშ ბალიში შეუცურა; სასტუმროს ნომერში შემოფრენილი და ბუხრის თავზე დასკუპებული მტრედი, ისევე გასაფრენად შემართული; ჩემი ცოლის სახე სარკმელთან, როდესაც შინ უკანასკნელად მივედი გამოსამშვიდობებლად. ჩემი ფიქრები მისით დაიწყო და მისითვე დამთავრდა. ჩემს წერილს, დიდი ალბათობით, ერთი კვირის წინ მიიღებდა, მაგრამ ტელეგრამა, რომლის მოლოდინიც არ მქონდა, არც მოსულა, მაგრამ ამბობენ, როდესაც მსაჯულები დიდხანს თათბირობენ, განსასჯელს იმედი ეძლევაო. კიდევ ერთი კვირაც თუ არ მოვიდოდა წერილი, უნდა დავიმედებულებიყავი? გარშემო მხოლოდ სამხედროებისა და დიპლომატების მანქანების გრუხუნი იდგა; ზეიმი ერთი წლით დასრულებულიყო. საიგონში დაჩქარებული დაბრუნება იწყებოდა, რადგან კომენდანტის საათი ახლოვდებოდა. პაილის სანახავად გამოვედი.

ის და კომენდანტი ჩრდილში შეფარებულიყვნენ, მისი მანქანის შეკეთებას კი არავინ ცდილობდა. ჩემთვის უცნობი საუბარი, როგორც ჩანდა, დაესრულებინათ, და ჩუმად

იდგნენ, თავაზიანობის გამო კი ერთმანეთს ვერ შორდებოდნენ. მივუახლოვდი.

– მოკლედ, მგონი, გავემგზავრები. თქვენც ამავეს გირჩევდით, რომ კომენდანტის საათამდე მოასწროთ ქალაქში შესვლა.

– მექანიკოსი ჯერაც არ მოსულა.

– მალე მოვა, – თქვა კომენდანტმა, – პარადზე იყო.

– აქ ღამის გათევაც შეგიძლიათ, – ვუთხარი მე, – განსაკუთრებული ღვთისმსახურება ჩატარდება, სამსაათიანია და დაგაინტერესებთ.

– შინ უნდა დავბრუნდე, – თქვა პაილმა.

– ახლავე თუ არ ნახვედით, ვერ მოასწრებთ, – უხალისოდ დავამატე, – თუ გნებავთ, მე გაგიყოლებთ, კომენდანტმა კი თქვენი მანქანა ხვალ საიგონში გამოგზავნოს.

– კაოდაისტების ტერიტორიაზე კომენდანტის საათზე ნუ იდარდებთ, – თვითკმაყოფილებით წარმოთქვა კომენდანტმა, – აქედან მოშორებით კი... რასაკვირველია, მანქანას ხვალვე გამოგიგზავნით.

– გამოსაბოლქვე მილს ხელი არ ახლონ, – ვუთხარი მე და მას მხნედ, ნატიფად, გამომწვევად და ჯარისკაცურად გაელიმა.

## 2

მანქანების კოლონა კარგა შორს იყო ჩვენგან, როდესაც გზას დავადექით. სიჩქარეს მოვუმატე, რომ დავწეოდით, მაგრამ კაოდაისტების ზონიდან რომ გავედით და ჰაო-ჰაოს ზონაში შევედით, წინ მტვრის ღრუბელიც კი არ ჩანდა. სალამოს პირზე სამყარო ბრტყელი და ცარიელი მეჩვენებოდა. აქაურობა ჩასაფრებისთვის შეუფერებელი ჩანდა, მაგრამ გზის გასწვრივ დატბორილ მინდვრებში ყელამდე ჩამალვა შეიძლებოდა. პაილმა ყელის ჩასანმენდად ჩაახველა, რაც მოახლოებული გულწრფელობის სიგნალი იყო.

– იმედია, ფიონგი კარგად არის, – სხვათა შორის თქვა მან.

– არ მსმენია, ავად გამხდარიყოს.

ერთი საგუშაგო კოშკი უკან დაინია, მეორე წინ აგვესვე-  
ტა – სასწორის თეფშებივით.

– გუშინ მისი და ვნახე სავაჭროდ გამოსული.

– და, რა თქმა უნდა, შემოგვიარეთო, გთხოვათ, – ვუთხ-  
არი მე.

– არსებითად ასეც მოხდა.

– იოლად იმედზე ხელს არ აიღებს.

– იმედზე?

– ფიონგი რომ თქვენ გამოგაყოლოთ ცოლად.

– თქვენზე მითხრა, მიემგზავრებაო.

– დადის ეგეთი ჭორიც.

– თქვენ ხომ არ მომატყუებთ, თომას, არა?

– მოგატყუებთ?

– გადაყვანა მოვითხოვე, – მითხრა პაილმა, – არ მინდა  
ორივე ჩვენგანის გარეშე დარჩეს.

– მეგონა, თქვენი ვადის გასვლას ელოდით.

– მივხვდი, რომ ველარ გავძლებ, – ყოველგვარი სიბრა-  
ლულის გარეშე თქვა.

– როდის მიემგზავრებით?

– არ ვიცი. ფიქრობენ, რომ ექვს თვეში უნდა გამოვიდეს  
ეგ საქმე.

– ექვს თვეს გაუძლებთ?

– სხვა გზა არ არის.

– რა მიზეზი დაასახელეთ?

– ეკონომიკურ ატაშეს, ჯოს, თქვენც იცნობთ... მეტ-ნაკ-  
ლებად სიმართლე მოვუყევი.

– ალბათ, ფიქრობს, რომ ნაბიჭვარი ვარ, რომელიც გო-  
გონას არ გითმობთ.

– არა, უფრო თქვენს მხარესაა.

მანქანა აშიშინდა და სვლა გაუჭირდა, მაგრამ ეს პრო-  
ცესი, სავარაუდოდ, წუთის დაწყებული უნდა ყოფილიყო,  
უბრალოდ, მე შევნიშნე გვიან, რადგან პაილის გულუბრყვი-  
ლო კითხვაზე ვფიქრობდი, ხომ არ მომატყუებთო. ეს კითხ-  
ვა ფსიქოლოგიური სამყაროს პირველ ეტაპს ეკუთვნოდა,  
როდესაც დემოკრატია და ღირსება მთავრული ასოთი ინე-

რებოდა, როგორც საფლავის ქვებზე, და თითოეულ სიტყვას თქვენთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პაპათქვენისთვის.

– მორჩა.

– სანჯავი?

– ეგ საკმარისად არის, გამოსვლამდე ავზი ავაკსე. ტანინელმა ნაბიჭვრებმა გადმონურეს, როგორც ჩანს. უნდა შემემჩნია. ეს მათ ახასიათებთ: იმდენი სანჯავი დაგვიტოვეს, რომ მათი ზონიდან გაგვეღწია.

– რა უნდა ვქნათ?

– მომდევნო საგუშაგომდე მივიდეთ. იმედია, ცოტა ბენზინი მაინც ექნებათ.

მაგრამ არ გაგვიმართლა. მანქანამ კოშკამდე ვერ მიაღწია, ოცდაათიოდე მეტრით ადრე გაჩერდა. ამიტომ ფეხით გავაგრძელეთ გზა და ფრანგულად დავუძახე გუშაგებს, მეგობრები ვართ და ამოვდივართ-მეთქი. არანაირი სურვილი არ მქონდა, რომ ვიეტნამელ მორიგეს ჩავეცხრილე. პასუხი არავინ გაგვცა: არც არავის გამოუხედავს.

პაილს ვკითხე:

– იარაღი გაქვთ?

– არასდროს ვატარებ.

– არც მე.

დაისის უკანასკნელი ფერები, ბრინჯივით მწვანე და ოქროსფერი, ბრტყელი სამყაროს ნაპირზე ილვენთებოდა; ნაცრისფერ ცაზე საგუშაგო კოშკი შავდებოდა. ალბათ, კომენდანტის საათამდე ბევრი აღარც იყო დარჩენილი. ისევ დავუძახე, მაგრამ არავინ გამოჩენილა.

– ბოლო სიმაგრეიდან რამდენი კოშკი გამოვიართ, გახსოვთ?

– ყურადღება არ მიმიქცევია.

– არც მე.

მომდევნო ფორტამდე, ალბათ, ექვსი კილომეტრი მაინც იქნებოდა ანუ ერთი საათის სავალი. მესამეჯერაც დავიძახე, პასუხად კი სიჩუმე მივიღე.

ვუთხარი:

– როგორც ჩანს, ცარიელია. ავძვრები და ვნახავ.

წითელზოლიანი ყვითელი დროშა, რომელიც ნარინჯისფრად გახუნებულიყო, გვაუწყებდა, რომ ჰოა-ჰოას ტერიტორია დაგვეტოვებინა და ვიეტნამის ჯარის მართულ ტერიტორიაზე გადავსულიყავით.

პაილმა მკითხა:

– აქ რომ შევიცადოთ, რამე მანქანა ვერ წამოგვისწრებს?

– ეგებ ასეც მოხდეს, მაგრამ შესაძლოა იმათ მოასწრონ.

– უკან ხომ არ გავბრუნდე და ფარები ავანთო, რომ სიგნალი მივანოდოთ?

– ღმერთო მაღალო, არა. დაანებთ თავი.

გვარიანად ბნელოდა და კიბის ძებნაში წავიბორძიკე. ფეხქვეშ რაღაც გატკაცუნდა; მომეჩვენა, რომ ეს ხმა ბრინჯის მინდვრებსაც მოედო – ვინ მოისმინა? პაილს სილუეტი დაეკარგა და გზის ფონზე გადღაბნილი მოჩანდა. აქ სიბნელემ ჩამონოლა კი არა, ქვასავით იცის დაცემა.

– მანდ იდექით, სანამ არ დაგიძახებთ, – გავაფრთხილე პაილი.

მაინტერესებდა, კიბე ზემოთ ხომ არ იყო აწეული, მაგრამ არა, ადგილზე დამხვდა; ამ კიბეზე მტერსაც შეეძლო ამოსვლა, მაგრამ ჯარისკაცებს თავის დახსნის სხვა გზაც არ ჰქონდათ. ასვლა დავიწყე. რამდენჯერ წამიკითხავს შიშის მომენტში ადამიანების ფიქრები – ღმერთზე, სამხედროებზე, ოჯახზე თუ ქალზე. პატივს ვცემდი მათ თავდაჭერას. მე არაფერზე ვფიქრობდი, თავზემთ გამოჭრილ ლიუკზეც კი. იმ წამებში, მგონი, აღარ ვარსებობდი: შიშის განსახიერება თვითონ გავხდი. ბოლომდე რომ ავედი, თავი ავარტყი, რადგან შიში არც ნაბიჯებს ითვლის, არც ესმის და ვერც ხედავს. მერე, მიწური იატაკიდან თავი რომ ავყავი და არავინ მესროლა, შიშმაც გამიარა.

### 3

იატაკზე ნავთის პატარა ლამპა იდგა და კედელთან მიმჯდარი ორი კაცი მიყურებდა. ერთს ავტომატი ეჭირა, მეორეს – შაშხანა, მაგრამ ჩემსავით შეშინებული ჩანდნენ. სკო-

ლის ბიჭებს ჰგავდნენ, მაგრამ ვიეტნამელებს ასაკი მზის სისწრაფით ემატებათ – დღეს რომ სკოლის მოსწავლეა, გაიხედავ და ხვალ უკვე მოხუცი კაცია. გამიხარდა, რომ ჩემი კანის ფერი და თვალის ქრილი პასპორტის როლს ასრულებდა – შიშის გამოც კი არ მესროდნენ.

იატაკზე ავძვერი და ახსნა დავუნყე, რომ მანქანა გარეთ მეყენა, რადგან სანვაგი გამითავდა. ვკითხე, ეგებ ცოტაოდენი ბენზინი გქონდეთ, რომ მომყიდოთ-მეთქი, თუმცა იქაურობას რომ თვალი მოვაველე, მივხვდი, რომ არაფერიც არ ექნებოდათ. მართლაც, ავტომატის ტყვიების ყუთის, პატარა ხის საწოლისა და ლურსმანზე დაკიდებული ორი ზურგჩანთის გარდა არაფერი ჰქონიათ. ორი ქვაბი, ბრინჯის ნარჩენებითა და ჩხირებით, მათ უმადობაზე მეტყველებდა.

– იმდენი მაინც არა გაქვთ, რომ შემდეგ ფორტამდე მივიდე? – ვკითხე მათ.

ერთ-ერთმა, რომელიც კედელთან იჯდა და შაშხანა ეჭირა, თავი გააქნია.

– თუ არადა, ღამის გატარება აქ მოგვიწევს.

– C'est defendu<sup>1</sup>.

– ვისგან?

– სამოქალაქო პირი ხართ.

– ვერავინ მაიძულებს, შუაგზაზე ვიჯდე და ველოდო, ყელს როდის გამომჭრიან.

– ფრანგი ხომ არა ხართ?

მხოლოდ ერთი კაცი მელაპარაკებოდა, მეორე კი უხმოდ იჯდა და ამბრაზურაში იყურებოდა, მაგრამ ღია ბარათის ზომაზე ბნელ ცას თუ დაინახავდა. მივხვდი, რომ რაღაცას უგდებდა ყურს და მეც გავინაბე. სიჩუმე ხმებით აღმოჩნდა სავსე: ამ ბგერებისთვის სახელის დარქმევა ძნელი იყო – ჭახანი, შრიალი, ხველის მსგავსი ხმები, ჩურჩული. მერე პაილის ხმა მომესმა, რომელიც კიბეზე ამოსულიყო.

– კარგად ხართ, თომას?

– ამოდით, – ვუპასუხე.

<sup>1</sup> აკრძალულია (ფრ.).

მან ამოდრომა დაიწყო, უმეტყველო ჯარისკაცმა კი ავტომატი მოიმარჯვა; არა მგონია, ჩვენი საუბრიდან რამე გაეგო, მისი მოძრაობა უნებლიე იყო. მივხვდი, რომ შიშმა დამბლა დასცა. სერჟანტის ტონით დავუცაცხანე:

– დაუშვი ავტომატი! – და ფრანგულად შეეუკურთხე, ამას მაინც მიხვდება-მეთქი. მყისიერად დამემორჩილა. ამასობაში ოთახში პაილიც ამოძვრა.

– ლამის გასატარებლად ამ კოშკში ამოგვიპატიყეს.

– მშვენიერია, – თქვა პაილმა. დაბნეული ხმა ჰქონდა.

– ამ დოცლაპიებიდან ერთ-ერთი ახლა ყარაულში არ უნდა იდგეს?

– ეშინიათ, რომ ვინმემ მიზანში არ ამოილოს და გასვლას ერიდებიან. ნეტავ ლაიმის წვენზე მაგარი წამოგელოთ რამე.

– შემდეგისთვის აუცილებლად წამოვიღებ, – თქვა პაილმა.

– წინ გრძელი ლამე გველის.

ახლა, როდესაც პაილიც ჩემთან ერთად იყო, ხმაური აღარ მესმოდა. ორივე ჯარისკაციც თითქოს ოდნავ დამშვიდდა.

– რა მოხდება, ვიეტმინელები რომ დაესხან თავს? – იკითხა პაილმა.

– ესვრიან და გაიქცევიან. ამის შესახებ ყოველდღილა „ექსტრიმ-ორიენტში“ კითხულობთ. საიგონის სამხრეთ-დასავლეთით პოსტი წუხელ დროებით ვიეტმინელებმა დაიკავეს.

– ცუდი პერსპექტივაა.

– ჩვენსა და საიგონს შორის ორმოცი მასეთი კოშკია. ამიტომ ყოველთვის შეიძლება იმედი გქონდეთ, რომ თქვენ კი არა, სხვას მოხვდება.

– ახლა ჩემი სენდვიჩები არ გვანყენდა, – თქვა პაილმა, – მაინც ვფიქრობ, რომ ამ ბიჭებიდან ერთ-ერთი აქაურობას უნდა ყარაულობდეს.

– ეშინია, რომ ტყვია არ დაუყარაულდეს, – ახლა, როდესაც ჩვენც იატაკზე მოვენყვეთ, ვიეტნამელები ცოტათი მოდუნდნენ. შემებრალა კიდევ: იოლი არ იქნებოდა ორი

ცუდად განვრთნილი ჯარისკაცისთვის აქ ღამეების ტეხა იმის მოლოდინში, მინდვრიდან ვიეტმინელები როდის მიეპარებოდნენ კოშკს.

პაილს ვკითხე:

– როგორ გგონიათ, იციან, რომ დემოკრატიისთვის იბრძვიან? იორკ ჰარდინგია ახლა აქ საჭირო, რომ ერთი კარგად აეხსნა ამათთვის.

– იორკს მუდამ დასცინით, – შენიშნა პაილმა.

– ყველას დავცინი, ვინც დიდ დროს უთმობს იმაზე წერას, რაც არ არსებობს და მხოლოდ გონებაში არსებულ წარმოდგენებს ეყრდნობა.

– მისთვის გონებაში არსებული არ არის და თქვენ გონებაში არსებული წარმოდგენები არ გაგაჩნიათ? მაგალითად, ღმერთის არ გნამთ?

– მიზეზიც კი არა მაქვს, რომ მწამდეს. თქვენ?

– კი. მე უნიტარელი ვარ.

– რამდენი მილიონი ღმერთის სწამს ხალხს? ყველაზე ღვთისმოსავ კათოლიკესაც ხომ სხვადასხვა ღმერთის სწამს, როდესაც შეშინებულია, ბედნიერი ან მშვიდია.

– ალბათ, თუკი ღმერთი არსებობს, ის იმდენად მასშტაბური იქნება, რომ ყველა თავისებურად დაინახავს.

– როგორც ბანგკოკის დიდ ბუდას, – ჩავილაპარაკე მე, – ერთბაშად მისი დანახვა შეუძლებელია, მაგრამ სულში მაინც არავის უძვრება.

– მგონი, უხეშობას ცდილობთ, – მითხრა პაილმა, – რამე მაინც იქნება, რისიც გნამთ. სრულიად ურწმუნოდ კაცს ცხოვრება გაუჭირდება.

– ოჰ, ბერკლიანელი<sup>1</sup> კი არა ვარ. მწამს, რომ ზურგით ამ კედელს ვეყრდნობი. მწამს, რომ იქ ავტომატი დევს.

– მაგას როდი ვგულისხმობდი.

– მე იმისიც კი მწამს, რასაც ვწერ, რაც ჩვენი კორესპონდენტების დიდი უმრავლესობისგან გამომარჩევს.

<sup>1</sup> ჯორჯ ბერკლი (1684-1753) – ინგლისელი ფილოსოფოს-იდეალისტი; ამტკიცებდა, რომ გარშემო არსებული საგნები ადამიანისგან დამოუკიდებლად ობიექტურად არ არსებობენ და რეალური მხოლოდ შეგრძნებებია.

– სიგარეტს ინებებთ?

– არაფერს ვენევი... ოპიუმის გარდა. ბიჭებს მოაწევი-  
ნეთ. ჯობია, მეგობრულად განვანყოთ, – პაილი ადგა, სი-  
გარეტები მიანოდა, მოუკიდა და დაბრუნდა. მე ვუთხარი:

– ნეტავ ამ სიგარეტსაც ისეთივე სიმბოლური დატვირ-  
თვა მიეცემოდეს, როგორც მარილს.

– რატომ, მაინც არ ენდობით?

– ვერცერთი ფრანგი ოფიცერი ვერ გაბედავდა ლამის გა-  
ტარებას გულგახეთქილ გუშაგებთან ერთად ასეთ კოშკში.  
ყოფილა შემთხვევები, რომ მთელ ოცეულებს გაუციათ თა-  
ვიანთი ოფიცრები. ზოგჯერ ვიეტმინელები მეგაფონებით  
მეტ წარმატებას აღწევენ, ვიდრე ბაზუკებით. არც ვამტყუ-  
ნებ. მათ წმინდა აღარაფერი დაუტოვეს. თქვენ და თქვენნა-  
ირები იმ ადამიანების ხელით ცდილობთ ომის წარმოებას,  
რომლებსაც ეს ომი საერთოდ არ აინტერესებთ.

– მათ კომუნიზმი არ უნდათ.

– მათ ბრინჯი უნდათ მაძღრისად, – ვუთხარი მე, – გულ-  
ში ტყვია კი არა. მშვიდი ცხოვრება სურთ. სულ არ სჭირდე-  
ბათ, რომ აქ თეთრკანიანებმა ვიტრიალოთ და მივეუთითოთ,  
რა სურთ და რა არა.

– თუ ინდოჩინეთი ხელიდან წაგვივა...

– ეგ სიმღერა უკვე ვიცი. მაშინ ხელიდან წაგვივა სიამი,  
მალაი, ინდონეზია. ეგ „წაგვივა“ რას ნიშნავს? მე რომ თქვე-  
ნი ღმერთისა და სამოთხისა მწამდეს, ჩემს არფაზე დავდებ-  
დი თქვენი ოქროს გვირგვინის საპირნონედ, რომ ხუთას  
წელიწადში აღარც ნიუ-იორკი იქნება და აღარც ლონდო-  
ნი, ესენი კი თავიანთ მინდვრებში ისევ მოიყვანენ ბრინჯს,  
ჭირნახულს ისევ ძელებზე ჩამოკიდებულს ატარებენ ბაზ-  
რებში და ისევ წვეტიანი ქუდები ეხურებათ. პატარა ბიჭე-  
ბიც ისევ შემოასხდებიან კამეჩებს. კამეჩები მომწონს, ისი-  
ნი ვერ იტანენ ჩვენს სუნს, ევროპელების სუნს, და გახსოვ-  
დეთ, კამეჩის გადმოსახედიდან თქვენც ევროპელი ხართ.

– იმას დააჯერებენ, რასაც ეტყვიან, დამოუკიდებლად  
ფიქრის უფლებას კი ჩამოართმევენ.

– ფიქრი ფუფუნებაა. გგონიათ, ღამით თიხის ქოხში დაბრუნებული გლენი ღმერთსა და დემოკრატიაზე ფიქრით ინუხებს თავს?

– ისე ამბობთ, თითქოს მთელი ქვეყანა მხოლოდ გლენობა იყოს. განათლებულებზე რას იტყვით? როგორ ფიქრობთ, არც ისინი იქნებიან ბედნიერი?

– არა, – ვთქვი მე, – ჩვენი იდეები ხომ ჩავუნერგეთ. ვასწავლეთ სახიფათო თამაშები, ჰოდა, ახლა იმიტომაც გვინევს აქ მოცდა, რომ გარეთ ყელი არავინ გამოგვჭრას, ალბალი კი იქნებოდა ჩვენზე. ნეტავ თქვენი მეგობარი იორკიც აქ ყოფილიყო. საინტერესოა, ეს ყველაფერი როგორ მოეწონებოდა?

– იორკ ჰარდინგი ძალიან გამბედავი კაცია. მაგალითად, კორეაში...

– ის ხომ იქ ჯარში არ ყოფილა? უკან დასაბრუნებელი ბილეთი ჰქონდა. როცა ჯიბეში უკანა ბილეთი გიდევეს, გამბედაობა სულიერი ვარჯიხით ხდება, ბერული თვითგამათრახების მსგავსად; ფიქრობ, ნეტავ რამდენს გავუძლებო, ეს უბედურები კი თვითმფრინავით შინ ვერ დაბრუნდებიან, – ჰეი, – მათ მივმართე, – რა გქვიათ? – მეგონა, ასე უფრო შემოვიყვანდით კონტაქტში. არაფერი მიპასუხეს. ნაფაზს ნაფაზზე არტყამდნენ მოხრილები, – ფრანგები ვგონივართ, – ეუთხარი პაილს.

– საქმეც ეგ არის, – მითხრა მან, – იორკის კი არა, ფრანგებისა და მათი კოლონიალიზმის წინააღმდეგ უნდა იყოთ.

– ოჰ, ეს თქვენი „იზმები“ და „კრატეები“. ფაქტები დამისახელებთ. თუ კაუჩუკის პლანტაციის მფლობელი თავის მოჯამაგირეს სცემს, ჩათვალეთ, მე მისი წინააღმდეგი ვარ. ასე მოიქეციო, კოლონიების მინისტრს არ უსწავლებია მისთვის. ის, ალბათ, ცოლსაც ასე სცემს. მღვდელი მინახავს, იმდენად ღატაკი, რომ გამოსაცვლელი შარვალიც კი არ ჰქონდა, მაგრამ ქოლერის ეპიდემიის დროს ქოხდაქოხ დადიოდა დღეში თხუთმეტი საათი, ბრინჯისა და დამარილებული თევზის მეტს არაფერს ჭამდა, ზიარებით კი ძველი ფინჯნითა და ხის თეფშით აზიარებდა. მართალია, ღმერ-

თის არ მნამს, მაგრამ მაინც იმ მღვდლის მხარეს ვარ. ამას კოლონიალიზმს რატომ უწოდებთ?

– იმიტომ, რომ ეს კოლონიალიზმია. იორკი ამბობს, რომ ხშირად კარგი ადმინისტრატორები ცუდი სისტემების შეცვლას უშლიან ხელს.

– ასეა თუ ისე, ფრანგები აქ ყოველდღე იღუპებიან და ეს გონებაში არსებული წარმოდგენები არ არის. ისინი აქაურ ხალხს სანახევრო ტყუილში არ აცხოვრებენ, როგორც თქვენი და ჩვენი პოლიტიკოსები. ინდოეთში ნამყოფი ვარ, პაილ, და კარგად ვიცი, ლიბერალებს რა ზიანიც მოაქვთ. ჩვენ ლიბერალური პარტია აღარ გაგვაჩნია... სამაგიეროდ, ლიბერალიზმმა ყველა პარტია დაასწებოვანა. უკვე ლიბერალ-კონსერვატორებად ან ლიბერალ-სოციალისტებად ვიქცით ყველანი: ყველა ჩვენგანს სინდისი სუფთა აქვს. მირჩევნია, ექსპლუატატორი ვიყო, რომელიც იბრძვის იმისთვის, რისი ექსპლუატირებაც უნდა, და თავსაც სწირავს ამ სურვილს. აბა, ბირმის ისტორიას გადახედეთ. ქვეყანაში შევიჭერთ, ადგილობრივი ტომები გადავიბირეთ, გავიმარჯვეთ, მაგრამ, როგორც თქვენ, ამერიკელები, იმხანად კოლონიალისტებს არც ჩვენ ვუწოდებდით თავს. პირიქით, მეფესთან ზავი დავდეთ და პროვინცია დავუბრუნეთ, თან, უფლება მივეცით, ჩვენი მოკავშირეები ჯვარს ეცვა და შუაზე გადაეხერხა. არადა, ის უბედურები უბირი ხალხი იყო. ეგონათ, არ მივატოვებდით, მაგრამ ჩვენ, ლიბერალები, სინდისის გასვრას ვერიდებოდით.

– ეგ დიდი ხნის წინანდელი ამბავია.

– აქაც იმავეს ვიზამთ. ჯერ შევაგულიანებთ, მერე კი მცირე აღჭურვილობითა და სათამაშოების მრეწველობის ამარა მივატოვებთ.

– სათამაშოების?

– თქვენს პლასტიკს ვგულისხმობ.

– აა, გასაგებია.

– არ ვიცი, პოლიტიკაზე რა მალაპარაკებს. სულ არ მინტერესებს. ერთი უბრალო რეპორტიორი ვარ. არაფერში ვერევი.

– არ ერევით? – მკითხა პაილმა.

– მხოლოდ კამათის დონეზე... ეს ოხერი ღამე რომ როგორმე გავიყვანოთ. არავის ვუჭერ მხარს. ვინც არ უნდა გამარჯვოს, მაინც რეპორტიორი ვიქნები.

– თუკი ისინი გაიმარჯვებენ, ტყუილების წერა მოგიწევთ.

– შემოვლითი გზა ყოველთვის მოინახება, თანაც, ჩვენს გაზეთებში ჭეშმარიტების თაყვანისცემა ჯერ არ შემიმჩნევია.

მგონი, ჩვენმა საუბარმა ჯარისკაცები ცოტა გაამხნევა. ალბათ, ფიქრობდნენ, რომ თეთრკანიანების ხმები – რადგან ხმებსაც აქვს ფერები, ყვითელი ხმები მღერიან, შავი ხმები ბუყბუყებენ, თეთრი ხმები ლაპარაკობენ, – ბევრი ადამიანის შთაბეჭდილებას შექმნიდა, რაც ვიეტმინელებს დააფრთხობდა. გუშაგებმა თავ-თავიანთ ქვაბებს ისევ დაავლეს ხელი და ჩხირებით ბრინჯის ნარჩენების ჭამა დაიწყეს, თუმცა ქვაბებს ზემოდან მე და პაილს არ გვაცილებდნენ თვალს.

– ანუ ფიქრობთ, რომ დავმარცხდით?

– მაგას არ ვამბობ, – ვუთხარი პაილს, – თუმცა დიდი სურვილი არა მაქვს, რომ თქვენ გაიმარჯვოთ. მინდა ეს ორი საცოდავი ბედნიერი იყოს, მორჩა და გათავდა. მინდა სიბნელეში გულგახეთქილებს სხდომა არ უწევდეთ.

– თავისუფლებისთვის უნდა იბრძოლო.

– არ დამინახავს, რომ აქ ამერიკელებს ებრძოლოთ, ხოლო რაც შეეხება თავისუფლებას, მისი მნიშვნელობაც კი არ ვიცი, – ჯარისკაცებს ფრანგულად გავძახე, – *La Liberte – qu'est-ce que c'est la liberte!*? – ბრინჯს ნოვდნენ ჩხირებიდან და უტყვად გვიცქერდნენ.

პაილმა მკითხა:

– თქვენ გინდათ ყველა ერთი ყაიდისა იყოს? თქვენ კამათის გამო კამათობთ. ინტელექტუალი ხართ. ისევე იცავთ ინდივიდის მნიშვნელოვნობას, როგორც მე ან იორკი.

---

<sup>1</sup> თავისუფლება – რა არის თავისუფლება? (ფრ.).

– ეს ახლა რატომ გალელვებთ ასე? – ვკითხე მას, – ორმოცი წლის წინ ასე არავინ ლაპარაკობდა.

– მაშინ ადამიანის პიროვნებას არავინ ემუქრებოდა.

– ჩვენს პიროვნებას არ ემუქრებოდა არაფერი, მაგრამ ვის ადარებდა ბრინჯის მინდვრებში მომუშავეთა პიროვნება ან ახლა ვის სცხელა მაგისტვის? ერთადერთი ადამიანი, ვინც მათ ადამიანურად ექცევა, პოლიტკომისარია. ქობში ჩამოუფდება, გამოჰკითხავს ვინაობას და მათ საჩივარს ჩაინერს; დღეში ერთ საათს ხარჯავს, რომ მათ რამე ასწავლოს, არა აქვს მნიშვნელობა, რა, მთავარია, მათ ისე ექცევა, როგორც ადამიანებს, როგორც ღირებულების მქონე პიროვნებებს. ნუ ეჩრებით აღმოსავლეთში პიროვნების თავისუფლებაზე სულელური კრიახით! სწორედ ისინი იცავენ ადამიანის პიროვნებას, ჩვენ კი პირად ნომერ 23987-ს ვიცავთ, რაც ერთეულია გლობალურ სტრატეგიაში.

– იმის ნახევარიც არ გჯერათ, რასაც ამბობთ, – დაასკვნა პაილმა.

– შეიძლება სამი მეოთხედი. აქ დიდი ხანია, ვარ. იცით, გამიმართლა, რომ არაფერში ცხვირი არ ჩამიყვია, არადა, უამრავი რამეა, რისკენაც შეიძლება ხელი წამიცდეს... რადგან აქ, აღმოსავლეთში... თქვენი აიკი არ მომწონს. ეს ორი მომწონს. ეს მათი ქვეყანაა. რომელი საათია? საათი გამიჩერდა.

– ცხრის ნახევარი გახდა.

– ათი საათი და დავიძვრებით.

– გვარიანად აგრილდა, – თქვა პაილმა და გააკანკალა, – ამას არ მოველოდი.

– ირგვლივ წყალია. მანქანაში საბანი მიგდია. იკმარებს.

– უსაფრთხოა?

– ვიეტმინელებისთვის ჯერ ადრეა გამოჩენა.

– ნავალ.

– სიბნელეში მე უფრო გამოვდგები, – როდესაც ავდექი, ჯარისკაცებმა ჭამა შეწყვიტეს, – Je reviens, tout de suite<sup>1</sup>, – ვუთხარი მათ, – ფეხები ლიუკში ჩავკიდე, კიბე ვიპოვე

<sup>1</sup> აშნამს დავბრუნდები (ფრ.).

და ქვევით დავეშვი. უცნაურია, როგორ ამხნევებს ადამიანს საუბარი, განსაკუთრებით, განყენებულ საკითხებზე — უცნაურ გარემოსაც კი შინაურულს ხდის. აღარ მეშინოდა: თითქოს ოთახიდან გავედი და დაბრუნებისთანავე კამათსაც განვაახლებდი. თითქოს საგუშაგო კოშკი კატინას ქუჩა, „მაჟესტიკის“ ბარი ან გორდონ-სქუერი იყო.

კოშკის ქვეშ ერთ ნუთს ვიდექი თვალის სიბნელისთვის შესაჩვევად. ცაზე ვარსკვლავები კი ციმციმებდა, მაგრამ მთვარე არ ჩანდა. მთვარის შუქი საცხედრესა და უაბაჟურო ნათურის ანარეკლს მაგონებს მარმარილოს ნაჭერზე, მაგრამ ვარსკვლავების სინათლე ცოცხალია და არასოდეს იყინება, სულ ციმციმებს, თითქოს ვილაც უზარმაზარი სივრციდან მოკითხვას გვიგზავნიდეს; ვარსკვლავების სახელებიც როგორი მეგობრულია: ვენერა იმ ქალს გვახსენებს, რომელიც გვიყვარს, დიდი დათვის თანავარსკვლავედი კი დათუნიებს, ბავშვობაში რომ გვყავდა, ხოლო სამხრეთის ვარსკვლავი, ჩემი ცოლისა არ იყოს, ნებისმიერი მორწმუნისთვის საგალობლის ან მწუხრის ლოცვასავითაა. მეც პაილივით გამაკანკალა, მაგრამ ცხელი ღამე იდგა, მხოლოდ ორივე მხრიდან მარჩხი წყალი ჰაერს თითქოს სუსხს უმატებდა. გარეთ გავედი და მანქანისკენ წავედი, თუმცა წამიერად გავიფიქრე, აღარ დამხვდება-მეთქი. ამან თავდაჯერებულობა შემირყია, მიუხედავად იმისა, რომ გამახსენდა, ოცდაათიოდე მეტრის მოშორებით ჩავგიქრა. მხრებჩამოყრილი მივდიოდი, მეგონა, ასე ნაკლებად მოხვდებოდი ვინმეს თვალში.

საბარგულის გახსნა დამჭირდა საბნის ამოსაღებად და ჩხაკუნმა და ჭრიალმა ღამის სიჩუმეში შემაკროთო. თითქოს მხოლოდ მე ვინვევდი ხმაურს ხალხით სავსე ღამეში. მხრებზე მოგდებული საბნით საბარგულის თავსახური იმაზე ფაქიზად დავწიე, ვიდრე ავწიე, და სწორედ იმ დროს, როდესაც საკეტმა გაიჩხაკუნა, საიგონის მხარეს ცა გადანათდა და აფეთქების ხმა გზას გამოჰყვა. ტყვიამფრქვევი აკაკანდა და გაჩერდა, აკაკანდა და გაჩერდა, და გრუხუნიც მიწყდა. გავიფიქრე, ვილაცას მწარედ მოხვდა-მეთქი; შორი-

დან კი ყვირილი შემომესმა, ოღონდ ტკივილისა თუ შიშის ან ეგებ სიხარულის, ეს ვერ გავარჩიე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სულ ზურგიდან თავდასხმაზე ვფიქრობდი, იმ გზიდან, რომელიც გამოვიარეთ, და წამიერად უსამართლობის გრძნობაც დამეუფლა, რადგან ვიეტმინელები ჩვენსა და საიგონს შორის ჩვენზე წინ იყვნენ. ესე იგი, თურმე საფრთხისკენ მივინევდით ჩვენდა უნებურად, ნაცვლად იმისა, მოვშორებოდით. კოშკში სირბილით მინდოდა მისვლა, მაგრამ ფეხი განგებ არ ავაჩქარე, რომ ხმაური ზედმეტად არ გამომეცა.

კიბის ძირიდან პაილს ავძახე:

– მე ვარ, ფაულერი (მაშინაც კი არ მითქვამს ჩემი სახელი). ზევით სცენა შეცვლილიყო. ბრინჯის ქვაბები ისევ იატაკზე ენყო; ერთ-ერთ ჯარისკაცს შაშხანა ეჭირა და პაილის მოპირდაპირედ კედელთან იჯდა, თან, მას მისჩერებოდა, პაილი კი შორიახლოს ჩაცუცქულიყო და ავტომატს უყურებდა, რომელიც მასა და მეორე ჯარისკაცს შორის იდო. მისი მნახველი გაიფიქრებდა, თითქოს ავტომატისკენ მიიპარებოდა და შეაჩერესო. მეორე ჯარისკაცს ხელი ავტომატისკენ გაენვდინა; არავინ იბრძოდა, არც იმუქრებოდა, ყველაფერი ბავშვურ თამაშს ჰგავდა, როდესაც ვერ უნდა დაგინახონ, თორემ სანყის წერტილზე გაგზავნიან და ყველაფრის თავიდან დაწყება გინევს, – რა ხდება? – ვიკითხე მე. სამხედროებმა შემომხედეს, პაილი კი ავტომატთან მიიჭრა, აიტაცა და თავის მხარეს წაიღო, – თამაშობთ?

– მაგ იარაღიანს ვერ ვენდობი, – მითხრა პაილმა, – თავდასხმის შემთხვევაში.

– ავტომატი ოდესმე გისვრიათ?

– არა.

– მშვენიერია. არც მე. იმედია, დატენილია... თორემ, რა ვიცი, როგორ გადავტენოთ.

სამხედროებმა მშვიდად მიიღეს იარაღის დაკარგვა. ერთმა შაშხანა დასწია და კალთაში ჩაიღო, მეორე კედელს მიეყრდნო და თვალი დახუჭა, თითქოს ბავშვი იყო და ეგონა, სიბნელეში უხილავი გახდებოდა. ეგებ პასუხისმგებლობის მოშორებამ გაახარა. სადღაც შორს ტყვიამფრქვევის ხმა

ისევ გაისმა სამჯერ და სიჩუმე ჩამოვარდა. მეორე გუშაგმა ძლიერად მოჭუტა თვალი.

– არ იციან, რომ გამოყენება არ ვიცით, – თქვა პაილმა.

– სავარაუდოდ, ჩვენს მხარეს არიან.

– მეგონა, თქვენ არავის მხარეს არ იყავით.

– Touche<sup>1</sup>, – ვთქვი მე, – ნეტავ ვიეტმინელებმა იცოდნენ.

– იქ რა ხდება?

მე ისევ „ექსტრიმ-ორიენტი“ მოვიშველიე და ხვალინდელი ინფორმაციის ციტირება მოვახდინე: „თავდასხმა საიგონიდან ორმოცდაათი კილომეტრით დაშორებულ პოსტზე: ვიეტმინელმა პარტიზანებმა წუხელ დროებით დაიკავეს სამხედრო კოშკი“.

– მინდვრებში უფრო უსაფრთხო ხომ იქნება?

– მინდვრებში ყველაფერი სველია.

– აღელვებული არ ჩანხართ, – შენიშნა პაილმა.

– ლამის გული გამისკდეს, მაგრამ საქმე იმაზე უკეთ არის, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო. ისინი ღამით სამ პოსტზე მეტს არ ესხმიან თავს. უსაფრთხოების შანსი გაგვეზარდა.

– ეს რაღაა?

გზიდან საიგონისკენ მიმავალი მძიმე მანქანის ხმა შემოისმა. ამბრაზურასთან მივედი და სწორედ იმ დროს გავიხედე, ტანკი რომ მოგვიახლოვდა.

– პატრულია, – ვთქვი მე.

ტანკის ჯავშნიანი კოშკიდან იარაღის ლულა ხან ჩვენკენ ტრიალდებოდა, ხან საპირისპირო მხარეს. გავიფიქრე, დავუძახებ-მეთქი, მაგრამ ეს რა ხეირს დაგვაყრიდა? ორი გამოუსადეგარი სამოქალაქო პირის ადგილი მაინც არ ექნებოდათ. ტანკის ჩავლისას იატაკი ირყეოდა. როგორც იქნა, გაგვცილდა. საათზე დავიხედე: ცხრას ცხრა წუთი აკლდა. დროის ჩანიშვნა მომინდა, როდის იელვებდა სინათლე. გაელვებიდან მეხის დაცემის ადგილამდე მანძილი რომ გაზომო, ყური კარგად უნდა მიუგდო. დაახლოებით ოთხი წუთი

<sup>1</sup> (აქ) მოარტყით (ფრ.).

გავიდა, სანამ ქვემეხი გაისროდა. საპასუხოდ ერთხელ ბაზუკი ისროლეს, მერე ყველაფერი მიჩუმდა.

– როცა დაბრუნდებიან, – თქვა პაილმა, – ვანიშნოთ, რომ ბანაკამდე გაგვიყოლონ.

აფეთქებამ ისევ შეგვარყია.

– თუ დაბრუნდებიან, – დავაზუსტე მე, – ნალმის ხმა იყო.

როდესაც საათი შევამოწმე, ათის თხუთმეტი წუთი გამხდარიყო, მაგრამ ტანკის დაბრუნებას პირი არ უჩანდა. აღარც სროლის ხმა ისმოდა.

პაილის გვერდით დავჯექი და ფეხები გავჭიმე.

– ჯობია, თვალი მოვატყუოთ, – ვურჩიე ამერიკელს, – სხვას მაინც ვერაფერს ვიზამთ.

– ეს გუშაგები მაფიქრებენ, – მითხრა მან.

– ვიეტმინელების გამოჩენამდე მათზე ფიქრიც კი ზედმეტია. ავტომატი ფეხებქვეშ დაიდეთ უსაფრთხოებისთვის, – თვალი დავხუჭე და საკუთარი თავის წარმოდგენა ვცადე სადმე სხვაგან... ვთქვათ, მეოთხე კლასის კუპეში, ჰიტლერის მოსვლამდე ასე უხვად რომ გვთავაზობდა გერმანიის რკინიგზა, ჩემს ახალგაზრდობაში, როდესაც მთელი ღამე უდარდელად ჯდომა შემეძლო, როდესაც სული იმედით მქონდა სავსე და არა შიშით. დღის ამ დროს ფიონგი ყალიონს მიწყობდა ხოლმე. მაინტერესებდა, წერილი თუ ჩამოვიდა, თუმცა კი იმედი არ მქონია, რადგან შეუძლებლად მეჩვენებოდა.

– გძინავთ? – მკითხა პაილმა.

– არა.

– არ ჯობია კიბე ამოვწიოთ?

– მივხვდი, ესენი რატომ არ სწევენ: აქედან გასაღწევი ეს ერთადერთი გზაა.

– ნეტავ ის ტანკი დაბრუნდებოდეს.

– ახლა აღარ დაბრუნდება.

ხანგრძლივი შუალედებით ვამოწმებდი საათს, თუმცა დრო ნელა გადიოდა. ცხრა საათი და ორმოცი წუთი, ათი საათი და თერთმეტი წუთი, ათი საათი და ოცდათორმეტი წუთი, ათი საათი ორმოცდაერთი წუთი.

– გლვიდავთ? – ახლა მე ვკითხე პაილს.

– დიახ.

– რაზე ფიქრობთ?

დაფიქრდა.

– ფიონგზე, – მიპასუხა ბოლოს.

– ჰო?

– ნეტავ ახლა რას შვრება.

– მე შემძლია მაგის თქმა. იფიქრებდა, რომ ტაინინში შემოვრჩი – პირველად ხომ არ ხდება ასე. დანვებოდა, საკმევლის ჩხირს აანთებდა მოსკიტების დასაფრთხობად და „პარი მატჩის“ ძველი ნომრის ფურცვლას დაიწყებდა. ფრანგი ქალების მსგავსად ისიც გიჟდება ინგლისის სამეფო ოჯახზე.

ნალვლიანად თქვა:

– კარგია, როცა ზუსტად იცით, – მე კი სიბნელეში წარმოვიდგინე მისი ძალღვივით მოალერსე თვალები. ფიქრობდა და დაერქმიათ მისთვის, ოლდენი კი არა.

– ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, ალბათ, ასეა. ეჭვიანობას აზრი არა აქვს, როცა ვერაფერს შეცვლი. გალმიდან ვერ შევდავები, რომ გამოვლმა გამომადგეს.

– ზოგჯერ თქვენი ლაპარაკის მანერა მძულს, თომას. არ იცით, ჩემთვის ის რას ნიშნავს? ჩემთვის უზაკველია, ყვა-ვილივით.

– სანყალი ყვავილი, – ვთქვი მე, – როცა ირგვლივ იმდენი სარეველაა.

– სად გაიცანით?

– „გრან მონდში“ ცეკვავდა.

– ცეკვავდა, – ისე ამოიოხრა, თითქოს ამის წარმოდგენაც კი ტკივილს ანიჭებდა.

– ეს სრულიად პატივისაცემი პროფესიაა, – ვუთხარი მე, – არ იდარდოთ.

– საშინლად გამოცდილი ხართ, თომას.

– საშინლად ბევრი წელი მაქვს უკან მოტოვებული. როცა ჩემი ხნისა მოიყრებით...

– გოგონა არასდროს მყოლია, – თქვა უცებ, – ამ სიტყვის სწორი გაგებით. რასაც თქვენ ნამდვილ გამოცდილებას უწოდებთ, ეგ არ გამაჩნია.

– ამერიკელები უსტვენთ და მაგაში მიგდით მთელი ენერჯია.

– ეს აქამდე არავისთვის გამიმხელია.

– ახალგაზრდა ხართ. სამარცხვინო არაფერია!

– ბევრი ქალი გყოლიათ, ფაულერ?

– ბევრი რას ნიშნავს, არ ვიცი. სულ ოთხი ქალი მეძვირფასებოდა... მათ კი მე. დანარჩენთა რაოდენობა კი ორმოცს აჭარბებს... რა თავში სახლელად მინდოდა, არ ვიცი. ჰიგიენა, საზოგადოებრივი ვალდებულებები... ეს ყველაფერი მცდარი წარმოდგენაა.

– გგონიათ, მცდარია?

– ნეტავ ის ღამეები დაბრუნდებოდეს! ჯერ კიდევ შეყვარებული ვარ, პაილ, მაგრამ ჯანი აღარ მომდევს. ცხადია, სიამაყის ამბავიც არის. გეამაყება ადამიანს, რომ სასურველი ხარ, მაგრამ საამაყო რა არის, მხოლოდ ღმერთმა უწყის, რადგან ირგვლივ რომ მიმოიხედები ადამიანი, უამრავ სასურველს დაინახავ.

– როგორ ფიქრობთ, რამე მჭირს, თომას?

– არა, პაილ.

– არა, არ ვამბობ, რომ ეს არ მჭირდება, თომას. უბრალოდ, რამე უცნაურობა ხომ არ მჭირს...

– არც ისე გვჭირდება, როგორც თავი მოგვაქვს. ეს თვითშთაგონების ბრალია. ახლა ზუსტად ვიცი, რომ ფიონგის მეტი არავინ მჭირდება, მაგრამ ამას რომ მიხვდე, დროა საჭირო. ის რომ არა, მთელი წელი უძილო ღამე რა არის, არ მეცოდინებოდა.

– მაგრამ ის თქვენ გვერდითაა, – ძლივსგასაგონად თქვა.

– გარყვნილებით იწყებ და პაპის პაპასავით ერთი ქალის ერთგულებით ამთავრებ.

– ძალიან მიამიტურად მეჩვენება უკნიდან დაწყება...

– არაა მიამიტობა.

– კინსის სტატისტიკაში ასეთ მონაცემებს ვერ ნახავს კაცი.

- სწორედ მაგიტომაც არ არის მიამიტური.
- იცით, თომას, ძალიან მსიამოვნებს თქვენთან აქ ასე საუბარი. ასე საფრთხე აღარ იგრძნობა.
- ბლიცის მერე სიმშვიდე რომ ისადგურებდა, მაშინაც ასე გვეგონა ხოლმე, მაგრამ შემდეგ ისევ სროლა იწყებოდა.
- ვინმემ რომ გკითხოთ, რომელია თქვენთვის ყველაზე ღრმა სექსუალური გამოცდილება, რას უპასუხებდით?
- ამის პასუხზე დიდხანს ფიქრი საჭირო არ იყო.
- ერთ დილით მე სანოლში ვინეკი და ვუყურებდი, როგორ ივარცხნიდა წითელხალათიანი ქალი თმას.
- ჯომ თქვა, ყველაზე დიდი გამოცდილება ის იყო, როდესაც ერთდროულად ჩინელ და ზანგ ქალებთან ვინეკიო.
- მასეთ რამეს მეც მოვიფიქრებდი ოცი წლის ასაკში.
- ჯო ორმოცდაათისაა.
- საინტერესოა, გონებრივი განვითარების მიხედვით რამდენი მისცეს ჯარში.
- ის წითელხალათიანი გოგონა ფიონგი იყო?
- ნეტავ ეს კითხვა არ დაესვა.
- არა, – ვუპასუხე, – ის ქალი უფრო ადრე გავიცანი. როდესაც ცოლი მივატოვე.
- იმასთან რა მოხდა?
- ისიც მივატოვე.
- რატომ?
- მართლაცდა, რატომ?
- ყველანი სულელები ვართ, – ვთქვი მე, – როდესაც გვიყვარს. მისი დაკარგვის მეშინოდა. მეგონა, ჩემდამი დამოკიდებულება ეცვლებოდა... ზუსტად ვერ ვიტყვი, მართლა ასე იყო თუ არა, მაგრამ გაურკვევლობის ატანა აღარ შემეძლო. ფინიშის სწორისკენ ისე გავიქეცი, როგორც ლაჩარი გაქუსლავს ხოლმე მტრისკენ და ამაში მედალსაც კი იღებს. სიკვდილის გადალახვა მინდოდა.
- სიკვდილის?
- ეს ერთგვარად სიკვდილს უდრიდა. მერე აღმოსავლეთს მოვაშურე.
- და ფიონგი იპოვეთ?

– ჰო.

– მაგრამ ფიონგთან იგივე არ განგიცდიათ?

– იგივე არა. იცით, იმ სხვას მე ვუყვარდი, მე სიყვარულის დაკარგვისა მეშინოდა. ახლა კი მხოლოდ ფიონგის დაკარგვა მაშინებს, – ნეტავ ამას რატომ ვეუბნებოდით? ჩემგან გამხნელება ნამდვილად არ სჭირდებოდა.

– მაგრამ ხომ უყვარხართ?

– მთლად ასეც არა. ეს მათ ბუნებაშია. ამას ოდესმე თქვენც გაიგებთ. ერთგვარი კლიშეა მათი ბავშვებად მოხსენიება... თუმცა აქვთ კიდეც რაღაც ბავშვური. მათ სიკეთის, უსაფრთხოების, საჩუქრების გამო უყვარდებით. თქვენი შეძლებაც შეუძლიათ, თუ ხელს ასწევთ მათზე ან უსამართლოდ მოექცევით. მათ ვერ წარმოუდგენიათ, ვთქვათ, რას ნიშნავს, შეხვიდე ოთახში და უცხო ადამიანი შეგიყვარდეს. ასაკში შესული კაცისთვის, პაილ, ძალიან უსაფრთხოა ურთიერთობა, როცა იცის, რომ ქალი არსად გაექცევა, თუკი სახლში ბედნიერია.

მისთვის გულისტკენა არ მინდოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მიტკენია, რადგან შეფარული რისხვით თქვა:

– მან შეიძლება უფრო დიდი უსაფრთხოება და მეტი სიკეთე ამჯობინოს.

– შესაძლებელია.

– მაგის არ გეშინიათ?

– არც ისე, როგორც იმ ქალის შემთხვევაში.

– საერთოდ, გიყვართ მაინც?

– კი, პაილ, კი. სხვაგვარად მხოლოდ ერთხელ მყვარებია ცხოვრებაში.

– იმ ორმოცზე მეტი ქალის მიუხედავად, ცხოვრებაში რომ გყოლიათ, – გამოცრა პაილმა.

– დარწმუნებული ვარ, ეს კინსის საშუალოზე დაბალია. იცით, პაილ, ქალებს უბინო მამაკაცები არ უყვართ და მგონი, არც ჩვენ გვიყვარს ქალწულები, თუ პათოლოგიური ტიპები არა ვართ.

– მე არ მიგულისხმია, რომ უბინო ვარ, – თქვა პაილმა.

რაზეც არ უნდა მესაუბრა ამ ახალგაზრდასთან, ყველაფერი სულელურ მიმართულებას იძენდა. იმიტომ ხომ არა, რომ ძალიან გულწრფელი იყო და არაფერს მალავდა?

– შეიძლება ასობით ქალი გყავდეს კაცს და მაინც უბინო იყო, პაილ. თქვენი ჯარისკაცების დიდი ნაწილი, ომის დროს გაუპატიურების გამო რომ ჩამოახრჩვეს, უბინო იყო. ევროპაში მაგდენი არ მოგვეძებნება, რაც მიხარია. უბინოებს ბევრი პრობლემა მოაქვთ.

– თქვენი არ მესმის, თომას.

– ახსნადაც არ ღირს. ეს საკითხი ისედაც მომწყინდა. იმ ასაკში ვარ, როდესაც სექსზე მეტად სიბერე და სიკვდილი აფიქრებს კაცს. როცა ვიღვიძებ, ამაზე ვფიქრობ, ქალის სხეულზე კი არა. არ მინდა სიბერეში მარტო დარჩენა, ესაა და ეს. მერე მთელი დღე რა უნდა ვაკეთო? მირჩევნია, ოთახში ქალი მეგულეობდეს... რომელიც თუნდაც არ მიყვარდეს. მაგრამ ფიონგმა რომ მიმატოვოს, მე ახალი ქალის საპოვნელად ძალა სად გამოვნახო?

– ანუ თქვენთვის მეტი ფასი არ ჰქონია...

– მეტი, პაილ? დაიცადეთ, აბა, თუ არ შეგეშინდებათ, როცა მარტოს მოგიწევთ ათი წელი ცხოვრება ბოლოს თავშესაფრის პერსპექტივით. მერე წინ და უკან დაინწყებთ სირბილს, თუნდაც იმ წითელხალათიანსაც გაერიდებით, ოღონდ კი ისეთი ვინმე იპოვოთ – სულერთია, ვინ იქნება – ვინც ბოლომდე თქვენთან დარჩება.

– რატომ ცოლს არ უბრუნდებით?

– იოლი არ არის ისეთ ადამიანთან ცხოვრება, ვისაც გული ატკინეთ.

ავტომატის სროლის ხმა გაისმა – ჩვენგან, ალბათ კილომეტრის დაშორებით. შესაძლოა განერვიულებული გუშაგი ჩრდილებს ესროდა, შესაძლოა მორიგი შეტევა დაიწყო. შეტევა თუ იქნებოდა, ჩვენი უსაფრთხოების შანსი გაიზრდებოდა.

– გეშინიათ, თომას?

– ცხადია, მეშინია, ლამის გული გამისკდეს, მაგრამ ასე სიკვდილი მირჩევნია, საამისოდ მიზეზი მაქვს. აღმოსავ-

ლეთში ამიტომაც ჩამოვედი. სიკვდილი თან მდევს, – საათზე დავიხედე. თერთმეტი გამხდარიყო. რვასაათიანი მოლოდინი და ამოვისუნთქავდით. ვუთხარი, – მგონი, ღმერთის გარდა, ყველაფერზე ვისაუბრეთ. ეს საკითხი გამთენიის საათებისთვის შემოვიტოვოთ.

– არ გნამთ, ხომ?

– არა.

– მის გარეშე ჩემთვის ბევრ რამეს აზრი არ ექნებოდა.

– ჩემთვის კი მისიანად არაფერს აქვს აზრი.

– ერთხელ წიგნი წავიკითხე...

პაილმა რა წიგნი წაიკითხა, ვერ გავიგე (ალბათ, იორკ ჰარდინგი ან შექსპირი იქნებოდა, ანდა თანამედროვე პოეზიის ანთოლოგია, ეგებ „ქორწინების ფიზიოლოგია“ ან „ცხოვრების ტრიუმფი“), ხმა პირდაპირ კოშკში შემოვიდა, თითქოს ლიუკიდან ამოდისო. მეგაფონი რალაცას აცხადებდა ვიეტნამურად.

– ჩვენც მოგვაგნეს, – ვთქვი მე.

ორივე გუშაგი გვისმენდა და ამბრაზურას უყურებდა პირდაფჩენილი.

– რა არის? – იკითხა პაილმა.

ამბრაზუსთან მისვლა ხმაში გავლას გულისხმობდა. სწრაფად გავიხედე. არაფერი ჩანდა. მერე თითქოს გზა გავარჩიე, ხოლო როდესაც ამბრაზურას მოვაცილე სახე და ოთახისკენ შემოვაბრუნე, ერთ-ერთ ვიეტნამელს შაშხანა მოემარჯვებინა, ოღონდ ზუსტად ვერ ვიტყვოდი, მე მიმიზნებდა თუ ამბრაზურას. როდესაც კედელს გავყვევი, შაშხანაც კანკალით მე გამომყვა; გარედან ხმამ იგივე გაიმეორა. უხმოდ დავჯექი და შაშხანაც დაეშვა.

– რას ამბობს? – მკითხა პაილმა.

– არ ვიცი. ალბათ, მანქანა იპოვეს და ამ ბიჭებს ჩვენზე ეუბნებიან, გადმოგვეცითო ან რაიმე მსგავსი. ჯობია, ავტომატი ავიღოთ, სანამ ამათ რამე უღონიათ.

– გვესვრის.

– ვერ გადაუნყვეტია. როცა გადაწყვეტს, მაშინ აუცილებლად გვესვრის.

პაილმა ავტომატი თავისკენ ფეხით გასწია და აიღო.

– მე კედელს გავყვები, – ვუთხარი მას, – როდესაც თვალს მომაშორებს, მიზანში ამოიღეთ.

ამასობაში გარედან ხმა შეწყდა და სიჩუმემ წამომახტუნა.

პაილის ხისტად ნათქვამი გაისმა:

– დააგდე იარაღი!

იმის გაფიქრება მოვასწარი, ავტომატი დატენილი იყო თუ არა, რადგან შემონმებით თავი არ შემინუხებია, და გუშაგმაც შაშხანა დააგდო. მივედი და მე ავიღე. მერე ხმა ისევ შემოისმა. ისეთი განცდა მქონდა, რომ მარცვალისკენ არ შეცვლილიყო. შეიძლება ჩანანერს იყენებდნენ. მაინტერესებდა, ულტიმატუმი როდის ამოიწურებოდა.

– მერე რა იქნება? – ისეთ ინტერესს გამოხატავდა პაილი, როგორც სკოლის ლაბორატორიაში მყოფი მოსწავლე. შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ეს ყველაფერი მას არც ეხებოდა.

– ან ბაზუკა იქნება, ან ვიეტმინელი.

პაილმა ავტომატის შემონმება დაიწყო.

– მთლად გაუგებარიც არ უნდა იყოს, – თქვა მან, – გავისროლო?

– არა, იყოყმანონ. უმჯობესია, პოსტი უბრძოლველად აიღონ, ეს დროს მოგვაგებინებს. ყველაზე უკეთესი აქედან ათესვაა.

– ეგებ დაბლა გვიცდიან.

– შეიძლება.

ორივე კაცი ჩვენ გვიყურებდა, კაცი-მეთქი, ვნერ, მაგრამ მათი ასაკები რომ ერთმანეთისთვის მიგვემატებინა, ორმოცსაც ვერ მივიღებდით.

– და ესენი? – მკითხა პაილმა და შოკის მომგვრელი პირდაპირობით დაამატა, – ხომ არ ჩავცხრილო?

ალბათ, ავტომატის გამოცდა უნდოდა.

– არაფერი ჩაუდენიათ.

– ჩვენს გადაცემას აპირებდნენ.

– რატომაც არა? – შევედავე მე, – ჩვენ აქ, ამათ ქვეყანაში არაფერი გვესაქმება.

შაშხანიდან ტყვიები ამოვიღე და იატაკზე დავანყვე.

– იმედია, ამის აქ დატოვებას არ აპირებთ, – მითხრა პაილმა.

– შაშხანიანად სარბენად მეტისმეტად ასაკოვანი ვარ, თანაც, ეს ჩემი ომი არ არის. წამოდით.

ეს ომი ჩემი წამდვილად არ იყო, მაგრამ ძალიან მინდოდა სიბნელეში მყოფებსაც სცოდნოდათ ეს. ნავთის ლამპას სული შევუბერე და ლიუკში ფეხები ჩავკიდე. კიბე მოვძებნე. მომესმა, გუშაგებმა ერთმანეთში რომ დაინყეს ჩურჩული თავიანთ მომღერალ ენაზე.

– სულ პირდაპირ ირბინეთ, – გავაფრთხილე პაილი, – ბრინჯის მინდორში გაიქეცით. გახსოვდეთ, რომ იქ წყალია, ოღონდ რამსიღრმეა, არ ვიცი. მზად ხართ?

– კი.

– კომპანიისთვის გმადლობთ.

– მუდამ სიამოვნებით, – თქვა პაილმა.

ჩვენ უკან გუშაგები ამოძრავდნენ; გავიფიქრე, დანები ხომ არა აქვთ-მეთქი. მეგაფონი კატეგორიულად გვიცხადებდა რალაცას, თითქოს უკანასკნელ შანსს გვთავაზობდა. ჩვენ ქვემოთ, სიბნელეში რალაც რბილად შეირხა, მაგრამ შეიძლება ვირთხაც ყოფილიყო. პირველი ნაბიჯი მიჭირდა.

– ღმერთო, ნასვამი მაინც ვიყო, – დავიჩურჩულე.

– წამოდით!

კიბეზე რალაც ამოდოდა; არაფერი მესმოდა, მაგრამ კიბე ირხეოდა.

– რალა გაკავებთ? – მკითხა პაილმა.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვინმეზე კი არა, რამეზე ვფიქრობდი. ვიცოდი, რომ მხოლოდ ადამიანს შეეძლო ჩაკიდებულ კიბეზე ასვლა, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ისიც ჩემნაირი ადამიანი იქნებოდა; მეგონა, ცხოველი მოიპარებოდა უჩუმრად და უმოწყალოდ მოსაკლავად, რაც სხვა ჯიშის არსებებს ახასიათებთ. კიბე ქანაობდა და ქანაობდა, მე კი მეჩვენებოდა, რომ მის ანთებულ თვალებს ვხედავდი. უეცრად ეს მდგომარეობა ველარ ავიტანე და ჩავხტი, ქვემოთ კი არაფერი აღმოჩნდა, გარდა ტკეპნილი

მინისა, რომელმაც კოჭი ისე მომიგრისა, ადამიანის ხელსაც რომ გაუჭირდებოდა. მესმოდა, პაილი კიბით რომ ეშვებოდა; სინამდვილეში, მე ვკანკალებდი და არა კიბე, მაგრამ შიშს ისე დაეხშო ჩემთვის გონება, ამას ვერ ვხვდებოდი. მჯეროდა, რომ ქვა და რკინა ვიყავი, როგორც რეპორტიორს შეეფერება, რომელიც მხოლოდ თვალით ნანახს გადასცემს. ნამოვდექი და ტკივილის გამო კინალამ ისევ წავექეცი. მინდვრისკენ წავედი, მაგრამ ნატკენ ფეხს მივათრევედი. პაილი უკან მომყვებოდა. მერე ბაზუკამ კოშკს ნაღმი ესროლა და აფეთქების ხმაზე სახით დავეცი.

#### 4

– დაშავდით? – მკითხა პაილმა.

– ფეხში რაღაც მომხვდა. სერიოზული არაფერია.

– მაშინ გავიქცეთ, – დამაჩქარა. სიბნელეში ძლივს ვარჩევდი, მეჩვენებოდა, რომ თეთრი მტვრით იყო სულ დაფარული. მერე უეცრად ისე გაქრა, როგორც გამოსახულება ეკრანიდან, როდესაც საპროექციო აპარატი ითიშება და მხოლოდ ხმოვანი ბილიკი გრძელდება ხოლმე. საღი ფეხის მუხლზე ნამოვდექი ფრთხილად და მასზე დაყრდნობით ვცადე ადგომა, რათა ნატკენი კოჭი არ დამეძალა, მაგრამ ტკივილმა ლამის სული შემეხშუთა და ისევ ძირს აღმოვჩნდი. კოჭზე კი არა, მარცხენა ფეხზე მჭირდა რაღაც. ტკივილმა ისე დამიარა, რომ სხვა აღარაფერი მაფიქრებდა. მიწაზე გაუნძრევლად ვეგდე, ეგებ ტკივილმა გადამიაროს-მეთქი. სუნთქვაც კი შევკარი, როგორც კბილის ტკივილის დროს სჩვევიათ ხოლმე. ვიეტმინელები არც გამხსენებია, მალე რომ დაიწყებდნენ კოშკის ნანგრევების ჩხრეკას. კოშკს კი ამასობაში მეორე ჭურვიც მოხვდა – როგორც ჩანს, შტურმისთვის საფუძვლიანად ემზადებოდნენ. როგორი ძვირი ჯდება ხალხის ხოცვა-მეთქი, გავიფიქრე, ტკივილმა რომ ოდნავ გადამიარა, როდესაც ცხენების ხოცვა გაცილებით იაფია. როგორც ჩანს, მთლად საღ გონებაზე ვერ ვიყავი, რადგან მეჩვენებოდა, რომ ცხენების სასაკლაოზე ვიყავი; ეს ადგილი ჩემს მშობლიურ დაბაში ყველაზე საშიში იყო.

გვეჩვენებოდა, რომ ცხენები ტკივილისგან ჭიხვინებდნენ, როდესაც თავში სიკვდილის ჩაქუჩი ხვდებოდათ.

რამდენიმე წამიც გავიდა, მაგრამ ტკივილი აღარ განმეორებულა, მე კი გაუნძრევლად ვინეჩი და სუნთქვასაც ვიკავებდი, რადგან ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი მეჩვენებოდა. სავსებით სალად ვაზროვნებდი, ვფიქრობდი, მინდვრისკენ ხომ არ გავხობდე-მეთქი. ვიეტმინელებს ასე შორს ძეხვის დრო შეიძლება არც ჰქონოდათ. მალე მორიგი პატრული ჩამოივლიდა და პირველი ტანკის ეკიპაჟთან ეცდებოდა დაკავშირებას. მაგრამ ტკივილისა უფრო მეშინოდა, ვიდრე პარტიზანების, ამიტომ არ ვინძრეოდი. პაილის ჩამიჩუმი არ ისმოდა; ალბათ, მინდვრამდე მიაღწია. მერე ვილაცის ზღუქუნი შემომესმა. კოშკის მხრიდან მოდიოდა ხმა, უფრო სწორად, ნაკოშკარიდან. მამაკაცის ტირილს არ ჰგავდა, უფრო ბავშვისა იყო, რომელსაც სიბნელის ეშინია და დაკვივლებას ვერ ბედავს. გავიფიქრე, გუშაგებიდან, ალბათ, ერთ-ერთი ბიჭი დაიღუპა-მეთქი. არადა, იმედი მქონდა, ვიეტმინელები ყელს არ გამოსჭრიდნენ. ბავშვებთან ომი არ შეიძლება... თხრილში ნაპოვნი მოკუნტული ბავშვი გამახსენდა ისევ. თვალი დავხუჭე, რამაც ტკივილი შეასუსტა, და ცდა დავინყე. ხმა რალაცას იძახდა, ოღონდ ვერ ვხვდებოდი, რას. ვგრძნობდი, რომ ამ სიმარტოვესა და სიჩუმეში ჩავიძინებდი კიდევ, თუკი ტკივილს ვერ ვიგრძნობდი.

მერე პაილის ჩურჩული მომესმა:

– თომას, თომას, – სიბნელეში ფეხაკრეფით სიარულს სწრაფად მისჩვეოდა, რადგან ვერ გავიგონე, უკან როგორ დაბრუნდა.

– ნადით, – ჩურჩულით ვუპასუხე.

მიპოვა და ჩემ გვერდით გაიშხლართა.

– რატომ არ წამოხვედით? დაჭრილი ხართ?

– ფეხი მტკივა. მგონი, მოტეხილი მაქვს.

– ტყვიით?

– არა, არა. ხის მორი ან ქვა მომხვდებოდა. კოშკიდან გადმოვარდნილი რამე. სისხლი არ მომდის.

– უნდა სცადოთ.

– წადით, პაილ. მე ვერ გავინძრევი, ძალიან მტკივა.

– რომელი ფეხი?

– მარცხენა.

მეორე მხრიდან მოხობდა და ხელი მხარზე შემომახვევინა. ჯერ კოშკზე დარჩენილი იმ ბიჭვით მიხდოდა ტირილი, მერე ძალიან გავბრაზდი, მაგრამ ბრაზს ჩურჩულით ვერ გამოვხატავდი.

– ღმერთმა დაგწყევლოთ, პაილ. დამანებეთ თავი. დარჩენა მინდა.

– ვერ დარჩებით.

სანახევროდ მხრით მიმათრევედა, მაგრამ ტკივილი უკვე აუტანელი ხდებოდა.

– ნუ გამომიხვედით გმირი! არ მინდა წამოსვლა.

– თქვენც უნდა დამეხმაროთ, – მითხრა მან, – თორემ ორივეს დაგვიჭერენ...

– თქვენ...

– ჩუმად, თორემ გაიგონებენ.

სიმწრისგან ვტიროდი... სხვა სიტყვას ვერ მოვუძებნი. მის მხარზე ჩამოყრდნობილს მარცხენა ფეხით მიხვედა ასკინკილა სიარული – სახუმარო შეჯიბრების მონაწილეებს ვგავდით, სამი ფეხით რომ ცდილობენ გარბენში მონაწილეობას – მაგრამ ცოცხლები ვერაფრით ვერ მივალწევდით მინდვრამდე, უახლოეს კოშკთან ავტომატის ჯერი რომ არ დაეცალა ვიღაცას: შესაძლოა პატრული ცდილობდა თავდამსხმელების მოგერიებას, შესაძლოა ვიეტმინელები ზრდიდნენ ალებული კოშკების რაოდენობას სამამდე. ავტომატის კაკანმა ჩვენი ნელი და გაჭირვებით სიარულის ხმაური გადაფარა. მგონი, ბოლო ოცი მეტრი რომ რჩებოდა გასავლელი, გონება დავკარგე, და პაილს ჩემმა თრევამ მოუწია.

– აქ ფრთხილად, – წამჩურჩულა მან.

მშრალი ბრინჯი შრიალებდა გარშემო, ლაფი კი ფეხქვეშ წყაპუნობდა. როდესაც წყალი წელამდე მოგწვდა, პაილი

შეჩერდა. სულს ძლივს ითქვამდა და ქოშინისას ხარბაყაყივით ხმებს გამოსცემდა.

– ბოდიში, – ვუთხარი მე.

– ვერ დაგტოვებდით, – ამიხსნა მან.

პირველი შეგრძნება შვება იყო: წყალი და ლაფი ფეხს ისე ფაქიზად და მყარად მიკავებდა, როგორც სახვევი, მაგრამ მალე სიცივემ აგვაკანკალა. ვფიქრობდი, შუალამე მაინც თუ გადავიდა უკვე-მეთქი. თუკი ვიეტმინელები ვერ მოგვაგნებდნენ, აქ ექვსი საათი მაინც მოგვინევდა ყურყუტი.

– ცოტა ხანს დამოუკიდებლად დადგომა შეგიძლიათ? – მკითხა პაილმა, – წამიერად მაინც?

და უგუნური ბრაზი ისევ დამეუფლა – ტკივილის გარდა, სხვა გამართლებას რომ ვერ ვუძებნიდი. არც გადარჩენა მითხოვია და არც სიკვდილის ასე მტკივნეულად გადავადება. გზის მშრალი და ხმელი ზედაპირის საწოლი მენატრებოდა. ცალ ფეხზე ვიდექი წეროსავით და ვცდილობდი საკუთარი წონით პაილს არ დავყრდნობოდი; გავინძრეოდი თუ არა, ბრინჯის ღეროები მჩხვლეტდა და მსერავდა, თან, ტკაცატკუცი გაუდიოდა.

– იქ სიკვდილისგან მიხსენით, – ვუთხარი პაილს, მან კი ჩაახველა და მოკრძალებული პასუხის გაცემა დააპირა, – რათა აქ ამომხდომოდა სული. სიკვდილი მშრალ მიწაზე მერჩივნა.

– ჯობია, არ ილაპარაკოთ, – ისე მითხრა, როგორც ავადმყოფს, – ძალა დავზოგოთ.

– ვინ ოხერმა გთხოვათ ჩემი გადარჩენა? აღმოსავლეთში იმიტომ ჩამოვედი, რომ ვინმეს მოვეკალი. ეს თქვენი წყეული თავხედობა... – ლაფში ნავიფორხილე და პაილმა ისევ მხარი შემომამშველა.

– დამშვიდდით, – მირჩია მან.

– ომზე გადაღებული ფილმები გაქვთ, ეტყობა, ნანახი. მედესანტეები არა ვართ და მედალს არავინ გაღირსებთ.

– ჩუ!

ჩვენამდე ფეხის ხმამ მოაღწია, რადგან მინდვრის ნაპირს მოუახლოვდა; ავტომატის კაკანი შეწყდა, ამიტომ მხოლოდ

ფეხის ჩქამი და ბრინჯის შრიალი ისმოდა. მერე ფეხის ხმა შეწყდა: ჩვენგან, ალბათ, რამდენიმე მეტრში. უეცრად პაილის ხელი ვიგრძენი, რომელიც მანვებოდა, ჩაიცუცქეო, და ლაფში ძალიან ნელა ჩავეშვიტ, რათა ბრინჯის შრიალისგან განსხვავებული სხვა ხმა არ გამოგვეცა. ცალ მუხლზე დაყრდნობილმა თავი უკან ისე გადავნიე, რომ პირი წყლის ზემოთ მქონოდა. ტკივილი ისევ ვიგრძენი და გავიფიქრე, აქ რომ გული წამივიდეს, ჩავიძირები-მეთქი. ჩაძირვაზე ფიქრიც კი ყოველთვის შიშს მგვრიდა. ადამიანი თავის სიკვდილს თვითონვე რატომ ვერ უნდა ირჩევდეს? არაფრის ხმა არ ისმოდა, მაგრამ იქნებ ათიოდე მეტრში იცდიდნენ, როდის გავფაჩუნდებოდით, ჩავახველებდით ან დავაცემინებდით? ღმერთო, ცხვირი მატყუებს-მეთქი, გავიფიქრე. იმ გზაზე რომ დავეტოვებინე, მაშინ ხომ მხოლოდ საკუთარ სიკვდილზე ვიქნებოდი პასუხისმგებელი... ვიცოდი, რომ პაილს სიცოცხლე უნდოდა. თითები ზედა ტურზე დავიჭირე, ბავშვობაში, დამალობანას თამაშის დროს რომ ვიცოდით ხოლმე, ისე, მაგრამ ამან დაცემინების სურვილი ვერ გამიქრო, მხოლოდ რამდენიმე წამი მომაგებინა, ამ დროს კი ისინი ხომ სიბნელესა და სიჩუმეში იცდიდნენ, როდის დავაცემინებდი. უკვე თავს ველარ ვიკავებდი, დაცემინების სურვილი მომეძალა და მეც დავაცემინე...

მაგრამ სწორედ იმწამს ვიეტმინელებმა ავტომატების ცეცხლი გახსნეს მინდვრისკენ, რამაც დაცემინების ხმა გადაფარა. ისეთი გრუხუნის ატყდა, თითქოს ფოლადს ბურღავდნენ. ჩავისუნთქე და ჩავყვინთე – ასე ადამიანი სასურველ დასასრულს გაურბის ინსტინქტურად, თითქოს სიკვდილს ეკეკლუცება, როგორც ქალი, რომელსაც სურს საყვარელმა გააუპატიუროს. ჩვენს თავზემთ ბრინჯი მოიცვლა და ცეცხლმაც გადაიარა. ჩასასუნთქად ერთსა და იმავე წამს ამოვყავით თავი; გვესმოდა, ფეხის ხმა როგორ სუსტდებოდა და კოშკისკენ ინაცვლებდა.

– გამოგვივიდა! – სიხარული ვერ დამალა პაილმა, მე კი ტკივილის მიუხედავად, დავფიქრდი, რა გამოგვივიდა-მეთქი: მე – გარანტირებული სიბერე, რედაქტორის სავარძელი

და სიმარტოვე; პაილს კი, ახლა უკვე ვიცით, რომ ვერც ვერაფერი. მერე სიცივეში ვიდექით და ვიცდიდით. ტაინინისკენ მიმავალ გზაზე კოცონი ავარდა: ისე მხიარულად გიზგიზებდა, თითქოს ზეიმზე დაანთეს.

– ჩემი მანქანაა, – ვთქვი მე.

– სირცხვილი მაგათ, თომას. ვერ ვიტან, როცა სიკეთეს სპობენ.

– როგორც ჩანს, ავზში იმდენი ბენზინი აღმოჩნდა, რომ მანქანა დაენვათ. თქვენც ჩემსავით გცივათ, პაილ?

– მეტი სიცივე ველარ წარმომიდგენია.

– მგონი, უნდა ავიდეთ და გზაზე დავწვეთ.

– ნახევარი საათი მაინც დავიცადოთ.

– ჩემი სიმძიმეც თქვენ განვებათ.

– გავუძლებ, ახალგაზრდა ვარ, – გახუმრება სცადა, მაგრამ მისი სიტყვები ცივ ლაფზე მძიმედ მომხვდა. ბოდიშის მოხდა მინდოდა იმის გამო, რაც ტკივილმა მათქმევინა, მაგრამ ახლა ბრაზმა ისევ დაძრია ხელი:

– ჰო, ახალგაზრდა ხართ. შეგიძლიათ თავს უფლება მისცეთ და არ იჩქაროთ.

– თქვენი არ მესმის, თომას.

მეჩვენებოდა, რომ ერთად უამრავი ღამე გვეკონდა გატარებული, მაგრამ როგორც ფრანგული არ ესმოდა, ისე ჩემი ვუთხარი:

– ჯობდა, გზაზე დაგეტოვებინეთ.

– მერე ფიონგს ველარ შევხედავდი, – თქვა მან და ეს სახელი გამონწვევასავით გახშირდა. მივიღე კიდეც:

– ანუ ეს მის გამო გააკეთეთ, – დავასკვენი მე.

ჩემს ეჭვიანობას კიდევ უფრო აბსურდულსა და დამამცირებელს ის ხდიდა, რომ ჩურჩულით უნდა გამომეხატა აზრი, ეჭვიანობას კი თეატრალურად უნდა გამომეხატვა.

– გგონიათ, ამ გმირული ნაბიჯით მას დაისაკუთრებთ? მწარედ ცდებით. მე რომ მოვმკვდარიყავი, ფიონგი თქვენი მაშინ გახდებოდა.

– ეგ არ მიგულისხმია, – თავი იმართლა პაილმა, – როდესაც შეყვარებული ხარ კაცი, თავის გამოჩენა გინდება. ესაა და ეს.

სიმართლეს ამბობს-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ არა იმ სიმართლეს, რასაც გულუბრყვილობა მოიაზრებდა. როდესაც შეყვარებული ხარ, საკუთარი თავის ისე დანახვას ცდილობ, როგორც სხვა დაგინახავდა, ესე იგი, ყალბად იქცევი და იპრანჭები. შეყვარებული ღირსებას არად დაგიდევს, მამაცობის გამოვლენა კი თავმოსანონებელი როლის თამაშია და მეტი არაფერი. შესაძლოა შეყვარებული აღარ მეთქმოდა, მაგრამ ელემენტარული წესები კარგად მახსოვდა.

– თქვენს ადგილას რომ მე ვყოფილიყავი, მიგატოვებდით, – ვუთხარი პაილს.

– მაგას ნამდვილად ვერ იზამდით, თომას, – უკიდევანოდ თვითკმაყოფილმა თქვა, – მე თქვენ იმაზე უკეთ გიცნობთ, ვიდრე საკუთარ თავს.

გაბრაზებულმა ვცადე, მას აღარ დავყრდნობოდი და საკუთარი ფეხის იმედად ვყოფილიყავი, მაგრამ ტკივილი ისე შემოიჭრა ჩემში, როგორც გვირაბში მატარებელი, რის გამოც კიდევ უფრო ძლიერად დავანექი, სანამ წყალში ჩავვარდებოდი. ორივე ხელი მომხვია და ამომწია, მერე კი ნაბიჯ-ნაბიჯ გამათრია ნაპირზე. როდესაც ხმელეთს მივალწინეთ, გზასა და მინდორს შორის, დაბალ ლაფში გულაღმა ჩამანვინა; ხოლო როცა ტკივილმა იმდენად გადამიარა, რომ სუნთქვის შეკვრა შევწყვიტე და თვალი გავახილე, ცაზე თანავარსკვლავედების ერთგვარი იეროგლიფი დავინახე, რომლის ამოკითხვის ძალაც არ შემწევდა. ეს უცხო დამწერლობა იყო და ჩემი სამშობლოს ვარსკვლავებს არ ჰგავდა. მერე პაილი დამეხმარა და მისმა სახემ დაფარა ვარსკვლავები.

– გზას გავუყვები, თომას, ეგებ პატრული ვიპოვო.

– არ გაგიჟდეთ, – ვუთხარი მე, – მანამდე გესვრიან, ვიდრე ვინაობას გაიგებენ. თუ მანამდე ვიეტმინელებს გადაურჩით.

– სხვა შანსი მაინც არა გვაქვს. ექვსი საათი წყალში ვერ ინვებით.

– მაშინ გზაზე დამანვინეთ.

– ავტომატი ხომ არ დაგიტოვოთ? – ყოყმანით მკითხა.

– ცხადია, არა. თუ გმირობანას თამაში მოგინდათ, ბრინჯის მინდვრით მაინც იარეთ.

– პატრული მანამდე ჩამივლის, სანამ რამეს ვანიშნებდე.

– ფრანგულად ვერც ლაპარაკობთ.

– გავძახებ Je suis Frongcais<sup>1</sup>-მეთქი. არ იღარდოთ, თომას, მაქსიმალურად ვიფრთხილებ.

სანამ ვუპასუხებდი, ნავიდა, მე კი ჩურჩულით ხმას ველარ მივანვდენდი. ნელა და პაუზებით ცდილობდა სვლას. მანქანის ალის შუქზე ვხედავდი, მაგრამ მალე მანქანასაც გასცდა და მისი ფეხის ხმა სიჩუმემ დაფარა. ჰო, ცხადია, ისეთივე სიფრთხილეს გამოიჩინდა, ფატ-დიემში მდინარეზე რომ გამოიჩინა, საყმანვილო-სათავგადასავლო ამბავში სიფრთხილე ხომ აუცილებელი პირობაა, ეს თვისება კი სკაუტის სამკერდე ნიშანივით საამაყო და მერე რა, თუ წარმოდგენაც არა აქვს თავისი თავგადასავლის უაზრობასა და დაუჯერებლობაზე. მე კი ვინექი და ვუსმენდი, ვიეტმინელი ან პატრული ხომ არ გაისროდა, მაგრამ სროლა არ გამიგია; ალბათ, საათი მაინც დასჭირდებოდა მომდევნო კოშკამდე მისაღწევად, თუ მიაღწევდა საერთოდ. თავი საკმარისად წამოვნიე, რომ დამენახა, ჩვენი კოშკისგან რა დარჩა: თიხის, ბამბუკისა და საყრდენების გროვა, რომელიც მანქანის ალის დაცემის კვალდაკვალ დაბლდებოდა. სრული სიჩუმე იდგა, როდესაც ტკივილმა გადამიარა – ნერვების დაზავების დღე იყო ერთგვარი. ამღერება მომინდა. ვფიქრობდი, რა უცნაურია, ჩემი პროფესიის ხალხი ამდაგვარ ამბავს ორ წინადადებაში რომ გადასცემს-მეთქი; მათთვის ეს ერთი ჩვეულებრივი ღამე იყო, მე კი ამ ღამეში უცნაურ გამონაკლისს წარმოვადგენდი. მერე კოშკის ნარჩენიდან ისევ ხმადაბალი ტირილი შემომესმა. ერთ-ერთი გუშაგი ჯერ კიდევ ცოცხალი უნდა ყოფილიყო.

გავიფიქრე, ეს საცოდავი, მისი პოსტის ახლოს რომ მანქანა არ ჩაგვექრობოდა, დანებდებოდა, როგორც ყველა, ან გაიქცეოდა მეგაფონის პირველივე ახმიანებაზე-მეთქი,

<sup>1</sup> ფრანგი ვარ (დამახინჯებული ფრანგული).

მაგრამ იმ კოშკში ჩვენ ავედით, ორი თეთრკანიანი კაცი, თან, ავტომატი დავისაკუთრეთ და იმ უბედურებმა ხელის განძრევაც ვერ გაბედეს, ხოლო როდესაც ჩვენ იქიდან გამოვალნიეთ, უკვე ძალიან გვიანი იყო. სიბნელეში ატირებულზე პასუხისმგებელი მე ვიყავი. მე მომქონდა თავი, არავის მხარეს არა ვარ და არც ამ ომში ვიბრძვი-მეთქი, მაგრამ ეს ჭრილობები ჩემი მიყენებული იყო, თითქოს ჯერი მიმეშვას, როგორც პაილს სურდა. ნაპირიდან გზაზე გადახობება ვცადე. გუშაგამდე მიღწევა მინდოდა. მხოლოდ ეს შემეძლო მისი ტკივილის გასაზიარებლად, მაგრამ საკუთარმა ტკივილმა უკუმავადო. მისი ხმაც აღარ მესმოდა. გაუნძრევლად ვინეჯი და მესმოდა, ტკივილისგან როგორ ძალუმად მიცემდა გული, სუნთქვას ვიკავებდი და ღმერთს, რომელიც არ მნამდა, ვევედრებოდი, მომკალი ან გონება დამაკარგვინე-მეთქი. მერე კი, სავარაუდოდ, გონება მართლა დავკარგე, რადგან მეზმანა, რომ ქუთუთოები ერთმანეთზე მიმყინვოდა და ვილაც ხვენით ცდილობდა მათ ერთმანეთისგან განცალკევებას, მე კი ქუთუთოების გაღლობა მინდოდა, რათა თვალის კაკლები არ დამზიანებოდა, მაგრამ ხმას ვერ ვიღებდი, ამიტომ ხვენმა მიყინული ქუთუთოები ჩაჭრა და სახეში ფარანი დამენათა.

– გამოგვივიდა, თომას, – მითხრა პაილმა.

ეს მახსოვს, მაგრამ ის დამავინწყდა, რასაც მერე პაილი მიყვებოდა, რომ თურმე სხვა მიმართულებით ვიქნევედი ხელს, იქ ადამიანია გადასარჩენი-მეთქი. ასეა თუ ისე, რასაც პაილი მომანერდა, ისეთი სენტიმენტალური ნამდვილად არა ვარ. საკუთარ თავსაც კარგად ვიცნობ და ჩემი თავმოყვარეობის სიღრმეებსაც. მშვიდად ვერ ვიქნები (მშვიდად ყოფნა კი ჩემი უმთავრესი სურვილია), თუ ვინმეს რამე თვალნათლივ, გასაგონად ან შეხებით უჭირს. გამოუცდელეები ამას გულისხმიერებაში მართმევენ, არადა, რასაც ვაკეთებ, ეს მხოლოდ მცირედ სიკეთეზე უარის თქმავა (ამ შემთხვევაში ჩემთვის პირველადი დახმარების განევის მცირე ხნით გადავადებავ) ბევრად უფრო დიდი სიკეთის

გულისათვის: სულიერი სიმშვიდისთვის, რაც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრის საშუალებას მომცემს.

ისინი დაბრუნდნენ და მომახსენეს, ბიჭი მკვდარიო, რამაც შვება მომგვარა — ტკივილი აღარ მიგრძნია, რაც მორფიუმი გამიკეთეს დაშავებულ ფეხში.

## თავი III

### 1

კატინას ქუჩაზე, ჩემს ბინაში, კიბით ნელ-ნელა ავდიოდი და პირველივე ბაქანზე შევჩერდი. საპირფარეშოსთან ჩაცუცქეული დედაბრები, როგორც ყოველთვის, ჭორაობდნენ; სახეებზე ბედი ისე ემჩნეოდათ, როგორც სხვებს ხელისგულებზე. როდესაც ჩავუარე, გაჩუმდნენ, მე კი დამანტერესა, მათი ენა რომ ვიცოდე, ნეტავ რას მეტყობდნენ, აქ რა ხდებოდა, სანამ მე ტაინინიდან მომავალ გზაზე, ჰოსპიტალში ვინექი-მეთქი. სადღაც კოშკში ან მინდორში გასაღებები დავკარგე, მაგრამ ფიონგს შეტყობინება გავუგზავნე, რომელიც, წესით, უნდა მიეღო, თუკი ისევ აქ იყო. ეს „თუკი“ ინვევდა თუ ინვევდა ჩემს ყოყმანს. ჰოსპიტალში წოლისას მისგან არაფერი მსმენია, მაგრამ ფრანგულად წერა უჭირდა, მე კი ვიეტნამურად ვერ ვკითხულობდი. კარზე დავაკაკუნე თუ არა, მყისიერად გაიღო და ყველაფერი ძველებურად დამხვდა. ახლოდან დავაკვირდი, როდესაც მომიკითხა და არტახდადებულ ფეხზე შემეხო, მერე კი მხარში ამომიდგა, თითქოს ასეთ ნაზ ყლორტს ვისიმე შემაგრება შეეძლო.

ვუთხარი:

— მიხარია, რომ სახლამდე მოვალწიე.

მითხრა, მენატრებოდით, რისი გაგონებაც ნამდვილად მინდოდა. მუდამ იმას მეუბნებოდა ხოლმე, რისი მოსმენაც მსურდა, თუკი რამე უნებურად არ დასცდებოდა. ჰოდა, ახლაც ველოდი, უნებურად რა დასცდებოდა.

– რითი იქცევდი თავს? – ვკითხე.

– ოჰ, დას ვნახულობდი ხშირად. ამერიკელებთან იშოვა სამუშაო.

– იშოვა, არა? პაილი ხომ არ დახმარებია?

– პაილი არა, ჯო.

– ვინაა ჯო?

– იცნობ. ეკონომიკური ატაშე.

– აა, რა თქმა უნდა, ჯო.

ისეთი ტიპის კაცი იყო, ყველას რომ ავინყდება ხოლმე. დღემდე არ შემიძლია მისი დეტალურად აღწერა, მხოლოდ მისი სიმსუქნე, სუფთად გაპარსულ-გაპუდრული ლოყები და როხროხა სიცილი მახსენდება; მისი პიროვნება სულ მისხლტება გონებიდან და მხოლოდ მისი სახელი მახსენდება. არსებობს ხალხი, ვისაც ყოველთვის შემოკლებულ სახელს ეძახიან.

ფიონგის დახმარებით სანოლზე გავიშხლართე.

– კინოში დადიოდი? – ვკითხე.

– კატინას კინოში ისეთი სასაცილო ფილმი გადის, – და დანვრილებით დამიწყო ფილმის შინაარსის მოყოლა, მე კი ოთახს ვათვალიერებდი, სადმე თეთრი კონვერტი ხომ არ დევს, რომელშიც ტელეგრამა იქნება-მეთქი. სანამ ვკითხავდი, იმედი ჯერ კიდევ მქონდა, რომ ფიონგს, უბრალოდ, დაავინყდა თქმა და კონვერტი მაგიდაზე, სანერი მანქანის გვერდით, გარდერობში ან ბუფეტის უჯრაში იდო, სადაც თავის შარფებს ინახავდა ხოლმე.

– ფოსტის უფროსი, – მგონი, ფოსტის უფროსი იყო, მაგრამ შესაძლოა ქალაქის მერიც ყოფილიყო, – სახლამდე ფეხდაფეხ მიჰყვებოდათ; მერე მცხობელს კიბე სთხოვა და კორინის სარკმელში აძვრა, მაგრამ, იცი, ის მეორე ოთახში გავიდა ფრანსუაზთან, კაცს კი არ გაუგონია, როგორ შევიდა მაღამ ბომპიერი, მაგრამ ქალბატონმა დაინახა, კიბის თავში რომ იდგა და გაიფიქრა....

– მაღამ ბომპიერი ვინ იყო? – ვკითხე და ხელსაბანს გავხედე, სადაც ლოსიონებს შორის ზოგჯერ ბარათებს ალაგებდა ხოლმე.

– ხომ გითხარი, კორინის დედა იყო და თავისთვის ქმარს ეძებდა, რადგან ქვრივი იყო... – სანოლზე ჩამომიჯდა და ხელი პერანგში შემომიციურა, – ძალიან სასაცილო იყო.

– მაკოცე, ფიონგ, – კეკლუცობის ნასახი არ ჰქონია. მაშინვე შეასრულა, რაც ვთხოვე, და ფილმის მოყოლა განაგრძო. ასევე, წარბშეუხრელად შეეძლო ტანთ გაეხადა და ჩემთან სექსით დაკავებულიყო, მერე კი ისევ მაღამ ბომპიერისა და ფოსტის უფროსის ამბის თხრობა განეგრძო.

– ტელეგრამა არ მოსულა?

– მოვიდა.

– რატომ არ მითხარი?

– შენთვის მუშაობა ჯერ ადრეა. ინექტი და დაისვენე.

– სამსახურიდან არ იქნებოდა.

მან კონვერტი მომცა, რომელიც უკვე გახსნილი იყო. „ოთხასი სიტყვით აღწერეთ ლატრის გარდაცვალების გავლენა სამხედრო და პოლიტიკურ მდგომარეობაზე“, – ეწერა ტექსტში.

– ჰო, სამსახურიდან ყოფილა. საიდან გაიგე? რატომ გახსენი?

– მეგონა, შენი ცოლისგან იქნებოდა. იმედი მქონდა, რომ კარგი ამბავი იქნებოდა.

– ვინ გადმოგიტარგმნა?

– ჩემს დასთან წავიღე.

– ცუდი ამბავი რომ ყოფილიყო, მიმატოვებდი, ფიონგ? მკერდზე ხელი გადამისვა სანუგეშებლად, მაგრამ ვერ მიხვდა, რომ ახლა სიტყვები მჭირდებოდა, თუნდაც ცრუ.

– ყალიონზე რას იტყვი? შენთვის წერილიცაა. მგონი, მისგან უნდა იყოს.

– ისიც გახსენი?

– შენს წერილებს არ ვხსნი. ტელეგრამები კი საჯაროა. მათ კლერკები კითხულობენ.

კონვერტი შარფებს შორის ჩაედო; ფაქიზად ამოიღო და სანოლზე დამიდო. ხელწერა ვიცანი.

– ეს რომ ცუდი ამბავი იყოს, მერე რას...

ვიცოდი, რომ ცუდის მეტი არაფერი იქნებოდა. ტელეგ-რამა შესაძლებელია დიდსულოვნების უეცარ აქტს შეიცავ-დეს, წერილში კი მხოლოდ ახსნას ან თავის მართლებას თუ წავაწყდებოდი... ამიტომ შეკითხვა აღარ დავასრულე, რად-გან არავის ევალებოდა შეუსრულებელი პირობის მოცემა.

– რისი გეშინია? – მკითხა ფიონგმა და ფიქრით ვუპასუ-ხე, მარტოობის, პრესკლუბის, ავეჯით განწყობილი მისალე-ბი ოთახის და პაილისა-მეთქი.

– კონიაკი დამისხი რა, სოდიანთან ერთად, – ვთხოვე და წერილის დასაწყისს და ხელმოწერას დავხედე, „ძვირფასო თომას“ და „სიყვარულით, ჰელენი“. ჯერ კონიაკი უნდა და-მეღია და კითხვას მერე დავინწყებდი.

– მისგანაა?

– ჰო, – მაინტერესებდა, სანამ წავიკითხავდი, ფიონგს სიმართლეს გავეუმხელდი თუ მოვატყუებდი.

„ძვირფასო თომას,

არც შენი წერილი გამკვირვებია და არც ის, რომ მარ-ტო არ იქნებოდი. იმ კაცთა კატეგორიას არ ეკუთვნი, ვინც დიდხანს რჩება მარტო, ხომ ასეა? ისე იკრებ ქალებს, რო-გორც შენი პიჯაკი მტვერს. შესაძლოა შენს მდგომარეო-ბაში შემოვსულიყავი კიდევ, რომ არ ვიცოდე, ლონდონში დაბრუნებული ნუგეშს იოლად იპოვი. ალბათ, არ დამიჯე-რებ, მაგრამ მხოლოდ ის საცოდავი გოგონა მაფერხებს, ტე-ლეგრამით „არას“ რომ არ გწერ. თავის დაკარგვა ქალებს უფრო გვახასიათებს, ვიდრე მამაკაცებს“.

კონიაკი დავლიე. არ მქონდა გააზრებული, სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ხასიათის ჭრილობები წლები რომ რჩება პირმოუკრავი. დაუდევრობით – სწორი სიტყვები რომ ვერ შევარჩიე – კიდევ უფრო მეტად ვადინე სისხლი. ვინ უსაყვედურებდა იმის გამო, რომ საპასუხოდ მეც გამიხსნა ჭრილობები? როდესაც უბედურები ვართ, ერთმანეთს ტკივილს ვაყენებთ.

– ცუდია? – მკითხა ფიონგმა.

– ცოტათი, მაგრამ ამის უფლება აქვს, – ვუპასუხე და კითხვა განვაგრძე.

„ყოველთვის მეგონა, რომ ენი ყველა ჩვენგანზე მეტად გიყვარდა, მაგრამ უეცრად ჩაბარგდი და გაემგზავრე. ახლა კი სხვა ქალის მიტოვებასაც გეგმავ, თუკი შენი წერილით ვიმსჯელებ, რადგან „ხელსაყრელი“ პასუხის იმედი არა გაქვს. „მე ჩემსას ვიზამ და...“ განა ასე არ მსჯელობ? რას იზამდი, რომ მეპასუხა, კი-მეთქი? მართლა შეირთავდი? (სახელის გარეშე ვიხსენიებ, რადგან რა ჰქვია, არ მოგინერია). შეიძლება შეგერთო კიდეც. მგონი, როგორც ყველა ჩვენგანი, შენც ბერდები და მარტოობის პერსპექტივა არ გხიბლავს. მე თვითონ ძალიან მარტოსულად ვგრძნობ ხოლმე თავს ზოგჯერ. როგორც გავიგე, ენს სხვა საყვარელი უშოვია, შენ კი როგორ დროულად მიატოვე“.

ყველაზე მტკივნეულ წერტილს შეეხო. ისევ დავლიე. პირდაღებული ჭრილობა-მეთქი, გავიფიქრე.

– მოდი, ერთ ყალიონს გაგიმზადებ, – შემომთავაზა ფიონგმა.

– რაც გინდა, – ვუთხარი მე.

„ეს კიდე ერთი მიზეზია, რატომაც „არა“ უნდა გითხრა (რელიგიურ მიზეზზე ნუ ვილაპარაკებთ, რადგან ეს შენ არც არასდროს გესმოდა და არც არასდროს გწამდა). ქორწინება ქალების მიტოვებაში ხელს არ გიშლის, არა? მხოლოდ პროცესს აჭიანურებს; მაგ გოგონას მიმართ მხოლოდ უსამართლობა იქნება, თუ იმდენივე ხანს იცხოვრებ მასთან, რამდენიც ჩემთან იცხოვრე. შენ მას ინგლისში ჩამოიყვან, სადაც თავს დაკარგულად და უცხოოდ იგრძნობს, მიტოვებულის სასტიკი განცდა ექნება. ალბათ, დანის ან ჩანგლის ხმარება არ იცის, ხომ? ხისტ იმიტომ ვარ, რომ მის კეთილდღეობაზე უფრო ვფიქრობ, ვიდრე შენსაზე, მაგრამ, ძვირფასო თომას, შენი კეთილდღეობაც არ არის ჩემთვის სულერთი“.

თავი ფიზიკურად ცუდად ვიგრძენი. დიდი დრო იყო გასული, ბოლოს ცოლისგან წერილი რომ მივიღე. მონერა მე დავაძალე და თითოეულ წინადადებაში ტკივილს ვგრძნობდი. მისი ტკივილი ჩემშიც ტკივილს იწვევდა: ძველ რუტინას დავუბრუნდით, როდესაც ერთმანეთს ტკივილს ვაყე-

ნებდით. ნეტავ შესაძლებელი ყოფილიყო სიყვარული ჭრილობის მიუყენებლად – საამისოდ ერთგულება არ კმარა. ენის ერთგული ვიყავი, მაგრამ ჭრილობა მაინც მივაყენე. ფლობა თავისდა უნებურად ტკივილის მიყენებაა – მეტისმეტად სულმდაბალნი და გულმცირენი ვართ საიმისოდ, სიამაყის გარეშე გვყავდეს ვინმე ან სხვას ვეკუთვნოდეთ და თავს დამცირებულად არ ვგრძნობდეთ. გამიხარდა კიდეც, რომ ცოლმა ისევ გული მატკინა – მისი ტკივილი დიდი ხნის განმავლობაში სულ დამვიწყებოდა, ამიტომ კომპენსაციას ასე თუ გადავუხდიდი. საუბედუროდ, უდანაშაულონი ყოველთვის ყოველ კონფლიქტში აღმოჩნდებიან ხოლმე ჩათრეულნი... და კოშკიდან წამოსული ქვითინიც ყოველთვის და ყველგან ისმის.

ფიონგმა ოპიუმისთვის ლამპა აანთო.

– ჩემი ცოლად შერთვის ნებას გრთავს?

– ჯერ არ ვიცი.

– არ გეუბნება?

– რომც მეუბნებოდეს, ამას ძალიან ნელა აკეთებს.

საკუთარ თავზე მომივიდა გული, ერთი უბრალო რეპორტიორი ხარ, მონინავე სტატიების ავტორი კი არა, და როგორ მოგაქვს თავი, თან, რამდენ რამეში გაქვს ხელი გასვრილი. ნამდვილი ომი ამასთან შედარებით რა მოსატანია, ნაღმსატყორცნს ბევრად ნაკლები ზარალი მოაქვს-მეთქი.

„ჩემს შეხედულებებს რომც ზურგი ვაქციო და „კი“ გითხრა, ეს რამე სიკეთეს მოგიტანს? ამბობ, ინგლისში გამომიძახესო, და შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ გაგალიზიანებდა ეს ამბავი და როგორ ეცდები, რომ საქმე როგორმე გაიიოლო. ცოტა მეტი თუ მოგივა სასმელი, შეიძლება ცოლადაც შეირთო. თავდაპირველად ორივეს გვინდოდა, შენც და მეც, და ვცდილობდით ჩვენი ქორწინებიდან რამე გამოსულიყო, მაგრამ მარცხი განვიცადეთ. მეორე ჯერზე ასე აღარ იკლავენ თავს. ამბობ, მაგ გოგონას დაკარგვა ჩემთვის სიკვდილის ტოლფასიაო. ერთხელ ზუსტად ეს ფრაზა ჩემთანაც გამოიყენე – შემიძლია წერილი გიჩვენო, რო-

მელსაც დღემდე ვინახავ – და მგონია, ასევე მისწერდი ენსაც. მეუბნები, ერთმანეთისთვის მუდამ სიმართლის თქმას ვცდილობთო, მაგრამ, თომას, შენი სიმართლე ყოველთვის დროებითია ხოლმე. რა აზრი აქვს შენთან კამათს ან რამის მტკიცებას? გაცილებით იოლია, ისე მოვიქცე, როგორც ჩემი რწმენა მკარნახობს – თუმცა კი შენ მასში გონივრულს ვერაფერს ხედავ – და მარტივად მოგწერო: განქორწინების არ მნამს, ჩემი რწმენა მიკრძალავს, ამიტომაც, თომას, უნდა გითხრა „არა!“

კიდევ ნახევარი გვერდი მოსდევდა ამ სიტყვებს, რაც არ ნამიკითხავს, თუმცა ბოლო სიტყვებს „სიყვარულით, ჰელენი“ მოვკარი თვალი. მგონი, ამინდისა და ჩემი მოხუცი დეიდის შესახებ მწერდა რალაცას, რომელიც ძალიან მიყვარდა.

სანუნუნო მიზეზი არ მქონია, თან, ამ პასუხს მოველოდი კიდევ. წერილში უამრავი სიმართლე ეწერა. უბრალოდ, არ მინდოდა ამაზე ასე დიდხანს ეფიქრა, რადგან განხილული საკითხი არამარტო მე, მასაც ტკივილს აყენებდა.

– უარს გეუბნება?

ლამის დაუფიქრებლად ვუპასუხე:

– ჯერ ვერ გადაუნწყვეტია. იმედი ჯერ კიდევ არის.

ფიონგს გაეცინა.

– ამბობ, იმედიო, და სახე ჩამოგტირის.

ფეხებთან ისე მომინვა, როგორც ერთგული ძაღლი ჯვაროსნის საფლავზე, თან, ოპიუმის მომზადება განაგრძო. მე კი ის მაფიქრებდა, პაილს რას ვეტყვი-მეთქი. როდესაც ოთხი ყალიონი მოვწიე, მომავალზე საფიქრალად მზადყოფნა ვიგრძენი, და ფიონგს ვუთხარი, იმედი გვაქვს, ჩემი ცოლი ადვოკატთან მისულა. ახლა ყოველდღე გათავისუფლების ტელეგრამას უნდა ვუცადო-მეთქი.

– დიდი მნიშვნელობაც არა აქვს. შეგიძლია ფინანსურად უზრუნველმყო, – ეს რომ მითხრა, მისი დის ხმა ჩამესმა ყურში.

– დანაზოგი არა მაქვს, – ვუთხარი ფიონგს, – პაილს ამ მხრივ ვერ ვაჯობებ.

– არ იდარდო. რამე იქნება. გამოსავალი ყოველთვის მონახება, – მითხრა მან, – ჩემი და ამბობს, რომ შენ სიცოცხლის დაზღვევა შეგიძლია ჩემს სასარგებლოდ.

გავიფიქრე, რაოდენ რეალისტურად უყურებდა ფინანსური საკითხის მნიშვნელობას და რამდენად არაფრად აგდებდა სიყვარულის მაღალფარდოვან გამოხატულებებს. დამაინტერესა, ნეტავ პაილი რამდენი წელი გაუძლებს მისი დის გულქვეობას-მეთქი, რადგან რომანტიკოსი იყო, მაგრამ მის შემთხვევაში ფინანსური უზრუნველყოფა გარანტირებული იქნებოდა და ხისტი დამოკიდებულებაც ისე შერბილდებოდა, როგორც კუნთი, რომლის გამოყენების აუცილებლობაც ქრება. ფულიანები სანადელს იოლად აღწევნენ.

იმ საღამოს, სანამ კატინას ქუჩაზე მაღაზიები დაიკეტებოდა, ფიონგმა აბრეშუმის სამი შარფი იყიდა. სანოლზე ჩამოჯდა და დასათვალიერებლად გადმომილაგა; კაშკაშა ფერებით აღფრთოვანებას ვერ მაღავედა და მომღერალი ხმით სულს მივსებდა. მერე ნატიფად დაკეცა და უჯრაში ათობით შარფის გვერდით მოათავსა. ისეთი სახით ირჯებოდა, თითქოს თავის მოკრძალებულ მომავალს საფუძველს უყრიდა. მე კი ჩემი მომავლის გიჟურ საძირკველს ვყრიდი, როცა პაილს იმავე საღამოს ვნერდი და ოპიუმის წყალობით მეგონა, საღად და ნათლად ვაზროვნებდი. აი, რა მივწერე – ეს წერილი ცოტა ხნის წინ ისევ მე დამიბრუნდა, იორკ ჰარდინგის წიგნში „დასავლეთის როლი“ ჩადებული. როგორც ჩანს, ამ წიგნს კითხულობდა, როდესაც ჩემი წერილი მიიღო. შესაძლოა სანიშნედაც გამოიყენა და კითხვა აღარ გაუგრძელებია.

„ძვირფასო პაილ“, – ვნერდი მე, მაგრამ ლამის სულმა წამძლია დამეწერა: „ძვირფასო ოლდენ“, – რაც არ უნდა იყოს, მნიშვნელოვანი საქმიანი წერილი იყო და სიყალბით დიდად არ განსხვავდებოდა სხვა საქმიანი წერილებისგან.

„ძვირფასო პაილ, ჰოსპიტლიდან ვაპირებდი მოწერას, რათა მადლობა გადამეხადა იმ ყველაფრისთვის, რაც იმ ღამეს ჩემთვის გააკეთეთ. ნამდვილად არაშესაშური დასას-

რულისგან მიხსენით. ხელჯოხის დახმარებით უკვე ვმოდ-  
რაობ – როგორც ჩანს, ფეხი სწორ ადგილას მოვიტეხე და  
სიბერესაც ჯერ არ მიუღწევია ძვლებამდე და არ დაუსუს-  
ტებია. ეს ამბავი უნდა დავასველოთ (კალამი ამ წინადადე-  
ბაზე გამიშეშდა, მერე კი, როგორც ჭიანჭველამ, შემოვლი-  
თი გზით განაგრძო სვლა). ისე, აღსანიშნი მე სხვა რამეც  
მაქვს, და რაკი ვიცი, რომ ფიონგის ინტერესები თქვენთვი-  
საც მნიშვნელოვანია, როგორც ყოველთვის ამბობდით,  
მჯერა, თქვენც გაგიხარდებათ. ცოლის წერილი დამხვდა,  
როდესაც დავბრუნდი – მეტ-ნაკლებად თანახმაა განქორ-  
წინებაზე. ასე რომ, ფიონგზე ამიერიდან დარდი ნულარ გექ-  
ნებათ“.

ეს ფრაზა ცოტა სასტიკი გამომივიდა, მაგრამ ამას მა-  
ნამდე ვერ მივხვდი, სანამ წერილი არ გადავიკითხე, თუმცა  
უკვე გვიან იყო. ველარ შევცვლიდი. ამოშლა რომც მეცადა,  
მაშინ მთელი წერილი დასახევი გამიხდებოდა.

– რომელი შარფი უფრო მოგწონს? – მკითხა ფიონგმა, –  
მე ყვითელი.

– ჰო. ყვითელი. სასტუმროში წადი და ეს წერილი გამიგ-  
ზავნე, რა.

მან მისამართს დახედა.

– შემძლია პირდაპირ მისიაში მივიტანო. მარკა დაგე-  
ზოგება.

– მირჩევნია, თუ ფოსტით გაგზავნი.

მერე ოპიუმით გაბრუებული ზურგზე დავწექი და ფიქ-  
რი დავიწყე, სხვა თუ არაფერი, ფიონგი გამგზავრებამდე  
მანც არ მიმატოვებს და ხვალ რამდენიმე ყალიონის მერე  
ეგებ დარჩენის გზების ძიება დავიწყო-მეთქი.

## 2

ცხოვრება თავის რიგზე გრძელდება, რაც ბევრს გაგიჟე-  
ბისგან იცავს. ავიარეიდის დროსაც კი შეუძლებელია სულ  
გეშინოდეს. ყოველდღიური საქმეების, შემთხვევითი შეხ-  
ვედრებისა და უცხო ადამიანების მღელვარებათა ტყვიების  
წვიმაშიც ავიწყდება კაცს შიში.

აპრილში ინდოჩინეთიდან გარდაუვალ გამგზავრებასა და ფიონგის გარეშე ბუნდოვან მომავალზე ფიქრებს ყოველდღიური ტელეგრამები, ვიეტნამური პრესის ბიულეტენები და ჩემი დამხმარის ავადმყოფობაზე დარდი მიქარწყლებდა; დამხმარედ ინდოელი დომინგესი მყავდა (მისი ოჯახი გოადან ბომბეის გავლით ჩამოვიდა), რომელიც ჩემ მაგივრად ნაკლებად მნიშვნელოვან პრესკონფერენციებს ესწრებოდა ხოლმე და უამრავი ჭორის მოსასმენად ყური ჰქონდა გამახვილებული, ამას გარდა, ჩემი მიმოწერა ტელეგრაფსა და ცენზურაში დაჰქონდა. ინდოელი ვაჭრების დახმარებით, მეტადრე ჰაიფონში, ნამ-დინსა და ჰანოიში საკუთარი სადაზვერვო სამსახური შექმნა ჩემს სასარგებლოდ; ვფიქრობ, მან ბევრად უფრო ზუსტად იცოდა, ვიდრე ფრანგულმა დაზვერვამ, ვიეტმინური ბატალიონების ადგილმდებარეობა ტონკინის დელტაში.

და რაკი არასდროს ვიყენებდით ჩვენს ინფორმაციას, თუ ის არ გახმაურდებოდა, და არც ფრანგულ დაზვერვას ვანვდიდით რაიმენაირ მონაცემს, დომინგესი ვიეტმინის რამდენიმე აგენტთან საიგონსა და შოლონში დამეგობრდა კიდევ. და ის, რომ დომინგესი აზიელი იყო, სახელის მიუხედავად, ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს. დომინგესი მიყვარდა. თუკი სხვა ადამიანებს სიამაყე კანის დაავადებასავით ეტყობათ, უმცირეს შეხებაზეც კი მგრძნობიარენი ხდებოდა, მისი სიამაყე ისე იყო სიღრმეში დამალული და შემცირებული, რომ საერთოდ არ ემჩნეოდა. ყოველდღიურობაში მას მხოლოდ სიფაქიზე, მორჩილება და სიმართლის სიყვარული გამოარჩევდა. მასში სიამაყეს, ალბათ, მხოლოდ მისი ცოლი თუ აღმოაჩენდა. ალბათ, ნდობა და მორჩილება გვერდიგვერდ დადიან, ხოლო სიამაყე უამრავი სიცრუის საბადოა – ჩემს პროფესიაში რეპორტიორის სიამაყე იჩენს თავს, ყველას უნდა თავის კოლეგაზე უფრო საინტერესო და ხმაურის გამომწვევ ამბავს მოჰფინოს ნათელი; დომინგესისგან ვისწავლე, რომ ინგლისიდან გამოგზავნილი ტელეგრამებისთვის ყურადღება არ უნდა მიმექცია, რომლებშიც მეკითხებოდნენ, რატომ არ გააშუქე ესა და ეს საკითხი,

როდესაც სხვებმა გააშუქესო, როცა ვიცოდი, რომ კოლეგების მასალაში სიმართლის მარცვალაც არ ერია. ახლა, როდესაც ავად იყო, მივხვდი, რამდენად დავალებული ვიყავი მისგან – მანქანა გამართული მყავდა თუ არა, მაგასაც კი ყურადღებას აქცევდა, ხოლო ჩემს პირად ცხოვრებაზე ერთი აუგი სიტყვა არასდროს დასცდენია და ერთხელ არ შემოუხედავს ცერად. საერთოდ, კათოლიკე მეგონა, მაგრამ მასთან საუბრით ვერ გაიგებდი, კრიშნას აღმერთებდა თუ ბატუს მღვიმეში დადიოდა ყოველ წელს მოსალოცად. ახლა მისი ავადმყოფობა ხსნასავით მომეველინა და პირად პრობლემებს გამომგლიჯა კლანჭებიდან. ახლა უკვე მე მიწევდა გულის გამანვრილებელ პრესკონფერენციებზე დასწრება და „კონტინენტალში“ ყურყუტი, რომ კოლეგებისგან რაიმე ჭორისთვის მომეკრა ყური. მაგრამ დომინგესივით როდი გამომდიოდა სიცრუიდან სიმართლის მარცვლების ამოკრება, ამიტომ ჩვევად გავიხადე სალამოობით დომინგესის მონახულება და მოსმენილის მასთან განხილვა. ზოგჯერ დომინგესს ოთახში, გალიენის ღარიბულ ბულვარზე რომ ჰქონდა ნაქირავები, რომელიმე ინდოელი მეგობარი ეჯდა ხოლმე რკინის ვინრო სანოლის ბოლოზე, თვითონ დომინგესი კი თავის სანოლზე ფეხაკეცილი ისე ჯდებოდა, თითქოს ავადმყოფი კი არა, რაჯა ან მღვდელმსახური ყოფილიყოს. ზოგჯერ სიცხე აუწევდა, სახეზე ოფლი სდიოდა, მაგრამ ნათლად აზროვნების უნარი არასდროს დაუკარგავს. კაცი იფიქრებდა, ავადმყოფობა მას კი არა, სხვას უხრავს სხეულსო. დიასახლისი გრაფინს ლაიმის წვენიტ უვსებდა, მაგრამ არასდროს დამინახავს, რომ დაეღიოს – შესაძლოა წყურვილის მოკვლა ავადმყოფობის გამოვლენად მიაჩნდა.

ჩემი სტუმრობებიდან მასთან ერთ-ერთი ვიზიტი განსაკუთრებულად დამამახსოვრდა. უკვე აღარ ვეკითხებოდი, როგორ ხარ-მეთქი, რადგან ვშიშობდი, რომ ეს შეკითხვა საყვედურად არ მიეღო, სამაგიეროდ, თვითონ არ გამორჩებოდა ჩემი მოკითხვა და სულ მებოდიშებოდა, მის მოსანახულებლად კიბეზე რომ მიწევდა ასვლა.

ერთხელ მითხრა:

– მინდა ჩემი ერთი მეგობარი გაიცნოთ. ისეთი ამბავი აქვს მოსაყოლი, რომ მოსმენას არ ინანებთ.

– ჰო?

– მისი სახელი დაგინერეთ, რადგან ვიცოდი, რომ ჩინურ-რი სახელების დამახსოვრება ჭირს. ცხადია, მისი ვინაობის გახმაურება არ გვინდა. მითჰოს სანაპიროზე სანყოფი აქვს და ძველ რკინეულობას ყიდის.

– მნიშვნელოვანია?

– შესაძლოა.

– ვერ მეტყვიტ, რას ეხება?

– მირჩევნია, მისგან მოისმინოთ. რალაც უცნაურობა ხდება, მაგრამ ვერ გამიგია, რა.

სახეზე ოფლი სდიოდა, მაგრამ არ ინმენდდა, თითქოს ოფლის ნვეტები სულიერი და ნმინდა იყო – ინდოელი კაცი ბუზსაც არ ავნებდა.

– რამდენად კარგად იცნობთ თქვენს მეგობარ პაილს? – მკითხა მან.

– არც ისე. ჩვენი გზები გადაიკვეთა, ესაა და ეს. ტაინინის მერე აღარც მინახავს.

– რას საქმიანობს?

– ეკონომიკურ მისიაშია, მაგრამ მანდ ცოდვათა მთელი თაიგულია გადაშლილი. მგონი, ადგილობრივი მრენველობით უნდა იყოს დაინტერესებული... ალბათ, ამერიკელების სასარგებლოდ. არ მომწონს, რომ ფრანგებს აბრძოლებენ, თვითონ კი მათი ვაჭრობის ხელში ჩაგდებას ცდილობენ.

– ამასწინათ მისი გამოსვლა მოვისმინე კონგრესმენების ჩამოსვლასთან დაკავშირებით გამართულ ნვეულებაზე. მათი საქმის კურსში ჩაყენება მას დაევალა.

– საწყალი კონგრესი, – ნიშნის მოგებით ვთქვი, – პაილი ხომ ექვსი თვის ჩამოსულიც არ არის ჯერ.

– ის ძველ კოლონიურ სახელმწიფოებზე, ინგლისსა და საფრანგეთზე, ლაპარაკობდა და ახსენებდა, რომ მათ აზიელთა ნდობის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. მისი თქმით, ახლა ამერიკის ჯერი იყო, ქვეყნისა, რომელსაც სუფთა ხელე-ბი აქვს.

– მერე ჰონოლულუ, პუერტო-რიკო? – გავოცდი, – ან ნიუ-მექსიკო?

– მერე ვილაცამ ჩვეულებრივი კითხვა დაუსვა, ადგილობრივ ხელისუფლებას ვიეტმინელების დამარცხების შანსი თუ აქვსო, რაზეც უპასუხა, ეს მესამე ძალას შეუძლიაო. მისი თქმით, ყოველთვის მოიძებნება მესამე ძალა, სადაც არც კომუნიზმის კვალია და არც კოლონიალიზმისა, ეს ეროვნული დემოკრატიაა; ადგილობრივებს კი მოუწოდა, შესაბამისი ლიდერი ეპოვათ და ძველი კოლონიური სახელმწიფოებისგან დაეცვათ.

– მაგ საკითხებზე იორკ ჰარდინგი წერს, – ვთქვი მე, – აქ ჩამოსვლამდე წაუკითხავს. ჩამოსვლის პირველივე კვირას მელაპარაკა მაგ საკითხზე და, როგორც ჩანს, მას მერე ვერაფერი ისწავლა.

– ეგებ თავისი ლიდერი უკვე იპოვა, – თქვა დომინგესმა.

– ვის ადარდებს?

– არ ვიცი. არ ვიცი, რას აკეთებს, მაგრამ მიდით მითჰოს სანაპიროზე და ჩემს მეგობარს დაელაპარაკეთ.

შინ შევიარე, რომ ფიონგისთვის ბარათი დამეტოვებინა, ხოლო მზის ჩასვლისას სანაპიროზე წავედი, პორტის გადაღმა. ორთქლმავლებისა და რუხი კატერების გასწვრივ მაგიდები და სკამები ჩაემწკრივებინათ, პატარა პორტატიულ სამზარეულოებში კი კერძები თუხთუხებდა და ოხშივარი ასდიოდა. სომის ბულვარზე დალაქები ხეებქვეშ კრეჭდნენ თმას, კედელთან კი მკითხავეები დამდგარიყვნენ ბანქოს მსხვილი დასტებით ხელში. შოლონში სულ სხვაგვარად იყო: დღის მინურულს სამუშაო არათუ არ მთავრდებოდა, პირიქით, იწყებოდა. აქ თითქოს პანტომიმის წარმოდგენაზე ხვდებოდი, ვერტიკალური ჩინური აბრების, კაშკაშა ლამპიონებისა და ბრბოს ფონზე კულისებში ხვდებოდი, სადაც სიბნელე და სიჩუმე იკრებდა ძალას. ერთ-ერთი ასეთი კულისი უკან მოვიტოვე და სანაპიროზე გავედი, სამპანების გროვასთან, სადაც სანყობებს დაეფჩინა ჩრდილში პირი, მაგრამ ძეხორციელი არ ჩანდა.

საჭირო ადგილი ძალიან ძნელად და თითქმის შემთხვევით ვიპოვე, სანყობის კარი ღია იყო და ძველი ლამპის სინათლეზე ძველმანები დავლანდე – თითქოს პიკასოს ნახატს ვუყურებდი – სანოლები, აბაზანები, სანაგვე ურნები, ავტომობილის კაპოტები. სადაც ამ ძველმანებს სინათლის სხივი სცემდა, ფერები ლაქასავით იდღაბნებოდა. ამ რკინაკავეულში გამოკვეთილ ვიწრო ბილიკს გავყევი და ბატონ ჭოუს დავუძახე, თუმცა არავინ გამომპასუხებია. ამ ბილიკის ბოლოს კიბე დავინახე და გავიფიქრე, ალბათ, ბატონ ჭოუს სახლში ასასვლელია-მეთქი – ჩანდა, რომ გზა უკანა შესასვლელებით მომასწავლა ჩემმა დამხმარემ, რისი მიზეზიც აუცილებლად ექნებოდა. კიბეზეც კი ჯართი ეყარა – რკინის ნატეხები – რაც ამ ჭკების ბუდეს, ალბათ, ოდესმე გამოადგებოდა. კიბის ბაქანზე გამომავალ მოზრდილ ოთახში მჯდომარე თუ მწოლიარე მთელი ოჯახი განთავსებულიყო და ბანაკის ეფექტს ქმნიდა. ჩაის პატარა ფინჯნები და გაუგებარი რამით სავსე მუყაოს კოლოფები ყველგან ენყო, იატაკზე კი ბოჭკოს შეკრული ჩემოდნები დაელაგებინათ. დიდ სანოლზე მოხუცი ქალი იჯდა, ორი გოგონა და ორი ბიჭუნა, ასევე ჩვილი ბავშვი იატაკზე მოკალათებულიყვნენ, ძველ გლეხურ, ყავისფერ შარვალ-ხალათებში გამონყობილი სამი შუახნის ქალიც იქვე იჯდა, ხოლო აბრეშუმის მანდარინების ცისფერ მოსასხამებში გამოპრანჭული ორი მოხუცი მამაკაცი კუთხეში მაჯონგს თამაშობდა; ჩემთვის ყურადღებაც არ მოუქცევიათ, ისე სწრაფად თამაშობდნენ, კამათლებს შეხებით ცნობდნენ და ისეთ ხმაურს გამოსცემდნენ, ტალღა რომ გადაუვლის ხოლმე ქვიშიან ნაპირს. ყურადღება არც დანარჩენებს გამოუჩენიათ; მხოლოდ კატა ახტა მუყაოს კოლოფზე და მჭლე ძაღლმა დამყნოსა, რომელიც მაშინვე მომშორდა.

– ბატონი ჭოუ აქ არის? – ვიკითხე და ორმა ქალმა უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია, ყურადღების ღირსად კი ისევ არავინ ჩამავდო, ერთ-ერთ ქალს თუ არ ჩავთვლით, რომელმაც ფინჯანს გაავლო და ჩაი დამისხა ჩაიდნიდან, რომელიც აბრეშუმის ფუტლარში იდგა, რომ მალე არ გაგ-

რილებულიყო. მოხუც ქალს სანოლის ბოლოზე ჩამოუჯე-  
ქი და გოგონამ ფინჯანი მომიტანა კიდეც; თითქოს მეც კა-  
ტისა და ძაღლის საზოგადოების წევრად მიმიღეს, რომლე-  
ბიც, ალბათ, ჩემსავით უკითხავად აღმოჩნდნენ აქ. ბავშვი  
მომიხობდა ფეხებთან და თასმების გახსნა დამიწყო, რაზეც  
არავინ გასჯავრებია: აღმოსავლეთში ბავშვის დატუქსვა  
მიღებული არ არის. კედელზე სამი სარეკლამო კალენდა-  
რი ეკიდა, თითოეულს ჭრელ ჩინურ სამოსში გამონწყობილი  
ვარდისფერლოყება გოგონა ეხატა. დიდ სარკეზე ბუნდოვ-  
ნად იკითხებოდა Cafe de la Paix<sup>1</sup> – ეს სარკე, ალბათ, სრუ-  
ლიად შემთხვევით მოხვედრილიყო აქ ათას ხარახურასთან  
ერთად; ისეთი განცდა მქონდა, რომ მეც ამ ჯართთან ერ-  
თად მოვხვდი ამ ოთახში.

მწვანე მწარე ჩაის ნელა ვსვამდი და უყურო ფინჯანი ხე-  
ლიდან ხელში გადამქონდა, რადგან თითებს მითუთქავდა,  
თან, ვფიქრობდი, კიდეც რამდენ ხანს დავრჩე-მეთქი. ოჯახს  
ფრანგულად ერთხელ უკვე ვკითხე, ბატონ ჭოუს როდის-  
თვის ელოდებით-მეთქი, მაგრამ არაფერი უპასუხიათ; სა-  
ვარაუდოდ, ვერ გაიგეს. როდესაც ფინჯანი დაიცალა, ხე-  
ლახლა შემივსეს და თავიანთ საქმიანობას მიუბრუნდნენ –  
ერთი ქალი აუთოებდა, გოგონა კერავდა, ორი ბიჭი გაკვე-  
თილს სწავლობდა, მოხუცი ქალი ტერფებს დასცქეროდა –  
პანანინა, დამახინჯებულ ტერფებს, ძველი ჩინეთიდან რომ  
ერგო წილად – ძაღლი კი მუყაოს კოლოფზე შემხტარ კატას  
უყურებდა.

უკვე ვხვდებოდი, როგორი მძიმე შრომით შოულობდა  
დომინგესი მწირი საკვების ფულს.

ოთახში უკიდურესად გამოფიტული ჩინელი შემოვიდა;  
ისე გამოიყურებოდა, თითქოს არანაირ ადგილს არ იკავებ-  
და და ბისკვიტზე გადასაფარებელ გასანთლულ ქალაღდს  
ჰგავდა. მისი ფლანელის ზოლიან პიჟამას უფრო მეტი სის-  
ქე ჰქონდა.

– ბატონო ჭოუ? – ვკითხე მას.

<sup>1</sup> მშვიდობის კაფე (ფრ.).

მან ოპიუმის მწველის გულგრილი მზერით შემომხედა; ჩაცვნილი ლოყები, ბავშვივით წვრილი მაჯები, პატარა გოგონასავით წვრილი მკლავები – უამრავი წელი და უამრავი ყალიონი იყო საჭირო, რომ ასე დალეულიყო.

ვუთხარი:

– ჩემმა მეგობარმა დომინგესმა გადმომცა, რომ ჩემთვის რალაც გქონიათ სათქმელი... თქვენ ბატონი ჭოუ ხართ?

კიო, მითხრა, მე გახლავართ ბატონი ჭოუო, და ხელით მანიშნა თავაზიანად, დაბრძანდით, ნუ ადგებითო. ჩემი სტუმრობის მიზეზი ოპიუმით დაბოლილი ტვინის რომელიღაც კუნჭულში მიაფიწყდა. ფინჯან ჩაის ხომ არ დალეეო, მკითხა და დააყოლა, თქვენი სტუმრობა ჩემთვის პატივიაო. მორიგი ფინჯანი გაირეცხა იატაკზე და ხელში ნალვერდალივით ვარვარა დამიბრუნდა – ნამება ჩაით.

რამხელა ოჯახი გყოლიათ-მეთქი, შევნიშნე. ისეთმა გაოცებულმა მოავლო თვალი, თითქოს ასე არასდროს შეეხედა მათთვის.

– დედაჩემი, – თქვა მან, – ჩემი ცოლი, ჩემი და, ბიძაჩემი, ჩემი ძმა, ჩემი შვილები, მამიდაჩემის შვილები, – ბავშვი ჩემს ფეხსაცმელს მოეშვა, გადაგორდა და ამოყირავებულმა ფეხების ქნევა და ჭყლოპინი დაიწყო. დამაინტერესა, ნეტავ ვისია-მეთქი. აქ არც ისეთი ახალგაზრდა ჩანდა ვინმე და არც ისეთი ზრდასრული, რომ ასეთი პატარა ჰყოლოდა.

ვუთხარი:

– მესიე დომინგესმა მითხრა, მნიშვნელოვანიაო.

– ოჰ, მესიე დომინგესი. იმედია, მესიე დომინგესი კარგად არის.

– სიცხე ჰქონდა.

– წელიწადის ამ დროს ავადობები იცის.

იმასაც კი ვერ ვიტყვოდი, რომ დომინგესი ახსოვდა, მას ხველა აუტყდა და პერანგის ქვეშ, ორი ღილი რომ მოსწყვეტოდა, კანი ისე გადაეჭიმა, როგორც აქაურ დოლს.

– თქვენც არ განყენდათ ექიმის ნახვა, – ვუთხარი ჭოუს. ახალმოსული შემოგვიერთდა, რომლის შემოსვლაც გამო-

მეპარა. ახალგაზრდა კაცი იყო და ნატიფი ევროპული ტან-საცმელი ეცვა. ინგლისურად დამელაპარაკა:

– ბატონ ჭოუს მხოლოდ ცალი ფილტვი აქვს.

– ძალიან სამწუხაროა...

– დღეში ას ორმოცდაათ ყალიონს ეწევა.

– უი, რა ამბავია!

– ექიმი ეუბნება, კარგს არაფერს მოგიტანსო, მაგრამ ბატონი ჭოუ თავს ბედნიერად გრძნობს, როდესაც აბოლებს, – გამგებიანად ამოვიოხრე, – ნება მომეცით, თავი წარმოგიდგინოთ: მე ბატონ ჭოუს მმართველი ვარ.

– მე ფაულერი გახლავართ. მისტერ დომინგესმა გამომგზავნა. მან მითხრა, ბატონ ჭოუს რაღაც აქვს სათქმელიო.

– ბატონ ჭოუს სუსტი მეხსიერება აქვს. ჩაის ხომ არ ინებებთ?

– გმადლობთ, უკვე სამი ფინჯანი დავლიე, – ჩვენი საუბარი კითხვა-პასუხისგან შედგებოდა და ენის შემსწავლელ სასაუბროს ჰგავდა.

ბატონი ჭოუს მმართველმა ფინჯანი გამომართვა და ერთ-ერთ გოგოს გაუწოდა, რომელმაც ნარჩენი იატაკზე დაღვარა და ფინჯანი ისევ შეავსო.

– ეს საკმარისად მაგარი არ არის, – მმართველმა გასინჯა და შეაფასა, მერე გადაღვარა, ფინჯანი საგულდაგულოდ გამორეცხა და სხვა ჩაიდნიდან დამისხა, – ეს ჯობს? – მკითხა მან.

– გაცილებით უკეთესია.

ბატონმა ჭოუმ ამოახველა და უზარმაზარი რაოდენობის ნახველიც მიაყოლა ვარდისფერი კოკრებით გაფორმებულ საფურთხებელში. ბავშვი ჩაით დასველებულ იატაკზე კოტრილებდა, კატა კი კოლოფიდან ჩემოდანზე გადახტა.

– აჯობებს, მე დამელაპარაკოთ, – მომმართა ახალგაზრდა კაცმა, – მე ჰენი მქვია.

– ხომ ვერ მეტყვიით...

– სანყობში ჩავიდეთ, – შემომთავაზა მან, – იქ უფრო სიმშვიდეა.

ბატონ ჭოუს ხელი გავუნოდე ჩამოსართმევად, მან კი ჩემი თითები ხელისგულებს შორის მოიქცია და ოთახი გაოცებულმა მოათვალიერა, თითქოს უკვირდა, ეს აქ საიდან მოხვდაო. როდესაც კიბეზე ჩავდიოდით, კოჭების ხმა მინყდა. ბატონმა ჰენმა მითხრა:

– ფრთხილად იყავით, ბოლო საფეხური აკლია, – და ფარანი აანთო გზის გასანათებლად საწრლებსა და აბაზანებს შორის გავეტიეთ და ბატონი ჰენი მეორე გასასვლელის ბოლოსკენ გამიძღვა. ოციოდე ნაბიჯი რომ ექნებოდა გავლილი, შედგა და ფარანი რკინის პატარა დოლურას მიანათა, – ამას ხედავთ?

– რა არის?

მან დოლურა გადააბრუნა და სავაჭრო ნიშანი მაჩვენა:

– დიოლაქტონი.

– მაინც ვერ ვხვდები.

– აქ ორი ასეთი დოლურა მქონდა. დანარჩენ ჯართთან ერთად წამოიღეს ბატონ ფან-ვან მუოის გარაჟიდან. იცნობთ?

– არა, არა მგონია.

– მისი ცოლი გენერალ თქვეს ნათესავია.

– მაინც ვერ ვხვდები...

– იცით, ეს რა არის? – მკითხა ბატონმა ჰენმა, შეჩერდა და ღრუ საგანი აიღო, ნიახურის ღეროს რომ ჰგავდა და ფარნის სინათლეზე ქრომივით ბზინავდა.

– ალბათ, აბაზანის მილია.

– ყალიბია, – თქვა მან. იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, დამლელი განმარტებების მიცემით სიამოვნებას რომ იღებენ. ჩემი უმეცრების გამოვლენა კიდევ ერთხელ მოახერხა, – ხვდებით, ყალიბში რას ვგულისხმობ?

– ცხადია, ყალიბის მნიშვნელობა ვიცი, მაგრამ ვერ...

– ეს ყალიბი აშშ-შია დამზადებული. „დიოლაქტონიც“ ამერიკული სავაჭრო ნიშანია. ახლა ხვდებით?

– სიმართლე გითხრათ, ვერა.

– ყალიბს ბზარი აქვს. ამიტომაც მოისროლეს, მაგრამ ჯართთან ერთად არ უნდა გადაეგდოთ, დოლურა, მითუ-

მეტეს. მანდ მოუვიდათ შეცდომა. ბატონ მუოის მმართველი აქ თავისი ფეხით მობრძანდა. ყალიბი, ვითომ ვერ ვიპოვე, აი, მეორე დოლურა კი უკან გავატანე. ვუთხარი, მეტი აქ არაფერი მიპოვია-მეთქი, მან კი ამიხსნა, რომ ქიმიკატების შესანახად უნდოდა. ცხადია, ყალიბი არ უხსენებია, არ უნდოდა რამე დასცდენოდა, მაგრამ იმდენი ეძება, აქაურობა სულ გადააქოთა, მოგვიანებით კი თავად ბატონი მუოი ენვია ამერიკულ მისიას და მისტერ პაილი იკითხა.

– სადაზვერვო სამსახური გქონიათ აქ, – ვუთხარი ჰენს. მაგრამ ვერა და ვერ ჩავნვდი, სახელდობრ რას მეუბნებოდა.

– ბატონ ჭოუს მე ვთხოვე მისტერ დომინგესთან დაკავშირება.

– იმის თქმა გნებავთ, რომ მისტერ პაილსა და გენერალ თქეს შორის კავშირი დაადგინეთ? – ვკითხე მე, – ეს საკმაოდ სუსტი კავშირია. ამას გარდა, სიახლე არავისთვის არის, რომ აქ სათითაოდ ყველა დაზვერვაზე მუშაობს.

ბატონმა ჰენმა რკინის შავ დოლურას ქუსლი მიარტყა და ხმა სანოლებს შორის ექოსავით გაისმა.

მან მითხრა:

– მისტერ ფაულერ, თქვენ ინგლისელი ხართ ანუ ნეიტრალური. ყველა ჩვენგანს სამართლიანად გვექცეოდით. არ გაგიჭირდებათ ჩვენი გაგება, თუკი რომელიმე ჩვენგანი რომელიმე მხარეს აღმოჩნდება.

– თუ იმაზე მიმანიშნებთ, რომ კომუნისტი ან ვიეტმინელი ხართ, მაგაზე არ იდარდოთ. არ გამიკვირდება. პოლიტიკა არ მაინტერესებს.

– თუკი რამე არასასიამოვნო მოხდება აქ, საიგონში, ჩვენ დაგვბრალდება. ჩვენს თემს უნდა ობიექტურად მოგვიდგეთ. სწორედ ამიტომ გაჩვენეთ ესეც და ისიც.

– „დიოლაქტონი“ რა არის? – ვკითხე ბატონ ჰენს, – შესქელებულ რძეს მაგონებს.

მან ფარანი დოლურაში შეანათა. ფსკერზე თეთრი ფქვილის მსგავსი მტვერი იდო.

– ეს ამერიკული პლასტიკებია, – განმიმარტა მან.

– პაილს სათამაშოებისთვის პლასტიკი ჩამოაქვსო, მაგას მეც მოვკარი ყური, – ყალიბი ავიღე და დაფხედე. გონების თვალით ვცდილობდი მომავალი საგნის მოხაზულობის დანახვას. თავად საგანი სხვანაირად უნდა გამოიყურებოდეს, ეს ყალიბი კი სარკისებრი ანარეკლი იყო.

– სათამაშოებისთვის არა, – თქვა ბატონმა ჰენმა.

– ანკესის ნაწილს მაგონებს.

– უჩვეულო ფორმა აქვს.

– ვერ ვხვდები, რისთვის შეიძლება გამოდგეს.

ბატონი ჰენი შებრუნდა.

– მინდა დაიმახსოვროთ, რაც იხილეთ, – მითხრა მან და ხარახურის ჩრდილში შევიდა, – ეგებ ოდესმე ამაზე დანერის მიზეზი მოგეცეთ, მაგრამ არ უნდა ახსენოთ, დოლურა აქ რომ ნახეთ.

– არც ყალიბი? – ვკითხე მე.

– განსაკუთრებით, ყალიბზე არ უნდა დაგცდეთ სიტყვა.

### 3

იოლი არ არის იმ ადამიანთან ხელახლა შეხვედრა, რომელმაც, როგორც იტყვიან, სიკვდილს გამოგგლიჯა ხელიდან. პაილი ლეგიონის ჰოსპიტალში წოლის დროს არ მენახა და მისი უნახაობა და სიმშვიდე, რაც იოლად გასაგები იყო (რადგან თვითონ უფრო ეჩოთირობოდა ჩვენი მდგომარეობა, ვიდრე მე), ზოგჯერ უაზროდ მადარდებდა, ამიტომ ლამით, სანამ ძილის წამალი იმოქმედებდა, წარმოვიდგენდი, როგორ ამოდიოდა კიბეზე, კარზე აკაკუნებდა და ჩემს სანოლში წვებოდა. მის მიმართ არა მხოლოდ უსამართლო, არამედ მისგან დავალებულიც ვიყავი, რაც დანაშაულის განცდას მიქმნიდა. ამას გარდა, თავს დამნაშავედ წერილიც მაგრძნობინებდა (ნეტავ რომელი შორეული წინაპრისგან გადმომეცა სირცხვილის ეს სულელური გრძნობა? ცხადია, თავად სირცხვილი არ შეაწუხებდათ, როდესაც აუპატიურებდნენ და ხოცავდნენ პალეოლითის პერიოდში).

ჩემი გადამრჩენი სადილზე ხომ არ დავპატიჟო-მეთქი, ვფიქრობდი ხანდახან, ან ეგებ „კონტინენტალის“ ბარში

სასმელზე მიმენვია? უჩვეულო პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი, რომელიც, ალბათ, იმის მიხედვით უნდა გადამეჭრა, თუ როგორ ვაფასებდი სიცოცხლეს. სადილი და ღვინო თუ ორმაგი ვისკი? ამაზე ფიქრი რამდენიმე დღე მოსვენებას არ მაძლევდა, სანამ პრობლემა თავად პაილმა არ გადაჭრა, როდესაც მოვიდა და დაკეტილი კარიდან დამიძახა. ცხელი შუადღე დაიჭირა და ჩამეძინა, თან, დილით მტკივანი ფეხით გავლას რომ ვცდილობდი, კარგად დავიქანცე, ამიტომ მისი კაკუნი ვერ გავიგონე.

– თომას! თომას! – მისი ძახილი სიზმრის ნაწილად იქცა. გრძელ, უკაცრიელ გზას მივუყვებოდი და გადასახვევს ვეძებდი, რომელიც არა და არ ჩანდა. გზა ტელეტაიპის ფირით მიიკლაკნებოდა და ბოლო არ უჩანდა, რომ არა სიცარიელეში უეცრად შემოჭრილი ხმა – ჯერ კოშკიდან წამოსული ქვითინი იყო, მერე უშუალოდ ჩემკენ წამოსული მომართვა, – თომას! თომას!

თვალის არ გამიხელია, ისე ვთქვი:

– მომშორდით, პაილ, არ მომიახლოვდით. არ მინდა გადამარჩინოთ.

– თომას! – კარზე მიბრახუნებდა, მე კი გატრუნული ვინექი, თითქოს ისევ ბრინჯის მინდორში ვყოფილიყავი, სადაც მტერს ვემალებოდი. მერე კაკუნი შეწყდა და ვილაცის დაბალი ხმა გაისმა, რასაც მეორე ადამიანის პასუხი მოჰყვა. ჩურჩული სახიფათოა. ვერ მივხვდი, ვინ იყვნენ. საწოლიდან ნელა წამოვდექი და ჯოხის დახმარებით კართან მივედი. შესაძლოა ხმაურით ვმოძრაობდი, რაც მათ ყურს არ გამორჩენია, ამიტომაც გაჩუმდნენ. სიჩუმეს მცენარესავით გამოუვიდა ყლორტები, კარქვეშ შემოძვრა და იმ ოთახში გაიფოთლა, რომელშიც მე ვიდექი. ეს სიჩუმე არ მომენონა, ამიტომ მისი დარღვევა გადავწყვიტე და კარი მოვაფრიალე. გარეთ ფიონგი იდგა, მისთვის მხრებზე ხელები პაილს დაენყო. ისე იდგნენ, რომ კაცი იფიქრებდა, წამის წინ ერთმანეთს აკოცესო.

– ვაჰ, შემოდით, – ვუთხარი მათ, – შემოდით.

– ხმა ვერ გაგაგონეთ, – მითხრა პაილმა.

– ჯერ მეძინა, მერე კი არ მსურდა ვინმეს მყუდროება დაერღვია, მაგრამ რაკი დაარღვიეთ, შემოდით, – ფიონგს ფრანგულად მივმართე, – ეს სადღა ნახე?

– აქ, დერეფანში იდგა, – მიპასუხა მან, – გავიგონე, რომ აკაკუნებდა, ამიტომ ამოვირბინე, რომ შემომეშვა.

– დაჯექით, – შევთავაზე პაილს, – ყავას ხომ არ დალევთ?

– არა, დაჯდომა არ მინდა, თომას.

– მე კი უნდა დავჯდე, თორემ ფეხი დამელალა. ჩემი წერილი მიიღეთ?

– დიახ. ნეტავ სულ არ მოგეწერათ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ტყუილებით იყო სავსე, მე კი გენდობოდით, თომას.

– როცა საქმეში ქალია გარეული, არავის უნდა ენდოთ.

– ჰოდა, ამიერიდან აღარც თქვენ მენდოთ. როცა შინ არ იქნებით, აქ შემოვიპარები ხოლმე და წერილებს დავწერ, რომლებსაც მანქანაზე დაბეჭდილი მისამართი ეწერება. ალბათ, ვიზრდები, თომას, – მაგრამ ხმაში ცრემლი ერეოდა და იმაზე ახალგაზრდას ჰგავდა, ვიდრე იყო, – უამისოდ ვერ მოიგებდით?

– ვერა. ეს ევროპული ორპირობაა, პაილ. ჯიბეცარიელობა რალაცით ხომ უნდა ავინაზლაუროთ, მე კი, ალბათ, სადმე იაღლიში მომივიდა. როგორ მიხვდით სიცრუეს?

– მისი და მიხვდა, – ფიონგს გახედა, – ახლა ჯოსთან მუშაობს. ეს-ესაა ვნახე. მან იცის, რომ სამშობლოში გამოგოცდახეს.

– აა, მაგას გულისხმობთ? – შვებით ამოვისუნთქე, – ეგ ფიონგმაც იცის.

– თქვენი ცოლის წერილი? მაგის შესახებაც იცის? მისმა დამ ნახა.

– როგორ?

– გუშინ, გასული რომ იყავით, ფიონგს შემოუარა, მან კი დას აჩვენა. მას ვერ გააცურებთ: ინგლისურად კითხულობს.

– გასაგებია, – ვერავის დავემდურებოდი, დამნაშავე აშკარად მე ვიყავი, ფიონგმა კი წერილი, ალბათ, უფრო დასატრიაბაზე დასაგებებლად აჩვენა, ვიდრე ჩემდამი უნდობლობის გამო.

– ეს ყველაფერი ნუხელვე იცოდი? – ვკითხე ფიონგს.

– ჰო.

– კი შეგამჩნიე, ჩუმად რომ იყავი, – მკლავზე შევეხე, – ფურიასავით შეგეძლო გამძვინვარება, მაგრამ შენ ფიონგი ხარ, ფურია კი არა.

– უნდა მეფიქრა, – მითხრა მან და გამახსენდა, ღამით რომ გამომეღვიძა და მისი სუნთქვის მიხედვით მივხვდი, არ უნდა სძინებოდა. ხელი მოვხვიე და ვკითხე, კოშმარი გესიზმრა-მეთქი? როდესაც ჩემთან გადმოვიდა, თავიდან ცუდი სიზმრები ტანჯავდა, მაგრამ ნუხელ თავი გააქნია – ჩემკენ ზურგით იწვა, მე კი ფეხი ფეხზე მივადე – პირველი ნაბიჯი სქესობრივი კავშირის დასამყარებლად. მაშინაც კი ვერაფერი შევნიშნე.

– თომას, ვერ აგვიხსნით, რატომ...

– რა უნდა აგვიხსნათ? განა აშკარა არ არის, რომ მისი შენარჩუნება მინდა?

– რადაც არ უნდა დაუჯდეს?

– ცხადია.

– ეს სიყვარული არ არის.

– შესაძლოა ეს თქვენებური სიყვარული არ არის, პაილ.

– მე მისი დაცვა მინდა.

– მე – არა. დაცვა არ სჭირდება. მე მინდა ახლოს მყავდეს, ლოგინში მენვეს.

– მისი ნების წინააღმდეგ?

– თავისი ნების წინააღმდეგ არ დარჩებოდა, პაილ.

– ამის მერე ველარ ეყვარებით, – ასეთი მარტივი გაგება ჰქონდა. მე ფიონგისკენ შევბრუნდი. ის საძინებელში გავიდა, საწოლიდან, რომელზეც ვინეკი, გადასაფარებელი აილო, თაროდან თავისი დასურათებული წიგნი ჩამოიღო, საწოლზე დაჯდა და ისე დაიწყო თვალთვლება, თითქოს ეს საუბარი მას არ ეხებოდა. შორიდანაც კი დავინახე, რა წიგნი ეჭირა: ინგლისის დედოფლის ცხოვრებაზე დაწერილი,

ილუსტრირებული გამოცემა. უესტმინსტერისკენ მიმავალი ეტლი ამოყირავებული მოჩანდა.

– სიყვარული დასავლური სიტყვაა, – ვთქვი მე, – სენტიმენტალური მიზნებით ვიყენებთ ხოლმე, რათა ერთი ქალით ჩვენი აკვიატება დავფაროთ, ამ ხალხს კი აკვიატებები არ სჩვევია. გული აუცილებლად გეტკინებათ, პაილ, ფრთხილად თუ არ იქნებით.

– ერთი გემოზე გცემდით, ფეხი რომ მაგ დღეში არ გქონდეთ.

– წესით, ჩემი მადლიერი უნდა იყოთ... და ფიონგის დისაც, ცხადია. ახლა სინდისის ქენჯნის გარეშე შეგიძლიათ მოქმედება. არადა, ბევრ რამეში ძალიან საგულდაგულო ხართ ხოლმე, თუკი საქმე პლასტიკს არ ეხება.

– პლასტიკს?

– ღმერთმა ქნას, იცოდეთ, რასაც სჩადიხართ, პაილ. ჰო, ცხადია, კარგი ზრახვები გექნებათ, როგორც ყოველთვის, – უნდობლად, უფრო კი ეჭვით შემომხედა, – ნეტავ ზოგჯერ ცუდი ზრახვებიც გქონდეთ ხოლმე, ასე უკეთ ჩასწვდებოდით ადამიანის ბუნებას. ეს თქვენს სამშობლოსაც ეხება, პაილ.

– მინდა მას ღირსეული ცხოვრება მივცე. აქაურობა... ყარს.

– სიმყრალეს სურნელოვანი ჩხირებით ვებრძვით. იმე-დია, თქვენ დიდრონ მაცივარსა და მანქანას, ალბათ, უახლესი მარკის ტელევიზორსაც შესთავაზებთ და...

– და შვილებსაც, – მომიჭრა მან.

– ჩვენების მისაცემად მზად მყოფ ამერიკის ხალხიან, ახალგაზრდა მოქალაქეებს.

– თქვენ რას სთავაზობთ? შინ ვერ წაიყვანთ.

– არა, ეგეთი სასტიკიც არა ვარ. ყოველ შემთხვევაში, თუ დასაბრუნებელ ბილეთს არ ვუყიდო.

– უბრალოდ, წასვლამდე კომფორტისთვის გეყოლებათ.

– ის ადამიანია, პაილ. გადანყვეტის უნარი აქვს.

– კი, ტყუილების კორიანტელში გახვეულს! ის ხომ ბავშვია.

– ბავშვი არ არის. თქვენზე გაცილებით გამძლეა. გსმენიათ, რომ არსებობს უკანრავი ლაქი? ჰოდა, ეგ ლაქი ფი-

ონგია. ჩვენნაირს ათობით გადაიტანს. უბრალოდ, დაბერდება, სხვა არაფერი. მას გატანჯავს მშობიარობა, სიცვიე და შიმშილი, რევმატიზმი, მაგრამ ჩვენსავით ფიქრებსა და აკვიატებებს თავს არასოდეს შეაჭმევინებს – არ გაიკანრება, უბრალოდ, დაჭკნება.

მაგრამ როდესაც ამ სიტყვებს წარმოვთქვამდი და ფიონგს ვუყურებდი, როგორ გადაფურცლა წიგნი (საოჯახო პორტრეტზე პრინცესა ანასთან ერთად), უკვე ვხვდებოდი, რომ მის ხასიათს ვიგონებდი, როგორც პაილი. ერთი ადამიანი მეორეს ბოლომდე ვერასოდეს გაიცნობს; მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ისიც ჩვენსავით შეშინებული იყო, უბრალოდ, ამის გამოხატვის ნიჭი არ დაჰყოლოდა, მორჩა და გათავდა. მახსოვს ის პირველი მტანჯველი წელი, როდესაც მის გაგებას ვცდილობდი, როდესაც ვეხვეწებოდი, გამაგებინე, რას ფიქრობ-მეთქი, და მისი დუმილის გამო ჩემი უშიზეზო რისხვით ვუხეთქავდი გულს.

ჩემი სურვილიც კი იარაღის როლს ასრულებდა, მეჩვენებოდა, რომ საკმარისი იყო ხმლის მუცელში ჩაცემა, რომ თავს ველარ დაიჭერდა და ალაპარაკებოდა.

– საკმარისად ილაპარაკეთ, – ვუთხარი პაილს, – ახლა ყველაფერი იცით. გთხოვთ, წადით.

– ფიონგ! – გასძახა მან.

– მესიე პაილ?! – უინძორთა ციხესიმაგრის ფოტოს მოაშორა თვალი; მისი თვალში საცემი ფორმალობა კი იმ დროს კომიკური და დამაიმედებელი იყო.

– მან მოგატყუათ.

– Je ne comprends pas<sup>1</sup>.

– აქედან მიბრძანდით, – ვუთხარი პაილს, – თქვენს მესამე ძალას, იორკ ჰარდინგსა და „დემოკრატიის როლთან“ წაბრძანდით. წადით და პლასტიკით ითამაშეთ.

როგორც გავიგე, ჩემი მითითებები ზუსტად შეუსრულებია.

---

<sup>1</sup> არ მესმის (ფრ.).

**მესამე ნაწილი**

# თავი I

## 1

ორი კვირა იქნებოდა გასული პაილის დალუპვიდან, როდესაც კიდევ ერთხელ შევხვდი ვიგოს. შარნეს ბულვარს მივუყვებოდი, როდესაც „ლე კლუბიდან“ გამომძახა. „ლე კლუბი“ იმ დროს პოპულარული რესტორანი იყო ფრანგული უსაფრთხოების სამსახურის წევრებში, რომლებიც თითქოს ყველას ჯიბრზე ქვედა სართულზე ჭამდნენ და სვამდნენ, როდესაც ჩვეულებრივი კლიენტები ზედა სართულს ამჯობინებდნენ – სადაც პარტიზანების ნასროლი ხელყუმბარა ნაკლებად მიაღწევდა. მასთან მივედი, ვიგომ კი ჩემთვის ვერმუთ-კასი შეუკვეთა.

– კამათელი ავაგდოთ, ვინ გადაიხდის?

– თუკი გნებავთ, – ვუთხარი და ჯიბიდან კამათლები ამოვიღე, რომელსაც რიტუალური „ოთხმოცდაერთისთვის“ ვიყენებდი ხოლმე. ეს ციფრიც და კამათლების ჩხარუნიც ინდოჩინეთში ომის წლებს მახსენებს. სადაც არ უნდა ვიყო მსოფლიოში, როდესაც ორ კაცს ვხედავ, კამათლებს რომ აგორებენ, მოგონებები ჰანოის ან საიგონის ქუჩებში მბრუნებს, ან ფატ-დიემის გადაბუგულ უბნებში, ვხედავ მუხლუხებივით შეღებილ პარაშუტისტებს არხებთან, ჩამესმის ნალმსატყორცნების ხმა ახლოდან და ზოგჯერ მკვდარი ბავშვიც წარმომიდგება თვალწინ.

– უვაზელინოდ, – თქვა ვიგომ და ჩარი და დუ-იაქე დასვა. ჩემკენ ასანთის ბოლო ღერი გამოსწია. უსაფრთხოების თანამშრომლები ამ თამაშის დროს სპეციფიკურ ჟარგონებს იყენებდნენ ხოლმე; ეს ჟარგონები, სავარაუდოდ, ვიგოს მოფიქრებული იყო და შემდეგ წოდებით ქვედა საფე-

ხურებზე მდგომმა მისმა ოფიცრებმაც გადაიღეს, რომელთაც, „პასკალისადმი“ მისი დამოკიდებულება, რატომღაც არ გაუზიარებიათ.

– უმცროსი ლეიტენანტი.

ყოველი ნაგებული თამაში ნოდებას გმატებდა და მანამდე თამაშობდი, სანამ რომელიმე თქვენგანი კაპიტანი ან მეთაური არ გახდებოდა. ვიგომ მეორე თამაშიც მოიგო და ასანთის გადათვლისას თქვა:

– პაილის ძალღივი ვიპოვეთ.

– ჰო?

– როგორც ჩანს, ცხედრის მიტოვება არ უნდოდა. ალბათ, ამიტომაც გამოსჭრეს ყელი. ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით ტალახში ეგდო. შესაძლოა ამ მანძილზე თვითონ გახობდა.

– ჯერ კიდევ დაინტერესებული ხართ ამ საქმით?

– ამერიკელი მინისტრი მოსვენებას არ გვაძლევს. როდესაც ფრანგს კლავენ, მადლობა ღმერთს, ასეთი პრობლემის წინაშე არ ვდგებით. თუმცა ფრანგების მკვლელობა აქ იშვიათი არ არის.

ასანთის გაყოფაზე ვითამაშეთ, მერე კი ნამდვილი თამაში დაიწყო. ვიგო გაუგონარი სისწრაფით სვამდა სასურველ კამათელს. ასანთის ღერები სამამდე დაიყვანა და მე უმცირესი ქულა დავსვი.

– ნანეტი, – თქვა მან და ჩემკენ კიდევ ორი ღერი გამოსწია. როდესაც ბოლო ღერიც თავიდან მოიცილა, თქვა, – კაპიტანი, – და მე მიმტანს ვუხმე სასმელების შესაკვეთად.

– ვერასოდეს ვერავინ გიგებთ? – ვკითხე მე.

– იშვიათად. მოსაგებად კიდევ ხომ არ ითამაშებთ?

– სხვა დროს იყოს. მაგარი მოთამაშე კი დადგებოდა თქვენგან, ვიგო. სხვა თამაშებსაც თამაშობთ ხოლმე?

საცოდავად გაიღიმა და მე გარკვეული მიზეზით მისი ქერა ცოლი გამახსენდა, რომელიც, ავი ენების თანახმად, ქმარს უმცროს ოფიცრებთან ლალატობდა.

– რა გითხრათ, – თქვა მან, – უდიდესი თამაშიც კი არ გაუჭირდება კაცს.

– უდიდესი?

– „მოდის, მოგება და წაგება ავწონოთ, – მოახდინა მან ციტირება და სანაძლეოს ღმერთის არსებობაზე ჩამოვიდა, – თუ მოიგებთ, ყველაფერს მოიგებთ; თუ წააგებთ, არაფერს კარგავთ“.

მეც პასკალის ციტირებით ვუპასუხე, მითუმეტეს, ეს ერთადერთი ციტატა იყო, რომელიც ზეპირად მახსოვდა:

– „გინდ ალჩუ აგირჩევია და გინდ თოხანი, თანაბრად ცდები. სწორი არჩევანია სანაძლეოს საერთოდ არჩამოსვლა“.

– „ჰო, მაგრამ უნდა დანაძლევედე. არჩევანი აღარ გაქვთ. უკვე თამაშში ხართ“. საკუთარ პრინციპებს ვერ მიჰყვებით, ფაულერ. თქვენც ისეთივე გარეული ხართ, როგორც ყველა ჩვენგანი.

– რელიგიაში არა.

– რელიგიას არც ვგულისხმობ. არსებითად, – შენიშნა მან, – პაილის ძალზე ვფიქრობდი.

– ოჰ.

– გახსოვთ, რა მითხარით, თათებში რამე ექნება, ანალიზი ჩაატარეთო?

– თქვენ კი მიპასუხეთ, მე არც მეგრე ვარ და ლეკოკიო.

– რალაცას მაინც გამოვკარი ხელი, – თქვა მან, – პაილს ხომ ყოველთვის თან დაჰყავდა ძალღი, როცა სადმე გადიოდა?

– მგონი, კი.

– ძალიან უყვარდა და მარტოს არსად გაუშვებდა სახეტილოდ, ხომ?

– უსაფრთხო არ იქნებოდა. ამ ქვეყანაში ხომ ჩაუჩაუს ქამენ.

მან კამათლები წამოკრიფა და ჯიბისკენ წაიღო.

– ჩემი კამათლებია, ვიგო.

– ოჰ, ბოდიში. ვიფიქრე...

– რატომ მითხარით, თქვენც გარეული ხართო?

– პაილის ძალღი ბოლოს როდის ნახეთ, ფაულერ?

– ღმერთმა უწყის. ძალღებთან შეხვედრების დავთარს არ ვანარმოებ.

- შინ როდის მიემგზავრებით?
- ზუსტად არ ვიცი, – პოლიციისთვის ინფორმაციის მიწოდება არ მიყვარს. საქმე მე რატომ უნდა გავუადვილო?
- ამ სალამოს თქვენთან შემოვლა მინდა. ათისთვის იქნებით? თუკი, ცხადია, მარტო დამხვდებით.
- ფიონგს კინოში გავუშვებ.
- ისევ კარგად ხართ ერთმანეთში?
- კი.
- უცნაურია. შთაბეჭდილება მრჩება, რომ მთლად ბედნიერი არ უნდა იყოთ.
- სამაგისოდ მიზეზებს რა დალევს, ვიგო, – და მკვახედ დავამატიე, – ვინ ვინ და თქვენ კი ეს კარგად მოგეხსენებათ.
- მე?
- ბედნიერი კაცი არც თქვენ გეთქმით.
- სანუნუნო მე არაფერი მაქვს და... „დანგრეულ სახლზე აღარ დარდობენ“.
- ეგ რაღაა?
- ისევ პასკალია. მსჯელობაა იმაზე, რომ ადამიანს თავისი უბედურება ეამაყება. „ხემ ბრალი არ იცის“.
- პოლიციელი რატომ გახდით, ვიგო?
- რიგი ფაქტორების გამო. პურის ფულის შოვნის აუცილებლობის, ხალხით დაინტერესებისა და ჰო, ალბათ, გაბორიოს<sup>1</sup> გამოც.
- მღვდლობა უფრო მოგიხდებოდათ.
- შესაფერის ავტორებს არ ვკითხულობდი, ყოველ შემთხვევაში, იმ წლებში.
- ჩემზე ჯერ კიდევ გაქვთ ეჭვი, რომ ამ საქმეში გარეული ვარ?
- ვიგო ადგა და ჭიქაში დარჩენილი ვერმუთ-კასი დალია.
- უბრალოდ, თქვენთან დალაპარაკება მინდა.
- მისი ნასვლის შემდეგ დავფიქრდი და მომეჩვენა, რომ სიბრალულით შემომხედა, დაახლოებით ისე, სამუდამო პატიმრობამისჯილს რომ შეხედავდა, რომლის დაკავებაში თვითონაც ერია ხელი.

<sup>1</sup> ფრანგი მწერალი (1835-1873), დეტექტიური რომანების ავტორი.

დავისაჯე. პაილმა ჩემი ბინიდან გასვლისას თითქოს რამდენიმე კვირა გაურკვეველობა მომისაჯა. ყოველთვის, როდესაც შინ ვბრუნდებოდი, კატასტროფის მოლოდინი მქონდა. ზოგჯერ ფიონგი არ მხვდებოდა, მე კი გულს ვერაფერს ვუდებდი, სანამ არ დაბრუნდებოდა, რადგან სულ ვფიქრობდი, საერთოდ დაბრუნდება თუ არა-მეთქი. ვკითხავდი ხოლმე, სად იყავი-მეთქი (თან, ეჭვისა და მღელვარების დაფარვას ვცდილობდი), ზოგჯერ მპასუხობდა, ბაზარშიო, ზოგჯერ მაღაზიაშიო, და მტკიცებულებაც მუდამ ხელთ ჰქონდა (თუნდაც მისი მუდმივი მზადყოფნა, რომ თავისი ნათქვამი ფაქტებით გაემყარებინა, არაბუნებრივად მეჩვენებოდა), ხან იმას იტყოდა, კინოში ვიყავიო, და მოხეული ბილეთიც მუდამ თან ჰქონდა, ზოგჯერაც დასახსენებდა; ვფიქრობდი, რომ სწორედ დის სახლში ხვდებოდა პაილს. იმხანად მასთან სიყვარულს მძვინვარედ ვეძლეოდი, თითქოს მძულდა, მაგრამ, სინამდვილეში, ფიონგი კი არა, მომავალი მძულდა. მარტოობა იწვა ხოლმე ღამ-ღამობით ჩემს ლოგინში და მარტოობას ვხვევდი ხელს. ის არ შეეცვლილა; საჭმელს მიმზადებდა, ყალიონს მინყობდა, საკუთარ სხეულს ნაზად და ღამაზად მთავაზობდა სიამოვნებისთვის (მაგრამ ამას სიამოვნებაც აღარ ეთქმოდა). თუკი თავდაპირველად მის სულში მინდოდა ჩახედვა, ახლა მისი აზრების ნაკითხვის სურვილი მომეძალა, მაგრამ ვერ ვკითხულობდი, რადგან ის ენა არ მესმოდა, რომელზეც აზროვნებდა. კითხვების დასმა არ მსურდა. არ მინდოდა ტყუილი მეიძულებინა (სანამ იცრუებდა, მე თავის მოტყუება შემეძლო, ყველაფერი წინანდებურად არის-მეთქი), მაგრამ მოულოდნელად ჩემმა მღელვარებამ ენა ამოიდგა და ჩემგან დამოუკიდებლად ჩემივე პირით ამეტყველდა.

ვკითხე:

– პაილი ბოლოს როდის ნახე?

შეყოყმანდა – ან ეგებ მართლა დაფიქრდა?

– აქ რომ მოვიდა, მაშინ, – მიპასუხა მან.

მე ლამის ქვეცნობიერად ყველაფრის ძაგება დავინწყე, რაც ამერიკული იყო. სულ ამერიკული ლიტერატურის სი-  
ლატაკე, ამერიკელი პოლიტიკოსების სკანდალები და ამე-  
რიკელი ბავშვების სიველურე მეკერა პირზე. ისეთი განცდა  
მქონდა, თითქოს ერთი კაცი კი არა, მთელი ერი მართმევდა  
ფიონგს. ყველაფერი, რასაც ამერიკა აკეთებდა, ცუდი იყო.  
ამერიკაზე აუგის თქმით ჩემს ფრანგ მეგობრებსაც კი მო-  
ვაბეზრე თავი, თუმცა ჩემს ანტიპათიას სიამოვნებით იზი-  
არებდნენ. თავი ისე მეჭირა, თითქოს მილალატეს, მაგრამ  
მტერმა როგორ უნდა გილალატოს?

სწორედ მაგ პერიოდში აფეთქდა ველოსიპედებზე და-  
მონტაჟებული ბომბები. ბარ „იმპერიალიდან“ ცარიელ ბი-  
ნაში დაბრუნების შემდეგ (ფიონგი სად იყო – კინოში თუ  
დასთან?) კარში შემოცურებული ბარათი დავინახე. დო-  
მინგესისგან იყო. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ვერ მომჯო-  
ბინდა, მებოდიშებოდა და მთხოვდა, ხვალ დილით, თერ-  
თმეტის ნახევრისთვის შარნეს ბულვარის კუთხეში, დიდ  
საწყობთან მიდიო. დომინგესი ბატონი ჭოუს თხოვნით  
მწერდა, მაგრამ ვიეჭვე, ჩემი იქ მისვლა ბატონ ჰენს უფრო  
ენდომება-მეთქი. როგორც გაირკვა, მთელი ეს საქმე ერთ  
აბზაცად ღირდა, ისიც, იუმორისტულ ტონში. ამბავს არა-  
ფერი აკავშირებდა ჩრდილოეთში მიმდინარე მძიმე ომთან,  
ფატ-დიემის არხებთან, რომლებიც რამდენიმე დღის წინ  
ჩაყრილი გვამებით გავსებულიყო, ნალმსატყორცნების  
ხმაურსა და თეთრად გავარვარებულ ნაპალმთან. თხუთ-  
მეტი წუთი ვიცდიდი ყვავილების დახლთან, როდესაც მო-  
ულოდნელად პოლიციის მანქანების მკვეთრი მუხრუჭის  
ხრჭიალი გაისმა – კატინას ქუჩაზე მდებარე უშიშროების  
შენობის მხრიდან წამოსული პოლიციის ტვირთმზიდი შე-  
მოვარდა და კუთხეში შეჩერდა; მანქანიდან პოლიციელები  
გადმოხტნენ და ისე დაიძრნენ საწყობისკენ, თითქოს  
ბრბო უნდა დაეშალათ, მაგრამ იქ არავითარი ბრბო არ  
ყოფილა, მხოლოდ ველოსიპედების მესერი დაუხვდათ.  
საიგონში ყველა მსხვილ ნაგებობას ველოსიპედები აქვს  
შემოვლებული – აქ იმდენი ველოსიპედი, რომ დასავლე-

თის ვერცერთ საუნივერსიტეტო ქალაქში ვერ ნახავთ მაგდენს. სანამ კამერას მოვმართავდი, კომიკური და ამოუხსნელი სცენა დასრულდა. პოლიცია ველოსიპედების გროვაში შეიჭრა, სამ ცალს ხელი დაავლო, თავზევით აწეული წაიღო და ბულვარის დეკორატიულ შადრევანში ჩაყარა. სანამ რომელიმე პოლიციელთან გასაუბრებას მოვასწრებდი, ყველანი ტვირთმზიდში ახტნენ და მანქანაც ბონარის ბულვარზე გავარდა.

– ოპერაცია „ველოსიპედი“, – გაისმა ვილაცის ხმა. ეს ვილაცა ბატონი ჰენი აღმოჩნდა.

– რას ნიშნავს? – ვკითხე მე, – სწავლება ჰქონდათ? რისთვის?

– ცოტაც მოიცადეთ, – მითხრა ბატონმა ჰენმა.

შადრევანთან უქნარები მივიდნენ, საიდანაც ველოსიპედის ერთი ბორბალი ამოჩრილიყო ტივტივასავით, თითქოს გემებს აფრთხილებდა, რომ წყალქვეშ ხომალდი იყო ჩაძირული. პოლიციელმა ყვირილითა და ხელების ქნევით გზა გადაჭრა.

– აბა, ვუყუროთ, რა მოხდება? – ვკითხე მე.

– არ ივარგებს, – მითხრა ბატონმა ჰენმა და საათზე დაიხედა. ისრები თორმეტის ოთხ წუთს აჩვენებდა.

– წინ წასულა, – შევნიშნე მე.

– სულ წინ არის, – და ამ მომენტში შადრევანი აფეთქდა. დეკორატიული ძერწილის ნატეხი მეზობელ სარკმელს მოხვდა და მინის ნამსხვრევები ქვაფენილზე შხაპივით წამოვიდა. არავინ დაშავებულა. ტანსაცმლიდან წყლის წვეთები და მინის ნამსხვრევები ჩამოვიფერთხეთ. ველოსიპედის ბორბალი გზაზე ბზრიალით წავიდა, გადაგვერდდა და დაეცა, – ზუსტად თერთმეტი უნდა იყოს, – შენიშნა ბატონმა ჰენმა,

– რა ჯანდაბა...

– მეგონა, დაგაინტერესებდათ, – მითხრა მან, – იმედია, დაინტერესდით.

– წამოდით, რამე დავლიოთ.

– მომიტევეთ, მაგრამ არ შემოძლია. ბატონ ჭოუსთან უნდა დავბრუნდე. თუმცა მანამდე ნება მომეცით რაღაც გაჩ-

ვენოთ, – ველოსადგომთან მიმიყვანა და იქიდან თავისი ველოსიპედი გამოიყვანა, – ყურადღებით დააკვირდით.

– „როლი“? – ვკითხე მე.

– არა. ტუმბოზე შეხედეთ. არაფერს გახსენებთ?

ბატონ ჰენს მფარველურად გაელიმა ჩემს დაბნეულობაზე და პედლების ტრიალით გავიდა შოლონისა და სანყობისკენ. მე მაშინლა მივხვდი, რას გულისხმობდა, როდესაც უშიშროებაში მომხდარის შესახებ ინფორმაციის მისაღებად წავედი. ველოსიპედის ტუმბოს ნახევარი მის სანყობში ნანახი ყალიბი იყო. იმ დღეს მთელ საიგონში გარეგნულად უხიფათო ველოსიპედის ტუმბოები პლასტიკის ბომბები აღმოჩნდა და ზუსტად თერთმეტ საათზე აფეთქდა. ზოგიერთ ადგილზე აფეთქება პოლიციამ აირიდა თავიდან – და მგონია, მათ ამის შესახებ ბატონმა ჰენმა მიანოდა ინფორმაცია. აფეთქებები სუსტი გამოდგა, მხოლოდ ექვსი კაცი დაშავდა მსუბუქად, თუმცა ღმერთმა უწყის, რამდენი ველოსიპედი დაიღრიცა. ჩემი კოლეგები, გარდა „ესტრიმ ორიენტის“ ჟურნალისტისა, რომელმაც მომხდარს „გაუგონარი“ უწოდა, კარგად ხვდებოდნენ, რომ ამ მასალას გაზეთის გვერდებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში განათავსებინებდნენ, თუკი მომხდარს დამცინავად გააშუქებდნენ.

„ველოსიპედის ბომბები“ კარგი სათაური გამოვიდა. ყველანი კომუნისტებისკენ იშვერდნენ ხელს. მხოლოდ მე დავწერე, რომ აფეთქება გენერალ თჰეს მომხრეთა მონყობილი დივერსია იყო, თუმცა ჩემი მასალა რედაქციაში გადააკეთეს. გენერალი თჰე საგაზეთო სენსაციად არ გამოდგებოდა. მის გამოსავლენად ადგილის დაკარგვა ფურცლებზე არ ღირდა. ბატონ ჰენს მწუხარების გამომხატველი ბართი მივწერე, სადაც დავძინე, ყველაფერი ვიღონე, რაც შემეძლო-მეთქი, და დომინგესს გავატანე. მანაც თავაზიანი სიტყვიერი პასუხი შემომითვალა დომინგესის პირით. მაშინ მომეჩვენა, რომ ისიც და მისი ვიეტმინური კომიტეტიც მეტისმეტად ეჭვის თვალთ უყურებდნენ ყველაფერს; კომუნისტებზე აუგი არავის დასცდენია. ასეთი საქციელით კაცს აფიქრებინებდნენ, საკითხს იუმორით უყურებენო. „ანი

რას მოიფიქრებენ?" – ეკითხებოდა ხალხი ერთმანეთს წვე-  
ულებებზე, მე კი მთელი ეს უაზრო ამბავი ბულვარში ხალი-  
სიანად მოზრიალე ბორბლით დამამახსოვრდა. პაილთან  
არასდროს დამცდენია, რომ მისი და გენერლის კავშირის  
შესახებ ვიცოდი. ეთამაშა თავისი უხიფათო თამაში პლას-  
ტიკით, ოღონდ კი ფიონგი ამოეგდო გონებიდან. და მაინც,  
ერთ საღამოს, როდესაც ბატონ მუოის გარაჟთან მოვხვდი,  
რაკი საქმე არაფერი მქონდა, შევლა გადავწყვიტე.

პატარა და არეულ-დარეული სივრცე იყო, რომელიც სო-  
მის ბულვარზე რკინეულობის საწყობისგან ბევრით არ გან-  
სხვავდებოდა. შუაგულში დომკრატზე კაპოტახდილი მან-  
ქანა იდგა, რომელიც ისტორიამდელი ცხოველის პირდაფ-  
ჩენილ ფიტულს ჰგავდა პროვინციულ მუზეუმში, სადაც  
იშვიათად თუ შეუცდება ვინმეს ფეხი. მგონი, ამ მანქანის  
არსებობა ყველას დავინწყებოდა. იატაკზე რკინის ნატეხები  
და კოლოფები ეყარა – ვიეტნამელებს ისევე არ სჩვევიათ  
რაიმეს გადაგდება, როგორც ჩინელ მზარეულს, რომელიც  
ფრჩხილსაც კი ვერ შეელევა და ერთი იხვით შვიდ კერძს  
მოამზადებს. მიკვირდა, ასე რატომ დაუყრიათ ეს კოლოფე-  
ბი და დაზიანებული ყალიბი-მეთქი – შესაძლოა ის რომელი-  
მე მუშამ მოიპარა რამდენიმე პიასტრის შოვნის იმედად ან  
გამჭრიახმა ბატონმა ჰენმა მოისყიდა ვინმე.

გარაჟში არავინ იყო, მაგრამ მაინც შევედი. გავიფიქრე,  
ალბათ, პოლიციის თავზე დაცემას ელოდებიან და გაერიდ-  
ნენ-მეთქი. შესაძლებელი იყო ბატონ ჰენს უშიშროებაში ახ-  
ლობელი ჰყოლოდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ნაკლებად  
სავარაუდებელი იყო, რომ პოლიცია იმოქმედებდა. მათი  
გადმოსახედიდან, ბევრად ჯობდა, თუკი ხალხი იფიქრებ-  
და, რომ მომხდარი კომუნისტების ნახელავი იყო.

ბეტონის იატაკზე დაყრილი რკინის ნატეხებისა და მან-  
ქანის გარდა გარაჟში არაფერი ჩანდა. ძნელი წარმოსადგე-  
ნი იყო, ბატონ მუოის გარაჟში ბომბები როგორ უნდა და-  
ემზადებინათ. ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, იმ  
თეთრი მტვრისგან, დოლურის ძირზე რომ ვნახე, პლასტი-  
კი როგორ უნდა შეექმნათ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი,

რომ ეს პროცესი რთული იქნებოდა, მითუმეტეს აქ, სადაც ორი ბენზინის ტუმბოც კი მიგდებული იყო. შესასვლელში დავდექი და ქუჩას გავხედე. ბულვარის შუაგულში, ხეებქვეშ, დალაქები საქმეს შესდგომოდნენ; ხეზე მიმაგრებულ სარკის ნატეხებში მზე ირეკლებოდა. ნელი ნაბიჯით ჩაიარა გოგონამ, რომელსაც ნიჟარის მსგავსი ქუდი ეხურა და ძელზე ორი კალათი ჰქონდა ჩამოკიდებული. სიმონ ფრერესის კედელთან ჩაცუცქულმა მკითხავმა კლიენტი გამოიჭირა; მოხუცი კაცი, რომელსაც ჰო ში მინივით ჰქონდა წვერი და ძველისძველი ბანქოს გაშლას ადევნებდა თვალს. რა მომავალი ელოდა, ღირდა კი ამის გასაგებად მთელი ერთი პიასტრის გადახდა? სომის ბულვარზე ცხოვრება ხელისგულზე იდო: აქ ყველამ იცოდა ბატონ მუოის შესახებ, მაგრამ პოლიციას მათი ნდობის მოსაპოვებელი გასაღები არ გააჩნდა. აქ ხალხმა ერთმანეთის შესახებ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ჩვენ არასოდეს გაგვიმხელდნენ; ის დედაბრები გამახსენდა, ჩემს სადარბაზოში საპირფარეოსთან რომ ჭორაობდნენ ხოლმე, მათაც ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ მე ვერასოდეს გავიგებდი იმას, რაც მათ მოეხსენებოდათ. გარაჟში შევბრუნდი და პატარა კაბინეტში გავედი: იქ ჩვეულებრივი ჩინური სარეკლამო კალენდარი ეკიდა, იდგა სანური მაგიდა, რომელზეც პრეისკურანტები, ბოთლით წებო, საანგარიშო მანქანა, ქალღმერთის სამაგრები, ჩაიდანის და სამი ფინჯანი, ასევე გაუთლელი ფანქრები და ამოუხსნელი მიზეზით მოხვედრილი ეიფელის კოშკისგამოსახულებიანი გამოუყენებელი საფოსტო ბარათები ენყო. იორკ ჰარდინგს მესამე ძალაზე გრაფიკული აბსტრაქციებით შეეძლო წერა, სინამდვილეში კი მესამე ძალა ასე გამოიყურებოდა. უკანა კედელში კარი მოჩანდა, დაკეტილი, თუმცა გასაღები მაგიდაზე, ფანქრებს შორის იდო. გავალე და შევედი.

გარაჟის ზომის ფარდულში აღმოვჩნდი. იქ რაღაც მოწყობილობა იდგა, რომელიც ერთი შეხედვით მავთულებისა და ღეროებისგან მოწნულს ჰგავდა და უამრავი ქანდარა ჰქონდა რომელიღაც უფროთ, დიდი ზომის ფრინველისთვის – ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ჩვრებით

იყო შეკრული, მაგრამ ჩვრებს, სავარაუდოდ, გასანმენდად იყენებდნენ, როდესაც ბატონი მუოი და მისი დამხმარეები დააფრთხეს. ამ მანქანის მწარმოებლის სახელიც ვიპოვე, ლიონის ერთ-ერთი ფირმა იყო, იქვე პატენტის ნომერიც ეწერა, მაგრამ რა იყო დაპატენტებული? დენი ჩავრთე და ძველი მონყობილობაც გაცოცხლდა: მავთულებს თავიანთი დანიშნულება აღმოაჩნდა – მთელი ეს მონყობილობა მოხუც კაცს ჰგავდა, რომელიც უკანასკნელ ძალას იკრებს და მაგიდას მუშტებს ურტყამს. ეს მონყობილობა პრესი აღმოჩნდა, თუმცა ტექნიკის იმ ეპოქას განეკუთვნებოდა, რომელსაც სინემატოგრაფი; მაგრამ ვიეტნამში ნაგავში გადაგდება არაფრისა იციან, რადგან ნებისმიერი ნივთი შესაძლოა ერთ დღეს ისევ დასჭირდეთ (საკუთარი თვალით მქონდა ნანახი უძველესი ფილმი „დიდი ძარცვა“, რომელიც ეკრანზე ხარვეზებით გადიოდა, მაგრამ ნამ-დინის ერთ-ერთ უკანა ქუჩაზე მაინც სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს), ეს პრესიც კი ჯერ კიდევ ვარგისი იყო.

პრესს უფრო ახლოდან დავაკვირდი: თეთრი ფხვნილის კვალი აჩნდა. დიოლაქტონი-მეთქი, გავიფიქრე; რძის ფხვნილს ჰგავდა. დოლურის ან ყალიბის კვალიც არსად ჩანდა. ჯერ კაბინეტში გავბრუნდი, მერე გარაჟში. ძველი ავტომობილისთვის ფრთაზე ხელის დარტყმა მომინდა, რომ მეთქვა, ყოჩაღ შენ-მეთქი, რადგან კიდევ დიდხანს მოუწევდა ცდა, სანამ ვინმეს გაახსენდებოდა, მაგრამ დადგება დღე და ისიც... ბატონი მუოი თავის დამხმარეებიანად ახლა, ალბათ, ბრინჯის რომელიმე მინდორში იქნებოდა წმინდა მთებისკენ მიმავალი, სადაც გენერალ თჰეს ჰქონდა შტაბბინა. ბოლოს, როგორც იქნა, გამბედაობა მოვიკრიბე და, ბატონო მუოი-მეთქი, დავიძახე; წარმოვიდგინე, რომ ამ გარაჟიდან, ამ ბულვარიდან და დალაქებისგან ძალიან შორს ვიყავი, ბრინჯის მინდვრებში, სადაც ოდესღაც ტაინინიდან მომავალი ვაფარებდი თავს, – ბატონო მუოი! – ჩემს დაძახილზე კაცმა თავი შემოატრიალა ბრინჯის ნარგავებში.

შინ წავედი; ჩემს ბინაში რომ ავდიოდი, კიბის ბაქანზე ისევ დედაბრები ისხდნენ და ჭორაობდნენ, ოღონდ მათი

იმდენივე მესმოდა, რამდენიც ჩიტების ჭიკჭიკისა. ფიონგი არ დამიხვდა – მხოლოდ ბარათი დაეტოვებინა, ჩემს დასთან ვარო. დაწვეტი – ჯერ კიდევ მალე ვიღლებოდი – და ჩამეძინა. როდესაც გამელვიძა, საათის მანათობელი ისრები ორის ოცდახუთ წუთს აჩვენებდა. თავი გადავნიე, ვიფიქრე, ფიონგი გვერდით იქნება-მეთქი, მაგრამ მისი ბალიში ხელუხლებელი ჩანდა. დავასკვენი, რომ თეთრეული შეეცვალა, რადგან ზენარსა და ბალიშისპირს ახალგარეცხილის სიგრილე შერჩენოდა. ავდექი და მისი უჯრა გამოვნიე, რომელშიც შარფებს ინახავდა – შიგ ალარაფერი ეწყო. ნიგნის თაროსთან მივედი და სამეფო ოჯახის დასურათებული ნიგნიც გამქრალიყო. მთელი მზითევი თან წაეღო.

თავზარი რომ დაეცემა კაცს, ტკივილს ნაკლებად გრძნობს; ტკივილი დილის სამ საათზე მოვიდა, როდესაც იმ ცხოვრების დაგეგმვა დავინწყე, რომელიც, ასე თუ ისე, უნდა გამეტარებინა, და მოგონებებში გადავეშვი, რათა ზედმეტი გონებიდან ამომეგდო. ბედნიერი მოგონებები ყველაზე უარესია, ამიტომ ცუდი მოვლენების გახსენება ვცადე. ვიცოდი, რაც უნდა გამეკეთებინა, მაგრამ უკვე ასაკოვანი ვიყავი და საკმარისი ძალა აღარ მქონდა, რომ ცხოვრება თავიდან დამეწყო.

### 3

ამერიკულ მისიაში წავედი და პაილი ვიკითხე. კარში ფორმის შევსება იყო საჭირო, რომელიც სამხედრო პოლიციელს გადავეცი.

მან მითხრა:

- თქვენი მოსვლის მიზანი არ მიგითითებიათ.
- მას ეცოდინება, – ვუთხარი პასუხად.
- ანუ დაბარებული ხართ?
- თუ გნებავთ, ეგრე ჩანერეთ.
- თქვენ, როგორც ვატყობ, ეს სისულელედ მიგაჩნიათ, მაგრამ სიფრთხილე გვმართებს. ზოგჯერ აქ უცნაური ტიპები მოდიან ხოლმე.
- ყური მომიკრავს.

კვეცი ენით მეორე მხარეს გადაიტანა და ლიფტში შევიდა. ვიცადე. წარმოდგენა არ მქონდა, რას ვეტყოდი პაილს. ეს სცენა არასდროს წარმომედგინა. პოლიციელი დაბრუნდა და უხალისოდ მომახსენა:

– მგონი, ასვლა შეგიძლიათ. მე-12ა ოთახია. პირველი სართული.

როდესაც მითითებულ კაბინეტში შევედი, პაილი იქ არ დამხვდა. ჯო – ეკონომიკური ატაშე – სამუშაო მაგიდასთან იჯდა. მისი გვარი მაშინაც კი ვერ გავიხსენე. ფიონგის დამ საბეჭდი მანქანის ზემოდან გამომხედა. მისი ხარბი ყავისფერი თვალები გამარჯვებას იუნწყებოდნენ?

– შემოდით, შემოდით, თომ, – ჯომ მომმართა თავისი როხროხა ხმით, – გამიხარდა თქვენი ნახვა. ფეხი როგორ გაქვთ? ბოლო დროს ძვირი სანახავი ხართ. სკამი გამოიწიეთ. ერთი მითხარით, თქვენი აზრით, ახალი შეტევა როგორ მიდის? ნუხელ „კონტინენტალში“ გრეინჯერი ვნახე. ისევ ჩრდილოეთში მიემგზავრება. მონადინებული ბიჭია. სადაც რამე ხდება, გრეინჯერიც იქ არის! სიგარეტი ინებეთ. ამოიღეთ, არ მოგერიდოთ. მის ჰეის იცნობთ? ყველას სახელს კი ვერ ვიმახსოვრებ – მოხუცს სადღა შემიძლია. უბრალოდ, გავძახებ ხოლმე, „ჰეი, თქვენ“ და მასაც მოსწონს. აქ შინაურულად ვართ, ყოველგვარი კოლონიალიზმის გარეშე. რაო, ბაზარში რაზე ჭორაობენ, თომ? მჯერა, ბაზრის ჭორებზეც გაქვთ ყური გამახვილებული. ფეხი რომ დაგშავებიათ, ძალიან მენწყინა. ოლდენმა მითხრა...

– პაილი სად არის?

– ოჰ, ოლდენი ამ დილით სამსახურში არ მოსულა. მგონი, შინ იქნება. ყელამდე საქმე ჰქონდა და შინ მუშაობს.

– სახლში რასაც აკეთებს, ვიცი.

– მუყაითი ბიჭია. უკაცრავად, რა ბრძანეთ?

– სახლში რითიც არის დაკავებული, კარგად ვიცი-მეთქი.

– ვერ მიგიხვდით, თომ. ბავშვობაში „შენელებულს“ მე-ძახდნენ. ვიყავი კიდეც და ყოველთვის ვიქნები.

– ჩემს გოგონასთან წევს... თქვენი მბეჭდავის დასთან.

– არ ვიცი, რას გულისხმობთ.

– მას ჰკითხეთ. თვითონ გაჩარხა ეგ საქმე. პაილმა გოგო ამახია.

– მისმინეთ, ფაულერ, მეგონა, საქმეზე მოხვედით. სამსახურში სცენების გამართვა არ გვინდა.

– მე პაილის სანახავად მოვედი, მაგრამ მეგონია, იმალება.

– ენა როგორ გიბრუნდებათ?! მას შემდეგ, რაც ოლდენმა გაგიკეთათ.

– ოჰ, რასაკვირველია. სიკვდილისგან მიხსნა, ხომ? მაგრამ ეს არასდროს მითხოვია.

– თავი საფრთხეში ჩაიგდო. გულიანი ყმანვილია.

– მისი გულიც ფეხებზე მკიდია და თავიც! თანაც, ახლა სხეულის სულ სხვა ნაწილს იყენებს...

– ასეთი ნართაულები არ გინდათ, ფაულერ, ქალბატონის თანდასწრებით.

– ქალბატონი და მე ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. მე რომ ვერაფერს გამომჩა, ახლა პაილის ჯიბეზე დაამყარა იმედი. კარგი, ვიცი, რომ ცუდად ვიქცევი და ასევე ვაპირებ გაგრძელებას. ასეთ მდგომარეობაში კარგად არავინ იქცევა.

– აქ ბევრი საქმე გვაქვს. კაუჩუკის მოპოვებაზე ანგარიში დასაწერია...

– დარდი ნუ გაქვთ. მივდივარ. უბრალოდ, პაილს გადაეცით, თუ დარეკავს, რომ შემოვუარე. შესაძლოა თავაზიანობის გამო საპასუხო ვიზიტი გადაწყვიტოს, – მერე ფიონგის დას მივუბრუნდი, – იმედია, მათ კავშირს ნოტარიულადაც დაამონმებთ, ამერიკის საკონსულოშიც და ქრისტესწავლულის ეკლესიაშიც.

დერეფანში გავედი. მოპირდაპირე კარზე ეწერა „მამაკაცებისთვის“. შევედი, კარი შევიკეტე, ცივ კედელს თავი მივადე და ავტირდი. მანამდე არ მეტირა. საპირფარეოებშიც კი კონდიციონერბული ჰაერი ჰქონდათ და ამ ზომიერმა ტემპერატურამ ცრემლი ისე შემიშრო, როგორც პირის ღრუში ნერწყვს აშრობს და სხეულში თესლს.

საქმეები დომინგესს გადავაბარე და ჩრდილოეთში გავემგზავრე. ჰაიფონში ესკადრილია „გასკონში“ მეგობრები მყავდა და საათობით ვიჯექი ხოლმე აეროდრომის ბარში ან მოხრეშილ გზაზე კეგლის თამაშში გამყავდა დრო. ოფიციალურად ფრონტზე ვიყავი და გრეინჯერთანაც შემეძლო საქმის სიყვარულში გაჯიბრება, მაგრამ ამით ჩემს გაზეთს ისევე არაფერი ემატებოდა, როგორც ფატ-დიემში ექსკურსიის დროს. მაგრამ როდესაც ადამიანი ომზე წერს, საკუთარი თავის პატივისცემა ავალდებულებს, რომ ზოგჯერ რისკზეც წავიდეს,

მაგრამ რისკზე წასვლა იოლი არ აღმოჩნდა, რადგან ჰანოიდან ბრძანება მოვიდა, რომ მე მხოლოდ ჰორიზონტალურ ფრენებზე ვყოფილიყავი დაშვებული – ეს კი იმაზე მეტად სახიფათო არ იყო, ვიდრე ავტობუსით მგზავრობა, რადგან ჩვენი თვითმფრინავი ისეთ სიმაღლეზე ადიოდა, რომ ტყვიამფრქვევის ცეცხლი ვერ გვწვდებოდა. ყველაფრისგან ვიყავით დაცული, გარდა მფრინავის შეცდომისა ან ძრავის მტყუნებისა. განრიგის მიხედვით ვფრინდებოდით და განრიგის მიხედვით ვბრუნდებოდით აეროდრომზე; ბომბის ტვირთი დიაგონალზე იყრებოდა და გზავრედინიდან ან ხიდიდან სპირალურად იწყებდა კვამლი ამოსვლას, მერე კი სასწრაფოდ ვბრუნდებოდით, რომ აპერიტივის დაღვევა მოგვესწრო და მოხრეშილზე რკინის კეგლი გვეთამაშა.

ერთ დილას, ქალაქში არეულობის დროს, საუთენდში ჩასვლაზე მეოცნებე ახალგაზრდა მფრინავთან ერთად ბრენდის რომ ვსვამდი, გაფრენის ბრძანება მოვიდა.

– ხომ არ გამომყვებით?

მე დავეთანხმე, რადგან ჰორიზონტალური ფრენაც კი დროისა და ფიქრის მოსაკლავად მშვენიერი საშუალება იქნებოდა. აეროდრომიდან გასვლისას მან შენიშნა:

– ეს ვერტიკალური ფრენა იქნება.

– მეგონა, ჩემთვის აკრძალული იყო...

– მთავარია, ამაზე არაფერი დანეროთ. ქვეყნის იმ ნაწილს განახვებთ, რომელიც ჩინეთის საზღვართან მდებარეობს და ნანახი არ გექნებათ ლაი-ჭაუსთან.

– მეგონა, იქ ფრანგების ხელში ყველაფერი მშვიდად იქნებოდა.

– იყო. პოსტი ორი დღის წინ ჩაიგდეს ხელში. ჩვენი პარაშუტისტები რამდენიმე საათში ადგილზე იქნებიან. საჭიროა ვიეტმინელებმა სოროებიდან თავის ამოყოფაც კი ვერ შეძლონ, სანამ პოსტს უკან არ დავიბრუნებთ, ეს კი პიკირებასა და ობიექტების ტყვიამრქვევებით დაცხრილვას ნიშნავს. ამ მიზნით ორი თვითმფრინავია გამოყოფილი – ერთი უკვე ჰაერშია. პიკირებიდან დაბომბვას დასწრებიხართ ოდესმე?

– არა.

– მიუჩვეველზე ცოტა არაკომფორტულია.

ესკადრილია „გასკონის“ განკარგულებაში მხოლოდ მცირე ზომის „ბ-26“ ბომბდამშენები იყო – ფრანგები მათ „მეძავებს“ ეძახდნენ, ამ ბომბდამშენებს ფრთების პატარა შლილის გამო, ერთი შეხედვით, ხილული საყრდენი არ ჰქონდათ. მე რკინის ისეთ პატარა სკამზე დავჯექი, ველოსიპედის საჯდომზე დიდი რომ არ იქნებოდა, და მუხლები შტურმანს მივადგი ზურგზე. წითელ მდინარეზე გადავიფრინეთ, სიმაღლეს ნელა ვიღებდით და იმ დროს მდინარეს მართლა წითელი დაჰკრავდა. თითქოს დრომ უკან დაიხია და ამ მდინარეს ძველი გეოგრაფის თვალით ვუყურებდი, რომელმაც ეს სახელი ზუსტად იმ დროს დაარქვა, როდესაც მზე ნაპირიდან ნაპირამდე ავსებს მდინარეს და წყალიც წითლად მიედინება; მერე სამი ათას მეტრზე ავედით და შავი მდინარისკენ გადავუხვიეთ, რომელიც მართლა შავი ჩანდა, ჩრდილებით სავსე, მის წყლებში სინათლის სხივიც კი არ გარდატყდებოდა და ხეობისა და ქარაფთა ჯუნგლების უზარამზარი ჯადოსნური სცენა გადაიშალა, მდინარის ორივე ნაპირს რომ მიუყვებოდა პირდაპირ ჩვენ ქვემოთ. მთელ ესკადრილიას ისე გადასხამდი მწვანე და ნაცრისფერ ველებზე, რომ კვალსაც კი არ დატოვებდი – რალა ყანაში ერთი მუჭა მონეტა ჩაგიყრია და რალა იქ გადაგისხამს დესანტი. ჩვენგან შორს პატარა თვითმფრინავი ისე ფარფატებდა, როგორც ქინქლა. მის ადგილს მალე ჩვენ დავიკავებდით.

კოშკსა და მწვანით გარშემორტყმულ სოფელს ორჯერ დავარტყით წრე და შტოპორით ავიჭერთ თვალისმომჭრელ ჰაერში. მფრინავი, სახელად ტრუენი, მე მომიბრუნდა და თვალი ჩამიკრა; საჭეზე ღილაკები ჰქონდა, რომლებითაც ქვემეხის სროლასა და ბომბის დაშენას მართავდა. როდესაც დაშვება დავინწყეთ, გულმუცელში თითქოს ყველაფერი ჩამწყდა – ასე ხდება ხოლმე, როდესაც ადამიანი პირველად მიდის მეჯლისზე ან წვეულებაზე, ან პირველ სიყვარულს გამოცდის. უემბლის ატრაქციონი გამახსენდა, გორაკებიდან რომ უნდა დაეშვა, სადაც თუ წვერზე ახვედი, ახალი განცდის ხაფანგში ხვდები და სანამ არ გამოცდი, თავს ვერ დააღწევ. როდესაც მოწყვეტით დავინწყეთ თავქვე დაშვება, ეკრანზე მოვასწარი და წავიკითხე, რომ 3000 მეტრი ეწერა. მხედველობა თითქოს დამებინდა და მხოლოდ მღელვარებას ვგრძნობდი. შტურმანის საზურგეს მივანექი; სწორედ ამ დროს მკერდზე დიდი ზენოლა ვიგრძენი. ის მომენტი, როდესაც ბომბები ჩავყარეთ, არ გამიგია; მერე ტყვიამფრქვევი აკაკანდა და კაბინაში უკვამლო დენთის სუნმა შემოაღწია, გულიდან სიმძიმე მომშორდა, როდესაც ისევ ზევით ავედით, მაგრამ მუცელში ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს შიგნეულობა თვითმკვლელებით დაბლა, დედამინისკენ მიფრინავდა. ორმოცი წამი ჩემთვის პაილი არ არსებობდა; აღარც მარტოობა არსებობდა. როდესაც დიდი რკალი შემოვხაზეთ, გვერდითა სარკმლიდან დავინახე, რომ კვამლი ჩემკენ მოემართებოდა. მეორე პიკირებამდე შიში დამეუფლა – შიში სირცხვილისა, რომ შეიძლებოდა პირდაპირ შტურმანისთვის მიმერწყია ზურგზე, შიში, რომ ჩემი ასაკოვანი ფილტვები ასეთ წნევას ვერ გაუძლებდა. მეათე პიკირების მერე გალიზიანება ვიგრძენი – თამაში მეტისმეტად გამიგრძელდა, შინ დაბრუნების დრო იყო. ამასობაში ისევ მალლა ავიჭერთ, რათა ტყვიამფრქვევის ცეცხლი ვერ მოგვწვდენოდა, მოვუხვიეთ და კვამლის სვეტიც ისევ გამოგვყვა. სოფელს ყველა მხრიდან მთები ერტყა. ყოველ ჯერზე მიახლოებისას ერთი და იმავე ხეობის გავლა გვიწევდა. თავდასხმის ადგილის შეცვლის შესაძლებლობა

არ გვექონია. როდესაც მეთოთხმეტეჯერ დავინწყეთ პიკირება, ვიგრძენი, რომ ლებინებისა აღარ მეშინოდა, „საკმარისია, მხოლოდ ერთი ტყვიამფრქვევი დააყენონ საჭირო პოზიციაში...“ ჩვენ ისევ უსაფრთხო სიმაღლეზე ავფრინდით, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მტერს ტყვიამფრქვევი არც ჰქონოდა. ორმოცდახუთნუთიანი ავიაპატრულირება დაუსრულებლად გაიწელა, სამაგიეროდ, გულსაგლეჯი ფიქრებისგან მიხსნა. მზე უკვე ჩადიოდა, როდესაც შინისაკენ ავიღეთ გეზი. გეოგრაფის მომენტს უკვე ჩაველო: შავი მდინარე შავი აღარ იყო, წითელი მდინარე კი ოქროსფრად მიედინებოდა. ისევ დაბლა დავეშვით, მდინარის მხარეს, და კოჟრებიან და მეჩხერ ტყეს მოვშორდით, მიტოვებულ მინდვრებს გავუსწორდით და ყვითელი ლელის მიმართულებით ტყვიასავით გადავუფრინეთ სამპანს. საარტილერიო დანადგარმა მგეზავი ცეცხლი მიუშვა და სამპანი ნაპერწკლების წვიმაში გაიხლიჩა; მსხვერპლმა გადარჩენა როგორ სცადა, მაგ სცენისთვის აღარც შეგვიხედავს. სიმაღლე ავიღეთ და ჩვენს აეროდრომზე გავფრინდით.

როგორც მაშინ, როდესაც მკვდარი ბავშვი ვნახე ფატ-დიემში, ახლაც ვფიქრობდი, ომი მძულს-მეთქი. მსხვერპლის ასეთ შემთხვევით არჩევაში იყო რაღაც ამაზრზენი – უბრალოდ, გადავიფრინეთ და მხოლოდ ერთი ზალპი მივუშვით, საპასუხი ცეცხლის დამბრუნებელიც კი არავინ ყოფილა, და გზა განვაგრძეთ, დედამინას კი დაღუპულები შევმატეთ.

ყურსასმენი გავიკეთე, რომ კაპიტანი ტრუენი დამლაპარაკებოდა.

– პატარა წრეს დავარტყამთ, – მითხრა მან, – კირქვაზე დაისი ძალიან ლამაზია. არ უნდა გამოტოვოთ, – ისე თბილად დაამატა, თითქოს მასპინძელი იყო და მამულის ლამაზ სანახებს გვათვალისწინებდა; ას ორმოცდაათ კილომეტრზე მეტი მანძილით გავყევით დ'ალონის ყურეზე ჩამავალ მზეს. მარსელის ჩაფხუტიანი სახე სევდიანად დაჰყურებდა ნასვრეტებიანი ქვების თაღებსა და კუზებს შორის ოქროსფერ კორომებს და მკვლევლობებისგან მოგვრილმა ჭრილობამაც სისხლდენა შეაჩერა.

კაპიტანმა ტრუნმა დაიჟინა, ამ სალამოს ოპიუმის სახლში მე გპატიუებო, თუმცა თვითონ არ ენეოდა. როგორც ამბობდა, სუნი და სიმშვიდის განცდა მოსწონდა, მაგრამ პროფესია ამაზე მეტად ფრთების გაშლის საშუალებას არ აძლევდა. მოსაწევ სახლში ოფიცრები ეწეოდნენ, მაგრამ ისინი ქვეითებში მსახურობდნენ და გამოძინება დიდად არ სჭირდებოდათ. პატარა კაბინებში ვინეკით, კაბინების მწკრივში რომ იყო და სკოლის დორტუარს მაგონებდა, ჩინელი მეპატრონე კი ყალიონებს მინყობდა. მას შემდეგ, რაც ფიონგმა მიმატოვა, ყალიონი აღარ მომენია. გასასვლელის მეორე მხარეს გრძელფეხება მეტისი ქალი იწვა და ქალთა პრიალა ჟურნალს კითხულობდა, კაბინაში კი ორი შუახნის ჩინელი მამაკაცი იჯდა და საქმიანად საუბრობდა, ჩაის წრუპავდა, ხოლო ყალიონები გვერდზე ეწყობო.

ტრუნს ვკითხე:

– ის სამპანი, ამ სალამოს... რამეს აშავებდა?

– ვინ იცის?! მდინარის მაგ მუხლში თუკი რამ გაჭაჭანდება, ყველაფრის განადგურების ბრძანება გვაქვს.

მე პირველი ყალიონი მოვწიე. ვცდილობდი, სახლში მოწეულ ყალიონებზე არ მეფიქრა.

ტრუნმა მითხრა:

– დღევანდელი ოპერაცია ჩემნაირი კაცისთვის ყველაზე უარესი არ ყოფილა. როდესაც სოფელს გადაუფრენ, შეიძლება ჩამოგაგდონ. ჩვენც ისეთივე დიდ რისკზე მივდივართ, როგორზეც ისინი. მე მხოლოდ ნაპალმით დაბომბვა მძულს. ათასი მეტრიდან, სადაც სრულიად უსაფრთხოდ ხარ, – უიმედოდ ჩაიქნია ხელი, – უყურებ, ცეცხლი როგორ ედება ტყეს. ღმერთმა იცის, მიწაზე რას დაინახავ. ეს საცოდავები ცოცხლად იწვიან, ალი ისე ესხმებათ, როგორც წყალი. ცეცხლით იუღინთებიან, – მთელ სამყაროზე გაბრაზებული ამბობდა ამ სიტყვებს, სამყაროს კი მისი არ ესმოდა, – მე კოლონიურ ომში არ ვიბრძვი. ამას განა ტერ-რუჟის ვილაც პლანტატორებისთვის გავაკეთებდი? მაგას მერჩივნა, სამხედრო-საველე სასამართლოში ამომეყო თავი. ჩვენ

ყოველთვის თქვენთვის ვიბრძვით, მაგრამ ბრალს ისევ ჩვენ გვდებთ.

– მაგრამ ის სამპანი... – ვთქვი მე.

– კი, ის სამპანიც, – შემომხედა ტრუნემა, მე კი მეორე ყალიონს ვაბოლებდი, – ისე ოსტატურად გაურბიხართ პა-სუხისმგებლობას, მშურს თქვენი.

– თქვენ რა იცით, მე რას გავურბივარ? ეს ჩემი ომი არ არის. არც ჩემი სადარდებელია. მე გარეული არა ვარ.

– ოდესმე იქნებით. ეგ დღეც დადგება.

– მე – არა.

– რატომ კოჭლობთ?

– ჩემთვის სროლის უფლება ჰქონდათ, მაგრამ დამინდევს. კოშკს ანგრევდნენ. ამფეთქებელი რაზმები ყველაზე საშიშნი არიან, პიკადილიზეც კი.

– დადგება დღე და თქვენც რომელიმეს მხარეს აღმოჩნდებით.

– არა, ინგლისში ვბრუნდები.

– ის ფოტო, ერთხელ რომ მაჩვენეთ...

– ოჰ, დავხიე და გადავადგე. იმ ქალმა მიმატოვა.

– ვწუხვარ.

– ასე ხდება ხოლმე. ხან შენ ტოვებ, ხან შენ გტოვებენ. ლამის სამართლიანობისა ვინამო.

– მე მწამს. პირველად ნაპალმიანი ბომბი რომ გადავადგე, ვფიქრობდი, ეს ჩემი მშობლიური სოფელია-მეთქი. ეს მესიე დიუბუაა, მამას ძველი მეგობარი მეფუნთუშე-მეთქი... ბავშვობაში ძალიან მიყვარდა დიუბუა... ახლა ის ცეცხლმოდებული გარბის, ცეცხლი კი მე მოვდე-მეთქი, ვფიქრობდი. ვიშის ტიპებსაც კი არ დაუმობავთ სამშობლო. იმათზე უარესად მივიჩნევდი თავს.

– მაგრამ მაინც განაგრძობთ.

– განწყობა იცვლება. გულისტკივილი ბრუნდება, როდესაც ნაპალმით ვბომბავ. სხვა დროს კი ვფიქრობ, ევროპას ვიცავ-მეთქი. ხომ იცით, არც ისინი აკლებენ საშინელებებს. როდესაც 1946 წელს ჰანოიდან გადიოდნენ, საშინელი კვალი დატოვეს. თავიანთ ხალხს არ ინდობდნენ, ვისზეც ფიქ-

რობდნენ, რომ ჩვენ გვეხმარებოდა. საცხედრეში ერთი გოგონა ვნახე, მისთვის ჯერ მკერდი მოეკვეთათ, მერე მისი საყვარელი დაესახიჩრებინათ...

– სწორედ ამიტომაც არ ვერევი არავის საქმეში.

– საქმე აქ მრწამსსა და სამართლიანობაშიც არ არის. საკმარისია გრძნობამ იმძლავროს, რომ სხვის საქმეშიც ვერევი და მერე უკან დახევას ველარ ვახერხებთ. ტყუილად არ ადარებენ ხშირად ერთმანეთს სიყვარულსა და ომს, – მან კაბინას სევდიანად გახედა, სადაც მეტისი ქალი იწვადროებით სიმშვიდეში, და თქვა, – სხვა არც არაფერი მინდა. ის ქალი ომში მშობლებმა ჩართეს... რა მოხდება, როდესაც პორტი დაეცემა? საფრანგეთი მისი სამშობლო მხოლოდ სანახევროდაა...

– დაეცემა?

– თქვენ ჟურნალისტი ხართ. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ვერ გავიმარჯვებთ. ისიც იცით, რომ ჰანოისკენ მიმავალი გზა გადაჭრილია და ყოველდამ ინალმება. არც ისაა თქვენთვის უცნობი, რომ ყოველწლიურად სან-სირის თითო გამოშვებას ვკარგავთ. ორმოცდაათში კინალამ მარცხი გვაჭამეს. დე ლატრმა ორი წელი ამოგვასუნთქა, ეგ იყო და ეგ. მაგრამ ჩვენ პროფესიონალები ვართ. მანამდე უნდა ვიომოთ, სანამ პოლიტიკოსები არ შეგვაჩერებენ. შესაძლოა იმავე ზავზე შეთანხმდნენ, რომელიც თავიდანვე შეიძლებოდა გვექონოდა, და ამ წლების ბრძოლაც წყალში ჩაგვეყრება, – ულამაზო სახეზე, რამდენიმე საათის წინ თვალი რომ ჩამიკრა, პროფესიული სიხისტე აესახა, რომელიც იმ საშობაო ნილას ჰგავდა, საიდანაც ბავშვის თვალეები იყურება, – ამ სისულელეს ვერ ჩასწვდებით, ფაულერ. თქვენ ერთ-ერთი ჩვენგანი არა ხართ.

– ამ ცხოვრებაში მხოლოდ ომი როდი აქცევს განვლილ წლებს სისულელედ.

მან ერთობ უცნაურად, მშობელივით დამადო მუხლზე ხელი.

– სახლში წაიყვანეთ, – მითხრა მან, – ყალიონს ბევრად სჯობია.

– რა იცით, რომ გამომყვება?

– მასთან მეც ნამყოფი ვარ და ლეიტენანტი პერენიც. ხუთასი პიასტრი ღირს.

– ძვირია.

– მგონი, სამასზეც არ იტყვის უარს, მაგრამ გარემოების გათვალისწინებით, შევაჭრება არ უნდა გადარდებდეთ.

მისმა რჩევამ ვერ გაამართლა. ადამიანის სხეულს შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, ჩემი კი მოგონებებით გაქვავდა კიდეც. რასაც იმ ღამით ხელით ვეხებოდი, მგონი, უფრო მშვენიერიც იყო, ვიდრე ის, რაზეც მიჩვეული მქონდა ხელი, მაგრამ მხოლოდ მშვენიერება როდი გვატყვევებს. მასაც იგივე სუნამო ესხა, რასაც ფიონგი ისხამდა ხოლმე, და შელწევის მომენტში დანაკარგის აჩრდილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემს განკარგულებაში მწოლიარე სხეული. გადავბრუნდი და გულალმა დავწეკი, სურვილი სწრაფად დამეკარგა.

– ბოდში, – ვუთხარი და ვიცრუე, – არ ვიცი, რა დამემართა.

– ეგ არაფერი, – თბილად და გაგებიანად მომმართა, – ოპიუმის ბრალია. ხშირად ხდება ხოლმე.

– ჰო, – ჩავილაპარაკე, – ოპიუმის, – და ზეცას შევთხოვე, ნეტამც-მეთქი.

## თავი II

### 1

უცნაური განცდა დამეუფლა, როდესაც პირველად დავბრუნდი საიგონში ისე, რომ არავინ შემგებებია. აეროპორტში ვინატრე, ნეტავ ტაქსისთვის სხვა მისამართი მქონდეს სათქმელი და არა კატინას ქუჩა-მეთქი. მერე დაფიქრდი, ტკივილი ისეთივე მკვეთრი იყო თუ ცოტა შემცირებულიყო, და თავის დარწმუნება დავიწყე, შემცირებულა-მეთქი. როდესაც სადარბაზოში ჩემი საართულის ბაქანზე ავედი,

დავინახე, რომ კარი ღია იყო და უსაფუძვლო იმედმა ამავესო. კართან ლამის მივირბინე. იმედი გულში კიაფობდა, მაგრამ როდესაც ზღურბლზე გადავაბიჯე, ორი წყვილი ფეხსაცმელი დავინახე – ქალისა არ იყო. შევედი და პაილი დამიხვდა – იმ სავარძლიდან წამოინია, რომელშიც ფიონგი ჯდებოდა ხოლმე.

– გაუმარჯოს, თომას.

– გაუმარჯოს, პაილ. აქ როგორ შემოაღნიეთ?

– დომინგესს შევხვდი. თქვენთვის ფოსტა მოჰქონდა. ვთხოვე, რომ შემოვეში და მეც აქ დავრჩი.

– ფიონგს დაავინყდა რამე?

– არა, არა, მაგრამ ჯომ მითხრა, რომ მისიაში ყოფილხართ. ვიფიქრე, აქ უფრო იოლად ვილაპარაკებდით.

– რაზე?

მან ისე აიჩეჩა მხრები, თითქოს, სკოლის მოწაფე იყო და ისეთი დავალება მისცეს, ზრდასრული ადამიანის სიტყვებით რომ უნდა გადმოეცა.

– წასული იყავით?

– კი. თქვენ?

– ოჰ, მე აქაურობა შემოვიარე.

– ისევ პლასტიკით ერთობით?

უკმაყოფილოდ გაიღრიჭა და თქვა:

– თქვენი წერილები აქ აწყვია.

თვალის ერთი შევლებითაც მივხვდი, რომ არცერთი წერილი არ დამაინტერესებდა. ერთი ლონდონიდან იყო, ჩემი რედაქციიდან, დანარჩენები ანგარიშებს უფრო ჰგავდა, და ერთიც ჩემი ბანკიდან უნდა ყოფილიყო.

– ფიონგი როგორ არის? – ვკითხე მე.

სახე წამოენთო, თითქოს ელექტრონული სათამაშო იყო, გარკვეულ ხმაზე რომ იწყებს მოქმედებას.

– კარგად არის, მშვენივრად, – თქვა და ტაში ისე შემოჰკრა, თითქოს რამე წამოსცდაო.

– დაჯექით, პაილ, – ვუთხარი მე, – უბრალოდ, ამ წერილს გადავაგვლებ თვალს, სამსახურიდან არის, – წერილი გავხსენი. ზოგჯერ სულ რომ არ ელი, ის ხდება, თან, ძალი-

ან უადგილოდ. რედაქტორი მწერდა, შენს ბოლო წერილზე დაფიქრდი და ინდოჩინეთში მდგომარეობის გათვალისწინებით, მითუმეტეს, გენერალ დე ლატრის სიკვდილისა და ჰოა-ბინიდან უკან დახევის შემდეგ, შენს არგუმენტებს ვიზიარებო. მას უცხოეთის განყოფილების დროებითი რედაქტორი დაენიშნა და მთხოვდა, რომ ინდოჩინეთში კიდევ ერთ წელიწადს დავრჩენილიყავი. შენი სავარძელი თბილად შენარჩუნდებო, მპირდებოდა და წარმოდგენა არ ჰქონდა, ჩემს თავს რა ამბები ტრიალებდა. ალბათ, ფიქრობდა, რომ სამუშაო და გაზეთი მადარდებდა. პაილის მოპირდაპირედ დავჯექი და დაგვიანებით მოსული წერილი ხელახლა გადავიკითხე. წამიერად აღტაცება დამეუფლა, ასე იცის ხოლმე ახალგაღვიძებულზე, სანამ გაიაზრებ, რა ხდება.

– ცუდი ამბავია? – მკითხა პაილმა.

– არა, – თავი ვინუგეშე, რომ ეს მაინც არაფერს შეცვლიდა. ერთწლიანი დაყოვნება საქორწინო შეთანხმებასთან მაინც ვერ მივიდოდა. სად ერთი წელი და სად მთელი ცხოვრება?! – ცოლად ჯერ არ შეგიერთავთ? – ვკითხე მე.

– არა, – განითლდა... ეს კარგად ეხერხებოდა, – სიმართლე გითხრათ, სპეციალური შევბულების აღება მინდა, რათა ჩემთან ვიქორწინოთ. ასე უფრო მართებულია.

– სამშობლოში დაქორწინება უფრო მართებულია?

– იცით, ვიფიქრე... ასეთ თემებზე თქვენთან ლაპარაკი მიჭირს, თომას, ისეთი ცინიკოსი ხართ. საკუთარ სახლში უფრო საპატიო გამოდის. ჩემი მშობლები იქნებიან იქ, როდესაც სახლში შემოვა. წარსულის გათვალისწინებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– წარსულის?

– იცით, რასაც ვგულისხმობ. არ მინდა იქ რაიმე სტიგმით დავტოვო...

– იქ უნდა დატოვოთ?

– მომიწევს. დედაჩემი დიდებული ქალია... იქაურობას მიაჩვევს, საზოგადოებაში გაიყვანს, გააშინაურებს და სახლის ჩემთვის მომზადებაშიც დაეხმარება.

აღარ ვიცოდი, შემცოდებოდა თუ არა ფიონგი... ერთი სული ჰქონდა, სანამ ცათამბჯენებსა და თავისუფლების ქანდაკებას ნახავდა, მაგრამ მცირეზე მცირე წარმოდგენა ჰქონდა, ეს ყოველივე რად დაუჯდებოდა. პროფესორი და მისის პაილი, ქალთა კლუბებში სადილები; ნეტავ კანასტა-საც<sup>1</sup> ასწავლიდნენ? ის საღამო გამახსენდა, „გრან მონდში“ პირველად რომ ვნახე: თეთრი კაბა ეცვა თვრამეტი წლისას და ნატიფად დაგოგმანებდა; გამახსენდა, როგორი იყო ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, როდესაც სომის ბულვარზე ყასაბს ევაჭრებოდა. ნეტავ მოეწონებოდა ნიუ-ინგლენდის პატარ-პატარა გაკრიალებული სასურსათო მაღაზიები, სადაც მწვანილიც კი ცელოფანში იყო გახვეული? ალბათ. დაზუსტებით ვერ ვიტყვდი. ჩემდა გასაკვირად, ზუსტად იმ სიტყვებით მივმართე პაილს, რასაც თვითონ მეუბნებოდა ერთი თვის წინ:

– რბილად მოექცით, პაილ. არაფერი დააძალოთ. მასაც ისევე შეიძლება გული ეტკინოს, როგორც თქვენ ან მე.

– რასაკვირველია, რასაკვირველია, თომას.

– ძალიან პატარა და ფაქიზია, ჩვენს ქალებს არ ჰგავს, მაგრამ ისეც ნუ იფიქრებთ მასზე, თითქოს... სამშვენიისი იყოს.

– უცნაურია, თომას, როგორ შემობრუნდა სიტუაცია. ერთი სული მქონდა, სანამ ეს საუბარი შედგებოდა. მეგონა, იუხეშებდით.

– ჩრდილოეთში ამაზე საფიქრალი დრო მქონდა. იქ ერთი ქალი გავიცანი... და შესაძლოა მეც იგივე დავინახე, რაც თქვენ დაინახეთ მაშინ საროსკიპოში. კარგია, ახლა თქვენთან რომ არის. მე, ალბათ, ოდესმე გრეინჯერისთანა ვინმეს გადავულოცავდი. ნახმარი ნივთივით.

– მაშ, მეგობრებად ვრჩებით, თომას?

– კი, ცხადია, ოღონდ ფიონგის ნახვისგან კი თავს შევიკავებ. აქ ისედაც საკმაოდ არის და მეტი აღარ მინდა. სხვა ბინა უნდა ვიპოვო, როგორც კი დრო მექნება.

მან შეტყუებული გრძელი ფეხები გააცალკევა და ადგა.

<sup>1</sup> ბანქოს თამაში ერთგვარი.

– ძალიან მიხარია, თომას. ვერც გეუბნებით, როგორი მოხარული ვარ. ეს აქამდეც მითქვამს, ვიცი, მაგრამ მართლა გულით ვისურვებდი, რომ თქვენს ადგილზე სხვა ყოფილიყო.

– მე კი მიხარია, რომ ახლა ჩემს ადგილს თქვენ იკავებთ, პაილ.

ეს გასაუბრება ისე არ წარიმართა, როგორც მე წარმოვიდგენდი: მრისხანე გეგმების სიღრმეში ნამდვილი გადანყვეტილება ყალიბდებოდა. მართალია, მისი სიბრყვე სულ მალიზიანებდა, გულში მაინც მის სასარგებლოდ მივიღე გადანყვეტილება, მისი იდეალიზმი, მისი სანახევროდ გამომცხვარი იდეები, იორკ ჰარდინგის წიგნებიდან რომ ჰქონდა ამოკრეფილი, ჩემს ცინიზმს შევადარე. კი, არსებითად მართალი მე ვიყავი, მაგრამ განა თვითონ კი ტყუოდა, ახალგაზრდა რომ იყო, და ცდებოდა, ან განა ქალისთვის თვითონ უკეთეს კანდიდატურას არ წარმოადგენდა, მითუმეტეს, რომ მასთან მთელი ცხოვრების გატარება ჰქონდა განზრახული?

ხელი გულგრილად ჩამოვართვი, მაგრამ სანახევროდ ფორმამიღებულმა შიშმა მაიძულა, ბაქანზე გავყოლოდი და მიმეძახებინა (ეგებ ჩვენს სულში, სასამართლოდ რომ ქცეულა და სწორ გადანყვეტილებებზეა პასუხისმგებელი, მოსამართლესთან ერთად წინასწარმეტყველიც იყოს ჩაბუდებული).

– პაილ, იორკ ჰარდინგს ასე ძალიანაც ნუ ენდობით.

– იორკს? – ქვედა ბაქნიდან ამომხედა.

– ძველი კოლონიური ხალხი ვართ, პაილ, მაგრამ რეალობისა რაღაცა ჩვენც გავგეგება – მაგალითად, ის, რომ ცეცხლს არ უნდა ვეთამაშოთ. მესამე ძალა წიგნიდან მოდის, მეტი არაფერი, ხოლო გენერალი თჰე ერთი ჩვეულებრივი ბანდიტია, რომელსაც ათასობით დაქირავებული ჰყავს. მას ეროვნულ დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს.

ისე მიყურებდა, თითქოს საფოსტო ჭრილიდან მიცქერდა, რათა დაენახა, კარს მიღმა ვინ იდგა და თუ საჭირო შე-

იქნებოდა, დაუპატიჟებელ სტუმარს კარს არ გაუღებდა. თვალი ამარიდა.

– არ ვიცი, რას გულისხმობთ, თომას.

– იმ ველოსიპედის ბომბებს. კარგი ხუმრობა გამოვიდა, თუმცა ამან ერთ კაცს ფეხი დააკარგვინა. კარგად დაიხსოვმეთ, პაილ, თქვენსაირ ადამიანს ნუ მიენდობით. ისინი კომუნისტებისგან აღმოსავლეთის დახსნას არ ცდილობენ. ჩვენ ვიცით, რა ყაიღისანიც არიან.

– ჩვენ?

– ძველმა კოლონიალისტებმა.

– მეგონა, არავის მხარეს არ იყავით.

– არც ვარ, პაილ, მაგრამ თუ თქვენებს აქ არეულობის მონყობა სურთ, ეგ საქმე ჯოს მიანდვით, თქვენ კი ფიონგს ჩაჰკიდეთ ხელი და შინ გაემგზავრეთ. მესამე ძალა თავიდან ამოიგდეთ.

– რასაკვირველია, თქვენს რჩევას ყოველთვის ვაფასებ, თომას, – ოფიციალური ტონით თქვა, – კეთილი. დროებით გემშვიდობებით.

– დროებით.

## 2

კვირები გადიოდა და მე რატომღაც ახალი ბინა ჯერ ვერ მეპოვა, ოღონდ ამას უდროობას ვერ დავაბრალებდი. ომის ყოველწლიური კრიზისი ისევ დადგა; ჩრდილოეთში ცხელი და ნესტიანი სეზონი დაიწყო; ფრანგები ჰოა-ბინიდან გავიდნენ, ტონკინში ბრინჯის აღება დასრულდა, ლაოსში – ოპიუმისა. დომინგესი სამხრეთში თავს მშვენივრად ართმევდა საქმეს. როგორც იქნა, თავს ვაიძულე და ერთი ბინის სანახავად წავედი ეგრეთ წოდებულ თანამედროვე შენობაში (პარიზის 1934 წლის გამოფენის დროინდელში?), რომელიც კატინას ქუჩის სხვა მხარეს, სასტუმრო „კონტინენტალის“ უკან მდებარეობდა. ეს კაუჩუკის პლანტაციორის სავანე იყო, რომელიც სამშობლოში ბრუნდებოდა. მას ამ ბინის ყველაფერიანად გაყიდვა სურდა (მეც დავინტერესდები, ამ ყველაფერში რას გულისხმობდა), მას კი ბინაში 1880-

1900 წლების პარიზული სალონების გრაფიურები ჰქონდა. ყველა გრაფიურას საერთო შტრიხად გასდევდა მკერდსავესე ქალი უჩვეულო ვარცხნილობითა და გამჭვირვალე ქსოვილით, რაც როგორღაც ყოველთვის ნათლად წარმოაჩენდა დიდრონი დუნდულების ნაპრალს, ხოლო ბრძოლის ველს ოსტატურად მალავდა. სააბაზანოში კი პლანტატორი უფრო თამამად მოქცეულიყო და როფსის რეპროდუქციები დაეკიდა.

– ხელოვნება გიტაცებთ? – ვკითხე მე, მან კი ისე შემომღიმა, როგორც თანამზრახველს. მსუქანი და შავულვაშა იყო, თმა კი შესთხლებოდა.

– ჩემი საუკეთესო ტილოები პარიზში მაქვს გამოფენილი, – ამიხსნა მან.

საცხოვრებელ ოთახში უჩვეულო საფერფლე იდგა, მაღალი, შიშველი ქალის ქანდაკს ხელში თასი ეჭირა; უხვად იყო ჩინური ფაიფურის ვეფხვებთან ჩახუტებული დედიშობილა გოგონები და ერთიც ძალზე უჩვეულო, ველოსიპედზე გადამჯდარი წელზევით შიშველი გოგონას სტატუეტი. საძინებელში, უზარმაზარი საწოლის პირდაპირ, ზეთში შესრულებული ნახატი ბზინავდა – მასზე ორი მძინარე ასული გამოესახათ. ვკითხე, ეს ბინა ამ კოლექციის გარეშე რა ელირება-მეთქი, მაგრამ ორის ერთმანეთთან დაშორება არ ისურვა.

– კოლექციონერი არა ხართ? – მკითხა უკმაყოფილოდ.

– სიმართლე მოგახსენოთ, არა.

– ისე, წიგნებიც მაქვს, – უცებ თქვა მან, – შემიძლია ამავე ფასად დაგიტომოთ, თუმცა კი პარიზში წაღებას ვაპირებდი, – მან წიგნის თაროს მინის კარი გახსნა და თავისი ბიბლიოთეკა მიჩვენა, რომელიც „აფროდიტეს“ და „ნანას“, „მარტოხელა გოგონასა“ და პოლ დე კოკის რამდენიმე დასურათებული გამოცემისგან შედგებოდა. ლამის ვკითხე, თქვენს თავსაც ხომ არ ჩართავდით ამ კოლექციაში-მეთქი; ისე, კი მოუხდებოდა ძველმოდურობით, – როდესაც ტროპიკებში მარტო ცხოვრობ, კოლექცია სულზე მისწრებაა.

მე ფიონგზე დავიწყე ფიქრი, რადგან აქ მას საერთოდ არაფერი მახსენებდა. ასეა ხოლმე ყოველთვის, როდესაც უდაბნოს შეაფარებ თავს, სიჩუმე ყურში ჩაგძახის.

— არა მგონია, გაზეთმა ხელოვნების კოლექციის შექმნის უფლება მომცეს.

— ანგარიშში არ ჩავწერთ, რასაკვირველია.

მიხაროდა, რომ პაილი მას ვერ ხედავდა, თორემ თავისი წარმოსახვით ამ კაცს საზიზღარ ძველ კოლონიალისტად მონათლავდა. როდესაც მისგან გამოვედი, უკვე თითქმის თორმეტის ნახევარი იყო და „პავილიონში“ წავედი, რათა ჩაცივებული ლუდით ჩამეგრძობინა ყელი. „პავილიონი“ ევროპელი და ამერიკელი ქალებისთვის ყავის ცენტრს წარმოადგენდა, ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ ფიონგს არ გადავანყდებოდი. ვიცოდი, დღის ამ დროს სად იქნებოდა, რადგან ის ქალი არ იყო, ჩვეულებები ასე სწრაფად შეეცვალა, ამიტომ პლანტატორის ბინიდან რომ გავედი, რძის კოქტიელების ბარს თავი ავარიდე, სადაც ცივი შოკოლადის დასალევად იქნებოდა შესული.

„პავილიონში“ ორი ამერიკელი გოგონა იჯდა მეზობელ მაგიდასთან, კოჭნიები და კრიალები იყვნენ სიცხის მიუხედავად, და ნაყინს კოვზით შეექცეოდნენ. ორივე მათგანს მარცხენა მხარზე ზუსტად ერთნაირი ჩანთები მოეგდო, თითბრის არწივიანი ბალთით. ფეხებიც კი ერთნაირები ჰქონდათ, გრძელი და თხელი, და ცხვირებიც, ოდნავ აპრეხილი, და ნაყინს ისე ჩაგულისყურებით შეექცეოდნენ, თითქოს სკოლის ლაბორატორიაში ცდას ატარებდნენ. დავინტერესდი, ნეტავ ესენიც პაილის კოლეგები ხომ არ არიან-მეთქი; ისეთი მომხიბვლელები იყვნენ, რომ სურვილი გამიჩნდა, ისინიც ამერიკაში გამეგზავნა. ნაყინის ჭამას რომ მორჩნენ, ერთმა მაჯის საათზე დაიხედა.

— გასვლის დროა, — თქვა მან, — უსაფრთხოდ რომ ვიყოთ. დამაინტერესა, ასე სად ეჩქარებათ-მეთქი.

— უორენმა მითხრა, თორმეტის ოცდახუთ წუთს არ უნდა გადააცდინოთ.

— უკვე გადავაცდინეთ.

– არადა, რა საინტერესო იქნებოდა დარჩენა. წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება.

– არც მე, მაგრამ უორენმა გაგვაფრთხილა, არ დარჩეთო.

– შენი აზრით, დემონსტრაცია იქნება?

– იმდენი დემონსტრაცია მაქვს ნანახი, – დაქანცული იერით თქვა მეორემ, თითქოს ეკლესიების ყურებით მოყირჭებული ტურისტიაო. ადგა და მაგიდაზე ნაყინის ფული დადო. გასვლამდე კაფეს მოავლო თვალი და სარკეებმა მისი ჭორფლიანი პროფილი ყოველი კუთხიდან აირეკლა. კაფეში მხოლოდ მე და ერთი ულაზათოდ ჩაცმული, შუახნის ფრანგი დედაკაცი შემოვრჩით, რომელიც გულდასმით, მაგრამ ამოდ ცდილობდა მაკიაჟის გაკეთებას. იმ ორს კი მაკიაჟი არაფერში სჭირდებოდა – მხოლოდ პომადა და სავარცხელი ეყოფოდათ გასაპრანჭად. ნამიერად ერთმა მზერა ჩემზე შეაჩერა – ქალისას არ ჰგავდა, უფრო მამაკაცისა იყო, პირდაპირი, თითქოს ფიქრობს, რა მოიმოქმედოსო. მერე სწრაფად თავის კომპანიონზე გადაერთო, – მოდი, სწრაფად გავიდეთ, რა.

ზანტად გავაყოლე თვალი, როდესაც მზით დაზოლილ ქუჩაზე გვერდიგვერდ გავიდნენ. წარმოდგენელი იყო რომელიმე მათგანის შეუკავებელი ვნების მსხვერპლად წარმოდგენა – მათთან დაჭმუჭნილი ზენრებისა და სექსით ოფლში გახვითქული სხეულის გაიგივება ვერა და ვერ შევძელი. ნეტავ ანტიპერსპირანტებს ლოგინშიც იყენებდნენ? ნამიერად მათი სტერილური სამყაროსი შემშურდა, რომელიც იმ სამყაროს არაფრით ჰგავდა, მე სადაც ვბინადრობდი და რომელიც უეცრად და სრულიად აუხსნელად ნამსხვრევეზად იქცა. კედლის ორი სარკე ჩემკენ გამოფრინდა, მაგრამ შუაგზაზე დაილენა. დაუდევრად ჩაცმული ფრანგი დედაკაცი მაგიდებისა და სკამების ნამტვრევებში ჩამჯდარი აღმოჩნდა, მისი საპუდრე, გახსნილი და უვნებელი – ჩემს კალთაში. არადა, მე ისევ ჩემს სკამზე ვიჯექი, ჩემი მაგიდა კი ქალის წინ დამტვრეული ეგდო. კაფეში ისეთი ხმა გაისმა, თითქოს წალკოტიდან მოდისო. ბარს რომ გავხედე, დამ-

სხვრეული ბოთლები დავინახე, საიდანაც ფერად ნაკადად ჩუხჩუხით იღვრებოდა იატაკზე სასმელი – პორტვანიდან წითელი, კუენტროდან ნარინჯისფერი, შარტრეზიდან მწვანე, პასტისიდან – მღვრიე ყვითელი. ქალი მშვიდად იყო და თვალით თავის საპუდრეს ეძებდა. ავდექი და მივანოდე, მან კი, იატაკზე დამჯდარმა, მადლობა თავაზიანობის გამო მომახსენა. მივხვდი, რომ მისი კარგად არ მესმოდა. აფეთქება იმდენად ახლოს მოხდა, რომ ყური წნევამ დამიხშო.

გალიზიანებულმა გავიფიქრე, ისევ პლასტიკით თამაშობენ-მეთქი. ნეტავ ამჯერად ბატონი ჰენი რის დაწერას შემომთავაზებდა? მაგრამ როდესაც გრანიეს მოედანზე გავედი, კვამლის ღრუბელში აღმოვჩნდი და დავასკვენი, რომ ეს სულაც არ იყო თამაში. კვამლი ეროვნული თეატრის გვერდით მდებარე ავტოსადგომზე დაყენებული მანქანებიდან მოდიოდა, მანქანების ნამტვრევები მოედანზე ეყარა და უფეხებოდ დარჩენილი მამაკაცი დეკორატიული ბალის ნაპირთან ფართხალებდა. ხალხი კატინას ქუჩიდან და ბონარის ბულვარიდან იყრიდა თავს. პოლიციის მანქანების სირენები, სასწრაფო დახმარებისა და სახანძრო მანქანების ზარები დაგუდულ ყურებზე ერთიანი ძალით მომასკდა. წამიერად დამავიწყდა, რომ ფიონგი ამ დროს მოედნის მეორე მხარეს, რძის კოქტიელების ბარში უნდა ყოფილიყო. სქელი კვამლი გვყოფდა ერთმანეთისგან და ხილვადობას სპობდა. მოედანზე გავედი თუ არა, პოლიციელმა შემაჩერა. მოედანი უკვე შემოესაზღვრათ, რათა ხალხის შეკრებისთვის შეეშალათ ხელი; უკვე საკაცეებს მოარბენინებდნენ. პოლიციელს შევეხვენი:

– გამიშვით, გევედრებით, იქ მეგობარი დამრჩა...

– უკან დაიხიეთ, – მითხრა მან, – აქ ყველას ჰყავს მეგობრები.

ის განზე გადგა, რათა მღვდელი გაეტარებინა; მეც მას გავყევი, მაგრამ პოლიციელმა ხელი მტაცა და უკან გამწია.

– პრესა! – ვუთხარი და საფულის ამოსაღებად ჯიბისკენ ამაოდ წავიღე ხელი, რადგან საფულე ვერ ვიპოვე. დავიჯერო, საფულის გარეშე გამოვედი? – ის მაინც გამაგებინეთ,

რძის კოქტიელების ბარს რა დაემართა, — კვამლი იფანტებოდა და უკვე კონტურების გარჩევა შემეძლო, თუმცა მოედანზე უამრავი ხალხი ტრიალებდა და ეს კიდეც ცალკე მიშლიდა ხელს. პოლიციელმა რაღაც ჩაიბურტყუნა, — რა ბრძანეთ?

მან გაიმეორა:

— არ ვიცი. უკან დაიხიეთ. საკაცებებს გზას უღობავთ.

ნუთუ „პავილიონში“ ამომივარდა საფულე? უკან გავტრიალდი და პაილს შევეჩხე.

— თომას! — შესძახა მან.

— პაილ, ღვთის გულისათვის, მისიის საშვი თან გაქვთ? როგორმე იქითა მხარეს უნდა გავიდეთ. ფიონგი ბარშია.

— არა, არა, — მითხრა მან.

— პაილ, იქ არის. ყოველთვის იქ დადის. თორმეტის ნახევარზე სულ იქ ზის ხოლმე. უნდა ვიპოვოთ.

— იქ არ არის, თომას.

— რა იცით? საშვი არა გაქვთ?

— გავაფრთხილე, არ ნახვიდე-მეთქი.

პოლიციელისკენ შევბრუნდი, ვიფიქრე, ხელს ვკრავ და გავიქცევი-მეთქი, თან, ვფიქრობდი, არ მესროლოს-მეთქი, მაგრამ უეცრად ჩემს ცნობიერებამდე სიტყვა „გავაფრთხილემ“ მოაღწია. პაილს მკლავზე ვტაცე ხელი.

— გააფრთხილეთ? რას ნიშნავს, „გავაფრთხილეთ“?

— ვუთხარი, ამ დილით ბარს არ მიეკარო-მეთქი.

ნელ-ნელა სურათი გამკაფიოვდა.

— და უორენი? ვინ არის უორენი? მან ის გოგოებიც გააფრთხილა.

— არ მესმის.

— ამერიკელებს შორის დანაკარგი არ უნდა ყოფილიყო, ხომ?

სასწრაფო დახმარების მანქანა კატინას ქუჩით მოედანზე ძლივს გამოვიდა და ის პოლიციელი, მე რომ მაკავებდა, ოდნავ მოშორებით გავიდა გზის დასათმობად. მის უკან მდგარი პოლიციელი კამათში იყო ჩართული. მე პაილს ხელი ვუბიძგე მოედნისკენ და უკან გავყევი, სანამ ვინმე შეგვაჩერებდა.

მგლოვიარეთა თავყრილობაში აღმოვჩნდით. პოლიცი-  
ას კი შეეძლო ახალმოსული ხალხი მოედანზე შეეშვა, მაგ-  
რამ ვინც აფეთქებას გადაურჩა და მოედანზე მოიყარა თა-  
ვი, მათთან უძღური იყო. ექიმებს ცხედრებთან ფუსფუსის  
დრო არ ჰქონდათ, ამიტომ ისინი პატრონებს გადასცეს,  
რამეთუ ცხედარსაც ისე შეიძლება ჰყავდეს პატრონი, რო-  
გორც, ვთქვათ, სკამს. ერთი ქალი ძირს იჯდა და კალთაში  
ისლა ეწვა, რაც მისი შვილისგან დარჩენილიყო; მოკრძა-  
ლებულობის გამო მისთვის ჭილის გლეხური ქუდი დაეფა-  
რებინა.

ის პირგამეხებულნი, უხმოდ იჯდა და უეცრად გავაცნო-  
ბიერე, რომ მოედანზე სიჩუმე იდგა. ამან ის ეკლესია მო-  
მაგონა, ერთხელ მესაზე რომ შევედი – მხოლოდ მსახურთა  
ხმა ისმოდა და შიგადაშიგ რომელიმე ევროპელის წამოტი-  
რება, აღმოსავლეთის მოკრძალების, მოთმინებისა და წე-  
სიერების გამო რომ დაუფლებოდა სირცხვილის გრძნობა.  
ბალთან უფეხო ტანი ისე ფართხალებდა, როგორც თავმოჭ-  
რილი ქათამი. პერანგით თუ ვიმსჯელებდით, წესით, ველო-  
რიქშის მძლოლი უნდა ყოფილიყო.

– საშინელებაა, – თქვა პაილმა. დასველებულ შარვალზე  
დაიხედა და შეშინებულმა იკითხა, – ეს რაღაა?

– სისხლია, – ვუპასუხე მე, – აქამდე სისხლი არ გინა-  
ხავთ?

– მანამდე უნდა გავისუფთაო, სანამ დესპანს შევხვდები.

არა მგონია, გაცნობიერებინა, რას ამბობდა. ნამდვილ  
ომს პირველად ხედავდა; ფატ-დიემში ჭოკიანი ნავით კი  
დაგვიკრა თავი, რაც უფრო სკოლის ბიჭის ოცნების ახდე-  
ნას ჰგავდა, მაგრამ ჯარისკაცებს აშკარად არაფრად აგ-  
დებდა.

– ხომ ხედავთ, „დიოლაქტონის“ დოლურას რა შეუძლია,  
– ვუთხარი მას, – როცა არასწორ ხელში მოხვდება, – მერე  
მხარში ჩავავლე ხელი და, აბა, აქაურობას მოავლეთ თვალი-  
მეთქი, ვუთხარი, – ამ დროს ეს მოედანი ქალებითა და ბავ-  
შვებითაა სულ სავსე. ასეთ დროს აფეთქება ვის მოაფიქრდა?

– დღეს აღლუმი უნდა ყოფილიყო, – წაიკნავლა პაილმა.

– და იფიქრეთ, ერთ-ორ კოლონელს გავაფშეკინებთ ფეხებსო? ალღუმი ხომ გუშინ გააუქმეს, პაილ.

– არ ვიცოდი.

– არ იცოდით! – სისხლის გუბისკენ ვუბიძგე, სადაც საკაცე იდო, – უკეთ უნდა ყოფილიყავით ინფორმირებული!

– ქალაქში არ ვყოფილვარ, – თქვა და ფეხსაცმელზე დაიხედა, – უნდა გადაედოთ.

– და თავის შექცევაზე უარი ეთქვათ? გგონიათ, გენერალი თქვე დივერსიაზე უარს იტყვის? ალღუმზე ბევრად ეფექტური გამოვიდა. ქალებისა და ბავშვების ხოცვა ომის დროს სიახლეა, ჯარისკაცებისა – არა. ეს ამბავი მსოფლიოს პრესაში მოხვდება. გენერალ თქვეს სახელს უქმნით, ხომ? *მესამე ძალა* და *ეროვნული დემოკრატია* მარჯვენა ფეხსაცმელზე გაქვთ, აბა, დაიხედეთ. შინ დაბრუნდით, ფიონგთან, და თქვენი გმირული საქციელის შესახებ უამბეთ – ახლა მას ნაკლებ თანამემამულეზე მოუწევს დარდი.

ტანდაბალმა, სქელმა მღვდელმა ჩაგვირბინა – ხელსახოცგადაფარებული თეფშით რაღაც მიჰქონდა. პაილი ერთხანს დუმდა, მე კი სათქმელი აღარაფერი მქონდა. ისედაც საკმარისზე მეტი ვთქვი. სახე გაუფითრდა, თითქოს სადაცაა გული წაუვანო; გავიფიქრე, და რა მერე? მუდამ ასეთი მიამიტი სახით ივლის, რომ ვერავინ ვერაფერში დასდოს ბრალი, ისინი ხომ ყოველთვის უდანაშაულონი არიან. კაცმა ესენი ან უნდა აკონტროლოს, ან ძირფესვიანად გაანადგუროს. მიამიტობა სიგიჟის სახეობაა-მეთქი.

მან თქვა:

– თქვე ამას არ იზამდა. დარწმუნებული ვარ, არც უქნია. ვილაცამ უღალატა. კომუნისტებმა...

თავისი კეთილი ზრახვებისა და უმეცრების ცყვიაგაუმტარი ჯავშანი ჰქონდა შემოვლებული. მოედანზე დაყუდებული დავტოვე და კატინას ქურჩას იმ მხარეს გავყევი, რომელსაც უსახური, ვარდისფერი საკათედრო ტაძარი ლობავდა. ხალხსაც უკვე იქით აეღო გეზი; ალბათ, მათთვის ერთგვარი ნუგეში იქნებოდა, თუკი დაღუპულთა სულებისთვის მკვდრებთან ილოცებდნენ.

მათგან განსხვავებით, მე მიზეზი მქონდა, თუ რატომ უნდა მეთქვა უფლისთვის მადლობა: განა ფიონგი ცოცხალი არ იყო? განა ის გაფრთხილებული არ იყო? მაგრამ მოედანზე ნანახი უფეხებო ტანი და დედის კალთაში ბავშვის ნარჩენი მედგა თვალწინ. ისინი გაფრთხილებულნი არ ყოფილან. ისინი არც საკმარისად მნიშვნელოვანნი ყოფილან და ალღუმი რომც გამართულიყო, განა მაინც იმავე ადგილზე არ მივიდოდნენ ცნობისმოყვარეობის გამო, რათა ჯარისკაცები დაენახათ, გამომსვლელთათვის მოესმინათ და ყვავილები ესროლათ? ასკილოგრამიანი ბომბი არავის არჩევს. რამდენიმე კოლონელის მოკვლა ამართლებს ბავშვის ან ველორიქშის მძღოლის მოკვლას, როდესაც ეროვნული დემოკრატიის ფრონტს ქმნით? მოტორიქშა გავაჩერე და მითჰოს სანაპიროზე გაყვანა ვთხოვე.

**ՁՎՄՈՒՆՅԱՆ ՆԱԾՈՂՈՒ**

## თავი I

ფიონგს ფული მივეცი, რათა და კინოში წაეყვანა და უსაფრთხოდ ყოფილიყო. მე დომინგესთან ერთად ვისადილე და ჩემს ბინაში მალევე დავბრუნდი, რადგან ათისთვის ვიგოს მოსვლას ველოდი. დაუგვიანებლად მოვიდა. მომიბოდიშა, სასმელი ვერ გამოვიყოლეო, თან, ამიხსნა, იმდენად დაღლილი ვარ, ახლა რომ რამე დავლიო, ძილი მომერევა, გრძელი და დამღლევი დღე იყო.

– მკვლელობა თუ უეცარი სიკვდილი?

– არა, წვრილმანი ქურდობები და რამდენიმე თვით-მკვლელობა. აქაურებს სამორინეებში თამაში უყვართ და როდესაც ყველაფერს აგებენ, მერე თავსაც იკლავენ. რომ მცოდნოდა, საცხედრებში ამდენი დროის გატარება მომიწევდა, შეიძლება პოლიციელი არც გავმხდარიყავი. ამიაკის სუნი მძულს. ისე, ლუდი ხომ არ დაგველია?

– სამწუხაროდ, მაცივარი არა მაქვს.

– განსხვავებით საცხედრისგან. მაშინ ინგლისური ვისკი იყოს ორიოდე წვეთი.

ის ღამე გამახსენდა, საცხედრეში რომ ჩავყევი ვიგოს და მათ პაილის ცხედარი ისე გამოაცურეს, თითქოს ყინულისკუბებიანი ლანგარი ყოფილიყოს.

– ანუ სამშობლოში აღარ ბრუნდებით, ხომ? – მკითხა მან.

– ცნობები შეკრიბეთ?

– დიახ, – ვისკის ჭიქა ხელის აუკანკალებლად გავუნოდე, რათა დაენახა, ნერვები რომ მშვიდად მქონდა.

– ვიგო, ძალიან მინდა ვიცოდე, პაილის მკვლელობაში გარეული რატომ გგონივართ? გგონიათ, მოტივი მქონდა?

ფიონგის დაბრუნება მინდოდა? ან ხომ არ ფიქრობთ, რომ მისი ახევის გამო სამაგიერო გადავუხადე?

– არა, სულელი ხომ არა ვარ. კაცი მტრის წიგნს სამახსოვროდ არ იტოვებს. ის წიგნი ახლაც თაროზე გიდევთ. „დასავლეთის როლი“. ვისია, იორკ ჰარდინგის?

– სწორედ მას უნდა ეძებდეთ. პაილი მან მოკლა – საერთო კონტექსტით თუ ვიმსჯელებთ.

– არ მესმის.

– ის უმაღლესი რანგის ჟურნალისტიკა – მათ დიპლომატიურ მიმომხილველებს უწოდებენ. იდეა აქვს აკვიატებული და ყველანაირ ფაქტებს ამ იდეას უსადაგებს. პაილი აქ იორკ ჰარდინგის იდეებით სავსე ჩამოვიდა. თავად ჰარდინგს აქ ერთი კვირა აქვს გატარებული, როდესაც ბანგკოკიდან ტოკიოში მიემგზავრებოდა. პაილს შეცდომა მაშინ მოუვიდა, როდესაც მისი იდეების პრაქტიკაში გამოყენება სცადა. ჰარდინგი მესამე ძალაზე წერდა. პაილმაც იპოვა ეს ძალა ერთი უვარგისი ბანდიტისა და მისი ორი ათასი ხელის ბიჭის, ასევე ორი მოთვინიერებული ვეფხვის სახით. მერე სხვის საქმეში ჩაერია და ეგაა.

– თქვენ არასდროს ჩარეულხართ?

– ვცდილობ ეგ არასოდეს მოხდეს.

– მაგრამ არ გამოგდით, ხომ, ფაულერ?

რატომღაც კაპიტანი ტრუენი გამახსენდა და ის ღამე ჰაიფონის ოპიუმის სახლში, რომლიდანაც თითქოს წლები გასულიყო. რაო, რას მეუბნებოდა ტრუენი მაშინ? საკმარისია, გრძნობამ იმძლავროს და, ადრე თუ გვიან, ყველანი ჩავერევით სხვის საქმეშიო?

– თქვენგან კარგი მღვდელი დადგებოდა, ვიგო. რაღაც ისეთი გაქვთ, რაც ადამიანს აღსარების ჩაბარებისკენ უბიძგებს, ცხადია, გასამხელი თუ აქვს რამე.

– არავისი აღსარებას არ დავუინტერესებთ არასდროს.

– მაგრამ ხომ იღებთ ხოლმე?

– დროდადრო.

– ალბათ, პროფესიულად მიეჩვიეთ, რომ გული კი არ გაგისკდეთ, არამედ თანაუგრძნოთ. „მესიე ფლიკ, უნდა მოგახსენოთ, რატომ გავუხვრიტე ბებერ ქალს შუბლი“. „ღიახ, გუსტავ, არ მოგერიდოთ და ისე მიაბზეთ ყველაფერი“.

– ექსცენტრიკული წარმოსახვა გქონიათ. არ სვამთ, ფაულერ?

– დამნაშავემ რომ პოლიციის ოფიცერთან ერთად დალიოს, ხომ სისულელე გამოუვა?

– არასდროს მითქვამს, დამნაშავე ხართ-მეთქი.

– და ალკოჰოლმა რომ აღსარების ჩაბარების სურვილი აღმიძრას? თქვენი პროფესიის ხალხი აღსარების საიდუმლოს როდი ინახავს.

– ვინც აღსარებას აბარებს, მისთვის საიდუმლოებას აზრიც ეკარგება. თუნდაც მღვდლისთვის აპირებდეს გულის გადაშლას. მას სულ სხვა მიზნები აქვს ხოლმე.

– სულის განწმენდა?

– არა ყოველთვის. ზოგჯერ საკუთარი თავისთვის სხვა თვალით უნდებია შეხედვა. ზოგჯერ ტყუილით იღლება. თქვენ დამნაშავე არა ხართ, ფაულერ, მაგრამ მაინტერესებს, რატომ მომატყუეთ? პაილი სიკვდილის საღამოს ნახეთ.

– ეგ რამ გაფიქრებინათ?

– ნამითაც არ მიფიქრია თქვენზე, ამან მოკლა-მეთქი. სამისოდ დაჟანგულ ხიშტს ნამდვილად არ გამოიყენებდით.

– დაჟანგულს?

– მსგავს დეტალებს გაკვეთის შემდეგ ვიგებთ, მაგრამ უკვე გითხარით, სიკვდილის მიზეზი ხიშტი კი არა, დაკოუს ტალახი გახდა-მეთქი, – მან ჭიქა გამომიწოდა, ცოტა კიდევ დამისხიო, – ნახეთ. „კონტინენტალში“ შვიდის ათ წუთზე სვამდით, ხომ?

– ღიახ.

– ხოლო შვიდს რომ თხუთმეტი აკლდა, „მაჟესტიკის“ კართან ვილაც ჟურნალისტს ელაპარაკებოდით, არა?

– კი, უილკინსს. ეს ყველაფერი ნათქვამი მაქვს, ვიგო. იმავე ღამეს.

– კი, ეს ყველაფერიც შევამონმე. საკვირველია, ასე დაწვრილებით როგორ გახსოვთ ყველაფერი.

– რეპორტიორი ვარ, ვიგო.

– დროები მთლად არ ემთხვევა, მაგრამ თხუთმეტი წუთს აქეთ და ათ წუთს იქით თუ მოიპარავთ, ვინ შეგედავებათ. მიზეზი არ გქონიათ, გეფიქრათ, რომ წუთების სიზუსტე თავის როლს ითამაშებდა. პირიქით, უფრო საეჭვო იქნებოდა, წუთი წუთზე რომ დაგესვათ.

– ვერ დავსვი?

– მთლად ვერა. უილკინსს ექვსს რომ ხუთი აკლდა, მაშინ ელაპარაკეთ.

– ათი წუთია სხვაობა.

– რასაკვირველია, როგორც უკვე აღვნიშნე, ხოლო როდესაც სასტუმრო „კონტინენტალში“ შეხვედით, ექვსმაც ჩამოჰკრა.

– მაჯის საათი სულ წინ მიდის ხოლმე, – ავუხსენი ვიგოს, – თქვენთან რომელია?

– თერთმეტის რვა წუთია.

– ჩემთან თვრამეტი წუთია. ნახეთ.

ჩემს საათზე დახედვით თავი არ შეუწუხებია, ისე მითხრა.

– მაშინ დრო, რომელიც თქვენ ახსენეთ, უილკინსს ველაპარაკეო, მთელი ოცდახუთი წუთით არ ემთხვევა. ეს კი სერიოზული შეცდომაა, არა?

– შესაძლოა გონებაში დავაკორექტირე დრო... ან იმ დღეს გავასწორე საათი. ზოგჯერ ასეც ვიქცევი ხოლმე.

– ახლა მე რა მაინტერესებს, – თქვა ვიგომ, – ცოტა სოლიანს ხომ ვერ ჩამიმატებთ? მეტისმეტად მაგარი მოგსვლიათ. ჰო, ის რომ, საერთოდ არ მიბრაზდებით. არა მგონია, მთლად სასიამოვნო იყოს, როდესაც დაკითხვას გიმართავთ.

– სამაგიეროდ, საგამოძიებო მოთხრობასავით საინტერესოა, თანაც, ბოლოს და ბოლოს, თავადაც მოგეხსენებათ, რომ პაილი მე არ მომიკლავს. ეს თქვენც თქვით.

– ვიცი, რომ მის მკვლევლობას არ დასწრებიხართ.

– ვერ ვხვდები, იმის ჩვენებით რის დამტკიცებას ცდილობთ, ათი წუთი იქ ამერიკა თუ ხუთი აქ.

– ეს თქვენ დროით სივრცეს გაძლევთ, – მიპასუხა ვიგომ, – პატარა შუალედს.

– შუალედს რისთვის?

– იმისათვის, რომ პაილი თქვენთან მოსულიყო და ენახეთ.

– ამის დამტკიცებას ასე რატომ ცდილობთ?

– ძალის გამო, – თქვა ვიგომ.

– და მის ბრწყალებში ტალახი?

– ტალახი არ აღმოჩნდა. ცემენტი ჰქონდა. იმ ღამით, სადაც პაილმა გაიარა და ძალიც თან ახლდა, სველი ცემენტი იყო. გამახსენდა, რომ თქვენი სახლის ქვედა სართულზე მშენებლები მუშაობენ... ახლაც ქვემოთ არიან. აქ რომ ამოვდიოდი, შევნიშნე. ამ ქვეყანაში, ხომ იცით, გვიანობამდე ამუშავებენ მუშებს.

– ამ ქალაქში უამრავ ადგილას იპოვით მშენებლებსა და ახალდასახულ ცემენტსაც. რომელიმე მათგანს ძალლი ახსოვს?

– ცხადია, ეს კითხვა დავუსვი, მაგრამ რომც ახსოვდეთ, არავინ მეტყვის. მე ხომ პოლიციელი ვარ.

ლაპარაკი შეწყვიტა, სკამის საზურგეს მიანვა და თავის ჭიქას დააცქერდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გონებაში რალაც მოვლენები ერთმანეთთან დააკავშირა და ფიქრებმა ძალიან შორს წაიღო. ხელზე ბუზი დააჯდა, მას კი არც აუქმევია... თუმცა დომინგესიც ასე მოიქცეოდა. მისგან ერთგვარი უძრავი და დიდი ძალა მოდიოდა. გავიფიქრე, ხომ არ ლოცულობს-მეთქი.

ავდექი, ფარდები გადავნიე და საძინებელში გავედი. იქ არაფერი მესაქმებოდა, უბრალოდ, წუთიერად მაინც უნდა დამეღწია თავი სკამზე მჯდარი სიჩუმისთვის. ფიონგის სურათებიანი წიგნები ისევ თაროებზე ეწყო. ჩემთვის გამოგზავნილი ტელეგრამა თავის ფერ-უმარილთან დაედო – ალბათ, რედაქციიდან მწერდნენ. ახლა მისი გახ-

სნის განწყობა არ მქონდა. ყველაფერი ისე იყო, როგორც პაილის გამოჩენამდე. ოთახები არ იცვლება, სამშვენისებიც იქვე აწყვია, სადაც დადებ ადამიანი: მხოლოდ გული იხრნება.

მისაღებ ოთახში დავბრუნდი და ვიგომ ჭიქა ტუჩთან მიიტანა.

ვუთხარი:

– თქვენთვის სათქმელი არაფერი მაქვს. საერთოდ არაფერი.

– მაშინ წასვლის მეტი რა დამრჩენია, – თქვა მან, – არა მგონია, კიდეც შეგანუხოთ, – კართან კი ისე შემოტრიალდა, თითქოს იმედი არ ეთმობოდა, ოღონდ ჩემი თუ თავისი იმედი, ვერ გავიგე, – ისე, უცნაურ ფილმზე კი წასულხართ. ვერაფრით ვიფიქრებდი, ისტორიული დრამები თუ მოგწონდათ. რა გადიოდა, „რობინ ჰუდი“?

– „სკარამუში“, მგონი. დრო უნდა მომეკლა. ყურადღების გადატანა მინდოდა.

– გადატანა?

– ყველას ჩვენი გასაჭირი გვადგას, ვიგო, – მშვიდად განვუმარტე.

ვიგოს წასვლიდან ერთი საათის მერეღა დაბრუნდა ფიონგი, მანამდე კი კაციშვილი არ მინახავს. უცნაური იყო, როგორ ამაღელვა ვიგოს მოსვლამ. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს რომელიმე პოეტმა თავისი წიგნი მომიტანა ჩემი აზრის მოსასმენად, მე კი დაუდევრობით ეს წიგნი გავანადგურე. თავად მე მოწოდება არ მქონდა – ჟურნალისტიკას სერიოზულ მოწოდებას ვერ ვუნდობთ, მაგრამ სხვაში ამ მოწოდების აღმოჩენა შემეძლო. ახლა, როდესაც ვიგო თავისი გამოუძიებელი საქმის დასახურად წავიდა, ვინატრე, ნეტავ იმდენი გამბედაობა მქონდეს, დავუძახო და ვუთხრა: მართალი ხართ, იმ ლამეს პაილი მართლა ვნახემეთქი.

## თავი II

### 1

მითჰოს სანაპიროზე რომ მივდიოდი, სასწრაფო დახმარების რამდენიმე ბრიგადა ჩამცდა, შოლონიდან გარნიეს მოედანზე მიემართებოდნენ. ხმები სწრაფად ვრცელდება, ამიტომ ხალხი აფეთქების ადგილიდან ჩემსავით მომავლებს მიაჩერდებოდა ხოლმე გაოცებული. შოლონში კი ახალ ამბებს მე მივასწარი – იქ ჩვეულებრივად მიედინებოდა ცხოვრება, ყოველგვარი მლელვარების გარეშე, რადგან არავინ არაფერი იცოდა. ბატონ ჭოუს საწყობი ვიპოვე და მის სახლში ავედი. ჩემი ბოლო სტუმრობის შემდეგ აქ არაფერი შეცვლილიყო. კატა და ძალი იატაკიდან ქალაღდის კოლოფებზე, იქიდან კი ჩემოდნებზე ხტოდნენ ჭადრაკის მხედრებივით, რომლებიც ერთმანეთს ვერა და ვერ ერკინებიან. ბავშვი ისევ იატაკზე დახოხავდა, ორი ბერიკაციც ისევ მაჯონგს თამაშობდა. მხოლოდ ახალგაზრდები არ ჩანდნენ. როგორც კი კარში გამოვჩნდი, ერთ-ერთმა ქალმა ჩაის დასხმა დაიწყო. მოხუცი ქალი საწოლზე იჯდა და ტერფებზე დაიხედა.

– ბატონი ჰენი, – ვიკითხე მე და ჩაიზე თავი გავაქნიე, არ მინდა-მეთქი. მწარე ჩაის სმის ხანგრძლივი პროცესის განახლების არანაირი სურვილი არ მქონია, – *Il faut absolument que je voie M. Heng*<sup>1</sup>, – ვერაფრით გავაგებინებდი, რომ საჩქაროდ მინდოდა ჰენის ნახვა, მაგრამ ეგებ ჩაიზე ასეთ ხისტ უარს მიეხვედრებინა, რადგან აწრიალდნენ. ან ეგებ მეც პაილივით სისხლიანი ფეხსაცმელი მეცვა. ყოველ შემთხვევაში, მცირე ლოდინის შემდეგ ერთ-ერთმა ქალმა კიბით ჩამიყვანა და გარეთ გამიყვანა, სარეკლამო ბანერებით აჭრელებული ორი ხმაურიანი ქუჩა გამატარა და ისეთ ადგილზე დამტოვა, რომელსაც პაილის სამშობლოში „დამკრძალავ დარბაზს“ უწოდებენ, და რომელიც ჩინელი მიცვალებულების ფერფლით სავსე რკინის ურნებით იყო სავსე.

<sup>1</sup> სასწრაფოდ უნდა ვნახო ბატონი ჰენი (ფრ.).

– ბატონ ჰენს ვეძებ, – ვუთხარი ჩინელ კარისკაცს, – სად არის? – ეს დღე პლანტატორის ეროტიკული კოლექციის თვალღებობით დაიწყო, მოედანზე აფეთქებითა და მსხვერპლით გაგრძელდა და ახლა ამ სანახაობით მთავრდებოდა. ვილაცამ შიდა ოთახიდან დაიძახა და ჩინელი განზე გადგა ჩემს გასატარებლად. ბატონი ჰენი გულთბილად შემომეგება და შემოიყვანა პატარა სათავსში, რომელშიც ისეთი შავი, ჭედური და ძალიან არაკომფორტული სკამები ეწყო კედლებთან, როგორსაც ყველა ჩინური სახლის წინაოთახში შეხვედები კაცი; ამ უვარგის სკამებზე, როგორც წესი, არც არავინ ჯდება. მაგრამ ვიეჭვე, ალბათ, ვილაცები ისხდნენ-მეთქი, რადგან მაგიდაზე ჩაის ხუთი ფინჯანი ეწყო, აქედან ორი ბოლომდე არ დაუღევიათ, – თათბირი შეგანყვეტინეთ, – ვუთხარი ჰენს.

– საქმიანი შეხვედრაა, – უხალისოდ მიპასუხა ბატონმა ჰენმა, – მნიშვნელოვანი არაფერი. თქვენი ნახვა ყოველთვის მიხარია, მისტერ ფაულერ.

– გრანიეს მოედნიდან მოვდივარ, – ვუთხარ მე.

– მეც ასე ვიფიქრე.

– უკვე გაიგეთ...

– ვილაცამ დამირეკა. გადანყდა, რომ ერთხანს ბატონ ჭოუსგან თავი შორს დავიჭირო. დღეს პოლიცია თავს ძალიან გამოიჩინს.

– თქვენ ხომ არაფერ შუაში ხართ.

– ბრალეულის პოვნა პოლიციის საქმეა.

– ისევ პაილი იყო, – ვუთხარი მე.

– ჰო.

– საშინელი რამ ჩაიდინა.

– გენერალი თჰე უმართავია.

– პლასტიკი კი ბოსტონელი ბიჭების ხელში საშიში სათამაშოა. პაილის უფროსი ვინ არის, ჰენ?

– მგონი, მისტერ პაილი თავისი თავის უფროსია.

– სსო<sup>1</sup> რაღაა?

– სანყისი ასოები დიდად მნიშვნელოვანი არ გახლავთ.

<sup>1</sup> სტრატეგიული სამსახურის ოფისი.

– რა გავაკეთო, ჰენ? ის როგორმე უნდა შეჩერდეს.

– სიმართლის გამოქვეყნება შეგიძლიათ. ან ეგებ არ შეგიძლიათ?

– ჩემს გაზეთს გენერალი თქვე არ აინტერესებს. მას მხოლოდ თქვენი ხალხი აინტერესებს, ჰენ.

– მართლა გინდათ მისტერ პაილის შეჩერება, მისტერ ფაულერ?

– თქვენი თვალით უნდა გენახათ, ჰენ... იდგა და მიხსნიდა, გულდასაწყვეტი შეცდომა მოხდაო, წესით, ალღუმზე უნდა მომხდარიყო. მერე ისიც კი თქვა, სანამ დესპანს შევხვდებოდე, ჯერ ფეხსაცმელი უნდა გავინმინდოო.

– ამ ყველაფრის მოყოლა პოლიციისთვისაც ხომ შეგიძლიათ?

– გენერალი თქვე არც მათ აინტერესებთ. ამას გარდა, გგონიათ, გაბედავენ და ამერიკელს შეეხებიან? დიპლომატიური პრივილეგიებით სარგებლობს. ჰარვარდი აქვს დამთავრებული. მინისტრი გიჟდება მასზე. ჰენ, იქ ერთი ქალი იყო, რომლის ბავშვიც... ქალმა ჭილის ქუდი დაახურა, რომ დაეფარა. გონებიდან ვერ ვიგდებ. მსგავსი სურათი ფატიდემშიც ვნახე.

– უნდა დამშვიდდეთ, მისტერ ფაულერ.

– ამის მერე თავში რა დაარტყამს, ჰენ? „დიოლაქტონის“ ერთი დოლურიდან რამდენი ბომბი და რამდენიმე დაღუპული ბავშვი მიიღება?

– მზად ხართ ჩვენს დასახმარებლად, მისტერ ფაულერ?

– სერიოზული შეცდომები მოსდის და ამის გამო ხალხი იხოცება. ცუდია, რომ თქვენებმა მდინარეშივე არ ჩაცხრილეს, როცა ნამ-დინში მიცურავდა. ბევრი ადამიანი დღეს ცოცხალი იქნებოდა.

– გეთანხმებით, მისტერ ფაულერ. უნდა შევაკავოთ. ერთი წინადადება მაქვს, – ვილაცამ კარს იქით დააცემინა, მერე ხმამალლა გადააფურთხა, – ეგებ ამ სალამოს ცხრის ნახევრიდან ათის ნახევრამდე „ვიე-მულენში“ სასადილოდ დაგეპატიუებინათ.

– მაგით რა ხეირი?

– გზაზე დაველაპარაკებოდით, – თქვა ჰენმა.

– შეიძლება დაკავებული იყოს.

– მაშინ აჯობებს, თუ თქვენთან მიიპატიჟებთ შვიდის ნახევრისთვის. თუ თავისუფალი იქნება, აუცილებლად გენვევით. თუ გაირკვევა, რომ თქვენთან ერთად სადილობა შეუძლია, წიგნი ფანჯარასთან მიიტანეთ, ვითომ სინათლეზე გნებავთ ნაკითხვა.

– რატომ „ვიე მულენში“?

– ეგ სასტუმრო დაკოუზე ხიდის ახლოს არის... მგონი, ადგილსაც გამოენახავთ სადმე, რომ შეუფერხებლად დაველაპარაკოთ.

– რას აპირებთ?

– მაგის ცოდნა თქვენ არ გჭირდებათ, მისტერ ფაულერ, მაგრამ გპირდებით, იმდენად ფაქიზად მოვექცევით, რამდენადაც ვითარება მოგვცემს საშუალებას, – ჰენის უხილავი მეგობრები კედელს მიღმა თავგებივით გაფაჩუნდნენ, – აბა, დაგვეხმარებით, მისტერ ფაულერ?

– არ ვიცი, – ვთქვი მე, – არ ვიცი.

– ადრე თუ გვიან, – თქვა ჰენმა და კაპიტან ტრუენის სიტყვები გამახსენდა, ოპიუმის სახლში რომ თქვა, – ადამიანს ვისიმე მხარეზე დადგომა უნევს. ცხადია, თუკი ადამიანად დარჩენა უნდა.

## 2

პაილს მისიაში ბარათი დაფუტოვებ, შემომიარეთ-მეთქი, და „კონტინენტალში“ წავედი დასალევად. აფეთქების კვალი აღარ ჩანდა – სახანძრო რაზმს შლანგით გადაერეცხა მოედანი. მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, დრო და ადგილი თუ ასეთ მნიშვნელოვან როლს შეიძენდა ჩემს ცხოვრებაში. იმასაც კი ვფიქრობდი, მთელი საღამო ბარში ხომ არ დავრჩენილიყავი და შეხვედრა ჩამეშალა-მეთქი. მერე პაილის შეშინება გადავწყვიტე, თუ საქმიანობას არ შეწყვეტ, საფრთხე გემუქრება-მეთქი, ამის თქმა მინდოდა – ნებისმიერ საფრთხეს მოვიშველიებდი – ამიტომ ლუდი დაველიე და შინ წავედი, თან, იმედი მქონდა, პაილი არ მოვიდოდა. ნაკითხვა

ვცადე, მაგრამ თაროზე ისეთი არაფერი მქონდა, რაც შემოიყოლებდა. ალბათ, ასეთ დროს მოწვევა მერჩივნა, მაგრამ ყალიონის გამწყობი არ მყავდა. უხალისოდ ვაყურადებდი, ფეხის ხმა ხომ არ ისმის-მეთქი, და ბოლოს გაისმა. კარი გაღვალე, მაგრამ დომინგესი შემრჩა ხელში.

— რა გნებავთ, დომინგეს? — ვკითხე მე.

გაოცებულმა შემომხედა.

— მნებავს? — საათზე დაიხედა, — ყოველთვის ამ დროს მოვდივარ ხოლმე. ტელეგრამა მზად გაქვთ?

— ბოდიში... სულ დამავინწყდა. არა.

— ახალი ინფორმაცია ბომბებზე? არაფრის გადაცემა არ გინდათ?

— თავად შეადგინეთ, დომინგეს. იქ კი ვიყავი, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდა... ალბათ, კონტუზია მივიღე. ახლა ტელეგრამის დანერის თავი არა მაქვს, — ყურთან ანუილებულ კოლოს ჩავარტყი, რაზეც დომინგესი შეკრთა, — ყველაფერი რიგზეა, დომინგეს, ავაცდინე, — საცოდავად გაიღრიჭა. რაიმესთვის სიცოცხლის წართმევას ვერა და ვერ შეინყნარებდა. ბოლოს და ბოლოს, ქრისტიანი იყო... ერთ-ერთი მათგანი, ვინც ნერონისგან ისწავლა ადამიანის სხეულის სანთლად გადაქცევა.

— რამე ხომ არ გნებავთ? — მკითხა მან. არ სვამდა, ხორცს არ ჭამდა, არ კლავდა... მისი თვინიერება მშურდა.

— არა, დომინგეს, უბრალოდ, ამ საღამოს მარტო დამტოვეთ.

სარკმლიდან გავხედე კატინას ქუჩაზე მიმავალს. ჩემი სარკმლის მოპირდაპირედ, ტროტუართან, ველორიქმა იდგა. დომინგესს მისი დაქირავება უნდოდა, მაგრამ მძლოლმა თავი გააქნია. სავარაუდოდ, მაღაზიაში შესულ კლიენტს ელოდა, რადგან იქ რიქშების გასაჩერებელი ადგილი არ იყო. საათზე დავიხედე და აღმოჩნდა, რომ ათ წუთზე მეტი არ იყო გასული; პაილის კაკუნი გაისმა — მისი ფეხის ხმა ვერ გავიგონე.

— შემოდით, — მაგრამ, ჩვეულებისამებრ, პირველად ძალი შემოვიდა.

– თქვენი ბარათის მიღება გამიხარდა, თომას. ამ დილით ვფიქრობდი, ალბათ, ჩემზე გაბრაზებულია-მეთქი.

– შეიძლება ვიყავი კიდეც. კარგი სანახაობა არ გამართულა.

– რაკი უკვე ამდენი იცით, მეტს თუ გაგიმხელთ, არ განწყენთ. დღეს თქვე ვნახე.

– ნახეთ? აქ, საიგონში? ალბათ, იმის სანახავად ჩამოვიდა, ბომბმა რა დაატრიალა.

– ჩვენ შორის დარჩეს, თომას, და ძალიან მკაცრად ველაპარაკე.

ისე ლაპარაკობდა, როგორც სასკოლო გუნდის კაპიტანი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთი ბიჭუნა წესებს არღვევდა. მე კი მაინც იმედი დავიტოვე და ვკითხე:

– განწყვიტეთ მასთან ურთიერთობა?

– ვუთხარი, თუ კიდეც ერთ უადგილო დივერსიას მოაწყობ, თქვენთან ურთიერთობას გავწყვეტ-მეთქი.

– ესე იგი, ურთიერთობა არ გაგინწყვეტიათ, პაილ? – მოუთმენლად ვუბიძგე მის ძაღლს, რომელიც კოჭებს მიყნოსავდა.

– არ შემიძლია. დაჯექი, ჰერცოგ! გრძელვადიან პერსპექტივაში მხოლოდ მის იმედად ვართ. თუკი ჩვენი დახმარებით ხელისუფლებაში მოვა, ჩვენი საყრდენი იქნება.

– რამდენი ადამიანი უნდა დაიღუპოს, სანამ გაიგებდეთ? – თუმცა ვხედავდი, რომ მასთან კამათი წყლის ნაყვა იყო.

– რას გავიგებდეთ, თომას?

– პოლიტიკაში მადლიერება არ არსებობს.

– ყოველ შემთხვევაში, ისე მაინც არ შეგვიძლებენ, როგორც ფრანგები სძულთ.

– დარწმუნებული ხართ? ზოგჯერ მტრების მიმართ სიყვარულს ვგრძნობთ, ხოლო მეგობრების მიმართ – ზიზღს.

– ტიპური ევროპელივით ლაპარაკობთ, თომას. ეს ხალხი ასეთი რთული როდია.

– ეს ამ თვეებში ისწავლეთ? ცოტა ხანში ბავშვურებსაც უწოდებთ.

– ჰო... გარკვეულწილად.

– ერთი ბავშვის პოვნას მაინც თუ შეძლებთ, პაილ, რომელიც რთული არ იქნება. ახალგაზრდობაში სირთულეების ტყეს წარმოვადგენთ. ასაკთან ერთად ვიოლდებით, – მაგრამ რა აზრი ჰქონდა მასთან ამ ლაპარაკს? ორივე ჩვენგანის არგუმენტები უსაფუძვლო იყო. ავდექი და თაროსთან მივედი.

– რას ეძებთ, თომას?

– ერთ ლექსს, რომელიც მიყვარდა. ამ საღამოს ჩემთან ერთად სადილობას შეძლებთ, პაილ?

– სიამოვნებით, თომას. როგორ მიხარია, რომ ჩემზე აღარ ბრაზობთ. ვიცი, რომ არ მეთანხმებით, მაგრამ ხომ შეგვიძლია ერთმანეთს ყველაფერში არ დავეთანხმოთ, მაგრამ მეგობრებად დავრჩეთ?

– არ ვიცი. არა მგონია.

– ბოლოს და ბოლოს, ფიონგი ამ ყველაფერზე ბევრად მნიშვნელოვანია.

– მაგის მართლა გჯერათ, პაილ?

– რატომაც არა, თომას. განა ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის როგორც ჩემთვის, ასევე თქვენთვის?

– ჩემთვის აღარ.

– დღეს თავზარი დაგვეცა, თომას, მაგრამ გავა ერთი კვირა და დაინახავთ, რომ ყველაფერი დავინწყებას მიეცა. ჩვენ დაღუპულთა ნათესავებს მივხედავთ.

– „ჩვენ“?

– ვაშინგტონს უკვე გადავეცით, საიდანაც ნებართვას ველოდებით, რომ ჩვენი ფონდების ნაწილი გამოვიყენოთ.

შევანყვეტინე:

– „ვინ მუღენზე“ რას იტყვით? ცხრიდან ათის ნახევრამდე?

– სადაც გნებავთ, თომას, – მე სარკმელთან მივედი. მზე უკვე სახურავებს ეფარებოდა. ველორიქშის მძლოლი ისევ მგზავრს უცდიდა. მან ამომხედა, – ვინმეს უცდით, თომას?

– არა. ამ ნაწილს ვეძებდი, – რომ არაფერი ეეჭვა, წიგნი სინათლეზე დავიჭირე და კითხვა დავინყე:

„ქუჩაში მივქრი, არვინ მალეღვებს; ეს ვინ არისო, მომჩერებთან;

ზარალსაცა ვზღავ, თუკი შემთხვევით თავხედს გავიტან.

საამურია, როცა ჯიბეში ფული გიჭყავის,  
როცა ფული გაქვს, კაცი გქვიაო, ყველა დაგჩხავის“.

– რა სასაცილო ლექსია, – პაილმა ლექსი დაიწუნა.

– მეცხრამეტე საუკუნის ზრდასრული პოეტისაა. ბევრი როდი იყო მისთანა, – ისევ დაბლა ჩავიხედე. ველორიქმის მძლოლი იქ აღარ იდგა.

– სასმელი არაფერი გაქვთ? – მკითხა პაილმა.

– არა, მაგრამ ვიფიქრე, რომ თქვენ არ...

– მგონი, ცოტა მოვდუნდი, – თქვა პაილმა, – თქვენი გავლენაა. იცით, ჩემზე კარგად მოქმედებთ, თომას.

ბოთლი და ჭიქა მოვიტანე... მეორე ჭიქა დამავინყდა, ამიტომ ხელახლა გავედი. მერე წყალი შემოვიტანე. იმ სალამოს რასაც ვაკეთებდი, ყველაფერზე დიდი დრო მიმდიოდა. მან მითხრა:

– იცით, მშვენიერი მშობლები მყავს, თუმცა შესაძლოა მეტისმეტად მკაცრებიც იყვნენ. ჩესნათის ქუჩაზე ძველისძველი სახლი გვიდგას, პირდაპირ ბორცვზე. დედაჩემი ბროლის შეგროვებითაა გატაცებული, მამაჩემი კი, როდესაც ქარაფების ეროზიას არ იკვლევს, დარვინის ხელნაწერებსა და მის პირველ გამოცემებს აგროვებს. მოკლედ, წარსულით ცხოვრობენ. შესაძლოა იორკმა ამიტომაც იქონია ჩემზე ამხელა გავლენა. მან თანამედროვეობას უფრო აუნყო ფეხი, მამაჩემი კი იზოლაციონისტია.

– ალბათ, მამათქვენი მომეწონებოდა, – ვუთხარი მე, – მეც იზოლაციონისტი ვარ.

იმ სალამოს ჩუმ პაილს ლაპარაკის საღერღელი აშლოდა. წესიერად არც ვუსმენდი, რას ამბობდა, რადგან გონებით სხვაგან ვიყავი. თავს ვირწმუნებდი, რომ ბატონი ჰენი და მისი დამქაშები ხისტი და თვალში საცემი მეთოდებით არ იმოქმედებდნენ, მაგრამ ასეთ ომში ყოყმანის დრო არავის

აქვს – ყველა იმ საშუალებას იყენებს, რაც იმნუთას ხელთ აღმოაჩნდება – ფრანგები ნაპალმის ბომბს, ბატონი ჰენი კი ტყვიას ან დანას. რაიმეს განსჯა უკვე გვიან იყო, თანაც, ბუნებით მსაჯული არა ვარ, ამიტომ გადავწყვიტე, პაილს სათქმელის ამოთქმის საშუალებას მივცემ და მერე გავაფრთხილებ-მეთქი. საერთოდ, ჩემთან დარჩენაც კი შეეძლო. ჰენის ხალხი შემოჭრას, დიდი ალბათობით, ვერ გაბედავდა. მგონი, თავის ძველ გადაიხზე მიყვებოდა... – ...უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ვიდრე დედაჩემი, თან მოცვის უგემრიელეს ღვებელს მიცხოვდა ხოლმე! – როდესაც შევანყვეტინე:

– პისტოლეტი თან გაქვთ?

– არა. მისიაში აკრძალული გვაქვს...

– მაგრამ ხომ სპეცსამსახურში ხართ?

– რაში გამომადგება, აბა? თავდასხმა თუ მოუწდებათ ჩემზე, ყოველთვის დამესხმებიან, თანაც, თხუნელასავით ბრმა ვარ. კოლეჯში მეღადავებოდნენ ხოლმე და ღამურას მეძახდნენ, რადგან სიბნელეში თითქმის ვერაფერს ვხედავ, – ისევ ენამჭევრობა დაიწყო. მე სარკმელთან დავბრუნდი.

ველორიქშის მძლოლი იცდიდა. რაკი ესენი ყველანი ერთმანეთს ჰგვანან, დაზუსტებით ვერ ვიტყვოდი, მაგრამ მომეჩვენა, რომ ეს სხვა იყო. ეგებ ამას მართლა ჰყავდა კლიენტი. გავიფიქრე, რომ პაილი უსაფრთხოდ მხოლოდ მისიაში იქნებოდა. მას შემდეგ, რაც სიგნალი მივეცი, ჰენის ხალხი, ალბათ, გეგმას შეადგენდა, რომელიც დაკოუზე გადებულ ხიდს უკავშირდებოდა. არ ვიცი, ეს ხიდი რატომ ამოირჩიეს, პაილი ხომ მზის ჩასვლის შემდეგ მასზე არ გადავიდოდა. ამას გარდა, ჩვენი მხრიდან ხიდს შეიარაღებული პოლიცია იცავდა.

– რაც მოვედი, პირი არ გამიჩერებია, – შენიშნა პაილმა, – არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ საღამოს...

– განაგრძეთ, – ვუთხარი მე, – უბრალოდ, ლაპარაკის განწყობაზე არა ვარ, ესაა და ეს. ეგებ ვახშამი გადაგვედო.

– არა, ამას ნუ იზამთ. მეჩვენებოდა, რომ ჩემთან ურთიერთობა აღარ გინდოდათ, რაც... მოკლედ, თავადაც ხვდებით.

– რაც სიკვდილს გადამარჩინეთ, – ვთქვი და ის ტკივილი ვერ დავფარე, რომელიც საკუთარ თავს თვითონ მივაყენე.

– არა, მაგას არ ვგულისხმობდი. გახსოვთ, ერთმანეთთან გულახდილად რომ ვილაპარაკეთ, თითქოს ის ღამე უკანასკნელი ყოფილიყო ჩვენს ცხოვრებაში. თქვენზე ბევრი რამ შევიტყვე, თომას. მართალია, ვერ გეთანხმებით, მაგრამ თქვენთვის შესაძლოა უმჯობესიც იყოს, თუკი არაფერში ჩაერევით. ბოლომდე თქვენსაზე დგახართ, მაშინაც კი ნეიტრალური დარჩით, როდესაც ფეხი დაიშავეთ.

– ადრე თუ გვიან, ცვლილებას ვერ ავცდებით, – შევეკამათე მე, – როდესაც ძლიერი ემოცია მოგანვება...

– მაგრამ ეს ცვლილება თქვენ არ შეგხებიათ და მეექვსეა, ოდესმე შეგეხობთ. მეც ვერაფერი შემცვლის, სიკვდილის მეტი, – ხალისიანად დაამატა.

– ვერც ამდილანდელი? დავიჯერო, თქვენს შეხედულებებზე ამან არ იმოქმედა?

– ამას ომის მსხვერპლი ეწოდება, – ამიხსნა მან, – დასაწინაა, მაგრამ ყოველთვის მიზანს ვერ მოარტყამ. ამას გარდა, ისინი მართალ საქმეს შეენიერნენ.

– მაშინაც ამას იტყოდით, თქვენი გადია რომ დაღუპულიყო?

ჩემი შეკითხვა არად ჩააგდო.

– იმის თქმა კი შეიძლება, რომ დემოკრატიის გამო გაიღეს სიცოცხლე, – თქვა მან.

– არ ვიცი, ეგ ვიეტნამელთა ენაზე როგორ ითარგმნება, – უეცრად დაქანცულობა ვიგრძენი. მომინდა რომ გამცლოდა და სწრაფადვე შეჰყროდა სიკვდილს, მერე კი ცხოვრებას თავიდან დავიწყებდი – იმ მომენტიდან, როდესაც ის ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა.

– ალბათ, სერიოზულად არასოდეს მომეპყრობით, ხომ, თომას? – დაიჩივლა პაილმა სკოლის მოწაფესავით ხალისიანად, როგორც ჩანს, ეს კოზირი მაინცდამაინც ამ საღამოსთვის ჰქონდა შემონახული, – იცით, რას გეტყვით... ფიონგი ახლა კინოშია და მთელი საღამო ერთად ხომ არ გაგვეტარებინა? საქმე მაინც არაფერი მაქვს, – თითქოს ვილაც ურ-

ჩვედა ისეთ სიტყვებს, რომლებითაც უკან დახვევის ყოველგვარ საშუალებას მომისპობდა, — „შალეში“ რომ წავიდეთ? იმ ღამის მერე იქ ფეხი აღარ მიმიდგამს. კერძებს იქაც ისე გემრიელად ამზადებენ, როგორც „ვიე მულენში“; ცოცხალი მუსიკაც უკრავს.

— მირჩევნია, ის ღამე სულ არ გავიხსენო, — ვუთხარი მე.

— ბოდიში. ზოგჯერ სულელივით ვიქცევი ხოლმე, თომას. შოლონში ჩინურ რესტორანში რომ წავიდეთ?

— კარგი კერძი რომ მიირთვათ, წინასწარ უნდა შეუკვეთოთ. „ვიე მულენისა“ გეშინიათ, პაილ? საიმედო მესერიც შემოვლებული აქვს და ახლომახლო მუდამ პოლიცია ტრი-ალებს, ოღონდ სისულელე არ ქნათ და დაკოუს ხიდით არ გადახვიდეთ.

— მაგას არ ვგულისხმობდი. უბრალოდ, მინდოდა დღევანდელი საღამო მალე არ დასრულებულიყო, — ხელი უხერხულად მოიქნია და ჭიქა იატაკზე გადააგდო. ჭიქა დაიმტვრა, — ბედნიერების ნიშანია, — თქვა მექანიკურად, — მაპატიეთ, თომას, — ნამტვრევები ნამოვკრიფე და საფერფლეში ჩავყარე, — აბა, რას იტყვით, თომას? — დამტვრეულმა მინამ „პავილიონში“ დაღენილი ბოთლები მომაგონა, — ფიონგი გავაფრთხილე, რომ შეიძლებოდა თქვენთან ვყოფილიყავი.

ძალიან ცუდად მომხვდა სიტყვა „გავაფრთხილე“ ყურში. მინის ბოლო ნატეხიც ავიღე.

— „მაჟესტიკში“ შეხვედრა მაქვს დანიშნული, — ვუპასუხე მას, — და ცხრამდე ვერ მოვახერხებ.

— მაშინ სამსახურში დაბრუნება მომიწევს. უბრალოდ, ვშიშობ, არ შემაყოვნონ.

მისთვის ამ შანსის მიცემით საქმე არ წახდებოდა.

— რომ დააგვიანოთ, პრობლემა არ იქნება, — ვუთხარი მე, — თუ შეყოვნდებით, აქ შემომიარეთ. თუ რესტორანში ვერ მოხვალთ, ათზე დავბრუნდები და აქ დაგიცდით.

— გაცნობებთ.

— არ შენუხდეთ. ან „ვიე მულენში“ მოდით, ან აქ, — გადანყვეტა იმას მივანდე, ვისი არსებობისაც არ მწამდა: დაე, თვითონ შეეცვალა საქმის ვითარება: დაე, თვითონ შეეცუ-

რებიან კარქვეშ ბარათი ან დესპანის შეტყობინება გადაეცა შიკრიკის ხელით. ვერ იარსებებ, თუ მომავლის შეცვლის ძალა არ შეგნევს-მეთქი, გულში ვუთხარი, – ახლა კი წადით, პაილ. მე პატარა საქმეები კიდევ მაქვს.

ისევ დაქანცულობა ვიგრძენი, როდესაც მიმავალი პაილის ფეხის ხმა და მისი ძაღლის თათების ტყაპუნი შემომესმა.

### 3

როდესაც გავედი, დ'ორმეს ქუჩამდე ერთი ველორიქმაც არ შემხვედრია. „მაუესტიკამდე“ ფეხით დავუყევი და სანაპიროზე ერთხანს შევჩერდი, ვუყურე, როგორ გადმოჰქონდათ ამერიკული ბომბდამშენები. მზე უკვე ჩასულიყო, ამიტომ აირგანმმუხტავი ფარნების შუქზე მუშაობდნენ. ჩემთვის ალიბის შექმნაზე არ მიფიქრია, მაგრამ რაკი პაილს ვუთხარი, „მაუესტიკო“ უნდა შევიარო-მეთქი, საჭიროზე მეტი ტყუილის თქმა არ მინდოდა.

– სალამო მშვიდობისა, ფაულერ.

უილკინსი იყო.

– მშვიდობისა.

– ფეხი როგორ გაქვთ?

– აღარ მანუხებს.

– კაი ბლომად მასალა გამოგივიდათ?

– არა, თან, დომინგესს მივანდე.

– მითხრეს, რომ იქ ყოფილხართ.

– კი, ვიყავი, მაგრამ გაზეთში სივრცეს არ გვიყოფენ წესიერად და დიდ მასალას მაინც არ გაუშვებდნენ.

– გააუგემურეს ყველაფერი, არა? – თქვა უილკინსმა, – რასელისა და ძველი „თაიმზის“ დროს უნდა გვეცხოვრა. დეპუტებს ჰაერბურთებით გზავნიდნენ. რასელი კაი ვრცელ სვეტს თუნდაც ამ სასტუმროს, ბომბდამშენებსა და შებინდებას მიუძღვნიდა. ჩვენს დროში კი არასდროს ბინდდება, რადგან ტელეგრაფი თითო სიტყვაში გვახდევინებს, – სადღაც მაღლიდან ხმადაბლა სიცილის ხმა ისმოდა; ვილამ ცამ ჭიქა გატეხა, პაილივით. ეს ხმები ზევიდან ლოლუები-

ვით ცვიოდა, – ლამპიონები ანათებდა მშვენიერ ქალებსა და მამაც მამაკაცებს, – ღვარძლიანად მოახდინა ციტირება უილკინსმა, – ამ საღამოს გცალიათ, ფაულერ? ერთად ხომ არ გვევახშმა?

– სწორედ ახლა მივდივარ „ვიე მულენში“ სავახშმოდ.

– მაშინ ისიამოვნეთ. გრეინჯერიც იქ იქნება. სარეკლამო ტექსტი უნდა შეედგინათ: „გრეინჯერის ღამე გვაქვს ხმაურის მოყვარულთათვის“.

უილკინს ღამე მშვიდობისა ვუსურვე და მეზობელ ნაგებობაში, კინოთეატრში შევედი. ეროლ ფლინი ან თაირონ ფაუერი (რეიტუზი როცა აცვიათ, ერთმანეთისგან ვერ ვარჩევ) თოკებზე კონწიალობენ, აივნებიდან ხტებიან და ფერად ფირზე გადაღებულ რიჟრაჟზე მიაჭენებენ შეუკაზმავ ცხენს. შეყვარებული ქალი იხსნა, მტერი მოკლა და მერე მთელი ცხოვრება მისთვის ბუზიც არავის აუფრენია. ასეთ ფილმებს ბიჭებისთვის იღებენ, თებეს სასახლიდან გამომავალი, თვალეზიანებისგან დაცული ოიდიპოსის ხილვა უფრო მოამზადებდა მოზარდებს დღევანდელი ცხოვრებისთვის. უპრობლემოდ არავინ ცხოვრობს. იღბალი თან სდევდა პაილს ფატ-დიემსა და ტაინინიდან მომავალ გზაზე, მაგრამ ორ საათში იღბალიც მიივიწყებს და ბუზიც აუფრინდება. ჩემ გვერდით ფრანგი ჯარისკაცი დაჯდა, მეორე მხრიდან გოგონა დაისვა და ხელი კალთაში ჩაუდო – მისი მარტივი ბედნიერების ან უბედურებისაც კი შემშურდა (გააჩნია, იმნუთას რას განიცდიდა). ფილმისთვის ბოლომდე არ მიყურებია, გამოვედი და ველორიქშაში ჩავჯექი „ვიე მულენში“ წასასვლელად.

რესტორანს მესერი ჰქონდა შემოვლებული ყუმბარებისგან დასაცავად, ხიდის ბოლოს კი ორი შეიარაღებული პოლიციელი მორიგეობდა. ბურგუნდიული კერძებით გასუქებული რესტორნის მფლობელი თავად შემიძღვა დარბაზში. ყვერულისა და გამდნარი კარაქის სუნი საღამოს ბულს ერეოდა.

– მისტერ გრეინჯერის კომპანიასთან ხომ არ გნებავთ შეერთება? – მკითხა მფლობელმა.

– არა.

– მხოლოდ თქვენ იქნებით?

სწორედ მაშინ დაფიქრდი პირველად მომავალზე და იმ კითხვებზეც, რომლებზეც, დიდი ალბათობით, პასუხის გაცემა მომიწევდა.

– დიახ, მარტო ვიქნები, – ვუპასუხე და მომეჩვენა, რომ ვიყვირე, პაილი უკვე მკვდარია-მეთქი.

მხოლოდ ერთი დარბაზი ჰქონდა რესტორანს, გრეინჯერს კი დიდი სუფრა უკანა ნაწილში გაეშლევინებინა; მფლობელმა მავთულის ახლოს პატარა მაგიდასთან დამსვა. სარკმლებში მინები არ იჯდა, რადგან ნამსხვრევების გაფანტვის საფრთხე იყო. გრეინჯერის თანამეინახეთაგან რამდენიმე ვიცანი და დაჯდომამდე თავიც დავუკარი. გრეინჯერმა თვალი ამარიდა. ბოლო თვეებში მხოლოდ ერთხელ მყავდა ნანახი იმ ლამის შემდეგ, პაილს რომ ფიონგი შეუყვარდა. შესაძლებელია ალკოჰოლურ ბურუსში ჩემმა რომელიმე შეურაცხმყოფელმა შენიშვნამ გააღწია იმ საღამოს და გრეინჯერის ყურს მისწვდა, რადგან ახლა ბრაზიანი სახით მიყურებდა; მადამ დეპრე კი, საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილების თანამშრომლის ცოლი, და კაპიტანი დიუპარი, პრესის კავშირის სამსახურიდან, თავს მიქნევდნენ და თავისკენ მიხმობდნენ. მათთან იჯდა პნომპენელი ტანმალალი მამაკაცი (სავარაუდოდ, სასტუმროს პატრონი) და ფრანგი გოგონა, რომელიც მანამდე არასდროს მენახა, ამას გარდა, ორი თუ სამი კაცი, რომლებსაც ბარებში შევხვედროდი. მშვიდი სუფრა მომეჩვენა. ჭიქა პასტისი შევუკვეთე, პაილისთვის მოსვლის დროის მიცემა მინდოდა – გეგმა ზოგჯერ იფუშება ხოლმე, მე კი სანამ ვახშმობას შევუდგებოდი, კიდევ შეიძლებოდა იმედი მქონოდა. მერე დაფიქრდი, ნეტავ რისი იმედი უნდა მქონდეს-მეთქი. ოსს-ის თუ რაც ერქვა ყაჩაღების ამ რაზმს? პლასტიკის ბომბებისა და გენერალ თჰეს წარმატების? თუ, ხალხის მსგავსად, მეც რაიმე სასწაულზე ვამყარებდი იმედს, რომ ჰენი ამ უსიამოვნებას რაიმე სხვა საშუალებით გადაჭრიდა და სიკვდილს არ გამოიყენებდა? ოჰ, როგორ გამარტივდე-

ბოდა ყველაფერი, ტაინინის გზაზე ორივე ჩვენგანი რომ გამოესალმებინათ სიცოცხლეს! ოცი წუთი ვწრუპავდი პას-ტისს და მერეღა შევუკვეთე ვახშამი. მალე ათის ნახევარიც შესრულდებოდა. ანი აღარ მოვიდოდა.

უნებლიეთ სულ ყურს ვუგდებდი: რას? ყვირილს? გას-როლის ხმას? პოლიციელების ფაციფუცს გარეთ? მაგრამ რაც უნდა დამეძაბა სმენა, მაინც არაფერი მოაღწევდა ჩემს ყურამდე, გრეინჯერის მაგიდა ისე ახმაურდა. სასტუმროს მუპატრონე სასიამოვნო, მაგრამ უვარჯიშებელი ხმით ამ-ღერდა, ხოლო როდესაც მეორე შამპანურის კორპი ხმაუ-რით გაფრინდა, დანარჩენებიც აჰყვინენ. მხოლოდ გრეინჯე-რი დუმდა. დაღვრემილი იჯდა და დარბაზის მეორე ბოლო-დან მიბრიალებდა თვალს. ვიფიქრე, ჩხუბს თუ დაიწყებს, მისთვის სუსტი მეტოქე ვიქნები-მეთქი.

სენტიმენტალურ სიმღერას მღეროდნენ, მე კი უმადოდ შევექცეოდი ჰერცოგულად მომზადებულ ყვერულს; მას მე-რე, რაც გავიგე, რომ უსაფრთხოდ იყო, ფიონგზე დავინყე ფიქრი. გამახსენდა, ვიეტმინელების მოლოდინში პაილმა რომ თქვა, ჩემთვის უზაკველია, ყვავილივითო, მე კი უტიფ-რად ვუპასუხე, საწყალი ყვავილი-მეთქი. ამიერიდან ფიონ-გი ველარც ნიუ-ინგლენდს იხილავდა და ვერც კანასტის სა-იდუმლოებებს ჩასწვდებოდა. ეგებ არც უზრუნველი ცხოვ-რება ეწერა. რა უფლება მქონდა, მოედანზე დახოცილებზე ნაკლებად დამეფასებინა? წამება უფრო აუტანელი წამე-ბულთა რაოდენობის ზრდით არ ხდება; ერთ წამებულ სხე-ულს შეუძლია იმდენი წამების დატევა, მთელი კაცობრიო-ბა რომ დაიტევედა. როგორც ჟურნალისტი, ისე განვსჯიდი და რაოდენობა მადარდებდა, ამით კი საკუთარ პრინციპებს ვღალატობდი; ახლა მეც პაილივით ვისიმე მხარეს მომიწევს დგომა და ვერანაირ გადაწყვეტილებას იოლად ველარ მივი-ღებ. საათზე დავიხედე და ათს თითქმის მეოთხედი აკლდა. ალბათ, ხელში ჩაიგდეს-მეთქი, დავასკვინი; ან შეიძლება ის, ვისაც ენდობოდა, პაილს დაეხმარა და ახლა პაილი მისიაში ზის, ტელეგრამას შიფრავს და მალე კატინას ქუჩაზე ჩემი

ბინის კიბეზე აირბენს-მეთქი... და თუკი ასე მოხდებოდა, მას ყველაფერს ვუამბობდი.

გრეინჯერი თავისი მაგიდიდან მოულოდნელად ადგა და ჩემთან მოვიდა. მან ჩემს მაგიდასთან სკამიც ვერ დაინახა და დაეჯახა, მაგრამ რომ არ ნაქცეულიყო, ხელით მაგიდას დაეყრდნო.

– ფაულერ, – მომმართა მან, – გარეთ გავიდეთ.

მაგიდაზე ფული დავდე და გავეყვი. მასთან ჩხუბის განწყობაზე არ ვიყავი, მაგრამ გონების დაკარგვამდე რომც ვეცემე, ხელს არ შევუხრიდი. ოღონდ დანაშაულის განცდა რამემ გაგვიქროს და ხშირად ადამიანისთვის სულერთია, რის ფასად.

ის ხიდის მოაჯირს დაეყრდნო და ორმა პოლიციელმა შორიდან გამოხედა.

– თქვენთან სალაპარაკო მაქვს, ფაულერ, – მითხრა მან.

მე დარტყმის მანძილზე მივუახლოვდი და ცდა დავინყე. არ განძრეულა. ალევგორიულ ქანდაკებას ჰგავდა იმ ყველაფრისა, რაც ამერიკაში მძაგდა – თავისუფლების ქანდაკებასავით ცუდად ნაქანდაკარი და უაზრო იყო თვითონაც.

გაუნძრევლად მითხრა:

– გგონიათ, მთვრალი ვარ? ცდებით.

– რა ხდება, გრეინჯერ?

– თქვენთან დალაპარაკება მინდა, ფაულერ. ამ სალამოს იმ ბაყაყებთან ჯდომა არ მსურს. გულზე არ მეხატებით, ფაულერ, მაგრამ ინგლისურად მაინც ლაპარაკობთ. ინგლისური თუ ეთქმის, რა თქმა უნდა, – მოიხარა; შებნელებულზე უზარმაზარ, უფორმო, გამოუკვლეველ კონტინენტს ჰგავდა.

– რა გინდათ, გრეინჯერ?

– ინგლისელებს ვერ ვიტან, – თქვა მან, – არ ვიცი, პაილი როგორ გიტანთ. შესაძლოა იმის გამო, რომ ბოსტონელია, მე კი პიტსბურგელი ვარ და ამით ვამაყობ.

– რატომაც არა?

– აჰა, ისევ! – მან ჩემი აქცენტის გამეორება სცადა, ოღონდ უხეიროდ გამოუვიდა, – ყველანი სნობებივით ლა-

პარაკობთ. თითქოს სხვებზე მეტი იყოთ. გგონიათ, ყველაფერი იცით.

– ღამე ნებისა, გრეინჯერ. შეხვედრა მაქვს.

– არ ნახვიდეთ. გული არა გაქვთ? იმ ბაყაყებთან ვერ ვლაპარაკობ.

– მთვრალი ხართ.

– ორი წიქა შამპანური მაქვს დალეული, მეტი არაფერი; თქვენ ჩემს ადგილას მთვრალი იქნებოდით? ჩრდილოეთში მიწვეს ნასვლა.

– მერედა რა?

– აა, არ მითქვამს, ხომ? მეგონა, ყველამ იცის-მეთქი. ამ დილით ცოლმა მიდეპეშა.

– მერე?

– ჩემს ვაჟს პოლიემიელიტი ჰქონია. ცუდად არისო.

– ვწუხვარ.

– არაა საჭირო. თქვენი შვილი ხომ არ არის.

– შინ ვერ გაფრინდებით?

– ვერა. ჩემგან მოითხოვენ, ჰანოისთან მიმდინარე რაღაც გასუფთავების ოპერაციაზე დაწერო, კონოლი კი ავად არის, – კონოლი მისი დამხმარე იყო.

– სამწუხაროა, გრეინჯერ. ნეტავ დახმარება შემეძლოს.

– ამ საღამოს ჩემი ბიჭის დაბადების დღეა. ჩვენი დროით თერთმეტის ნახევარზე რვა წლისა ხდება. ამიტომაც გავშალე სუფრა და შამპანურიც შევუკვეთე, სანამ გავიგებდი. ვინმესთან უნდა მელაპარაკა, ფაულერ, ამ ბაყაყებთან კი არაფრის თქმა არ შემიძლია.

– დღეს პოლიომიელიტს კურნავენ, როგორც ვიცი.

– თუნდაც ხეიბარი დარჩეს, ფაულერ, ოღონდ ცოცხალი იყოს. მე რომც დავხეობრებულიყავი, არაფერი დაშავდებოდა, მას კი თავში ტვინი უდევს. იცით, მე რას ვაკეთებდი, სანამ ის ნაბიჭვარი მღეროდა? ვლოცულობდი. ვფიქრობდი, ღმერთს თუ ვინმეს წაყვანა უნდა, ნეტამც მე წამიყვანდეს-მეთქი.

– ესე იგი, ღმერთის გნამთ?

– ნეტამც! – ამოიხხრა გრეინჯერმა. სახეზე ხელი ისე გადაისვა, თითქოს თავი სტკივაო, მაგრამ ამ მოძრაობით ცრემლი მოიწმინდა შეუმჩნევლად.

– მე თქვენს ადგილზე დავთვრებოდი, – ვუთხარი მე.

– არა, რას ამბობთ?! ფხიზელი უნდა ვიყო. იმაზე ფიქრი მომინელებს, ჩემი ბიჭი რომელ ღამესაც მოკვდა, მე ვილენ-შებოდი-მეთქი. ჩემი ცოლი ხომ ვერ დათვრება, არა?

– გაზეთისთვის რომ გეთხოვათ...

– კონოლი მართლა ცუდად კი არ არის. სინგაპურში ბოლოკაბას გაეკიდა. ვერ დავაბეზლებ. რომ გაუგონ, დაითხოვენ, – უფორმო სხეულს თითქოს ერთად მოუყარა თავი, – ბოდიში, ფაულერ, შეყოვნებისთვის. უბრალოდ, ვილაციისთვის მაინც უნდა მეთქვა. ახლა უნდა შეგვრუნდე და სადღეგრძელოებიც წარმოვთქვა. სასაცილოა, რომ მაინცდამაინც თქვენ შემრჩით ხელში. თქვენ ხომ გძულვართ.

– შემიძლია კორესპონდენცია დაგინეროთ. ვითომ კონოლი ვარ.

– თქვენ სხვა აქცენტი გაქვთ.

– არ მძულხართ, გრეინჯერ, ბევრ რამეში ბრმა ვიყავი...

– ოჰ, თქვენ და მე მუდამ ისე ვიქნებით, როგორც ძალი და კატა, მაგრამ თანაგრძნობისთვის გმადლობთ.

ასე განვსხვავდები პაილისგან-მეთქი, გამიჩნდა კითხვა. განა მე კი ვგრძნობ, რომ ხალხს უჭირს, სანამ ამ ცხოვრების სისაძაგლეს არ მივეჯახები ცხვირით? გრეინჯერი დარბაზში შევიდა, იქიდან შეძახილები გაისმა. ველორიქმა ვიპოვე და შინ დავბრუნდი. ბინაში არავინ დამხვედრია და შულამემდე ვიჯექი, ვიცდიდი. მერე ყოველგვარი იმედის გარეშე ქუჩაში გავედი და ფიონგს შევეჩხე.

### თავი III

– მესიე ვიგომ გნახა? – მკითხა ფიონგმა.

– კი, თხუთმეტი წუთის წინ გავაცილე. ფილმი მოგეწონა?

– მან საძინებელში ყალიონი მომიმზადა და ღამა აანთო.

– ძალიან სევდიანი იყო, – მიპასუხა ფიონგმა, – მაგრამ ფერები ძალიან მომეწონა. მესიე ვიგოს რა უნდოდა?

- კითხვები დამისვა.
- რაზე?
- ათას რამეზე. მგონი, ანი აღარ შემანუხებს.
- ყველაზე მეტად ისეთი ფილმები მიყვარს, ბედნიერი დასასრული რომ აქვს, – თქვა ფიონგმა, – მოსაწევად მზად ხარ?
- კი, – მე სანოლზე მივწექი, ფიონგმა კი ნემსი მოიმარჯვა.
- მან თქვა:
- გოგონას თავი მოჰკვეთეს.
- ასეთი უცნაური აზრი თავში როგორ უნდა მოგივიდეს კაცს?!
- საფრანგეთის რევოლუციის დროს.
- აა, ისტორიული ფილმი ყოფილა. გასაგებია.
- მაინც ძალიან სევდიანი იყო.
- ისტორიული პერსონაჟები დიდად არ მადარდებენ.
- ამ გოგონას შეყვარებული კი თავის სხვენში დაბრუნდა და გასაცოდავებულმა სიმღერა დანერა; პოეტი იყო. და მერე იმათ, ვინც გოგონას თავი მოჰკვეთეს, სიმღერა შემოსდახეს. „მარსელიეზა“ იყო.
- რალაც ისტორიასავით არ უღერს, – ვთქვი მე.
- ბიჭი ხალხის ბრბოსთან იდგა, როცა მის სიმღერას მღეროდნენ, და ჩანდა, რომ წუხდა, ხოლო როდესაც ილიმებოდა, წუხილი უფრო მწარედ ემჩნეოდა, რადგან შეყვარებულზე ფიქრობდა. იმდენი ვიტირეთ მე და ჩემმა დამ.
- შენმა დამაც? ვერ დამიჯერებია.
- ძალიან მგრძნობიარეა. ის საშიში კაციც იქ იყო, გრეინჯერი. მთვრალი იყო და სიცილი ატეხა. არადა, სასაცილო რა ნახა?! სევდიანი ფილმი იყო.
- არც ვამტყუნებ, – ვთქვი მე, – საზეიმო მიზეზი აქვს. მის ვაჟს საფრთხე აღარ ემუქრება. დღეს „კონტინენტალში“ მოვკარი ყური. ბედნიერი დასასრული მეც მიყვარს, – როდესაც ორი ყალიონი გავაბოლე, მივწექი და თავი ტყავის ბალიშზე მივდე, ხელი კი ფიონგს ჩავუდე კალთაში, – ბედნიერი ხარ?

– რასაკვირველია, – მიპასუხა გულგარეთ. უფრო ყურადღებიან პასუხს არც ვიმსახურებდი.

– თითქოს ძველებურად ვართ, – ვიცრუე, – როგორც შარშან ვიყავით.

– ჰო.

– კარგა ხანია, შარფი არ გიყიდია. ხვალ ახლის შესაძენად ხომ არ გახვალ?

– ხვალ ზეიმი.

– აა, გულიდან გადამცილდა.

– ტელეგრამა არ გაგიხსნია, – შემახსენა ფიონგმა.

– მართალია, ეგეც დამავინწყდა. ამ საღამოს სამსახურზე ფიქრი არ მინდა, თანაც, უკვე გვიანია რაიმეს გაგზავნა. ფილმზე მომიყევი კიდეც.

– მოკლედ, იმ პოეტმა თავისი შეყვარებულის ციხიდან დახსნა სცადა. მან ბიჭის ტანსაცმელი და მამაკაცის ქუდი შეაპარა ციხეში, ისეთი, მეციხოვნეს რომ ეხურა, მაგრამ როდესაც გოგონა ციხიდან გამოდიოდა, თმა ჩამოეშალა და ყველა აკივლდა, თავადის ქალიო. მე მგონია, ამ ამბავში ეს შეცდომა იყო. უნდა მიეცათ გაქცევის საშუალება. მერე პეოტის სიმღერით ბლომად ფულს იშოვიდნენ და საზღვარგარეთ გააღწევდნენ, ამერიკაში... ან ინგლისში, – თავისი ჭკუით მახვილგონივრულად დაამატა.

– ჯობია, ტელეგრამა წავიკითხო, – ვთქვი მე, – ღმერთმა ინებოს და, ხვალ ჩრდილოეთში არ გავხდე გასამგზავრებელი. შენთან ერთად მშვიდად მინდა ყოფნა.

მან კრემების ქილებს შორის დადებული კონვერტი აიღო და მომანოდა, მე კი გავხსენი და წავიკითხე: „ისევ წერილზე ვიფიქრე წრტ გადავწყვიტე უგუნურად მოქცევა როგორც შენ იმედოვნებდი წრტ ჩემს ადვოკატს ვთხოვე განქორწინების საქმის დაწყება შენგან მიტოვების საფუძველზე წრტ ღმერთმა ხელი მოგიმართოს სიყვარულით ჰელენი“.

– გასამგზავრებელი ხარ?

– არა, – ვუპასუხე ფიონგს, – გასამგზავრებელი არა ვარ. აი, წავიკითხავ. ბედნიერი დასასრულიც ეს არის.

ფიონგი სანოლიდან წამოხტა.

– რა მაგარია! გავიქცევი და ჩემს დას ვახარებ. როგორ გაუხარდება. ვეტყვი: იცი, ვინ ვარ? მეორე მისის ფაულერი გახლავარ-მეთქი.

სანოლის მოპირდაპირედ წიგნის თარო მედგა, რომელზეც „დასავლეთის როლი“ მედო, როგორც საკაბინეტო პორტრეტი ახალგაზრდა კაცისა – მოკლედ რომ იკრეჭდა თმას და შავი ძაღლი რომ ჰყავდა. ამიერიდან ველარაფერს გვავენებდა. ფიონგს ვუთხარი:

– ძალიან გენატრება?

– ვინ?

– პაილი, – უცნაურია, რომ ახლაც არ შემეძლო მისი სახელის ხსენება, თუნდაც ფიონგთან.

– ნავალ, რა? ჩემი და გადაირევა.

– ძილში მისი სახელი წამოგცდა.

– სიზმრებს ვერ ვიმახსოვრებ ხოლმე.

– ერთად ბევრ რამეს მოესწრებოდიო. ახალგაზრდა იყო.

– ბებერი არც შენ ხარ.

– და ცათამბჯენები? ემფაია-სთეით-ბილდინგი?

მცირე ყოყმანის შემდეგ თქვა:

– ჩედერის ხეობის ნახვა მინდა.

– დიდი კანიონი არ გეგონოს, – სანოლზე დავსვი, – ბოდიში, ფიონგ.

– რაზე მებოდიშები? მშვენიერი ტელეგრამაა. ჩემს დას...

– ჰო, ნადი და მოახსენე, ოლონდ ჯერ მაკოცე.

აღტაცებულმა ტუჩები შემახო და ნავიდა.

ის დღე გამახსენდა, „კონტინენტალში“ პირველად რომ მომიჯდა პაილი და ქუჩის გადაღმა სოდიანი წყლის აპარატს რომ გახედა. მას შემდეგ, რაც მოკლეს, საქმე კარგად წამივიდა, მაგრამ ძალიან მინდოდა ისეთ ვინმეს ეარსება, ვისაც გულისნადებს შევჩივლებდი.

მარტი, 1952 – ივნისი, 1955

## ავსონის შესახებ

გრაამ გრინს, თანამედროვეობის ერთ-ერთ შესანიშნავ ბრიტანელ მწერალს, გამორჩეული ადგილი უკავია XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიაში.

თავადაც საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ამ მწერლის ნაწარმოებებს თანაბარი ინტერესით კითხულობენ ინტელექტუალები თუ მძაფრსიუყეტიანი ჟანრის მოყვარულები. ოქსფორდის უნივერსიტეტდამთავრებული, ახალგაზრდობაში კომუნისტი, მეორე მსოფლიო ომის დროს მზვერავი, მოგზაურობის მოყვარული, თავგადადებული დონჟუანი, კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, მსოფლიო პოპულარობით სარგებლობდა. მისი რომანები „სტამბოლის ექსპრესი“, „ჩვენი კაცი ჰავანაში“, „ჩემჩუმა ამერიკელი“ და სხვები უზარმაზარი ტირაჟებით იბეჭდებოდა და ასეულობით ენაზე ითარგმნა.

# საჩივრი

## პირველი ნაწილი

თავი I.....	9
თავი II.....	24
თავი III.....	36
თავი IV.....	53
თავი V.....	73

## მეორე ნაწილი

თავი I.....	85
თავი II.....	99
თავი III.....	141

## მესამე ნაწილი

თავი I.....	169
თავი II.....	190

## მეოთხე ნაწილი

თავი I.....	207
თავი II.....	213
თავი III.....	230

ავტორის შესახებ.....	234
----------------------	-----

# | ომებსა და ადაშიანებზე |

შინდღერის სია

თოვან კანილი

ნიგნის ქურდი

გაკან ზაჯაი

ომის შედეგები

გილიან გაკაი

ნათელი, რომელსაც

ვერ ვხედავთ

ენათონ ღოჯი

ბულბული

კარსიანი პანა

შიშის საათი

თანაპდროვა ქართალი  
„ომის პროვა“

რუხ ჩრდილებს

შორის

კაბა სეპეგინი

აშვიგის ტაბუისტი

პიჯა შოგინი

გეიშას მემუარები

ართარ შოღანი

ამერიკელი

სნაიპერი

კრის კილი

მე მომხელეს, დე...

თანაპდროვა ქართალი  
„ომის პროვა“

იასამნის

გოგონები

მართა ალ კალი

ხათანგი-22

ათრუ პალარი  
შოგი I

ხათანგი-22

ათრუ პალარი  
შოგი II

პიანისტი

ვალდისა პილიანი

მოხეცილო  
ვარსეულავი

პან-მარი მახუა  
და ქაჯი

ინგლისი,  
ჩემი ინგლისი

დავიდ პარპარო  
ლორანსი

ჩიტის  
გალობა

სეპეგინი  
შოგინი

ვინამდვირის .ჩუმჩუმამერიკულს“ დანერგა ინტერნინეტში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა შთავგონა = ის იქ 1955-1956 წლებში ყურნად The New Republic-ის ვორესპონდენტად მუშაობდა. 50-იანი წლების სამხრეთი ვიეტნამი საფრანგეთის, ამერიკისა და ავანტიურისტი გენერლების სათარგმოდ გადაქცეულიყო.

ხანში შესული ინგლისელი ყურნადისტის თომას ფაულერი, მისი მეგობარი გოგონასა და ახალგაზრდა ამერიკელი ლეფტენანტის სასიყვარულო სამკურთხევლის ბედი სწორედ ქვეყანაში განვითარებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ამბებმა გადაწყვიტა. ფაულერი თითქმის დამკვირვებელია, ის მხოლოდ ფაქტებს აღწერს და ყურნადში ვორესპონდენტებს გმაცნის, მაგრამ ადრე თუ გვიან მოუწევს რომელიმე მხარეს დაეხმოს და... ის ამერიკის პოლიტიკას უბიძგის. საბოლოოდ ფაულერი ახალგაზრდა ამერიკელის = შაილის = მკვლელის ხელშეწყობი გახდება.

